

მეცნიერებათა
აკადემიის
განმარტვების
სამეცნიერო
საბჭოს
განმარტვების
სამეცნიერო
საბჭოს

მეცნიერებათა



3-4

1999

მნათობი

წელიწადი 75-ე

№3-4

1999 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის თბილისი

შინაარსი

კოეზიბა, კროზა, დრამატურგია

ქუჩარ კვიტიანიშვილი — ლექსები	3
გურამ დონანაშვილი — ძმისაპ. მოთხრობა	7
ჯარჯი ფხოველი — ლექსები	42
ქანა მთხვანი — ლექსები	48
ჯეიმზ ჯონისი — ულისე. მე-16 ეპოზოდი. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება	52

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნინო ასათიანი — ლიტერატურის თეორიის რამდენიმე საკითხი გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებში	75
ცილა პანდელიანი — რაქურის ძიება	82
ნანა ნარეთელი — შენიშვნები ახლადშექმნილი საგნის — „რელიგია და კულტურის გამო“	91

მწერლის არქივიდან

ნიკა აბიაშვილი — ნაწარმოები ირაკლი აბაშიძის	124
---------------------------------------------	-----

თვალსაზრისი

კარლო გოგბაძე — ბილიკები	137
--------------------------	-----

ხელოვნება


ნათელა ურუშაძე — მხატვრული კითხვა	142
მაკა ნულაისკირი — გრძელწიგნული კოლორისტი	148

მეცნიერება

მამუკა დოლიძე — პირობითობის სანიტოცხლო აზრი	151
---------------------------------------------	-----

რეცენზია

იური გიგილიანიშვილი — სეფაჯ, იმედის	157
-------------------------------------	-----



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

თბილისი

საქართველო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

მთავარი რედაქტორი

თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:

მარია აბიაშვილი

აკაკი მინდიაშვილი

მანანა მიქელაძე

ფრინა შატბერაშვილი

ვაჟა ჩორღალი (პ/მგ. მდივანი)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მისამართი

პოეზია, პროზა, დრამატურგია

მწერ კვიტიციანი

მუზეუმის სარდაფი

(ძველკავკასია)

ახლაც რიალებს თვლემამორეულთა თვალწინ –
მარმარილოთი მოფენილი, გასუდრული, გრილი,
ვეება, სვეტებიანი მუზეუმის უმზეო სარდაფი...
მინით დახუფულ, შემოზღუდულ ტანტრეკანზე,
ნაკეცებში, გაპრიალებული ჭუპრით გაწოლილა
შავი, ხუჭუჭთმიანი, ყბებგაქვავებული მუშია;
ტანზე უხვად ახვევია ზეთით გაპოხილი ფართალი,
ერთ დროს ყაჭის თეთრი მუცლიდან გამოწულილი,
სპილენძის ხვარხვალა ქვაბში ჩაყრილი, პარკიდან მორღვეული,
დამდურული, სიკვდილის მძალე დაძახილზე რომ დაძახეს...
როგორ გინდა დაიჯერო: ერთ დროს ეს გამომშრალი როკი,
ნილოსის პირად, დედის რბილ, ტალღოვან მუცელში როკავდა...
შემთხვევით შეხეტებულებს, თითქოს გვეუბნება კრიჭაშეკრული,
ქვანახშირით ჩალუსკუმებული სახე: თქვენი ხატი ვარ,
სანამ გაქრებოდეთ, ალში გახვეული, ცახცახა მზით დამეხითო.

მძინარე ქალაქი

ღამის ორი საათია, ფოთიდან (დასაფლავება) დაბრუნებული,
სამარშრუტო ტაქსმა უკაცრიელ, დაცვარულ ვერაზე ჩამომსვია.
სწრაფად გადავირბინე გასუდრული მთავარი ქუჩა.
შინ მისვლამდე, ვაშლოვანზე, ვიწრო ეზოში შევედი...
უსასრულობაში გატყორცნილ ცას კრიალი გაუდის.
სავსე მთვარის შუქზე გაიჭიმა ქარვისფერი ზოლი,
ჭავლის შხუილმა დათითხნილი კედელი ჩამოასველა,
სიცოცხლის ღარიდან ცივი, აბრჭყვიალებული ვარსკვლავები მცვივა.
შემიმსუბუქდა დაბეგვილი, ნამგზავრი სხეული, ლალად ვარ...
მეჩვენება – ავშარამოშვებული, შავი რაშები მიმაქროლებენ,
წამიერად ქრება ჩემი უწყინარი, მოუშორებელი მოწყენა.

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია

მოგუზუნე ტრასაზე გაზიქრებულნი

როგორ გინდა, ვინმე დააჯერო –
 ვეება, ბრტყელპირა სატკირთო მანქანაზე,
 ჩემს საპირისპიროდ ჯიქურ რომ მობობლავს
 და შეუძლია უმწეო ჩინქლასავით გადაძქელვოს,
 ათჯერ, ასჯერ მეტი ხალი ძოინც შექნება...
 ეს შერე გამოჩნდება, პირადმუ როცა დამოუბენ.

ლაბირინთი – ნიჟარა

მთელი ღამე თავს ვიმტვრევ –
 ვიპოვო გაცამტვერებული ცენტრი,
 არ აეტრუედე, მხოლოდ იქ ვიტრიალო,
 ტვინის ვიწრო, ნაცრისფერი ხვეულებიდან
 როგორმე სინათლეზე გამოვიტყუო
 მარტოობისგან დამზრალი აზრი ჩემი –
 დონდლო, საცეცებაშვერილი ლოკოკინა,
 სპირალივით ჩაგრეხილ-ჩაკლაკნილი
 საკუთარი ნიჟარის სლიპინა ლაბირინთში.

ვილარონის შენობასთან

(საკითხავია)

გადამიფრენს თავზე ყვავი,
 ფრთებით ჰაერს ფოცხავს,
 თან გვერდულად მაკვირდება,
 უკვირს – მხედავს ცოცხალს.

თუ დავხვდები კვლავ ცოცხალი,
 თუ დამხედავს ასე,
 ათი წელი რომ გაივლის –
 შემდეგ გადავლაზე?!

ყრობის გაბრწყინება

ზაფხული! – ადრე სხვაგვარად ჟღერდა,
 სხვა ელვარება დაჰკრავდა ვარსკვლავს...
 სხვა სამზადისი – დედასთან ერთად
 მატარებელით სოფელში ჩასვლა.

მწვანე ფოთლებში ბრიალებს ბლები,
 დაუძლეველი შეძლევა ძალა...
 ნარბენი, ჩვენი ოდის წინ ვწვები,
 ისრუტავს ტანი ნამიან ბალახს.

ყველაფერი წარსულშია

რალა მომარჩენს, მარტოდ
 დარჩენილს,
 რით გავაუქმო შავი ჰაღესი;
 რით დავაბრუნო, თქვით, მამაჩემის
 საღგურში წასვლა, ის სამზადისი.

წინ რალა დამრჩა, პირ ქარი მხუთავს,
 მოძალეს, რაც რო მქონდა, მივეცი,
 მძიმეა ზურგზე აკრული ფუთა,
 უკან — ფუთფუთი ყოველივესი.

განუშეორებალი

ეზო, სიწუშე იღგა ტალანთა,
 ყორეს ღებავდა მთვარის კირ-წყალი,
 ყრუ ძილში თვალმა ისევ დაღანდა
 საღამო მშვიდი, დაუეიწყარი.

მას მერე მთვარე, ცის ბინადარი,
 სხვა სახურავებს, სხვა კედლებს
 ხატავს...
 ნეტარი, თბილი ზამთრის საღარი,
 არ დამიდგება ის წამი ცხადად.

მაბრუებს მაისის სღაჲო

აკაციის ყვავილები,
 სუნთქვა ეკლის ხისა,
 თეთრ, შეფეთილ საფეთქლებში
 უნდა შევიგლისო.

ვიღრე ვნახავ ასხმულ მტევენებს,
 დამჭკნარს, ჩამოცკენილს,

მინდა ძარღვებს შეერიოს
 ამღვრეული წვენი.

შემახსენებს ქროლვა ქართა,
 გაქრებით ხვალ-ზეგ,
 ჯერ კი დავალ, მობარბაცე
 დედამიწის კვალზე.

უზრო მატად ცაში ვარ

თაღო, ლურჯო გუშბათო,
 ტაძრად შეიმეღები,
 დაითღება ღრუბლებიგან
 მარმარიღოს სვეტები —

თეთრად აქათქათებუღი,
 მზეში მთოქროვიღი...
 ანგეღოსნი იქროლებენ,

გაიხარებს ყოვეღი.

ციხ სარკესთან ვარ შე ბევრად
 შინაური, ვიღრე შინ,
 რა გაღრიეკავს, ღროს არ მონებს
 შენობა უმკვიღრესი.
 საათობით ვიყიადღებ
 იქ, ეღისეს მინღვრებში.

ზრანს მარკი

არ უხატავს ქაღები
 იმას მკერდშიშვლები...
 იყო, მხატვარს უყვარღა
 ცხენები და შვლები.

საქებია ლაქები
 ლურჯი, ყვითელ-მწვანე,
 საუფღლოში, ნეტარში,
 ნეტა წაბეყვანე.

ოთხმოცდაათ წელს მიტანაგულ გაშიდაჩობს – ანეტას

გამოვშორდით ზემო ჩიბათს,
ბნელდებაო, მანქარებდი,
მახსოვს დეღე ორაგვისა,
მოვიტოვეთ მანხვარეთი.

ვერ ვივარგეთ გაზრდილებმა,
ჩემი ფასიც შაურია.

ბიჭი ვიყავ, ორმოცდაათ
წელს რა უცებ ჩაუვლია.

სად წაუხვალ შედაქებას,
ნამხმარია შენი ბაღსაც...
რისღეზაღა მამხვარეთი -
ყველაფერი უკან დაგვრჩა.

ქარიანი სვლაო შავაში

მავთულს წითლად სინათლის
მი-და-მოსღევს წვეთები,
დაბლა – ჯგრო მანქანების,
ბნელში დანაფეთები.

შელმართიდან ჩამოაქვს
ქარს ფოთოლი ფუთობით,
მოკლული ვარ ათასჯერ
მშვილდ-ისარით თუ თოფით.

აღარც ვიცი, თუ ისევ
მელირსება თუთობა,
ყინვა მთიბავს, სათუთა –
სითბო და სათუთობა.

ფიქრნი ავნი, ბნელი ჩიხი,
არ დამეხსნა მე ვნება,
გულს ჩამიხევს, გადამჩნეხავს
ბგერებს გამოღვევება.

როგორ გავჩქმე დამაქმევარს

დროის მელის სულ ბოლო
ორმოა თუ ბადე...
ამოხტომა-გაგლეჯა,
ბიჭი ხარ და, სცადე!

დასანთქმელად ამოქნარებს,
ხღვა არი თუ სტეპი,


რეინის კლანჭებს, დალესილს,
საით დაეუსხლტები.

ვთქვით და მოხდა – დაგიძვერი,
ჟამო ძვირო, ფიცხო,
ყველაფერი თავიდან
როგორ წამოვიწყო?!

მოგავლისკენ გასროლილი ისარი

მოღალმართე წლებს მივმართავ:
არ გაბედოთ გათავება!
მე იმ ახალ საუკუნეს
უნდა მივწვევ, გადავება.

ნახოს ძალა, გამოიმცადოს –
ნაბრძოლი და ნადავები;
მომიხსლიტავს, თავად იტყვის,
თუ რომ ცუდად გადავები.



ცნობილ ქართველ მწერალს, გურამ დონანაშვილს სამოცი წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მწერალს ამ დღისშესანიშნავ ზარილს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

კ მ ი ს რ ო ბ ა

მოთხრობა

1.

ახალგაზრდა მღვდელს, მამა ილიას, სახე და გამომეტყველება ჰქონდა არაჩვეულებრივად კარგი.

ხოლო მისი მრევლის ახალი წევრი, ლარისა ცერცვაძე თავის გარდაცვლილ ძმაზე მთელი ხუთი წლით იყო უფროსი. ყოველთვის ძალიან უყვარდა. ჯერ როგორც სათამაშო, მერე როგორც ყველაზე კარგი და გასაფრთხილებელი სათამაშო, მერე როგორც სწორ გზაზე დასაყენებელი დედმამიშვილი და სამზრუნველო და მერე როგორც გვარის გამგრძელებელი, თუმცა „ცერცვაძე“ საქართველოში ჩვენში ხშირი გვარია და ლარისა მაინც ძლიერ განიცდიდა ძმის დაუოჯახებლს, რადგან მოზრდილი ძმა თავის არასრულწლოვან შვილებშიც არ ერჩეოდა და მისით ერთგვარ ბუბიაობასაც სულსწრაფად ელოდა. მაგრამ ჯერ მამა რომ დაიტირეს და მერე დედა, ოცდაათობზეტი წლის ძმა ძალიან მოულოდნელად გარდაეცვალა ლარისას. ეს მეტად მოულოდნელი თავზარდამცემობა იყო, არავის უნახავს მისი ვანიკო, ანუ ძმაჩინა, როგორც ძმას მოფერებით ასეც ეძახდა, ზედმეტად ნასვამი, და არც ნიკოტინმატარებლებს ეძალეობდა, უყვარდა ზომიერ მთაში სიარული, სულაც არ სჩვეოდა ზედმეტი დარდი, პირიქით, ღიმილიანი, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი იყო, უბოროტო, და უცებ — გული!

ლარისა ცერცვაძეს დედ-მამა როგორ არ უყვარდა, ძალიან უყვარდა, ძალიანაც დაენანა, თან როგორღაც ცოტათი დამნაშავედაც კი გრძნობდა თავს იმათ წინაშე, შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო უკეთ ვერ გაუფრთხილდით და სინდისი ქეზენიდა როგორც იტყვიან, ასეთი, განსაკუთრებით ახლა როდესაც იმათი ხელით დარგულხეებისანი საკუთარი ეზო-კარი საბოლოოდ გაყიდა და ქმრის საკუთარსავე ბევრად უკეთეს ძალიან მაღალლობიან ეზო-კარში მთლად საბოლოოდ გადავიდა ორიოდ გამორჩეულ ავეჯსა და ფოტოსურათებთან ერთად, მაგრამ მშობლების გარდაცვალება რაცგინდად მწარედ განეცადა, ეს მაინც ახსნაშეფერებული რამ — რომ მშობლები მიდიან და შვილები რჩებიან ბუნების ნესიასავით იყო, მაგრამ ხუთი წლით უმცროსი ძმის დაკარგვა? დიდ მწუხარებასთან ერთად ლარისა რაღაც უზერხულადაც კი გრძნობდა თავს რომ თითონ იგი ცოცხალია, ხოლო რამდენად უმცროსი ძმა მიწაში უწევს და ისიც უზერხულეობდა რომ მას, გვარისვერგამგრძელებელს ისერა ქმრის გარდა ჰყავდა უსაყვარლესი შვილები, თან ვაჟიცა და გოგოც, ორიესახეობა, და თანაც მთელ ქვეყანაზე ყველაზე მეტად უკეთესები, ხოლო ვანიკო ისე წაეიდა ამ ქვეყნიდან რომ გვარის და საერთოდაც ნამდვილი გამგრძელებელი ვერ დატოვა და ლარისა დროდადრო ეკლესიას

ხანდახანურად მიეკედლა ნუგეშისათვის, რომელი ეკლესიის არსებობა ადრე მხოლოდ შენობითა იცოდა. გულმოდგინედ და უფროკი მეტად ჩამობინდული სიამაყით ესწრებოდა შაბათის წირვებს, დაისწავლა რამდენიმე ლოცვა და სანთლის სწორად დაწებაც ისწავლა მას შემდეგ როდესაც მიანიშნეს და შეუცდომლად იცოდა რომ თეთრცხენიანი მხედარი ეს დიდი წმინდა გიორგი იყო, რომელმაც კარგი ქმედებებით გამორჩეული, ხოლო მომელოტო კაცი მღვდელმთავრის სამოსში — წმინდა ნიკოლოზი, და ეს რამდენიმე ყველაფერი რაღაც თქმა უნდა კარგი იყო ოღონდ ეკლესიიდან გამოსულ ლარისა ცერცვაძეს როგორღაც თავი მოჰქონდა ამით რადგან თავს ჩვეულებრივ გამვლელ-გამომვლელეებზე მაღლა გრძნობდა და თვლიდა და ერთგვარად ამაყად ეჭირა გინდაც დახრილი სახე და თანაც იმით, რომ საკუთრივ თავისით გადამწყვეტილი მკაცრი და ურღვევპირობისდამიხედვით ლარისას, ადრე შესაშურებლად მრავალფეროვნად კარგაიმცემელს მთელ ერთ წელიწადს მკაცრი შავები უნდა სცმოდა ხოლო როდესაც სხეები ზიზილა-პიპილაოიანებში დაიარებოდნენ და ამიტომაც თავს სხეებზე მაღლა გრძნობდა როგორც უსამართლოდ დაჩაგრული და როგორც ამალღებულად გარიყული და გინდაც ასე ყოფილიყო ეს, მაინც არ იყო ესა ალბათ კარგი რადგანაც თუეს ასეთი უპირატესობის ასამალღებლად ხაზგასმა სახეზე ეწერა და ლარისა ცერცვაძეს რომ ეგონა რომ ნამდვილი მორწმუნე იყო, ალბათ არ იყო მთლად ასე.

ისე კი, ხასიათით მონათესავე ნაცნობების თვალში მეტად სასახელოდ გადაიხადა სუფრამოყოლილი პანაშვიდი ძმარინას დაბადების დღეს, ახლა კი მისი ძმის, ვანიკოს, სახელის დღე იყო, წმიდა იოვანე ნათლისმცემლის, იოვანეს, თავისკვეთის დღე, 11 სექტემბერი.

და 1998 წლის თერთმეტ სექტემ-

ბერსაც, მიიმე მანზვის დღეს შედარებით შესაფერისი ოღონდ ზედმეტად კარგი სანთრეკით მივიდა იმ ახლადაშენებულ მიგნით კი ჯერაც მოუმთავრებულ ალაგფერესკიან ეკლესიაში რომელსაც თავისად უწოდებდა რადგანაც ვანიკო იქნალო თანამშრომლობდა გეოგრაფიის კათედრაზე და სწორედ იქ, ახლო ეკლესიაში ოხრედა ძმის პანაშვილს ლარისა უფროსწორად კი, მამა ილია, ძაღლგაზრდა მღვდელი.

ლარისას სადღაც კი-უნდოდა რომ პანაშვიდი ადრე მომთავრებულყო რადგან სუფრისათვის ზოგიერთი რამ ჯერაც სუმთლად ბოლომდე მოუგვარებელი ჰქონდა მაგრამ მამა ილია ჯერ ვიღაც სხვა ქალს ელაპარაკებოდა, რომელმაც მერე თავი დაუქნია მღვდელს და მაშინვე გამოიხედა და ძალიანაც გაუღიმა ლარისა ცერცვაძეს, რომელი ლარისაც მიუხედავად იმისა რომ ბევრგვარი გემრიელი სამარხვო საქმლის ამოლაგებით იყო დატვირთული, მაინც შეიგრძნო უცნობი ქალის მზერა და თუმც ერთ-ერთ ჩანთისკენ დახრილი იყო მაინც ამაყად შეაგება თვალი იმის ღიმილს შავებშიყოფის სიმკაცრეთი, თან, სამარხვოდღის თუმცა ერთგვარად შესაფერისი მაგრამ ზედმეტად მრავალფეროვანი და ზეთიანიც პურ-მარილი გაემზადებინა ძირითადად საკუთარი მოყვარული ხელით და ნაწილი ამისა შავი ჩანთებიდან ამოჰქონდა, ხოლო იმ ქალს კი მხოლოდ პური და ისიც ქარხნის და რალაცა იეფი ღვინო ეჭირა ოდნავ ახრილ ცალ-ცალ ხელებში.

მამა ილია ლარისას მიუახლოვდა და უთხრა:

— ამ ქალბატონსაც ძმა ჰყავს გარდაცვლილი და სწორედ ივანე ერქვა. ჰქვია... ათზე დიდი წირვა გვეწყება, ერთად გადავუხდით მამა მიქაელი და მე პანაშვიდს, ორივეს. კარგი?

— კარგი. — თქვა ლარისამ, ოღონდ თავისი წიაღის დარღვევა არ ესაიბოვნა.

— ახლავე მოვალ.

მამა ილია საკურთხეველში შევიდა, ხოლო ის ქალი ლარისასთან რატომღაც გახარებული მივიდა და ჯერ უთხრა:

— გამარჯობათ.

მერე კი ჰკითხა:

— და თქვენ რა გვარის ბრძანდებით?

რამისისაქმე იყო, და ლარისა ცერცვაძე თუმცკი გალიზიანდა, მაგრამ სწორა მიუგო:

— ცერცვაძე.

— მართლა? — გაეხარდა ქალს?

— იზო ცერცვაძესი რამე ხომ არ ბრძანდებით?

— არა.

— და, ნოდარისი?

— არა.

— არა? თუმცა სწორია, ისინი ხომ ბიძაშვილებია... და, ეე... სად ცხოვრობთ?

— საბურთალოზე.

ეს ქალიდა აკლდა, ყბედი.

— რომელ ქუჩაზე?

„ვაჭა“.

და ლარისა ცერცვაძე ჩანთიდან გაიმართა, ბასრად გაუყარა თვალი, და გამომწვევად დააყოლა:

— მიცკევიჩის ას ოცდაშვიდი, სადარბაზო ერთადერთი, სართული პირველ-მეორე, ბინა ნომერი ერთი!

ეკლესიისძინა პირობაზე, ძალიანაც გამწვავებულად შესცქეროდა, მაგრამ ქალმა კიდევ დააყოლა და უთხრა:

— კარგი რიცხვებია.

... „ვაჭა, სულელია თუ რა?“ — გაიფიქრა ლარისა ცერცვაძემ.

მამა ილია გამოსვლას აყოვნებდა, და იმ ქალმა კიდევ ახალი ჰკითხა:

— თქვენ გურული ცერცვაძე ბრძანდებით თუ იმერელი?

— თბილისელი ვარ. — ამყად და ზემოდან უთხრა ლარისამ თუმცაღა ისევ ჩანთისაკენ იყო.

— მართლა? — თავიდან გაეხარდა ქალს, — და მაშინ გიზო ცერცვაძესი?

— არაფერი.

და, გაიფიქრა, — „თარსავს, ეგებ იმათაც აყავთ ძმა“.

— და, ეე... დათიკო ცერცვაძესი?

— არაფერი, არა!

არადა, ერთი დათიკო რაღაც ბიძაშვილივით იყო, და სუფრაზედაც ოქმებოდა.

— და, ცასიკო ადგიშვილ-ცერცვაძესი?

ეს ლარისამ სამარხო მადონეზით დაიბნეოდა. გიგერტეც მთელი ჩანთიდან, იმითი ხელში გაიმართა და ნიშნისმოგებით უთხრა:

— არც ერთ ცერცვაძეს არ ვიცნობ ცხოვრებაში.

ის ქალი ცოტათი გაკვირვებით შეაცქერდა და მერე უთხრა:

— ეს ცუდია.

„ვაჭა, გიჟია ოხერი? რას გადამეკიდა...“ — გაიფიქრა ვითომც ყოველად უცერცვაძეებო ლარისამ, — და, უცებ, — „გაგინმა თავი! ეკლესიაში ტყუილი მათქმევინა! შხამი და თავსლაფი შენს ენას!“.

— თქვენი ძმა ალბათ გურმანი იყო და ამიტომაც უხდით ალბათ ასე პანაშვიდს, — წამოიწყო იმ ქალმა,

— რაო? — შეიმართა ლარისა, რადგან გურმანი სალანძღავი სიტყვა ეგონა,

— თქვენი ძმა ალბათ დახვეწილი გემოვნებისა და ნუგბარებიანი იყო ალბათ, და ალბათ ღმერთს უყვარდა რომ თქვენისთანა მოყვარული დაიკო შეხვედრა შესაფერისად,

„ეგრე, რა“, —სავით დაახლოებით როგორღაც გაიფიქრა კი არა იგრძნო ლარისამ, შერბილდა,

— ხოლო მე მხოლოდ ახლა ვუკვირდები და ვატყობ ამას ხოლო მაშინ და ადრე ვერ ვატყობდი რომ ღმერთს უბრალო სინამდვილეშიც ყვარებია ვანო რადგან გაჭირვებაში ჰყავდა მუდამ რადგან ვანოს ვერ შეძლებოდა რაიმე ცუდი ჩაედინა და ახლაც მე თუმცა შემეძლო სხვა უკეთესი სურსათ-სანოვაგე მომეტანა მის სახელზე და მისთვის რადგან სწორედ გუშინწინ მომცეს სამი თვის

ხელფასი ერთად თუმცა რვათვიდან, „რას ბოდილოობს“,

— მაგრამ მე ახლა სწორედ ვანოსთვის მხოლოდ პურსა და ღვინოს დაეჯერდი რადგანაც ვანოს ასე უფრო შეეფერებოდა,

„ძუნწი“, — გაიფიქრა ლარისა ცერცვაძემ,

— მოდის...

მამა ილია და მამა მიქაელი მანაშვიდს ერთად რომ იხდიდნენ, ლარისას კისიამოვნებდა მათი სიტყვების ბოლომდე თუმცა აშკარად მიუნვდომელი მაგრამ მანუგეშებლად მაღალი შინაარსი, ვთქვათ — „ნმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე-ღმერთო საუკუნითგან გარდაცვალებულთა მონასა ღვთისა ივანეს და მონასა ღვთისა ივანეს“, „ჯერ ალბათ ჩემი თქვა, ძმარინაზე“, — გაიფიქრა ლარისამ, და თუმცა ამგვარ უქციანობასა და მესაკუთრობაში კიდევ რამდენჯერმე იყო, გულზე მაინც კარგად ეფონებოდა მამა ილიას საოცრად რბილი და კარგი და უშუალო და ამამალღებელი კარგსიტყვებიანი ხმა, და სანთლის წვის ცქერაც და საკმევის ფრთხილად შესუსთქვა როგორღაც უცხოვად განატრუნებდა მაგრამ თვალის კუთხით მაინც ატყობდა რომ ვიღაცის გარდაცვალებით რომელიღაცა უცხოვსთან დანყვილებული თავისი ღვიძლი ძმის პანაშვიდის თანდამსწრე ქალი ანთებულ სანთლებს კი არ შესცქეროდა არამედ უნივერსიტეტის ბოლომდე მოუხატველ ეკლესიაში თავდახრილობის ნაცვლად საკმაოდ ხანდახან მისი კედლების ზედაპირულ წიაღს ძლიერ თავგადაწეულიც კი ათვალთვლებდა, „იპოვა რაღა, მუზეუმი“, — გაიფიქრა ლარისამ.

ხოლო ლარისას ქმარი გიორგი და მისი ახალთახალი მოადგილე მათ უკან იდგნენ და სანთლები სწორად ეკავათ;

პანაშვიდი რომ დამთავრდა, ვალმოხდილებით კმაყოფილმა ლარისამ მამა ილიას მართლა გულით მიმართა:

— უღრმესი მადლობა, მამაო ილია,

— გმადლობთ. — თქვა ქალმაც, ხოლო ლარისამ აგრეთვე მართლა გულთ სთხოვა:

— და ძალიან ვთხოვთ, მამაო, ჩვენთან სუფრაზე წამაღობდნეთ. მანამდე უნდა მოისვენებთ,

— როგორ არ იცალიან? — გაუღიმა მამა ილიამ.

— ძალიან გადაუღებელია? — იკითხა გულდამწყვეტილმა ლარისამ.

— კი.

— და, მოგვიანებით მაინც რომ მობრძანდეთ? სულ სამარხო საქმელებია,

— ვერა. დღეს დიდი დღეა, ეკლესიაში უნდა ვიყო.

— და... ეგებ სუფრა მაინც გვიკურთხოთ, მამაო ილია, მანქანით ვართ და ახლავე ამოგიყვანთ.

— ვერა. ათ წუთში წირვა იწყება. აგერ, ნაკურთხი მარილი წაიღეთ... გაგაცილებთ. ახლავე მოვალ...

— და, ამბერკი ცერცვაძე?

აქ კი ლარისა ცერცვაძემ ბუნდონად მაინც იგრძნო და ისედაც იცოდა რომ ეკლესიაში არ შეიძლებოდა ვინც გინდა ყოფილიყო ნებისმიერი ვისიმეს არც დატუქსვა არამცთუ განწყრომა და მით უმეტეს შეყვირება და წინა გამომწვევითობაც რომ გაებათილებინა, თუმცა იმ თანამოგვარე ამბერკის სულაც არ იცნობდა, გამოსყიდვასავე და მაინც მცირე ნიშნისმოგებით უთხრა:

— ბიძაშვილია, ვარე.

იმ ქალს კი ძალიან გაეხარადა:

— აი, ხომ ვიცოდი რომ კიდევ გამოგვიჩნდებოდა ვინმე საერთოც, რა კარგი კაცია, კარგი მეცნიერი, და როდესაც ბატონი ამბერკი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთხელ გა

— აქ არ შეიძლება უცხო თემებზე ლაპარაკი როგორც ასეთი,

— რა დაშავდება, — ჩურჩულით თქვა ქალმა, — ჩვენ ხომ ახლობლობას დავეძებთ,

— არ შეიძლება-მეთქი. — მტკიცედ გაუმეორა ლარისამ და მკაცრად შეხედა, თან გაიფიქრა: „მკაცრი ვარ მაგრამ სამართლიანი“.

— რატომ, რა არის ამაში ცუდი, აქ ლარისამ კივამწარებით შეხედა ყოვლად ურჩს, მაგრამ, მაინც ლამაზი ყოფილა — ოხერი,

კიიყო ყოვლად გაუგონარი მაგრამ, არადა ლამაზი თვალები და ცხვირი ჰქონდა და საერთოდაც, სახით ლამაზი იყო, ოხერი, რატომ ოხერი,

„მაინც რომ კი მაქვს ესთეტიკური გრძნობა?.. და განცდი?“ — გაიფიქრა ერთგვარად კმაყოფილმა ლარისამ და მოკლე სიჩუმეც ესიამოვნა, მაგრამ

— რა კარგი ეკლესიაა, პატარა, კოხტა და მყუდრო, მშვენიერი, უფლის სახლია, გწმენდს,

— საქართველოში ქრისტიანობა მთელი რამდენიმე საუკუნით ადრე შემოვიდა რამდენიმე მთელ რიგ ზოგ განვითარებულ ქვეყანისაზედაც რამდენადმე უფრო ადრე. — აღნიშნა ლარისა ცერცვაძის მშაჩისმიერმაც მეუღლე-მამაკაცმა გოგიმ რომელიც ძირითადად აგურის ერთ-ერთ ქარხანას მესვეურობდა.

— შენ დასჩუმდები თუ არა ბოლოს და ბოლოს? — ძალაუფლებიანად უთხრა ეკლესიაში, აქ, უფრო ძმიანმა, ცოლმა, ლარისამ, თუმც სულ სხვაზე იყო გაბრაზებული და თანაც ქმარზე გაბრაზება საერთო ნესში ალბათ არ ითვლება.

— ბატონო?! — მიუბრუნდა ლარისას ლარისას მეუღლე გოგი; და, — კიბატონო, — მორჩილად დააყოლა მერეკიდე ლარისას გოგიმ, აქის ქარხანა კიარ იყო რომელსაც იგი მეურვეობდა, მაგრამ ლარისა აკი მგლოვიარე და შავებში იყო ხოლო გოგისკი მხოლოდ ლურჯები და თეთრი ეცვა და მითუმეტეს კარგებსაც კივერ შეუგინებდა მწარის სიტყვებით მეუღლეს თავისი ცოლის ძმის ხათრით და ამიტომაც უყვავებდა მსგავს შემ-

თხვევებში და ამით ბოლოს გადაიქცა ცხოვრების მოცემულ ამ მოშავო ფონს; თან, იძახდნენ რომ გულის სხვა სწორიც ჰყავდა თურმე ოლინდაც ჩუმათე და ის დაგულეებული გარესაულოლო თურში დიდი ამდენი არაფერი მხარად ცოტათი არა-სმად-რა იყო მითუმეტესი ვერჩე-ვებული აკრძალულით სხარ სმი-ვობაში, ხოლო გონებითურა ოღონ-ღურელად ქარგაგარე მოსტკბული ოჯახის დაშლა-დანგრევა არ აწყობდა რადგან სურო არაფერი ლარისა ბავშვებიანა იქ იყო ჩანერილი შავით თეთრზე (ფერებში აქაც დამთხვევა იყო ასეთი თანაც გიორგი ძირითადად მხიარული იყო და იგივეგოგია ხშირადაც მასხრობდა ოღონდ სერი-ოზულ პირებთან) და ეს გარემოებაო როგორც იტყვიან არამცთუ ანონა-სწორებდა (აგრეთვე იტყვიან) არა-მედ დამყვავებულრადაცკი (რას აღარ იტყვიან, მოერჩეთ ამაზე) ალა-პარაკებდა ხოლო ალლოიანმა ახლო და ზურგსმოადგილემ კი იაზრა და მხოლოდ გოგისლა წასაჩურჩულა,

— ნამდვილად, ბატონო გიორგი, დავითისა და ნანას დროს შემოვიდა ხომ, თამარის დროსაც, ქრისტიანობა, ნამდვილად,

და ალალ გოგიას ესიამოვნა ბატონობითი კვერის დაკვრა.

(თუმც ეს კვერის დაკვრა კიარა, არამედ უფროკი იყო კვერითი მი-ძღვნი.)

თანაც, იმ აგურის ქარხანას, რომელსაც გიორგი მეთაურობდა და საერთოდაც ზოგად აგურების დაუნვევ ქარხნებსაც 90-იანი წლების არამდგრად საქართველოში მუშტარი თუმც ძლიერ შეთხელებულად ჰყავდა, მაგრამ მოცემულ თავკაცს მაინც შეეძლო კაცურკაცობა თუნდაც მოცემულ დღეს კარგად გაშლილი სუფრით, რადგან შეთხელებული აგურების (?) გარდაც რაღაცა გარკვეულად მისკენმოძრავ ნილშიც იყო ტკბილ მყარდათხევად (?) სითხეთი ორგან,

— რა კარგი წმიდა წინოა, არა? — კვლავ დაეკითხა დამოუკიდებელ ლარისას ქალი და მიუთითა, — დააკვირდით, რაა? გთხოვთ, როგორ ძალიან კარგი წმიდა წინოა, არა? ხომ?

— ხომ, — აქკი ძალაუნებურად დაეთანხმა ლარისა ცერცვაძე, გარდა იმ თავშეკავებისაც ხომ აკი კარგად იცოდა ცოტაოდენი ის რომ ეკლესიაში განსაკუთრებით მწვეიც სიტყვა-პასუხით მდგომარეობა არ უნდა გაემწევაებინა და ამიტომ თავშეკავებულად და ჭკუისასწავლებლადაც, თქვა: — წმინდანი ყველა კარგია.

— წამდილად. — თქვა გოგინ. ისხომ მეუღლე იყო მისი.

— წამდილად, ბატონო გოგი, — თქვა მოადგილემაც, ის აკი მოადგილე იყო მისი, — კარგები რომ არ იყვნენ, ვინ დაანინაურებდა,

მაგრამ ყველაფერსა აქეს მოთმინების ზღვარი და ხოლო თავისუფალმა ლარისამ დაამატა:

— მამა ილიამ თუ მიკითხოს მე, უთხარით რომ მე გარეთ ვუცდი.

ეგონა რომ თუ, ვასცილდებოდა, მაგრამ

— მეც გარეთ მოვუცდი, უჩემოდაც გვიპოვნის, ხომ ძალიან კარგი მღვდელია? როგორი ამაღლებული. ამამაღლებელი... გარეთ კი უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, არაფერს დავარღვევთ და იმიტომ.

„ვაი?“

ხოლო როგორც კი გამოვიდნენ, ქალმა იდაყვთან მიუტანა ხელი ოღონდ არ შეუვლია, უთხრა:

— სულ დამავინყდა თავზიანობა, სახელიც კი არ მიკითხავს თქვენი,

მაგრამ უღუმდნენ.

— ჩვენ ხომ ჩვენი ძმებით და მათი წყალობით დავახლოვდით და თანაც თვით ეკლესიაში,

„კი, კი, იმიტომაც არ ითვალისწინებოდი განზე“,

— და როგორ შეიძლება რომ სახელიც კი არ ვიცოდე თქვენი... რა გქვიათ?

მაინც ეკლესიასთან ახლოს იყვნენ და რაიმეღამე რაინთამარას ნაცვლად, ლარისამ სწორი თქვა:

— ლარისა. — თქვა ლარისამ.

— კარგი სახელია... ეგეც.

კარგი კი არა... შეიჭმოხნა ლარისა. რადგან, როდესაც ლარისა ფულიანგოზის გააჭედა, ხალხში რომელიმე სიკვდილს ხანდახან რაღაც აღარ იტყვის და მოცემული სახელის ნდობით ლარისას დიღობა შეარქვეს ზურგსუკან ხოლო როდესაც დოლარი კიდარჩა ოღონდ კუპონიცა და თვითმანეთიც გადაეგარდა და ფულის ახალი სახეობა — ლარი შემოვიდა ახლა უკვე ზურგსუკანთა დოლარისა-ს ნაცვლად პირშიაც თავისუფლად უწოდებდნენ ლარისას მხოლოდ ლარი-სას, ხოლო სხვადასხვაგვარ და ბევრქართველნაცნობ-ზოგი თენამიგანნილმა ლარისამ იცოდა მათი მზაკერული ღიმილის წყარო. მაგრამაც — სდუმდა. და მეტიც — უღიმილეობად თუ კიდევ, მათ.

ეს — ძმამდე.

ეს ქალი კიდევ — კარგი სახელიაო, სულელი... აბა რომელი კარგი სახელი ლარი-სა იყო, ემ. არამედ გადატანით.

მაგრამ ხომ ვერ გადაიკეთებდა. ვილაც ტუტუცე-ბის-და გამო?!

ისე კი, ყოფილიყო რა, გოგია უფრო შეხედული; არა, მთლად მახინჯიც არა მაგრამ მაინც ვერაღედა-მგშობაო, იყო, და განსაკუთრებით ამიტომაც დაიტვირთა სახელი ლარისა თავდაპირველად მწინავე მუსიკის გარდაც დო-თი, ბრიყვები! — ეგებ გოგიას გინდაც ადამიანობის გამო აიღო და გაჰყვა?

ასე იყო თუ ისე, ლარისა ჯეროვნად იტანდა სუყველაფერში ქმარს და ყველაფერიმისას, ხოლო ხანდახან, აქეთაც მატერიალურ-კარგსა-ჩუქრისას „გოგა“საც უწოდებდა.

მამა ილია გამოვიდა და ლარისამ ნაუცბათევეზე კიდევ ერთხელ გაიფიქრა მისი გულით მიწვევა მაგრამ გადაიფიქრა,

ხომ ეთქვა, არ მცალიაო.

ნელა მიდიოდნენ უნივერსიტეტის ბაღში, ახალგაზრდა მღვდელს, მამა ილიას სათნო სახეზე ფოთლების ჩრდილი გადასდიოდა, ალბათ ამა-თაც, იყო მცირედი სიოც, და კიდევ რალაც პაერში ის, რომ შემოდგომოვ-დებოდა, ჯგუფად მიდიოდნენ,

— მამაო ილია, როგორი მადლო-ბელი ვარ თქვენი, — უთხრა ქალმა, და —

„ახლა ამას შეუჩნდება, ოხერი“,

— თქვენი ის სიტყვები, თავიდა-ნვე რომ მითხარით, ძალიან ჩამრჩა გულში, პირდაპირ ჩამებეჭდა,

— რომელი სიტყვები, ნეტა ასე იყოს, არ განვიმდებოდეს, ეზოში და-ვჯდებით, ეზოში ჯობიან პურმარი-ლი, სადიყო გუშინ, ვალიყო...

— შენთვის იფიქრე ჩუმად, გიო-რგი, — მიუგო ლარისამ ცერცვაძის ქალმა,

— მართლაც როგორი სწორია, მამაო, რომ თუკი იმქვეყნისა გენამს, და ამიტომ მართლა ვიცით რომ ჩვე-ნი ძალიან ახლობელი ძალიან ზედ-მეტად ცოდვილი არ იყო და ამიტომ ახლა უკეთეს ქვეყანაშია, თქვენ რო-გორც მითხარით ისინი მართლა იდა-რდებენ რადგან მიუხედავად იმისა რომ ბევრად უკეთესად არიან ჩვე-ნზე მართლა და ჩვენ კი იმით გამო-უბედურები და ძალიან დამსუხრე-ბულები ვართ და თქვენი არ იყოს ალბათ სინამდვილეშიც მართლა რო-გორ განიცდიან ამას რადგან თავია-ნთი გარდაცვალებით თუმც უნებურ და მაგრამ მაინც დამნაშავეებად თე-ლიან თავს ჩვენდამი და ალბათ რო-გორ ნუხან, მე კი სწორედ ვანო-სთვის ვცდილობ რაც შეიძლება მხნედ ვიყო და ურთიერთობებიანი ანდა თუნდაც გამოვიყურებოდე ასე რადგან ჩემს გამო იქ არ შენუხდეს, და მგონი ვალწევ ხანდახან ამას,

მღვდელი შეჩერდა, შედგნენ სხ-ვებიც, მამა ილია როგორი კარგი ღი-მილით შესცქეროდა გახარებულ ქალს, სათნოდ უღვიოდა სახე, თა-

ვზე დაადო კეთილი ხელი გახარე-ბულს, შევბით გაიტრუნა, ის, ისე დაიძრნენ,

„რაზე შევჩერდი? — გაიფიქრა ლარისა ცერცვაძის — ვთქვამოკო უნდა თორმეტზე მოვიდეს, რომე-ლი საათია ახლა, გიორგი? სწორედ? — კი, არც ისე სწვექ როგორც პეტეს, — მიუგო გიორგიმ. ექვთ-ისიცი სხვასა აფიქრობდა?

— რა შუაშია... სად შეფრინდი და შევექეი ეს,

რალა თქმა უნდა ხმადაბლითუ-რად დაილოგობდნენ,

— არსადაც, არა შეჯდა ჩიტი ხე-საო, კი... — გამოასწორა გოგიემ, ვი-თომ, მაგრამ რაზედაც, ნაჭურულ-ვითი „შტერი“, — კიდევაც დაიმსა-ხურა, და კვლავ, სა„ბის“ო

— რომელი საათია-მეთქი,

— აა... ათია ლამის, თერთმეტი დაიწყო.

„რა?!“ — მაგრამ,

— ნამდვილათ, ლარისა მამა ილიას თავაზიანი სიტყვიერებით გამოემშვიდობა, ქა-ლმა კი რალაც უცნაურ სავარჯიშო-სავით შეასრულა — მარჯვენა პეშვი დაიღო მარცხენაზე, მოიხარა, მამა ილიამ კი ჯვარი რომ გადასახა კეფა-ზე, ქალმა ახლა ოდნავ დაშორიშო-რებული პეშვებით მღვდლის ხელის მტევანი ფრთხილად აიღო, მადლო-ბით ემთხვია, შუბლიც დაადო წამით და რომ გაიმართა, ახალგაზრდა მამა ილიამ ძლიერ კეთილად გაუღიმა, ორივე მხარზე აკოცა, ეკლესიისკენ გაბრუნდა,

ხოლო გოგიას თავაზიანი (ნეტა უანგაროდ?) დამქაში უკვე თავისი სიჩქარეებიანი მანქანის მოსაყვანად გაეშურა — „ახლავე მოვიყვანსტაია-ნკიდან“ო — აბა სახლიდან ეკლესია-მდე და პირიქით აბა ჭირისუფლებს ამათი მანქანით ხომ არ წამოაყვანი-ნებდა თანაც ახალთახალ თავს და თანაც ცალკედ იმიტომ გაეშურა რომ ზრდილობისათვის ჭირისუფლები მარტოდ დასტოვა; თან სხვაც და გა-

რეშე არაჭირის (სუფრის) არაუფლებიანთან, მაგრამ ლარისასათვის ეს — დიდი შელავათი?!

ხოლო სუფრასთან მხოლოდ ახლობლები, და დასაახლობლები იქნებოდნენ.

იდგნენ.

— დღეს კარგი კონცერტია, დახრება ყველასათვის კარგი იქნება,

„ამ ქალს სულ კარგი როგორ უნდა ეკეროს პირზე“, — გაიფიქრა ლარისა ცერცვაძემ, თან მოუყრუა.

— ქალბატონო ლარისა, დღეს ძალიან კარგი კონცერტია.

— და მერე მე რა?

— ნამობრძანდით თქვენც და, კარგი იქნება,

— რა მეკონცერტება! — მერამდენედ გადადო ესა და აქი კიუკვე გააბრაზდაა, ლარისა, — იმდენი სტუმარი მეყოლება და ზოგიც კიდევ უკვეც მიცდის და მელოდება!

— მართლა? ძალიან სამწუხაროა... და, როცა ნავლენ ეგებ მაშინ მაინც შესძლოთ წამოსვლა, თუნდაც მეორე განყოფილებაზე, დამოუკიდებელი წაწარმოებები სრულდება, არ იხანებთ, სიმფონიურია,

— რაო? რა! „რა მესიმფონია, ეე, ურება, და ეს რომ სულ არაფერი ეს მაინც როგორ!“, ეს მე ჩემი ძმის აღსანიშნავ ჩემით სუფრაზე საკუთარ საკუთარ (ორჯერ, კი) სახლში ავდგავ და წამოვიდე!?

— არა, მოგვიანებით, ეგებ მოახერხოთ... მე მხოლოდ შემოგთავაზეთ... უკვე საღამოთი რას შეამჩნევენ, მანამდეც ალბათ, უკეთ რას ეძახიან, ჰო, ნასვამი იქნება უკვე ყველა...

— და!.. და დაუმშვიდობებლად ნავლენ არა!?, სიტყვის უთქმელად?

— აბა რა ვიცი... თამადაზება.

— როგორ...

— და ღვინოზე... — და კვლავაც გამხნედა, — გინდ მოგვიანებით და მაინც წამობრძანდით, რაა.

ლარისამ აქ კარგადაკრულ ღვინოსავით რაიმე მჭახეს თქმა დააპირა, მაგრამ როგორღაც წრფელად

მავედრებელი თვალები თანაც ლამაზი დიდად უჩნდა იმ, ქალს, თან კარგდაცოტაც მიმზიდველად მეტყველი, თანაც კარგფრები, თვლები, ჰქონდა, შესარბილებლად, სხვის,

— და, სუფრის ალაგება? მერეცა, გინდაც სუყველად ბოლო წავიდეს მერედა სუფროს ალაგებაში შენ მომესწარები?

— რატომაც არა! — ვაუხარდა ქალს, — მზა, ისე ხომ არ დაგტოვებთ? და სტუმრებს ხომ არ აალაგებინებთ რაცგინდა ახლობლები იყვნენ, ეგ რაღა გამოვა... კონცერტის შემდეგ, წამოგყვებით, მანამდეკი იქ შევხვდეთ, შეიდ საათზე,

„აჰ, წამდელიად გიყვია თუ რა, სულელი“... — გაიფიქრა ლარისამ და „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს“ო გაიფიქრა ოღონდ ის ქალისათვის და არა თავისთვის რადგან მეუღლიანა მანქანას უცდიდა:

— აღარ შეგაყოვნებთ რახან მხიარულ კონცერტებზე ხართ წასასვლელი, — ნიშნისმოგებით, იმარჯვებდა, — და ამიტომაც არ გეპატიჟებით თორემ აუცილებლად დაგპატიჟებდით როგორც იმდენად ახლობელს რომ სუფრის ალაგებაშიც თვლით რომ საჭირო ხართ, და სუფრას არც აგალაგებინებდით ისე დაგვიმშვენებდით გვერდს,

— არა, მე წვეულებებში არ დავდივარ...

„ვაჰ!“,

— და, მაშინ, მაინც ხომ გჭირდებათ საკონცერტოდ მომზადება, ხომ უნდა გამოეწყოთ,

— არა. რა გამონყობა მე მინდა, ესაა და ეს, — თქვა ქალმა, წყნარად დაიხედა.

— მაშინ... დიდად დაქალურ ბოდიშს კი გიხდით მიტოვებისათვის, მაგრამ ოციოდ წუთში და მერეც მთელ დღე სუფრაზე უნდა ვიყოთ.

— თუ, სუფრასთან? — ღიმილით იკითხა ქალმა.

ლარისა ცერცვაძემ ჯერ ვერაფერი კი ვერ გაიგო, მაგრამ,

„და ქართულებსაც რომ იცავს ვითომ, ოხერი“, — გაიფიქრა ლარისამ და ნიშნისმოგებით ერთხანს თითქოს შერბილებულმა, ახლა ამ ქალის ჭკუის ძლიერ მკაცრადსწავლება გადასწყვიტა, ჯერ კი, ახმოვანებამდე, თავიდან მხოლოდ უთქმელად ალაგებდა შთამბეჭდავ სიტყვებს, ხოლო თავიდან ასე გაიფიქრა, და თავს პირობას ასე აძლევდა: „მე ლარისა არ ვიყო“...

მაგრამ იმის გულში იჯდა იყო თურა, თუმც აბა მეუღლეობ მხანდახან აბა რილასი მეუღლეა, არ დაასწრო და არ გაანყვეტინა მთელი გეგმები, მაინცდამაინც მეტად თავისამ:

— მე გიორგი არ ვიყო თუ, სადაა ამდენხანს,

მაგრამ იმასაც გაანყვეტინეს, რადგან ძლიერად შემოისმა:

— ვააჰ, ჟორჟიკაა!, რავა ხარ ჟორა, ბიზე, შე ძველი, ჟორჟიკი!

იმ ფართო ქუჩის მეორე მხრიდან უყვიროდა, სულ სხვა უკეთეს მანქანაში უკვე ცალფეხშედგმული მოზრდილი კაცი,

აქ, ორში ერთი: ან ალბათ ბავშვობის ამხანაგი თუ იქნებოდა, შეთამამებაგამოყოლილი, ანდაც — თანამდებობით უფროსი და დასამოკიდებელი, და ალბათ თურმე ეს მეორე და უკანასკნელი, რადგანაც ჯერ აღმოფოთებულმა გოგამ ჯერრო მთლადაც მრისხანე თვალებით მოძებნა თუ არა მართლაც მისაკენ გამომყვირალი, მაშინვე სახე გაიბადრა, თავი ცქვიტური ხალისიანობით დაუკრა, აუნიაც კი ორთავე ხელი, ხოლო მერე ალბათ „რავახარჟორჟიკა“ზე საპატიო პასუხისათვის ჯერ მორიდებულ ზრდილობითა ნაზად მიათითა და მერე ამოტრიალებული პეშვი საცერვივით იქნია, რაც რომ ალბათ ნიშნავდა: „და თქვენ, თქვენ?“

ის მანქანაში უპასუხოდ, თუმც სიცილიანად, ჩაჯდა-ნავიდა, ხოლო უფროსისაგან თუმც გაღმასალმობით მაინც ნირნამხდარი გოგიე კი ადგილზე დარჩა და თანაც ალესილ ცოლთან, და...

— ყველამ შენ უნდა გამასხაროს? — იკითხა სწორედ იმან. — არ დააყოვნა.

— ყველამ არააა...

— გინდაც... და მაინც უნდა გამასხაროს?

— რა გამასხარალებაა? მე ცხვირას ვეძახი.

— ეს (სხვებთან, ბრა?... ყველანი მაგრები ხოთ, ზურგსუკან — ვახსენებოდა: „დოლარისა“, აღერლილიყო, — ჟორჟიკაო, ჰმ... და უარესიც, მაინც ვინაა,

— გაერთიანებების გენერალურია, ჩვენი... — უაღმაფრენოდ თქვა მჭლერი სიტყვები გიორგამ, გოგამ, გოგამ;

— და ამიტომაც ასე უნდა დაგიძახოს? და თანაც ცოლთან?

აქი გიორგას სისულელე მოუვიდა:

— რა იცის იმან ცოლი ხარ თუ რა...

მაგრამ კიდევ კარგი ლარისა წამოყრანტალეზულს ვერ მიხვდა, არამედ ისევ ვითომც მხოლოდ ქმრის გამო ეწოდა გული:

— რაც შენზე მეტი კაცია ცხოვრებაში ყველამ რო ვგრე დაგიძახოს სად ნავა საქმე...

— რა ჩემი ბრალია... იძახოს-რა... სამაგიეროთ კრებებზე მაფასეფს. თქვენობით მელაპარაკება. კი. გაეხარდა კაცს, დიდი ამბავი, რა მოხდა...

ლარისამ თავისი მზერა გადმოუტვირთა კი, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკა:

— ამდენს არ უნდა აბედვინებდე, ვინც გინდა იყოს.

გოგია პატარა ხანს ჩუმად იყო; მერეკილა, თქვა:

— აბა მე რა ვუყო, ფიგურაა.

— სადაა ამდენ ხანს... — მოუთმენელია, ქალიც.

— მართლა ხო იცი... სადაა ამდენხანს, შეჩემანალა...

— რაო? რააო!? ვის უბედავ შენ, და თან ამ დღეს!

სხვადასხვაგვარად მიჩერებო-

დნენ ერთმანეთს, ხოლო გიორგა — გაკვირვებული. მერე კი,

— აა, სად დაიკარგა იჩემანალა, ის — ჩემანალა, მეთქი, — გამოსწორებით აუხსნა, მერე.

აგრე არ სჯობდა?

მაგრამ ადგილზე, იდგნენ.

და დუმდნენ.

— ის ქალი რაღა იქნა? ვაჰ...

შენიშნა მერე გოგომ.

— ჩემი მანქანით უნდა ნამოვსუ-ლიყავით. სულ სხვა საქმეა, თითონ როო ზიხარ რულზე.

— რულზე კი არა, რულთან. — თქვა ლარისა ცერცვაძემ; რაღაც ჩარჩენოდა.

2.

სუფრამ და ნამზადისმაც საერთო ჯამში კარგად კი ჩაიარა მაგრამ ლარისას მაინც გულს რაღაც აკლდა.

და ასევე მერეც, რამოდენიმე დღის შემდგომ.

3.

სანამ მთვარეზე ადამიანი ფეხს დაადგამდა, მანამდე არაიგივე მთვარე ადამიანებისაგან განსაკუთრებით უნუგეშოდ შეყვარებულებისა და სევდიანად ეულადმყოფთათვის მთვარე უნებური ნებისით ლამედაძილ გატეხილებისათვის რამდენადმე მეტი რამ იყო ვიდრე ახლა და ვიდრე თვით ასტრონომებისათვისაც კი, ალბათ.

რაღაცა თითქოს გაუბრალოვდა, ადამიანით, მიუნდომელი; მასმერე.

ხოლო ადამიანებითვეიგივ, ადრე უფრო და მეტად მნიშვნელოვანი, იყო.

მერე და ახლა კი ასტრონომებს უფრო შემორჩათ ამ ბევრად დროშემოკლებულ რადგან განვითარებულ და დატვირთულ საუკუნეში-ჩვენს, ამ; ქალაქებში ხომ თითქმის მთლა მიიკარგა ვიცით როგორსაც შენობებში

ჩვენს, მაგრამ ხომარსებობენ გამონაკლისები და ლარისა ცერცვაძე საგანგებოდ მთვარის შუქში იჯდა ახლა და, ერთადერთი ძმის მოკლე სახელოებიან მაისურს, ძველი მთვარეთი მოყვითანოდ აბზინებულ ღურავს, ხუთი მღიტი უფროსი და, დასტიროდა.

ხოლო გოგია უკვე ლოგინში შეწოლილიყო და გაზეთებს გოგით მთვარეებზედა ხოლო ალბა გორგასავით — შკინთხულობდა.

... ლარისა არ იყო ბუნებით თავიდან ცუდი ქალი, მაგრამ ჯერ კიდევ სტალინ-კავანოვიჩ-ბერია-უდანოვის სუსხდროს დაიბადა, ხრუშჩოვის წინდაუკანა თანაც განდაგანა ჯაგჯაგობრივი კუნტრუმისას შედგა საშუალო სკოლაში ფეხი რომელი სკოლაც სუსლოვ-ბრეჟნევის კიდევაც რომ უფროდაც ყველაზე ალბათ მეტად ვაიდ-ეპოქაში დაამთავრა და უმაღლესშიც, მარქსიზმებიან ქიმიურზე ამკარაულ და კალენდრითაც მათ დროს შევიდა, და მათივდროს დაამთავრა ის — რა, ის რა? — მოძველებული ლაბორატორიები მონდომებულესაც კი არყოფნიდათ განსამტკიცებელი თეორიული ცოდნისათვის და არაფერი სათვალსაჩინქიმო არამედ დიამატივით (საგანი იყო) რაღაცები ანვით ზედმეტი, და თუმც გამოცდების შემდეგ თავისტვინიდან ძირითადობით ეგრევე სწრაფად კიორთქლდებოდა ეს ნაყარნუყარი მაგრამ, რაღაცა მაინც რჩებოდა ტვინის ნედლ ფსკერზე, თხლედ, თუმც, თხლე-ეძახე და, დასტივტივებდათც; რაღა თქმა უნდა ეს მარტო ლარისა ცერცვაძეს კიარა, სხვებსაც, თითქმის ყველას, უმრავლესობად ბევრს, აკი უკვალოდ არაფერი ჩაივლისო, უთქვამთ, ახლაცკი, თან თვით მოყვარულა-ათვისტურად დაკვირვებულესაც, კი, და ხოლო აგრეთვე გაუფრთხილებლობით ამ გამონაკლის-შემთხვევაში ეგებ არცთუ მთლად უსამართლოდ, რა იცოდნენ თუ, რასა და ვისას იმეორებდნენ, ათვისტურებ თავებზეხელე-

ბაღებულები; თან, თხლედტივიცა ის, სიგელ-დროშათი და გუჯარ-მენ-დლებითაც გაჯერებული, ჩამომძიმებულიყო, ხოლო ნაკლულტირაჟა ზეორდენებით? — ეს მუნ, — მიწყვისსა დასაქცევარულ მალღებულობაში ვითომ და, ამაღლებულობასავითსავით, რასმს, ში, ხოლო ოქროშლატინაცშენარევიანი სიმძიმეები რაცმეტი იყო და მეტიძიმე უმფრო არჯობდა?

— გამონაკლისებს, ნყალობად ეს, ხოლო სუ-მეტას, თუნდგინცხანდისხანსაპასუხით ერთ ენასაც კივერ ატრატრიალეზება და ვითომც მხოლოდ ზარდახშისათვის კიდომეტად პლატინეულებს შესტით ითხოვდა, ხოლო ლარისასი ცხოვრებისა თუმც უფერული მაგრამ ერთგვარი მაინც მოღვენობა ხომ მაინც ეთქმოდა იმის ყოფას, და ჟამს, და თუმც უძრობა შეარქვეს მერე იმავეპოქას ლექსიკადნყვილმაც, არამედ გაშეშობანა კიარადა არამედ უფრო უფსკრულიისაკენ ჩაზვავება და შიგჩაჩეხვა უფრო იყო მაგრამ ლარისა გვარად ცერცვაძე — კარგ დროს კი გიხსნით რომ ერთგვარიც არის — მთლად შიგ და კაკალ უფსკრულში არა მაგრამ, ხევზუებისა ფსკერზე კიიყო და საკმაოდ ვერ ამოდიოდა, თან.

მერე იყო და, მოუკვდა ძმა და, ლარისას, მოყვარულს, გასაგებია რომ ძმა კი არ მოუკვდა, არამედ ძალიან მოუნდა, რომ უფრო მხოლოდ გარდაცვლილიყო, „გარდაცვალება“, რამდენად უკეთესია სიტყვაც, „მოკვდა“-ზე, ლარისა ბევრსაც ფიქრობდა ამას, მაგრამ ისე-უბრალოდ და ასესწრაფად კი არ მოდიოდა გამოსავალი, ეს ცოტაშეგება, ხოლო ამ ფიქრსკი იმით ჩაეჭიდა რომ სხვა თუ არაფერი ჯერ ერთი მიხვდა რომ სულ რომ არაფერი იმიტომ არ უნდა ებრძოლო ენაკბილებით რელიგიას რადგან გაცილებით სჯობდა რომ, ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც კი ყოფილიყო იქითცხოვრება ვიდრე სულ აღარ ყოფილიყო მიუშეშტეს რომ მისი ვანიყო კარგი

ძმანინააშკარადაც იყო და ძლიერ-ბრალო არითმეტიკა იყო, ეს.

იყო თუ არა იქით ცხოვრება ეს დანამდვილებით ჯერ ვერ იცოდა მაგრამ მცოდნესავით ვერამდენედ უმეორებდა თავს რომ განა რამდენად არა სჯობდა ეს მხოლოდ იმას რომ რაცა მოკვდები სინამდვილეში ნიღბებშინი მარქსეშსდამხელავით თურმე კი არა არამედ მართლა რაღაც ჭიბი დატანენ ძნელოდ და აბოლოლოდ, და — ხოორედ ამით მორჩაგათავდი, და აბიტომაც გამოდიოდა ისე რომ, აქავმინაზე უნდა მოგესწრო ყველაფერი რაც პირისა და პირისღრუსათვის და ტყავისათვის ეშხიანურად სასიამოვნოდ მოსასწრებია და მაგრამ ბოლოს ადამიანი, რომელსაც სულღგმულთა მწვერვალს უწოდებდნენ ყოველთვისაც და ახლაც კი, ჩვენშიდადღეს, და ნუთუ ასეთიც არსებარამ — მხოლოდდა ჭიალუებისთვის ცოცხლობდა და მოღვენეობდა ავად თუ კარგად როგორც ასეთი და რაღაც ვერ გამოიყურებოდა მიშზიდველად ეს ასე. ა?

ლარისა ფიქრობდა.
მაგრამ ეგებკი იმიტომაც ათვისტობდნენ და თანაც ძლიერ, რომ არ უნდოდათ კირომ გამომყდავენბულიყო სულ სხვაგან და არააქაც-საც და თვითუნითაც აეტოდ (თვითონ; თავისით) აეტონაქნარით, და რაში არგოდათ რომ „რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“, რადგან თავიანთტკუით კარგ ცხოვრებისათვის? — ერთპიროვნულად და თანავეტორულადაც ჩუმუმელურად იპარავდნენ ან თვალშიმთქმელურადაც მძარცველობდნენ ეგრევე პირდაპირ და არ იყო აუცილებელი რომ მარტო ხელით ეს, ენადაგონი რა, ტყვილა აქეს, ადამიანს ჩვენ?, ამას კი — იმ-ასთან, იმა წყულთან ერთად, შენიღბულად თუ შეუნიღბავად სჩადიოდნენ ირგვლივ, ბევრები, როგორცნესი და, ლარისა ცერცვაძე თავისი ძმისსულის ეგება მართლა იქ კარგაყოფნას, ეჭიდებოდა

საქართველოს
ბიბლიოთეკა
ბნალნიოთბბა

— რადგან ვანიკო არაფერცუდით განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა და საერთოდაც ისეთი ნეტა რა უნდა ჩაედინა გეოგრაფკაცს, ერთი ის იყო ლარისას ქმარი ანუ ძმანინას სიძე გიორგი ცოტათი ცმტკიცე აგურებით ანაშენი მხრით მხარშივე ედგა შექმნილ ბიზნესს ჩვენებურ მეცნიერს ვიტამინებით იქნებოდა ეს თუ სხვა რამითაც თუმცა ვანიკო არასოდეს არაფერს იზხოვდა და ერთი ის იყო ზრდილობიანად „მადლობთ“ობდა, და რადგან ლარისას ძმანინა ვანიკო, ვანო, ივანემისი ცუდი არ იყო — იქითცხოვრებას, ჩაებლაუჭა დაი-იმისი და, ისიც თუმც ხსნად, და მანც ჯერ მანც გაჭირვებისა გამო ეს მაგრამაც მტკიცედ და ღონივრად და თან ძნელადაც, რადგან იჭყებით, თან;

და გინდაც შეფერხებულიყო ამაში და დროებითი ჩავარდნა ჰქონოდა, მანც ძალათი და გულდასმით შეუდგებოდა და წარმოიდგენდა მანც ძალისძალ გულზე მოშვეებად მოფონებას, და შევებას, ამას, რომ დაეუშვათ და კიარადა ნამდვილად არის ეს, ის, და თუმცა რადგან თავიდან ეს მისი რწმენა კი არა, საშველი იყო, თუმც, იგივეებიცაა რწმენა და საშველი და, ამიტომ, უფრო „სასაშველო“, აჰ — იგივეა, ესეც, მოკლედ, შესამსუბუქებლად დარდისა, იყო, და ზოგიერთულა რამსაც, შეეუღლად ყურმოკრულსაც გულმოდგინედ იმეორებდა რომ ადამიანი რადგან ბუნების გვირგვინია და სწორედაც რომ სულით, და განსხვავებით კოლექტიურად მოსულიერო ცხოველებისაგან მერედა რითი ეს თუარ თვით სულით, რადგან ზოგიერთს კი იმათთაგანს განსაკუთრებით შეუძლია მღერა ან ხატვა, ცეკვა, თამაში, მეტყველება, ძერწვა, წერა და რაოდენირამ, საანგარიშგასანევო რადგანაც კარგად გვაფორიაქებს, და მხოლოდ გონების წყალობა მთლადნამდვილადაც არ უნდა იყოს, ეს, რადგანაც ზოგ უცნობილეს ფილოსოფოსს განვრცილი გონით რაგინდაც ბევრი მოენადინა სულ ვერ

მღეროდა; მოპენბაუენი, ეთქვათ; ხოლო რომელიმე თოხიანი მეხუზლა კი, — მშვენივრად მღერდა,

კი,

ბავშვებს ეძინათ, მშვიდად, ხოლო როდესაც ბავშვებს უძინათ ღარიისამ უფრო იცოდა და უკეთ შეესდ, განიკოზე ფიქრი; ხოლო მთვარის შუქითაც ხელმწიქნილი ფიქრი და გინდაც რთული, შედარებითად უფრო დებოდა, რადგან — სასიამოვნდებოდაც, სირთულეების მიუხედავად. იმდემომცემი რამე იყო, ერთი გაზეთების შრიალილა ისმოდა და ისიც ხანდახან მხოლოდ, ეს არაფერი, და ლარისა ცერცვაძე სარგებლობდა და ინმტკიცებდა აზრს, რომ, როგორც ცოტათი გვიან დარწმუნდა, რომ, გინდაც — უძნელდებოდა ამის დაშვება, — რომ, გინდაც, — პატიებოდა, დე, — რომ გინდაც სულაც არ ყოფილიყო ქვეყნად — თუმც ქვეყნად კი არა, ქვეყანამდეც, — ამოიკითხა, შეძენილ ნიგში, ეს — ღმერთი, ადამიანებს ჭკუვა თუ ჰქონდათ მობლაუჭებოდნენ უნდა მისარსებობას, მანც, რადგან, — ჭიალუების ამარადლა ყოფნას, ნუთუ ბევრადაც არ სჯობდა ეს და თავაც გაცილებით?.. აბა ის იყო განა აქყოფნის საქმე რომ პატიოსნებაზე თავს რომ სდებდნენ და მოჩვენებითი ზედაპირულა კარგყოფნისა-თი, ფეხშეუნყობელთათვისაც კი აუფასურებდნენ ჩვენში და ამჩვენდროში დაჭმუჭვნილ სიტყვას — „პატიოსნება“, და ეგებ: ახლანდებურად, პატიო — შიდაეზო (ესპ.), სნება — სნეულება (ქართ.), და მეტად აუფასურებდნენ ზოგ პირითანთქვამს, თუნდ ასეთებსაც კი, რაღას არ იტყვის ადამიანის ენა, — „რა პატიოსანი ადამიანია, გინდაც გაჭედნილ ტროლეიბუსში გინდაც რომ მოკლა სხვის ჯიბეში არ ჩაძვრება“, ან — „ვინმეს რომ დაუნახოს ფული ამოუვარდა და გინდაც საკმოდ ბევრი და ტყვიანა მანც ერთ-ორჯერ მიუთითებს“, „კაციც არ მოუკლავს არამცთუ ქათამი არასოდეს“, მა-

გრამ წინამძღვლურ ფუჭი მართლებებით იმდენად საწინო იყო სიყალბე მათი, არა, ლარისა?, — სიყალბემათი განუყრელი; თან შესასურად ბარქალური ლუსტრა ყივანახველახეც მეტადაც იყო, გადამდები, და არც ის იყო შესაბამისი,

რომ ღმერთი თუ რაღაც მონამდვილო პატიოსნება და უფროც მთავარი — შორს აქაურობას და ყოვლად არასასურველი ოქმის შედგენებრიხომ არსებობდა და სუმთავარი უისლა ვახდა რომ გამომძიებელს ან პროკურორს თუ მკაცრრევიზორს თუმცა ყველანი ღიმილიანაც მკაცრები იყვნენ ან მილიცანერს ანდაც ჩამორჩენილ რეგენიმონმესაც — შემთხვევით ვისმე ფულ-არმნდომელსაც — ყველა სულელმა და შტერმა და უგემოვნომ როდი იცოდა ოჯახოურად ლუსტრისებურთა ოჯახის ყადრი და მაკლერულიც, ფასი, გამომძიებლები კი დიადაც რომ გემოვნებიანები იყვნენ ამაში ანუ ფასიანურებ გამომძიება-დადგენებში და ძაან უნდა მორიდებოდი და ამიტომაც მთავარი ისგახდა რომე სწორედაც ამათ — გამომძიებელს, პროკურორსა თუ გამოლიციელებულს თუ შენისვე პარტიკომს და ასე შემდეგ სწორადაც იმათ მთავარი იყო სუარ გავგოთ არაფერიც-რა და, სხვადასხვა რამე, ხოლო ღმერთს, დაუშვათა და, ყოფილიყოც, და გავგო თუნდაც ვინმე მეტიჩარასაგან შენიღბული ამბავი, დიდი ამბავი — ესენი თავისთვის და ისკიდე თავისთვის და უფრო მეტიც — ეკლესიები ან მთლად საერთოდ გაუქმებინათ რადგან ვადაეკეთებინათ სანყობებად თუ კრივთადარბაზად, ტეატრადაც გინდ, ხოლო ნაკლისურ შემთხვევაში, ღია, მაინც ენერგო-თვითათვისტებით — დარაჯით იყო კარლიაცმაინცტაკტილივით ეს ადრეული ლარისასთანებისათვის, მოკლედ, ცხოვრებისეული რეჟიმის წესით ისაღმერთი — ვითომ თავისთვის და ესენი კიდე —

თავის, თვის, თავისთვის იყვნენ

ქმედებებში, არიანც, კიდეც, კვლაც მაგრამ, იქნებოდნენ და, იქნებოიან, კი? — ლეგიონები, და ვანსაგისაც რომ, უნარი, პქონდათ? ოღონდ ასეთი: ღმერთი რომ გინდაც ყოფილიყო, მსეთი კარგად, — აცხორებდათ? ია... და არც მერეცხოვრება აწყობდათ რასაკვირველს, ჩემო შატონო რადგან, დამაჯერებლად სუადვილი ახსნა-განმირტება შეეფერებოდ-შეუფალოდებოდა ამა — განა ჯოჯოხეთს, ჯოჯოხეთს გინდაც და მასში ალბათ გუზგუზა ცეცხლს როგორ დამტანჯველს ალბათ გინდაც ეს ნედლი ქიალუები არჯობდა?.. არა? — გრილნი, თან ვერც ვერაფერს გაიგებდი, მკვდარს აბა რაღა გეტკინებოდა, მთლადარაფერი, დაგელრღნებოდა რაიმე თუ რა? — სუარაფერი, საბედნიეროდ სულაც მთლად კვდარი იქნებოდი, ბედად — უგრძნობი, და თუმც ლარისას ესეც არ აწყობდა და რაღაც ნუგეშს მაინც უფრო საჭიროებდა და ერთხელაც ერთსაც მშვენიერ დღეს ნუგეშისკენა მიხმობაც რამ, ღმობიერებით დაჟინებული, იგრძნო, და იმდენად და ჩაუნავლებლად რომ ეკლესიაშიც კი შევიდა, მეორევე დღეს, ამა საქმეში გამოუცდელი; და თანაც მთლად ახლადაგებულში, რადგან

სმენოდა რომ ძველ ეკლესიებში საკმაოდ არცთუ ძალიან უიშვიათესად ცუდი ან უარყოფითი მღვდლებიც კინირავდნენ და ქადაგებდნენ ენით ქრისტესას მაგრამ სინამდვილესა და იმისცხადში ფინთები იყვნენ, რომელი არცთუ მთლად გამოგონილი ეს მოვლენა თანაც ზედმეტად და მისშენლოვანილად აიტაცა ხელოვნების საშუალებებიდან ჯერ განსაკუთრებით ლიტერატურამ და არამცთუ მხოლოდ ზოგად-საგანმანათლებლომ, არამედ იმ კერძო საქმეშიც იმკუთხის ლიტერატურის მხატვრულსაც კირომ ხან უნოდებენ და ხანაცტყვილა რო ეძახიან ხოლო შედარებითად ახლახანურს — ჩვენში მხოლოდ ილიას და აკაკის თულა ჰყავთ მონადიები და ასახულები კა-

რგი მღვდლები, მაგრამ ეს თითქოს მხოლოდღა ორნი, სხვების — ბევრ-ნისას ბილნ ნაალაფვეს რამდენად მძლავრად, თანაც სინმიდით გადას-ნონიდენ, ნატიფიცსივრცით, თუ-მცა მღვდლების მგმობელებს დიდა-დაც მზარდი კინო, ისიც ხელოვნები-სა ყმანვილი პირმშო ამოუდგათ მზარს, ხოლო ეს ფერად სხვადასხვა-დღენტებიანიც, ჟანრი, მოგვხსენე-ბათ რომ მასობრივი აგიტაციის საუ-კეთესო საშუალებაა, ჯერკიდე რო-დის ისქესა ეს ჩვენმა იმანო-მ, მო-კლედ ლარისა ძველ ეკლესიებს გან-საკუთრებით არ სწყალობდა და ახა-ლშიც თან გამომცდელად შეაბიჯა თან ეს ახალი ეკლესია პატარა, თავმ-დაბლად კოხტა იყო გარედან და თან მთავარი ის რომ, თვით ძმაჩინასი, სა-მსახურის, ეზოში, იყო, და თუმცა ძველი ეკლესიების უცოდველობაც ვერ ესმოდა ლარისას, რადგან, რა იცოდა თუ, ყოვლადბოროტი, და იმის გესლით ძალთამიერიც უკეთურება გინდაც თვით მღვდლების დახელთე-ბას განსაკუთრებით თუ როგორ ცდილობს რათა იმათ მრევლსაც თავისი ნყალი ანუ მოძრავი შმორი უფრო ადვილად შეუყენოს და ზო-გიც მღვდელი ჯერ ეს ერთი რა, ადა-მი-ანი, ც, არ არის განა და შემობურ-ვილი გარეთხლევობით არასოციალი-სტურობისასაც ვითომ ჩვენებურში და, ეცემიან, კი, ახლაც, ხოლო თვით თავად ეკლესია კი იესუსი და ქრის-ტესია სუყველასათვის გადასარჩე-ნთა, და ძლიერ ძნელად გადა-სარჩენლებისათვისაც კია, ღვთით, ხოლო ლარისამ უფრო იცოდა რომ იესო რომ ჯვარსაც კი აცვეს და სწო-რედაც რომ მღვდელთმთავრების მონდომებით, გაეგო ლარისას, ეს, თუმც მაგრამ ვერ არჩევდა სარწმუ-ნოებებს, მაშინდელიდან, ახლას, მა-გრამ „მღვდელი“ მისთვის მაინც ცუ-დად ჟღერდა ხოლო ეკლესიაკი, მა-ინც, საერთოდაც და ამრეზილებისთ-ვისაც ხოლო ჭეშმარიტი ნუგემის ბუ-ნდოვნადაც კი მნდომელთ რომ გან-

საკუთრებით იზიდავს, მაინც, ნეტა-როგორ და, მფარველმდითი, და ძალიანაც ორჭოფულამ ბევრდაც უფრო მაშინ, ლარისამ, ცერცვაემ, რომ გაბედა და

შეებიჯა, იქ, ხატების ნაცულაო დაქვისებით და გამოსაცდელად პი-რველს იოაურ მღვდელს გდუნუყვიტა და დაუნყო თვალებითძებნა და ისიც, რა ძებნა იზას უნდოდა და, დგა რქვე, მოუმთავრებულ დაძატანა ეკ-ლესიაში, და შიგნით მაინც როგო-რლაც უფრო მეტი და ვრცელი იყო ღვთის სახლი, მისიც, და ძებნა-ლა-რისამ რომ დაინახა თუ არა მამა ილია, ლამის ახალგაზრდა, მღვდლის პირობაზე, მღვდელი, მისი სახე და თვალებიმიისი რომ დაინახა და შეაც-ქერდა, მაგრამ მხოლოდ მარტო სა-ხეში ვერადაამიტომაც გადაიტანა მზერა ოლონდაც მის ჯვარზე, შეწყ-ნარდა თითქოს მაგრამ გაუგონა ხმაც, სათნო ისე რომ, — მხოლოდ იმისი და ლარისასთვისაც თავი-სთვის მისი, ლარისა მიხვდა რომ არამც და არამც ვერ შეიძლებოდა ესადამიანი ყოფილიყო კუთვნილი საქმით არასწორი, ხოლო გარეთა სა-ხეები კი — არაა აუცილებელი მათი ჩამოთვლა — ვითომცდა მზრუნვე-ლები და მოამაგეებად ერთიმეორით განკუთვნილები და ხოლო სინამდვი-ლები ახლოდაც, შორნი, სწორედ ამა-სთან ვინ იყვენ, თუნდა მღვდლის თვალებთან, მხოლოდ, და გინდაც ხმასთან მარტო, ეკლესიაში მართალ მალამოდ წყნარად რომ ჟღერდა, და, თანაც, ეკლესიაში სანთლები ენთო, ალანვდილები, და ამმყუდროშიაქ, ინვოდნენ სათნოდ ამომჟღავნებულ ყოფილ ბინდში ოლონდ თვით თავად ეკლესიისა, გამოჩენილად და თანაც ყუჩად ციაგებდნენ, კი, და ეკლესია მათითაც ჟღერდა, კი, ზეთითლამპა-რიც, ციატებდა, რო, წყნარი, ხოლო საკმეველის სუნიც, შესასუნთქი, და, უჩუმარი თან სურნელებად თქმასა-ვით იყო, დაყუჩდებოდი, შენც, ოლონდ კანკელში სულ მთავარ დე-

დადმეტყველი ღვთისმშობელი მაცოცხლებელით დატვირთულიყო რაჯილდოდტვირთით და მისიც, შვილი, ძე-იესო, იესუ ქრისტე, წყნარა კიყვნენ და, მაგრამ,

ლარისამ თუმცა წინდანინ ხშირად ვერ იცოდა თუ როგორ მოიქცეოდა ან დააპირებდა თუ მოიმოქმედებდა რას, მაგრამ აქაურობის ხშირი სტუმარი, თუმცა სტუმარი კი არა — მუქაურე, აქაურობის თან მორჩილი და თანაც რიდით ჩანერგვითურა დასამკვიდრებლად აქაურობის ერთ-ერთი მაინც რომ გახდებოდა შეძლებისდაგვარად, სწორადაც იგრძნო უკვე თუმცადა ნამდვილ მემრეველდ ჯერაც ბევრილა, აკლდა,

აქ კი, მთვარიანობასა და შინ, და მწყებ ლარისას აბა რა ექნა და ჩვენ-წარსულით მატერიალისტურიც ისევ იყო და გლოვის მიზეზის, ერთადერთი ძმის, ვანიკოს, ძმაწინას მაისურს ნყვილი ცრემლებით დასტიროდა და ძმა გინდაც და ბევრად უკეთეს უკეთესობაში ყოფილიყო, მაინც იმისი აქყოფნა და მისით შევსილი გინდ მხოლოდ მაისური უფრო მეტადაც სასურველად უნდოდა და მერე მაგრამ რომ მაინც შეეჭვდა ცრემლების დენის სისწორეში და იმედები მოიძია გოგიაშე მაგრამ დააცემინა

თანაც ორჯერ და უნებურად აგურითქმარზე, ლარისამ, გადაიტანა ფიქრი.

რა ექნა აბა, ადრე ვისაც ლარისა მოსწონდა ცერცვაძე სწორედ ისინი ლარისას არ მოსწონდა და ხოლო ლარისას ვინც მოეწონებოდა იმათ ლარისა არ მოსწონდათ, ცერცვაძე, და სანამ უნდა გაგრძელებულიყო შეუსაბამობა ეს და ლარისა ჯიუტ და მაშინ შედარებით ახალგაზრდა გოგაკას (ასეც ეძახდნენ) ბუნებისა და ასაკის წესით გაჰყვა და ლარისას რომ გათხოვება და აი-იმისიც თავიდან შემაკრთობელი ატრიბუტები მაგრამაც მერე თურმე იგივე ატრიბუტები კარგიც კი ხდებოდა ეგონა ასე, მაგრამ არა ჰყოფილა მთლადაცაგრე,

ეს უფრო ალბათ ეკრანირებ არტისტების და ლიტ.-გმირებისაცრომანული გადაჭარბება და უთუოდმითი და ჰიპერბოლა აღმოჩნდა ესა სხვისა რაც იცოდა და დანამდვილებით კი — მისთვის, თუმცა გიორგი რაღაც ვითო-სურნებს დაუიწმით კი აფლობდა, მაგრამ კინთებისაგან განსხვავებით უაღრმადინოდ განაბულიყო ლარისა მანც და უაღრმადინოდ და მისთვის ეს თუ სახლში, შინ, მაგრამ გარეთ იგივე ლარისა თუ ხალხში სიტყვა-პასუხითაც ზედაპირულა ქმარზე მთლად მზრძანებლობდაო არა მაგრამ გარკვეულნილად მორჩილ ხათრანიობას მაინც და მუდამ თვალსაჩინოდ იღებდა, მაგრამ სამაგიეროდ რაღაცა მისთვის თუმცრეგვნილი და მაინც მოვალეობითი მაგრამ თუმც უსულგულოდ მაგრამ იმაში ქმრისა ურვილის მაინც მორჩილი და უსიტყვოდ ყოვლად, იყო, გენები იყო ეს თუ რა იყო ეს ვერ იცოდა ეს, ვერც დაადგენდა, დედა-ბებიებს ხოვერ ჰკითხავდა იმამბებისას, უკვე სერიოზულები იყვნენ, და ქმრისას ყოველთვის უსიტყვოდ დაჰყებოდა, კი, გოგია კიდე — ზედმეტად ჯანმრთელი იყო, კაის ჭამდა და კაის სვამდა და ჰაპიროზს იგი არ ნეედა და არც სიგარეტს და არაფერი, მაგრამ რაღადროს ამაზე ფიქრი, იყო, მაინც რალაში გაახსენდა, ვითომ ისედაც არ კმაროდა?, თუმცაპო, აკი დააცემინა ცხვირი, იმან, ორჯერაც, ვინ თქვა რომ ორი ცხვირი კაიაო, და ლარისა ისევ ცხვირით დროებით განგდებულ მაგრამ მისაბრუნებელ მთვარეში და იმის შუქში აღმოჩნდა კვლავაც, კი, და თუ სწორადაც იგუებდი, შენ, მთვარის ნაკადი ცივი და გრილი და უსიცოცხლო კი არა არამედ რაღაცა სითბოს მომცემიც, იყო, ოღონდ უნდა დაგეშვა და თან მინდობოდი და უკეთესი კი იყო ლარისას ალაგ მაინც რომ ნაკითხული ჰქონოდა გინდაც „სალამბო“ ანდაც მთვარის სონატა ან მთვარის სერენადა ცალყურით მაინც მოსმენვოდა, კი აჯობებდა ნამდ-

ვილად, აგრე, მაგრამ ლარისა რალაც უცხო და ნრფელი გუმანიტაც ისე-ვაც გრძნობდა თუნდაც უხილავ იმედსა და ძალას, რომელი ამოუცნობი ძალის ნყალობითაც თურმე მთვართით დამოკიდებულია თვით ოკეანეების ნყალთა მიქცევა და მოქცევა როგორ ძალუმად მიმომქცევლური და არც ეს იცოდა სალაშობის არ იყოს ლარისამაც, ერთს იმას გრძნობდა, რომ სანუგუმოს რამს, გინაცდა მთელ-სანახევროდ მატერიალისტურს რადგან ხილულსაც, შუქს, იქლინთავდა და, იქითკიდე, ექლინთებოდა-ც, და ეს თუნდრატომ უნდა ყოფილიყო სანტიმენტალობას რომ ეძახიან, ის, არამედ მართლა იყო და არა იზმი, და ამასთანავე თითქოს როგორღაც პოეტურადაც ერთმეზობოდა კიდევ ამყოფას: დარდისა, ლარისა, მთვარისა, არისა, ლარისა-მთვარისა, და აქ-ის ლარისა, მთვართით მოსილი, როგორღაც რითმის პოეტურობით, ფეხმორთხმით იჯდა და შეეშვირა მთვარისათვის ტანი, და სახე, და ფეხი, ამყუდროებას, იდუმალურს და, მხოლოდ შენთვის, აბა რა სჯობდა, კარგი კი-იყო, დიახ, მაგრამ — ლა,-რი,-საა, მოდი ჩემთან, — ორაზროვნად და მუღლლისათვის მაინც ნაღდად ერთგვარად და ამიტომ ცუდად და უადგილოდ გამოსძახა გიორგიამ, ხანთაქმე,

— დილითაც არ იყო? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლამის განსხვავებულმა, ლარისამ.

— რა? — მიუგო გოგიამ.

— არა, არაფერი, — ეგრევე მიუგო ლარისა-დოლარისამაც. ჩაფლავდა მთვარე.

4.

„ვინ უნდა იყოს ამ დღისით-მზისით?“ — გაიფიქრა ლარისამ კიდევ რამოდენიმე დღის შემდეგ როდესაც ზარი, ოღონდ თანამედროვედ ელექტროსი და მოკლე, გაისმა, ხოლო თანამექცხედრემ გახარებული დარწმუნებით გამოსძახა:

— მე გიორგი კი არა უთრევიდაც არ ვიყო თუ ეს შალიკო არ იყოს, გაუღერა, — გამოსძახა, შერბილებულ-გამოთქმა „პერანგისამხანაგი“სდა მიხედვით გოგიამ აბაზანის ამხანაგი-ღან, ხოლო ლარისამ გამოსადეგ კარგი მთახების ვერ ერთი, მერე მერე ვარი, მერე სხვებიც თანამიმედვერობით და ორჯერ მოსახევე კობეხ ნელა და-რქე — რეკრეე ჩვეულ ნარმატებით მოუხვია და მერე არდაპირ კი-სავი-და მაგრამ უდროოდ ჩამოვარდნილ უდღეურ მომცრო კარალიოკს ცუდად დაადგა ფეხი და კინაღამ იღრძო მაგრამ ბუდად გადურჩა მარცხს, ჭიშკრის საჭერეჭტი კი დაკვირვებით გაიხედა და უცნობი ადამიანი რომ დაინახა ჯერ თუმცა შეკრთა: „ხანდა-ხან ქალებს არეკინებენ, უფრო რომ ენდო და მერე კი ძალიან საშიშრები და ყაჩაღლები შემოგიცვივებებიან თურმე!“, მაგრამ დარეკვის ჩამდენი შებრუნდა, და სწორედ საეჭვოები ხომ არამედ ჯიქურები არიან ფეხმო-უცვლელად და იმან კი, დამრეკმა სახლიდან სხვაგანკე რომ გადადგა ორიოდ ნაბიჯი და თანაც ამასთანავე გიორგი ტყუილა ხომ არ იყო შინ თუმც დიდი შეუპოვრობით და არდახევეებით გოგია თუმც ვერ გამოირჩეოდა მაგრამ-შეგვეგრიმან მამაკაცად იგულეზოდა მაინც და თან ამ შუადღისას სავარაუდოდ აკი ნაკლებ გაიბედვინებოდა ცუდად შემოჭრები და ეგებ სულაც სანდოშალიკოთი იყო გამოგზავნილი მოდამრეკე ეს და მოკლედ იმდენი რა დიდი ამბავი შუა-გულ დღისით კარის გაღებაა და ლარისამ მყარი ჭიშკარი სამივეგან გამოარაზავა და ვაბედულად რომ მიაძახა: — გნებავდათ რამე?, —

ქალი სწრაფად შემობრუნდა და გახარებულმა უთხრა:

— გამარჯობათ, მეგონა შინ არ იყავით, გაგიკვირდათ არა? მაგრამ თქვენ ისე მკაფიოდ მითხარით მისამართი, დამამახსოვრდა,

ის ქალი იყო ისევე, კი, ეკლესიინდელი, მაგრამ აქ ისევე კი არა, არამედ

აქ პირველად და ესე იგი ანუ შემოქრა იყო ესეც აბა რა იყო ესეც აბა რა იყო ეს ესე იგი და ანუ — ანუ დაიბნა ლარისა და დაბნეულად მიტომაც ფიქრობდა ასე, და მაინც რამ მოიყვანა ქალი, ჰო, მისამართმა მარტო, და ამის შემდეგ მოდი და ენდე და თქვი ადამიანმა ყოველთვის სიმართლე,

— და დღეს მაინც რაა, დღესაც ხომ არ გაქვს ისევ...

— რა...

— ნვეუ... ეე, აქ პურმა... არა, ეე, სუფრა, არა არამედ... — ისიც კი, მოურიდებელი, თითქოს ღელავდა, — და აქ...

— სად აქ...

— ან კიდევ სადმე... — სულაც დაიბნა, ქალიც, მაგრამ იაზრა, — აა, თქვენ ვერ გამიგეთ,

„ასეთებმა, შემოჩვევებიც ძალიან იციან, — გაიფიქრა ლარისამ, — ერთი თუ ამოგჩემეს და ჩაგაჯინდნენ ერთი, წასულია მერე მთლად საქმე და აქედანვე უნდა აღვკვეთო, მაგრამ ძალიანი მკაცრადაც არა, რადგან სტუმარი ღვთისააო იტყვიან ბრძნები, ეე, ბერძნები და თანაც მოლაპარაკეა და ხალხში თავს მოგვჭრის გაგვაგდო და ავტორიტეტები შეგვირცხვება გიორგის და მე და თანაც ვის გამო თუმცა ვინა და რომელი ერთი დაუგდებს ამისთანებს ყურს“,

მაგრამ ქალი ლამაზიც იყო, ოღონდაც როგორღაც თავისებურად; და დამხმარე საშუალებებიც სახეზე არსად აჩნდა,

„მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა აღვკვეთო... და იქნას აგრე“, — მოზომიერ-ამაღლებულადაც გადანყვიტა გადამჭრელ ზომებიან ფიქრში ლარისამ მაგრამ უნებურად მაინც თქვა ასე:

— მობრძანდით, —

ცერცვაძეებიც, ქართველია,

— გამადლობთ, კეთილი იყოს ჩემი ფეხი, აქ გვიჩვენია, რა კარგი ბალია, მშვენივრადაა გაშენებული,

„ჰო, დიახ-დიახ, სულ შენისთანე-

ბისთვის გავაშენებინე, კი, შემოსაჭრელად“, — გაიფიქრა ლარისამ თუმცა ბალი მისგან განშენებული კი არ იყო არამედ მხოლოდ თავისი იყო ოღონდ ვათხოვებით, — დაბრძანდით,

გამადლობთ, რა კარგი ბალია, თუაგულ ქალიქო,

„ბალიც როგორ ამოიჩვენა“, — და საიროთოდაც, შემოჭრა იყო ესეც, რა იყო აბა, და „ბალი ამ კარგს ლოში გამოიჭიმა სხვებიც ასეთი არაა?“, თუმც ქალი ბამბუკის სავარძლის კიდეზე მხოლოდ ოდნავ და გვერდულად ჩამომჯდარიყო, მაგრამ ლამაზის კვალობაზე რატომღაც გაუბედავად იჯდა; ეს რაღაც მოძრაობებით იყო როგორღაცეს გაუბედავი, თორემ ლაპარაკით ძალიან ბევრს ლაპარაკობდა;

— რა ოქროსფერი შემოდგომაა, მე მიყვარს ბუნება,

„რაღა მიჭირს“, — გადატანით მნიშვნელობით გაიფიქრა ლარისამ, მაგრამ მომკაცრო თავზიანობით თან ვითომ დაეთანხმაც და თან შეენიშვნაც:

— ბუნება ყველას უყვარს თუკი კარგია,

— მე მგონი ბუნება ყოველი კარგია,

— ვითომ?! — გაიკვირვა ლარისამ, ისხდნენ.

მაგრამაც, სხდომა, თუნდ მხოლოდ ორული, ბევრდაგვარია,

— ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონი, ხოლო მუსიკა ბუნებისაგან განსხვავებით ზოგი ძალიან-ძალიან კარგია და ხოლო ზოგი მჩხავანა და ყოველად უშინაარსო და ტვინის წამლები რადგან უნებურად მსმენი ყურების გავლით თავების მტერი არის ძირითადად და თუმც ეგრეთწოდებული საშემსრულებლო ტექნიკა მეტად კარგი, ეე, არა, მეტად გამომუშავებული აქეთ იმ, ეე, ჰო ცუდად თავისებურებს და ძირითადად ამით აჯადოებენ აღსაგზნებელ გამოუცდელებს მაგრამ საწყისი ცუდრამიდან აქეთ

და კიდევ კარგი ჩვენს ხელებს რომ ვერ ერევიან ხოლოდ დღეს ძალიან კარგი კონცერტია თანაც ოპერაში მე ძალიან მიყვარს ეს შენობა და არც იმდენი ცუდი არაფერი გაჭაჭანებულა იქ ოღონდ ეს მხოლოდ მუსიკის მხრივ და ძალიან გთხოვთ ნამოხვიდეთ, ნამობრძანდით რა, ექვს საათზეა, ნამოდით იქ რაა,

„არა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიცილო“, —

ქალს სადად ეცევა, —

„და მივეჩინო უნდა მისი ადგილი“,

— და არ ნააგებთ,

„რააო?!“, და:

— რომელ ნაგება და მოგებაზეა ლაპარაკი აქ! თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძმა მომიკვდა, არა არამედ გარდამეცვალა და ამის შემდეგ კიდევ რომელ ნაგება მოგებაზე შელაპარაკებით თქვენ!

— არა, მაგაში ნამდვილად სწორი ხართ, კი, არა, — აირია აქ ქალი, დამორცხვდა კიდევ, შილიფად ეცევა, ბაღში გრილოდა, აღანძულიყო, — არა, აქ ნამდვილად ვერ შევარჩიე სწორული სიტყვა, მართლაც აბა სად მუსიკა და სად ნაგება და ბანქო და აზარტული თამაშები, მართალი ბრძანდებით.

— მაგრამ გახარებულნიც აღმოჩნდა, — და ისედაც, ნაუგებლადაც ნამობრძანდებით არა? ნამოხვალთ აბა? რა კარგად გადასწყვიტეთ, როგორ სწორად ეს, და რომ იცოდეთ როგორ გამახარეთ, ბარაქალა,

... —

ეზოს კუთხეში კაკლის საბერტყი ქოკიც იყო აყუდებული, და კაუჭა ჯოხიც, ძირითადად თუმც ბრონეულისათვის,

მაგრამ ჰუმანურმა ლარისამ რაღა თქმა უნდა მხოლოდ გაიფიქრა ეს, რა და, — ის, რომ... ხოლო საშუალებად მაგრამ ისევ მოქნილ სიტყვათთქმას მიმართა, მაგრამ ჯერ ეს მხოლოდ შესავალით:

— კარგად დამიგდეთ ყური.

სიტყვები — ძნელიცაა, სიტყვებს ჯერ სწონიდა,

— და, ყოველი ადამიანი, ჩემო კარგო, თავისებურად განიცდის მსუხარებას,

— დიახ,

ჩემი შეკმატებითა და ხელს ნუკი მიწლით თუ შეიძლება დღეს განა შეხელს გიშლით როდესაც თქვენ... —

„უჭედობთ?“ — ერთი კი დააპირა მაგრამ გადაიფიქრა კვლავაც ჰუმანულარისამ, — როდესაც ეს თქვენ ლაპარაკობთ და არც თუ ცოტას მე განა როდი განყვეტინებთ მიუხედავად ყველაფრისა, ხოლო მე ჩემი გამოკვეთილი გზა მაქვს, და თქვენ კიდევ თქვენი ოღონდ რბილად რომ ვთქვით ინდივიდუალურად და ამიტომ ხელი კი არ უნდა შევეშალოთ ობიექტურობაში ერთიმეორემ ერთმანეთს და არა ვილაცა მესამეს, —

„მე მგონი კარგად და გასაგებად გამომივიდა“,

— და ამიტომაც, ნახვამდის. —

მოუჭრა; არა, განუხვნა გზები. ოღონდ ჯერ მხოლოდ აქედან. კი.

მაგრამ

— და მე რომ თქვენთვის მაინც უკეთესი და კარგი მინდა?

— რომელი კარგი... ეს მაინც რომელი მე ჩემი კარგი, აქ რომ ოპერებში ვიარო, არა?

— დიახ.

— კარგად იყავით... მშვიდობით!.. და, მუსკომედიებშიც არა?

— თუნდაც.

ლარისამ თავზე დაიდო ხელი; შეაცქერდა, თქვა:

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ? — ინადით ნათქვამს გაუგო ვერკი და კიდაუბრუნა სალაში მაინც, ქალმა.

— ოო, გამარჯობათ, გამარჯობათ, გაუ, — ისე უშუალოდ ჩაერთო მუსიკაც შემავლურ ანუ არისტოკრატიულ საუბარში გოგია გინდაც იქიდან არ გამოსულიყო და გინდაც შედარებით შემსუბუქებულიყო; ადამიანიც, რაა?, — და დღეს რომელი ოპერაა მუზკომედიამი, ქეთუ

თუ კოტე? თუ, ეე... ჯამბაზები ჰო, სიამოვნებით.

— რომელი საათია! —

ქალი ლამაზი იყო, ხოლო ქმრად-გოგია კი — ასე თუ ისე მაინც მწუხ-ღლე იყო მისი და ამიტომაც აი ასე ხმამაღლად გადაიტანა ასევეითარი ეგებ სახიფათოც, მდგომარეობა, ლარისამ.

— ჰა...

— ჰა და... რა და რომელი საათია!

— როდის...

— როდის და გუშინ!, რომელი სა-ათი არის-მეთქი, აი სწორედაც აი ახლა!

— აა... დამაცალე... — თქვა გოგი-ლომ და მაგიდა-ზე ჩამოჯდა.

არა, აშკარად იპრანჭებოდა, ყორჟ, ეს ქვაზე დახატული, რადგან სათვა-ლეს არ იკეთებდა, არა, თუმც გულის გარეთა ჯიბიდან ამოუჩანდა, თუმცა ქალს გამომწვევი სილამაზე კი არ ჰქონდა, გეყურა მხოლოდ უნდა,

— ზუსტად თუთხმეტი აკლია. იცით ქალბატონო მე ბალეტიცკი მომნ

— რას!

— რა რას...

— რას აკლია თხუთმეტი! და არა თუთხმეტი!

ეზოსი მინდერის ცალი გიგილო ისე ძალიანი დააცქერდა საათს; რა-თა დარწმუნებით ეთქვა:

— პირველს, რას...

— ჰოდა, პირველზე იქ უნდა იყო.

— სად? — იკითხა გოგიამ.

— მე რა ვიცი სად. ადი მოემზადე. ადე. ნახვამდის.

— ნახვამდის. — დაეთანხმა უფრო ბალ-მაგიდისკენა გოგიც და კიბეს აუყვა.

— ნახვამდის. — უთხრა ქალსაც ლარისამ, თან ჭარბიმიღეულ ქმა-რსზეც ფიქრობდა: „გამომივიდა, რა-ლა, არშიყი... ეს ქვაზე ჩაქუჩით... არა, კომბალით დახატული ეგა“... — ნახვამდის.

— ნახვამდის, ექვსამდე... — თუმც ცოტალათი იჯდა, და მაინც სახელუ-

რებს დაეყრდნო ქალი; გახარებითი მხნეობისაგან, ალბათ, მაგრამ

— რომელ ექვსამდე...

— ექვსზე იწყება.

— აჰ!.. მშვიდობით. თუმცა დაბრ-მანდით ოლონდ მაგრამ მხოლოდ ცნობის წესით კი?

— კი.

ისსდენ.

— ეე ესე აგი კონცერტზე ნამო-ვიდე და თანაც ოპერაში?

— დიახ.

— აჰა... გამარჯობათ, — ისეე მი-ესალმა ლარისა.

— გამარჯობათ? — ისეე მაშინ-დელივით დაიბნა ქალი, ეტყობა ინა-დითთქმულის ნაირხერხთაგან ეს სა-ხეობა სულ ვერ იცოდა,

ისხდენ; ოლონდ სხვადასხვაგვ-რულად, ხოლო ლარისა — თავისაში და თავისაზე.

— მე ისე ვატყობ, — სწორად კი ნამოიწყო თუმცალა ლარისამ და მა-გრამ უნებურად კვლავაც შეათვა-ლიერა; ქალი ლამაზი თუმცა კი იყო, მაგრამ, მხნეობისაცდა მიუხედავად, როგორღაც მაინც აჩნდა უნებურ თვალეში, რომ დაუნაყრებელიც იყო თუმცა აქამდე ღიმილითა და თუმც კარგამხნედ ლაპარაკობდა, „ხომარ ვაჟამო რამე?“ — გაუელვა ალაგკეთილ ლარისას, მაგრამ, — „მაგრამ ასეთებმა საქმელებისთვი-საც იციან ეგებ შემოჩვევა და ისეკი ვითომ მხოლოდ ლაპარაკებისათვის მოდიან ვითომ“, — და კვლავ განა-გრძო თუნდაც მსხმოიარე ბალში ყოვლად უეტიამინებო დარიგება ოლონდაც თანაც ახლა უკეთეს სი-ტყვეებს აღარ დაეძებდა, უბრალოდ ეცვა და მშვიერიცკი ჩანდა როგო-რღაც რადგან აი ის ქალი, — იმას ვა-მბობდი რომ თქვენ მე სულ ვერ მიმი-ხვდებით, რადგან თქვენ... — „თქვენ-“ ობითაც კი ელაპარაკებოდა, დიახ, და სხვა თუ არაფერი რალა უნდოდა მეტი ვიტამინებსა და კალორიულო-ბაზე ხომ არაა მარტო საქმე ცხოვ-რებაში, ამ, — რადგანაც თქვენ სუ-

ლაც ვერ გესმით განუზომელი მსუხარების ფასი და განა მსუხარება გართობებით ხელნამოსაკრავია როგორც ასეთი იმიტომ რადგან ოპერეტებშიაც კი მეპატიჟებით თავდავინყებით და რალაც ჯამბაზებზე თუმცა თავიდანვე უნდა შეგეტყვოთ ჩემი ამოუნურავი მსუხარება და ამიტომაც გართობებისადმი და მათი ყოველი სახეობებისადმი ჩემი არა ერთი განწყობა და უარყოფითი ურთიერთობა და მიდრეკილება ზოგის არ იყოს ჩემს შემთხვევაში, — შეარცხვენდა, ვერ? აიცი — და თქვენ თუ ათასგვარ გართობებს და სიამოვნებას და ხრიკების მსგავს მაქინაციებს ღვიძლ ძმას ანაცვალვებთ, — ლარისა აკიც მკაცრიც იყო და ოღონდ აკიც სამართლიანიც, — და ეგებ მე გაცილებით უფრო მიძიმს და ამიტომაც სუძალიანაც უნუგეშოდ განვიცდი სუყოველივე ამას და არ მაქვს არავითარი გართობის მთლად არავითარი მსუბუქი ყოფაქცევის სურვილი ჩემს ღვიძლ ძმაჩინა და თანაც უმცროს ძმაზე დარდვის, ეე, კი, სწორედაც რომ დარდვების გარდა და შორს რომ არ წავიდეთ განა ჩვეულებრივიც კი მოყვარული ბუნება ადამიანებისა უფრო ამას არ მოითხოვს განა მუდმივად და გამუდმებით და, გასაგებია? შა?.. არაა გასაგები?

— კი, — თქვა იმ ქალმა, — რატომაც არა, გასაგებია. კი. მაგრამ არა ხართ სწორი.

— არაო? ეს რატომ?! — მკაცრად იკითხა ლარისამ და ცალადდოინჯიც შემოიყარა მიუხედავად იმისა რომ იჯდა, — ეს მაინც ვითომ რატომ.

— გეტყვით.

ქალი პასუხს კი აგვიანებდა, მაგრამ ძალიანაც ვერ გაუბრაზდებოდი რადგან ლარისასთვისაც კი ყოფილ ქჷუამზიარულეებასთან ერთად რალაცაც კარგი ჰქონდა თვალეებში და წარმოიდგინეთ სევედიანიც კი და საერთოდაც, ახლანდელივით, ულაპარაკოდ, — უფრო, და როგორღაც მაინც ვერ ჩანდა ისევ და ახლა ლარისასათ-

ვისაცკი, უგრძნობი, და თვით ლარისაც ხომ სულაც არ იყო მთლად უგრძნობი გინდ უმთვარეოდაც და ასე შემდეგ ვარსკვლავები, და

— ეს მე ძალიან სულ არ მიხლოდა მეტქა ეს თქვენითვის ეს ჩემი თავანაზრობის გამო და ასე შემდეგ, ეე, თავანაზრობისათვის კი არა, გე, ანაზმედ თავანაზრობით, ეე, რას ვამბობდი ჰო და არა მკვახელ მაგრამ ჩემი ბოალიცარია მიუხედავად თქვენი ვე გარკვეულნილად სილამაზისა, ვეე, და ოღონდ ნუკი გათამამდებით, რადგან ეს თვითონ თქვენ ძალათი მათქმევივით მაგ თქვენი კონცერტებიული მუსიკით შეუპოვრობისათვის, ით, ი, იი,

— ეგ არაფერი, — უთხრა იმ ქალმა, — ოღონდ ერთსაც გეტყვით. — ეგებ ისიც კი, საერთოდ ყოვლად უმისამართო, და ჭარბლაპარაკიანი მაგრამ ახლა კი გზიან სიტყვებს ეგებ, ისიცკი დაეძებდა, აქამომდისინ ყბედი, — რა არის, იცით? ჩვენ რომ ხანდახან გვგონია რომ ერთადერთსწორად ვიქცევით რადგან ბუნებრივები ვართ ვითომ, შესაძლოა ეს არც იყოს სწორი რადგან თვით ბუნებრიობასა და გაჭირვებაზე, თუნდაც ისეთ განუზომლად დიდზე როგორიც ეს უახლოესის დროებითი დაკარგვა მაინც როგორმე უფრო მაღლა, და მეტიც, უფრო, სწორადაც უნდა დავდგეთ, როგორმე,

— ბოლო სიტყვები ვერ გავიგე, — შეჭმუხვნილიყო ლარისა ისევ ცერცვაძის ქალი. — რა სისწორეზეა ლაპარაკი, ეგეც რა, რომელი ალებ-მიცემობაა?

— არა, და თქვენი არ იყოს არც ნაგებ-მოგებაა როგორც ასეთი, უბრალოდ ზოგი რამ ძნელად არის გინდ მარტოკადაც სწორი

„აურია, მთლად, მთლად აურია“,

— მაგრამ არ გეგონოთ რომ მხოლოდ ჩემით მივხვდი ამას და თავის გამოჩენა მალაპარაკებდეს რადგანაც ადრე სხვადასხვა ეკლესიებში დავდიოდი მეც ჩემი ძმისთვის და

მთლად თქვენსავით არა მაგრამ არა-
ნაკლებ ვგლოვობდი ვანოს,

„ვანო, — აღენიშნა ლარისას, —
ესე იგი ძმა უფროსი იყო და შენზე
უფროსის გლოვა ხომ რამდენად
უმძრო ადვილია“,

— და თავს კი ერთხელ უცებ გაკ-
ვირვებულმა შევატყვე რომ ეკლესი-
აში მაინც არ ვტიროდი მიუხედავად
იმისა რომ იქ მეტადაც კი ვფიქრო-
ბდი ივანეზე და თან ძალიან, რადგან
საგანგებოდ ვიყავი სწორედ ამისა-
თვის იქ მისული და ეს ჩემთვის ძა-
ლიან გაუგებარივით რამე იყო და
თურმე თუმცა უნებურად და მაგრამ
მაინც სწორად ვიქცეოდი თურმე,
არტირილით ამ,

„მართლა ხო იცი, — გაიფიქრა
ლარისამ, — ეკლესიაში მეც რატო-
მღაც არ მეტირება... უცნაურია... მა-
გრამ კარგადკი მიჭირამს თავი“,

— და ერთხანს ეს უცნაურად და-
სადგენი იყო ჩემთვის, არატირება,
ეს, და თუ ეს ნეტავი რატომ,

ისე-რა ცხოვრებაში იმ ხელობის
და მიმართულების ადამიანი ისევე
როგორც ყოველი პროფესიისა შესა-
ძლოა იყოს უკონსტიტუციოდაც მა-
ღალი, დაბალი, საშუალო, მსუქანი,
გამხდარი და ამ განზომილებითაც
აგრეთვე საშუალო და ან ქალი, ან
მამაკაცი ნამდვილები თუ გინდაც
ცოტაყალბი და სხვადასხვა ასაკი-
საც და ხასიათის შებერებული მგე-
ლი თუ დამწყები სკვინჩა, ქერა, მო-
ნაბლისფერო თუ აშკარად ნითური
თუ ნაკლებად თუ ხელიდანნასული
შავტუხა გინდ მიმზიდველიც და გი-
ნდა არალამაზი, ლამაზიც, ყოვლად
ულამაზო, დახვენილი, მოუხეშაოდ
გაუთლელი ან ამეებში ისე, რა, კაი
მელოტი თუ ჯიქურ-ბურძგლა თუ
სანყულადმეჩხერი, ნაკითხი, უკითხი
ან ამასშიცკი ორივეერთად და თუ-
ნდაც ვაშადმფლანგველი, ანდაც ძუ-
ნსციკი, ბეცუნა რწყილის გამტყავე-
ბელი თუ ზვითობოთედ უყაირათო
რომელი ესა უკანასკნელიც თავისზე
ნინა უკანასკნელის შერწყმოდეს

ანუ, გულითმაინც სჯობს თუ სხვაა-
რაფერი, გლანდებიანი, უზრმანან-
ლაო თუმც დიდყურება და ხოლო ავ-
რეთვე ყურებიან-ეს სმენიანობით
ვიოლინოთა და ფლეიტების მადლთ-
დამქრობით

„ნაწალოზათიღირსი
ანდაც პირიქით — უდიდობითიღოც,
კი, ენაჭარტალა თუ კრიჭაშეკრუ-
ლად ზხინავი თუ დიმილისას ტურქ-
ლთყურად თვალისაქისწრება, უსწრ-
ცხვილო თუ ნითლებადი, გინდ მომ-
ხიბლაურ დოყლაპობით მნე ოლონდ
ღია სანყობებისა თუ საიდუმლოთა
კენტად მჩხიბავი ანც ძმაკაცთან
ტლუ და ეული და ეგებაც დიდად პა-
ტივმოყვარე თუ გაქუცულად ალალ-
მართალი ოლონდ ეს ბრიყვულ შტე-
რებთათვის და ზოგიც ტაშფინალიან
არშიყი თუ ქალთუნახავი აი ისე რომ
რადედამგშობაორომელიმეგპეტრე-
ნკოზეც და ბევრნი მტყუანი ზოგიც
ცოტა მართალი აქაიქურად რო-
გორც წესია, და პრეფერანსის დი-
დოსტატი თუ ფურთის არმცოდნეც
და ზოგი ჭკვიანი და ზოგიც უფრო
ანაცდანაკლებ ან მთლადპირიქით
და აქ ალბათ შორს კი ნაველით ანუ
გავრეკით მაგრამ ზღვაში წვეთია
ადამიანთა ყოველისგვარი ხასიათე-
ბთუგარეგნობიდან ეს ჩამოთვლები
თან გაფხეკილი თუ ჯიბეზედ კარქა-
ქიშიშიშიანი ერთხელაც კიარ გვიხსე-
ნებია და აქვს ამასაც მნიშვნელობა
და მაგრამ ისაა უცნაური, რომ, თი-
თქოს ყველანი, თავ-თავიანთთვის
ყველაზე მეტად სანუკეარ ადგილას,
ანუ ველზე, ერთნი, არიან, ერთნი-
რიან, უცნაურია,

— და ხოლო ეს ალბათ ცოტათიც
იმიტომ რომ ახლობელისადმი უმთა-
ერეს ვალს რომ და როცა ვიხდით
სწორედ ამითი თითქმის ყველანი შე-
დარებით მშვიდები ვხდებით რადგან
დარწმუნებულელებივით ვართ და
წლბათ ამიტომ არ ვტიროთ მაგრამ
მთავარი მაინც სხვა რამ ყოფილა და
მაგრამ ამაზე მეტად უცრემლობაც
რომ და თუ იყო რა ვიცოდი ჯერ და
თანაც მაშინ ხომ, ადრე, მთლად,

„აიშვა ისევ“,

— მაშინ ჩვენ, ბევრნი, სიავისაც კი თუმცა უნებურად, ჩვენი სისუსტით და საკუთარი ტყავისადამოყვარულობით ახლობლები თანაც კი ვითომ უფროსები და სინამდვილეში უმცროსები რადგან ისეთი ახლობელი გვყავს გარდაცვლილი რომ, მტრისას კი არა, რაღა თქმა უნდა სულ არავისას,

„უყურე ამას, გარდაცვლილი, გარდაცვლილი, ცოდნია სიტყვა“,

— და კვირაში ერთხელ სიონში ვიკრიბებოდით, შაბათობით, დილით, ზოგი უმცროსებისთვის და ზოგიც კიდევ უფროსებისათვის და

— და თქვენში რამდენი იყო განსხვავება?

— რამდენი რით...

— ასაკით რით...

— თერთმეტი წელი,

— აა, — თქვა ლარისამ და გაიფიქრა, — „აა, ესეიგი, როგორც ამდენად უმცროსს ალბათ ძალიან გათამამებდა და განებივრებდა და ამიტომაც მოგაკლდა გულს ხომ?“ — თქმით კი მიუგო:

— კი, ნაბოლარებს როგორც წესი ათამამებენ,

მაგრამ ქალმა თქვა:

— არა, მაინცდამაინც რატომ ნაბოლარა, ნაკლულივით სიტყვა ეგ, უბრალოდ ოჯახის უმცროსი შვილი იყო.

— ეს ვინ...

— ვინ, ვანო... — გაიღმა ქალმა თავისთვის, შეხედა, მერე, — ჩვენებს ხომ ერთი სახელი ჰქვიათ, ხომ გახსოვთ... ეკლესიიდან, იქ...

გაკვირდა, ლარისა,

— აბა, ვანო და ივანეო? უმცროსებს ასე არ ეძახიან, —

და რად ეძახიან მაინც ნეტავი თავიანთ მთავარ ადგილს „ველი“-ს, ცოტათი ესაა გაუგებარი, ეს დილაუთენიის მოსულსწრაფო გასვლა იმათი როცა გასვლისას ჩაიშესმულზე თუკი აქვთ ქურა ასე იტყვიან, გინდ მთლად უზმოზე, მხნედ მაინც რო-

გორ: „აბა ნავედით ვედზე“ და რატომაა ნეტა ყოველთვის მაინცდამაინც სახელად „ველი“ ყორღანი გინდა თუ დაბლთი, მაღლოში, ბორცვი, კარგამთა თუ ზღვისპირი თუ მენდარი ანაც ქვეშობი ან მანდლაც ველი, ამასთანავე ქალა თუ ნიროკი თუ ქანურობი და ხშირტყე-

ცი და გამოქვაბულებიც, კი, ზოგი საბალო ნათელი და ზოგიც შეკრთიონისმგვრელიც, კი, ხოლო თვით „ველ“ თან უკვე მუშები შეკრებილან, იქაურობის ისე მკვიდრნი, რომ მათი გადაადგილებისაც კი როგორ გვიკვირს ეს გადაჭარბებით რაღა თქმა უნდა ნათქვამია მოკლედ იქაურობის მყარადმკვიდრად მცოდნე გლეხები ოლონდ მანამდე რა იცოდნენ თუ რაზე როგორ არხეინად დააბიჯებდნენ და რაღა თქმა უნდა ისინიც ამათსავით სხვადასხვანაირები, არიან, კი, კი, ოლონდ ნაკლებ, და იარაღებიც, განსხვავებულები — წერაქვი, ნიჩაბი, ბარი, ოთხსახელურა საზიდრებიც და აგრეთვე შექართულეზუმელერიც მწვანე ხელისტაჭა და, მისალმებაა? — თითქოს რიგითი, — მაგრამ დღე, თვით დღე, სამართალმუშაო, იწყება ეს, — გამარჯობათ,ო,და, — თთარს სიცოცხლე, ოთარის გაუმარჯოს, დილა მშვიდობისა ბატონო ოთარ, ოთარ-ბატონს სალამი, და მაგრამ თუმცა მაინცდამაინც მარტოოთარი კი არა, არქეოლოგებსაც კარგა სხვადასხვად სახელები ჰქვიათ,

— აჰ, — გაახსენდა ისევ ლარისას, — მაგდენი წლით? არც ვამიგია,

— კი. მაგდენით, ხოლო ასე ორთვეში ერთხელ სხვადასხვა ეკლესიაში ვიკრიბებოდით და ერთხელაც, მეტეხის ეკლესიაში რომ შევიკრიბეთ სადაც მაშინ მამა პავლე წინამძღვრობდა, ახლა მეუფე ნიკოლოზია ის

— ეს როგორ... — გაიკვირვა ლარისამ, და მაინც ცერცვაძის ქალმა რასაკვირველია,

— ბერად შედგომისას სახელები ეცვლებათ და მამა პავლე მეუფე ნი-

კოლოზია ახლა, ეპისკოპოსი, და თქვენზედაც კი ახალგაზრდაა ბევრად, თუმცე სასულიერო პირებისათვის არ არსებობს რაღა თქმა უნდა ასაკი რადგან ღვთითაა ყველა, და არა გოდრა-ფდენით, — გაიღიმა ქალმა,

„აქამდე სწორად, ჩემსავითაც კი ლაპარაკობდა“, — აღენიშნა ლარისას ცოტათიც ფილოლოგიურ გულში,

— ღვთითაა ყველა, მღვდელი,

„კი, კი, კიე, კი“, — გაიფიქრა ინადითმოქრის ოსტატმა ლარისამ რადგან მაინცდამაინც ცუდმა მღვდლებსა გაახსენდა ვერფილოლოგიურად: „დევიჯერე, კი, კი, — გამარჯობათ“, მაგრამ ქალმა, როგორც დამთხვევად:

— ასე განსაჯეთ, თვით იშვიათად ცუდებიც კი, და სწორედ იშვიათად კარგ მამა პავლესაგან გავიგე პირველად რომ, თუმცე, დალაგებულად გეტყვით,

„მოახერხებ, კი“,

— და ჯერ ის გვითხრა პანაშვიდინი ნირვის შემდეგ, ქადაგებაში, და სწორედ მისგან გავიგე პირველად რომ, და, მაპატიეთ მაგრამ ეს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბაღში უნდა მეთქვა თან და მომიტევეთ რომ ვითომცე მამა ილიასათვის ეს მაგრამ უფრო იმიტომ რომ თქვენ გაგეგონათ რადგანაც იმან იცოდა ისეც, უჩემოდ, ეს,

„თვალთმაქცი... ყუთმაქცი“ — გაიფიქრა ერთგვარად სინონიმებიანმა ლარისამ მაგრამ რაღა თქმა უნდა ისევე მტიციურცერცვაძის ქალმა, — და შენ კიდევ ლამაზი ეძახე, შენ“, — რატომღაც წყნარად გაიფიქრა საკუთარ თავთანაც კი მეორე პირით პირშიმთქმელმა ლარისამ, ხოლო დასძინა მაგრამაჩქარებით: — და, საიდან იცოდა მამა ილიამ? — მაგრამ აქ შეცბა, — თუმცე... და რატომ შეჩერდით?, ილაპარაკეთ, განაგრძეთ მიდი, და რას მომჩერებიხარ მაინცდამაინც მე თქვენ აკიხომ მიყვარს ბუნებებო და ბუნების მეტი ყველგან რაა, და შეგიძლიან ამ ჩემს

ხეებს უყურო და ის არსებობიან?, — ეს მართლაც კარგად მოკუჭერი, გამომივიდა“,

— რა და გვითხრა რომ, — დაფიქრებულიყო, ქალი, — რომ ჩვენ ისე ძალიან ვეყარებოვართ ჩვენს ახლობლებს ვინდ უნებურად რომ, რომ აბა ერთი გადაგხედოთ ერთიგორეს და როზელო ქართი კიქნებოდით ურბითოდ ახლა აქ, ასე უფრო ახლს თვით ღმერთთან, და რომ სწორედ იმათით, გარდაცვლილებით ღმერთს ახლა როგორ და უფრო მიეუახლოვდით, და გვითხრა ისიც, გადაგვეხედა ყველას ერთმანეთისათვის თუ ადრე რომლები მოვიდოდით ღვთის სწორედ იმ სახლში რომელიც ჩვენს ძველ უბანში, ძალიან ძველში, მეტეხში დგას,

და ამ გამარჯობაბობანების შემდეგ იწყება საქმე მაგრამ საქმესაც გააჩნია, არის ხოლმერომ, დასაწყისში, მიწის სუზედა ფენას თუ იღებენ და არქეოლოგმა უკვე თუ იცის გვერდითა ნამოსახლარებისა თუ სამარხების მიხედვით თუსად და როდის დაინყება „კულტურული“ (ასე ეძახიან) ანუ აღმოსაჩენმასალიანი ფენა, შედარებით ვითომ მშვიდადაა და ნინა დღით ნაზარმაცვეთ თუ ჩამონოლილი ბინდით შეწყვეტილ საველე (ისევე სა“ველ“-ე) დღიურის განგრძობას შეუდგება, ჩამომჯდარა ხისა ძირას, სკამზე და ჩრდილში, გადაუკვანტილებია ფეხი, ვითომ გულარხეინადაა მაგრამ ახლმომავალით იგივე გული ისე უფრთხილებს რომ? — ნეტა რა, რა, რა, რა გამოჩნდება“, ძალიან ლელავს, ოღონდ ფარულად, და გინდაც ასეფარულში, ისე მშვენიერად შესაძლოა რომ შარიც კი მოსდოს ვინმეს — „მაგ წერაქვს მანდ რა უნდა“, ან „რა არის კაცო ამდენს რომ აბოლებ“, ანაც კი, სულაც: „დღეს რა რიცხვია..., არა, თერთმეტი..., არა, თორმეტი..., გუშინ არ იყო კაცო ათი?“, მოკლედ ლელვაშია-რალა ოღონდაც ვითომ სულაც არ იმჩნევს, და ღობე-ყორეს კი ედება

მაგრამ იმას მასმეტი სულაც არაფერი ენადილება ოღონდ წინდანის იცოდეს თუ მინაში რაია, რაა,

— ხოლო სახელწოდება მეტეხი მე არ ვიცოდი რას ნიშნავდა და მერე თუმცა ამოვიკითხე სიტყვა მეტეხი თუ რასაც ნიშნავს მაგრამ მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე და ამიტომაც არ ვეკითხები სასულიერო პირებს რომ მეტეხის ეკლესიას რა ევახიან ნეტავი ასე, იმასაც ნეტა შეეუარდება ჩვენი ძველუბნის სახელწოდება თუ მხოლოდ უბნით ევახიან ამ სახელს, მეტეხს, და სიტყვა მეტეხი ხომ ვითომ რალაც მკაცრად და მყარად ჟღერს მაგრამ თურმე სინამდვილეში მეტეხი თურმე ადვილად მსხვრევადას, მყიფე რამს ნიშნავს, ამოვიკითხე,

„ალარ გაჩერდე“, გაიფიქრა, დროის მომჭირნემ, ლარისამ, ანუ უფრო სწორად — „გაიფიქრადროის-მომჭირნელარისამგონსწრაფმა“ ხოლო მდებარეობით კი — იჯდა,

— რადგან ძალიანაც მინდა რომ ღვთისმშობლის ეს ეკლესია დაკავშირებული იყოს გინდაც მსხვრევა-სთან, იყოს მყიფე,

— რა.. რა? ძალიან გინდა რო დაინგრეს?!

— არა, პირიქით, რომ გავუფრთხილდე შედმეტადაც კი, უფრო უფროდაც, და საერთოდ კი იმას რა დაინგრეს გინდაც დაენგრიათ, და იმას ვამბობდი რომ გვითხრა ასე მამა პავლე რომ, აბა რომელი ერთი ჩვენთაგანი ვიქნებოდით იქ უჩვენ-ახლობლოდ, იმათ გარეშე, იქ, და თუნდაც მხოლოდ იმ ერთ დღეს ან თუნდაც ნუთას ისე ახლოს და შესაყუყად თავსა და თავსა ისევ, მშველელთან, რომაა ღმერთი, და იესო და თანაც ქრისტე და თვით სულიწმიდათი ხომ, შეფარებულები, როგორ,

„უყურე შენ, პყოფს“, — გაიფიქრა ლარისამ რომელმაც თითქმის იცოდა რომ ღმერთი და საერთოდაც წმიდა სამება განუყოფელია მაგრამ არ იცოდა რომ ასეც ლოცულობენ:

„სასობა ჩემდა მამა, შესავედრებლოდ ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდა“,

— და აბა რომელი ვიქნებოდით ასე უზომოდ, ჭეშმარიტად ბედნიერები რადგან რა მადლი გზდათ, ო, ეს,

ხოლო „ხდა — დახურვილის მოხდა; ხდა — სნებათ შორქნა; ხდა — ავად; ხდომი — ნიღო რეგვა; ხდილნი — მოწოდებულნი“ — საბა,

— რა მადლი გერგოთ; და მერე თითო ბედნიერება გარდასტვინებულით, ეს,

— ვანიცოც კი არ მოკვდა არამედ გარდაიცვალა, — დათანხმდა ლარისა მაგრამ მაშინვე: — როგორ თუ ბედნიერება!

მაგრამ ამჯერად ქალს ყური თუმცა აღარ უთხოვებია, და მაგრამ უნებურად მაინც ლარისას პასუხობდა, კი,

— დანამდვილებით, კი, ასეაო კი, ხოლო როდესაც თავს ამოიჩენს სულ პირველივე თიხის ნატეხი ან ნაგებობის მყარადმჯდარი ქვა, თვით გამოცდილი, მრავლისნაზი არქეოლოგი — მოფერებით ეს — სიგიჟესაა, ლამის, იმას თავისი ქალაქები თუ კულტურები ველზე კი არა სასათუმაშიც კი ელანდება, მაგრამ თავს ისე იკატუნებს რომ, და, სხვათაშორის, გარეგნულად მშვიდადაცაა, და სხვათა შორის, ცოტათი მართლაც, — „პირველად ხომ არაა“, იმშვიდებსაც, თავს, მაგრამ, არქეოლოგისათვის ბოლობოლო ხომ მთლადაც ძალიან ახალია ნებისმიერი ცრეცილი ჭურჭლის ძველი ნატეხი და, დრო რაც გინდა სწრაფად გადიოდეს, უსასრულობასთან შედარებით ხომ მაინც ხომ მათემატიკურად თუგინდ ისეა რომ ყოველგვარი დრო დროის მიხედვით არაფერია რადგან უსასრულობასთან შედარებით არაფერიო მუნ და არეოპაგიკაო ტფური თუმც რეებს ვეოდავთ, გადამდებია, და თავად დროზეც ასე ახსნა — რომე ნულია, სუმთლად ბაჯალლო სისულელეა, ეს, რადგან მას შემდეგ,

რაც გამოძიერნეს თუ გამოთაღეს თუ ააგეს ან დაანგრის, აი მას შემდეგ თვითონ ჩვენამდე მაინც როგორ არ არის ეს კარგაძველი არამცთუ რაღაც ხუთიოდ საუკუნე და იმისისი და არამედ ხშირად მთელი ორმოცი, ორმოცდაათჯერ ასწლოვანებს და არქეოლოგამდე სრულიად ყუჩ გამოქვაბულებში ხომ, მთელი ათობით ათასი წელი, ტერენს, თუმც იქ ვითომდაც შეუხედავი კაჟია, ძვალი, ობსიდიანი, ქვა და იმისი გრძელი ხანა, პალეოლითად და ნეოლითად ნოდებულნი, რა ძნელი იყო აღბათ, თავეთი, დასაწყისი რამ, მაგრამ ყველაზე მეტად, უფრო, ამ გულუბრყვილო იარაღებით, — ხელნაჯახები, ისრისპირები და ასე შემდეგ — ის მერე რა რომ, კვლევისთვის უნდოდათ? — არა, ეს უფრო უნებურად ცოდვილი ტვინის სუმთლად პირველი ნაოჭებისგან ნაბიჯებია გინდაც ხელით, აქ, და თავიანთხანა, თავიანთსაქმე არამცთუ სხვებზე არანაკლებ, ეგებ უფროდაც, ქვისამხანაღლებს, უყვართ,

— და ისიც გვითხრა, რომ, რომ ასე კარგად, და უფრო ბევრად მეტი — რომ სწორადა ვართ, იქ, მტირალეები ვერ, ეკლესიიდან გამოსულეებს კი, გვავეიწყდება ეს და, ისევე იმათზე, ჩვენწვენებზე მერამდენედ თავიდან ვნუხვართ ხოლო ისინი, ძალიან ჩვენები, განიცდიან რომ — რას განიცდიან, რომ გვიყვარან? დას, ძმა,

— არა, ჩვენს ნუხვას... ხოლო გლოვაზე ადვილი, რაა,

— გლოვაა ადვილი?

— კი, ხოლო კიდევ სხვა ეკლესიაში, წმიდასამების, მამა როსტომმა ისიც მითხრა რომ თურმე ზოგიერთი ჩვენისთანა და მაგრამ ვითომც მეტად ჭირისუფალი ტანსაცმელსაც კი დავტირით, მათსას,

— რაა!.. და ეს, ცუდია?

— და ხოლო ჩვენ კი, იმის ნაცვლად რომ როგორ ძალიან მაღლობელები უნდა ვიყოთ, კი, ძალიანაც, უზომოდ დიდად, უზომოდაც კი სწორედ იმათით, მაგრამ ზოგიერთების

სუსტი ჭკუით ვითომდაც მაროდ და დაკარგულად წასულეების, მაინც როგორ მაღლს გვეყენებ, და სამაგიეროს კი იმით ვუხვდით რომ სახემტირლობით და ცრემლოობით და ამოხვრებით და დარწმუნეობით და ასე შემდეგ

„როგორ თუ დარწმუნეობით და ასე შემდეგ... როგორ, გათავს სელნა მონაქრეგია?! გლოვა?“,

— და იმის ნაცვლად რომ მართლა გვიყვარდნენ, თურმე დიდ დარცხვენილობაშიაც კი ვაგდებთ იმათ, რადგან ბევრად უფრო უკეთეს ქვეყანაში, იმქვეყნად არიან,

„რას ამოიჩემა... თუმცა ნეტავი მართლა ასე იყოს“,

— აი ისინი, ვინც რომ აქ შედარებით პატიოსნები იყვნენ... — და გამოერკვა, — თქვენი ვანიკოც ხომ პატიოსანი იყო, ლარისა?

— კი როგორ არა!

— და ამიტომაც ისევ ჩვენით თუ დაიტანჯებიან რადგანაც იმათ გამო ვიტანჯებით ჩვენ და ნურც ნურაფერს დაეუმატებთ, განსანმედელში... ნუ გენყინებათ, მაგრამ, მაინც, ხომ ასეა კი? — მთლად უცოდველი, არავინ არ ვართ, ხომ,

— მეტნაკლებობით. — თქვა ლარისამ, — მე არასოდეს შემინუხებია სხვები, ჩემი დარიგებებით ესე იგი, ხოლო მე ჩემი ძმაჩინა ისე მიყვარდა, არაუიარა არამედ ისე მიყვარსმეთქი რომ იმის მაიკას ზედაც დავტირი, სულ,

ხოლო თუ ოქრო კაშკაშა ბზინვით თან დაგუდულად გაიკლაკენება და როგორც წესი ოხრულად რაღაც, არ შეიძლება რომ ახლა მუშად გლესხ რაიმე შეძახილი არ აღმოხდეს, ეგებ სწორია რომ ამბობენ რომ იმისაა, ოქრო, ბრინჯაოზე კი, ალტაცებისაგან, მხოლოდ „რა დევინახე ოთარია, დედაა, დედა, მოდიკაცოაქ!“, შეშინაურებულა, აღმოჩენილი ბრინჯაოთი მთლად, და სიტყვეებს იძახის? — გადასარევეებს, თან აქ ჩვენს კუთხესაც გააჩნია ენითაც ცოტა ოკრობო-

კრო საქართველოსი — „დიტუუ, დიტუ“ ც ხშირად გასმულა, იმ ოთარებისაკენ, ხანდახან შეცდომით „გეოლოგისტი“-ს რომ ეძახიან, იმათ, ხოლო ოთარის გულში რაც ხდება? რომელი დიტუუ, და ვინ იცის აბა კიდევ სხვამ, რადგან თვითონაც კი არ იცის თუკი სადამდე რაც რომ რამ ხდება, გულში, და ხოლო სხვებისათვის არქეოლოგები რომ ოქროულს რომ დაეძებენ ეს — კაიბატონო, გასაგებია, მაგრამ ვილა არიან აი ისინი კაუებს და ძვლებს რომ — ბოჭავენ ბოშო, რალანაშია საქმე? — რბილად კი არა, მთლად პაერშუა, უკვირთ, „ამათ ტკიცინა თუმინიანი როდაულო კაქს უმფრო ხელათ აილებენ ჩემო ბატონო, გვერდით, — გადასარევი“, ხოლო ოთარი, თუმც ბოდიშიკი მოგეითხოვია და რა გავახშირეთ ამ „ოთარი“ თი საქმე გინდ ლამბაშიძეც იყოს, რადგან არქეოლოგებს, დარჩეს ჩვენში და ისევე როგორც გეოლოგებს და გინდაც აგრონომებს ბევრიც სხვადასხვა სახელი ჰქვიათ — გიორგი, ანდრია, სანდრო, ნინო, გერმანე, რუსიკო, როსტომი, დომენტი, ნანა, ევტიხი, ზებედე, გურამი, ალიოშა, დათუნა, თამაზი, ჯურხა, ნადია, ნუციკო, ტარიკა, შიო, ლამარა და ასე შემდეგ და მალხაზ-კიაზოც „დაისი“ ვით და აბა ჩვენც რა გვეოპერება, ხოლო როდესაც ბლომ-რამეებით ჩატვირთულნი და ამოტვირთულნი რადროის შემდეგ სამაროვანი-რამ ამოიჩენს, თავს, აბა არქეოლოგი და იმისი ბიჭობა ანდაც ქალობა იქ უნდა ნახოთ, მზეო და ხვატით ზურგზე სიცხით კვამლის ადენა იმისთვის სულაც აღარ არსებობს, თუმცა არა, როგორ არ არსებობს მაგრამ თავის-საქმესი გადამკიდე, -სთვის, არაფრად ჩანს,

— და ეს... ცუდია?

— კი. რადგან ამ ჩვენს ისედაც მწუხარე და გაჭირვებულ დროში, იმის ნაცვლად რომ ჩვენების გინდაც მხოლოდ ტანსაცმლით რალაცა სითბო მივანიჭოთ ვინ იცის რამდენ გა-

ჭირვებულს და გინდაც იმათგან მხოლოდაც ერთს, მაგრამ ნინდავედვია ჩვენების პალტო იქნება ეს თუ სხვა რამე და, ვაფრქვევთ ცრემლს ზედ, მაგრამ არაფერია, არაფერი ეს, ჩვენებისადმი უღიერობის გარეა, და ამისაც რომ, ჩვენების ნაქოსს, ვაუმაქნისებთ, აბეკას კადე, სცილათ,

— როგორ, ვანიკოს ტანსაცმელიც და, განსაკუთრებით თვით მისი სურვილითის შექვლაზე მეტად ხალხო, კე, ახლო, ე, ჰო მატერია უნდა ჩაიცვას ვილაცა... — „ოხერმა“ კინალამ ნამოსცდა ლარისას, — და ვილაცამ უნდა ჩაიცვას? და ისიც ჩემით?

— ვილაცა კი არა, თქვენი გახდება, თქვენიანი, თქვენი სითბოთი, და სითბო კიდე იმ სითბოთი რომ, ძმით, ... — მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური,

— არა, — თქვა ქალმა, — რატომა მთლად უცნაური, რაა ამაში ცუდი რომ, მიცვალეულით მაინც სიკეთე, სხვას,

— აჰ, სხვაა არა? ხომ მაინც ნამოცვდათ რომ, სხვაა?

— ეს მანამდეა, სხვა, და ცოტათიც კი ძმისაც იქნება, მერე,

ხან ორსავე მუხლზე ჩაჩოქილა, ხანაც კი — ცალზე, ხან მიუწვებაც დოქს, სატეფარსა თუ ჩონჩხს, ანდაც იმის ჯამს, და სამი თითით, მთავარი თითებით ფუნჯი უკავია, ან ორი თითით — თბილი ლანცეტის ისე ძალიან ცხელა, და ცხელაა, ოფლი ჩამოსდის, თვალში ჯიუტად ეწურება, თავს გაიქნევს და, სცივიანვეთები, თვითონ ხომ მალიმალ კარგა ინვიმება და, ხოლო წვიმა არ უყვარს, წვიმაში შრომა არქეოლოგისთვის არ შეიძლება იმიტომ კი არა რომ არ გაცივდეს, არა — არამედ ტალახზედზელილ სამარხს რამე არ დაუშავდეს, უნდა იჩქაროს სანამ ხვატია, და თუ ჭურჭელია, ფუნჯით ფერებას გადაყოლილა, თუ ჩონჩხია და, ვილაცა სხვისი და მაინც მისია, გასანმენდელად, და თუ ზამთარში მოუწევს ველი, მთლად დაშაშრული მტევან-თითებით იფერებიან-

ბა და გულში ფორტე აქვს, თითებში კი — პიანისსიმო, და ისე ფრთხილად, თიხის ჯამს თუ დოქს რაიმე სულაც არ ატიკნოს და ხოლო როცა ზეზე დადგომას მოისურვილებს, მთელი დღის კუნტი, ელიმება მთლად და თანაცვი სუსტად, როგორღაც თითქმის უღლაჯოდ რადგანაც ისე დაბუყები, ფეხი, სულ ნივილითუჩქეფს,

— ხოლო გლოვაზე ადვილი არაფერიც არ არის,

— რატომ...

— ადვილია და, იმიტომ... თავშეკალება თქვი შენ.

„ვინაა მაინც ამოხერის შენ“, — აღენიშნა ლარისას, თუმც ქალი თითქოს საკუთარ თავს, ეუბნებოდა, და

— ხოლო თუ გონით მსუხარება ცუდი ყოფილა ამას მე ვერ დავიჯერებ, — აღენიშნა აქ ლარისას მხრიდან, — ეს როგორ, ისე გამოდის რომ გონიერ ტვინით დამსუხარება განაოდიტგან ხელნამოსაკრავია როგორც მავანმა და მავანმა ასეთი?

ქალი უმზერდა.

— რა იყო, — შეკრთა ლარისა ოლონდ დროებით, რახანაც თავის ტერიტორიაზედ, იყო, — და მომჩერებინართ, რას, და განა რამე ხომ არ მისვია? მური ან რამე? —

აჰ, ინადითთქმა... —

თანდაყოლილად სპეციალისტის, თან,

არადა, მზერდნენ.

არა, ვერ იყო.

რა ვერ იყო და, დალაგებული, სილამაზეშიმარტო? — რა ყრია,

— და ხოლო რადგან იქა ალბათ ნამდვილად ძალიან კარგია, — კიდევ კარგი რომ, ხმა ამოიღო ისევე იმ ქალმა, მაგრამ

„ისემც ვაგისკდა მინა“, — გაიფიქრა ლარისამ, რადგანაც ვაბრაზებული იყო რადგან სხვადროს ასე არ გაიფიქრებდა,

— და რადგან ალბათ ძალიან ძნელიცაა, და ამიტომაც, ჩვენი თნურაფერს დავუმატებთ რადგან ისედაც ვინ იცის როგორ ვენატრებით, აქეთ,

— მა?!

— კი, და რა დამემართა სირცხვილისაგან, იცით?

— არა?... — გამხნევედა ცოტათიც ლარისა.

ძალიან შემრცხვა, — სირცხვილისაგან.

— სირცხვილისაგან?

„ეს რა, სტყევების თამაშია? — გაიფიქრა ინადთამცოდნე ლარისამ, — აეს... სირცხვილისაგან, შემრცხვა?“

— მერე ვავიხედ-გამოვიხედე და, თურმე ყველასაც, კი. როგორ ვთქვა... გვრცხვოდა... მთელ ჭირისუფლებს... დარცხვენილები ვიყავი,თ,ძალიან. გლოვით.

და თუმც ცოტათი, თუმცაოდნავ, მაინც თავჩაქინდრულივით იყო ნიკაპცამართული მაინც ლარისა, ხოლო ეს მაინც ცოტახნითმაინც, რადგან იკითხა შედარებით იმხზრიაც თავანუელმა ასე:

— და რისი, გლოვისა შეგრცხვათ? მერამდნედ ვთქვა რომ, ვერ დავიჯერებ.

— კი.

— უცნაურია, — თქვა შეუპოვარმა ლარისამ, — ძაან-ძალიან ახლობელზე გლოვა ხომ მაინც ბუნებრივი რომაა? არაა ბუნებრივი? ქალო...

ქალი კი უღიმოდა; უყურებდა კი, — ბუნებრივია? ხომ?


— კი. — თქვა მერე ქალმა, — რაღა თქმა უნდა ჩვენი გლოვა ბუნებრივია, კიც, და თანაც ხომც, და მაგრამ მაინც ამასთანავე გლოვაზე ადვილი ჩვენს ადგილას ხომ არაფერიც არ არის რადგანაც გლოვა, უბრალოდ რომ ვთქვათ, და ასეცაა, თქვენი არ იყოს ისე ძალიან ბუნებრივია რომ ცოტათი ადვილაც რამაა...

ჰა!...ო, ლარისამ.

— რადგანაც გლოვა ჩვენივე გულის მოოხებაა და არა სხვისი, ხოლო ნამდვილ გულს რა მოოხებს,

— რა და, სიმართლე! ესე იგი ბუნებრიობა..., — „ვაი?!“

და აქ, ქალმა, თქვა:



— მიმოიხედეთ, რა ხდება ირგვლივ, ამ გზააბნეულ ახალგაზრდობას ჩვენიყაიდის დემოკრატიით სულაც რომ თავი გავანებოთ არადა ჩვენი მომავალი როგორი თავის გასანებებელია, დაკვირვებხართ, რა ხდება ირგვლივ, პუმანიტარი მეცნიერებიც კი, ერთმანეთს ისე ლანძობენ და მოსათაფლად სულის ინჟინრებად ნოდებული კალმებანი, თუმც არა, ვითომც განვითარებულია საბექდმანქანიანები ხომ მთლად დაერივნენ ერთმანეთს და მაპატიეთ და, სუყოველისფერს ავინებენ, ბევრი გაზეთი ხელშიაც კი არ აიღება არამცთუ ნაკითხვა, თან როგორ გამუდმებით ჩაგვესმის ღვარჭნილი მუსიკა მუსიკა ის არ იყოს არამედ ტვინის ამამღვრეველი, მაპატიეთ და, თხლე, თუმცა ნაბექდი სიტყვაა, კი, და ეს პიროსკოპებით, რა უბედურებაა მინც, და რალაც კიდევ უფრო გამაფრებული კრივები და კარატეები და რალაც ბრძოლები მართლაც წესებგარეში ნამდვილად დროით გაპირუტყვებულების და ხოლო იმათ ჩვენი ასეთადნოდებული სპონსორები განსავითარებლად დაბაზებს უხერხებელ ან სულაც უსინიან და სააბაზანოები და რამე ხოლო მე უბრალო კრივიც ვერ გამიგია რადგანაც ხალხის გასართობად ორმა გინდა სრულიად უცნობმა ტრუსებისამარამ ერთიმეორეს სულაც ერთადერთ ცხვირპირში უნდა დასცხოხ ხოლო ალექსანდრე რეხვი-აშვილისთანა რეჟისორი მთლად უქმადაა ხოლო ვახტანგ რურუსთანას საღებავები უჭირს — („რათ უნდა მიჭირდეს საღებავი“, ლარისამ) — ხოლო თქვენი ძმა თავისთან, უკეთეს ქვეყანაში წაიყვანა ღმერთმა, და თქვენ კი მოგეცათ ბედნიერი საშუალება რომ თქვენს ნაცნობებს, გინდაც შემთხვევითებს მაინც აჩვენოთ თუ რაა ამ ჩვესაქ დროში გაჭირვებაზე მაღლადადგომა..., ნავიდეთ კონცერტზე, ძალიან გთხოვთ, რაა...

„გიჟი ხომ არაა, ოხერი“, გაიფი-

ქრა შეუპოვარმა ლარისამ ასე მაგრამ გადაწყვეტილად „გიჟია ოხერი“-ს, ნაცვლად,

ხოლო მთელი დღით ნამუშევარსა და გადაღლილზე და მოშიებულზე აი ისე რომ, ეე, რომ მეტი ძნელად შეიძლება, დილაადრიან წაუხმესვლად გამდსულმა არქეოლოგმა ერთი რამ საზრდო, თან დრი თავისაგან შემდგარი, იცის, სწევია, და ვერც მიხვდებით, რატონდაც ბევრი ნამუშევლოთ, აბარომელი საკვებია ეს — და გინდ სანატრელად ეს არც დოში არც ბიზილაა არც მეგრული გოჭი თუ ბაჟიანიც ელარე არც იმერული ვარიკა ხაჭაპურიანა თუ კახური დედალი თავიანთური ნივრინყლიანა და არც თვითკუპატრიკი ჩხროწყული და არც სოკო და ზეთისხილი ვისაც ესენი გამორჩევით და მეტადაც უყვარს იმისთვისაც კი და არც რაჭული ლორი და სვანური კუპდარი და არც საცივი და არც ხინკალი ხევსურული და გუდისყველი და არა, ვერა, ვერ გამოიცნობთ... — პური და ხახვი არის ესენი და ხოლო პირველი თავი რამ ანუ პური რაც უფრო ხმელი მით უკეთესი — ჩასაკებწუფრო, ხოლო ხახვივით მისატანი? არ დაიჯეროთ, არარსებობს, და არქეოლოგი, მზეაყოლილი, მზით მღვივი მთელ გრძელ ცხელ დღეს და ახლა კი, — აბა მტერი იქნა მთელ ოცდაოთხსაათს სულ დაყურსული და მუხლებზემდგარი თუ ჩაკუნცხული თუ ჩაკუნტული სულე და — ახლა კი, როგორ ისევე მზის მაღალ წყალობად, რაჩრდილში მჯდარი, პურით და ხახვით იყვინთება და, ისევე გლეხებად ქცეულ მუშებს თუ მჭავეცკი მოაქვთ, და ზედაც კიდე ქოთნით ლობიო ქინძობრაბუშით და კიდევ ზედაც მარილად ყველი კაკლის ფოთლებში გამოხვეული და სუზედაც კიდევ ხელადით ღვინო? — აჰ, ნამეტანი არ მოგვივიდეს, სუფრის განყობამ გინაცფიქრში საღერღელის აშლები იცის, ვიკმაროთ ესეც, ეს რა — ცოტაა?, და მაინცკიდევ, შენაყრებულზე აკლია რალაც,

— აბა? თუ გამოიცნობთ; ვერ, აბა ეს რა და, ოთხ-ხუთ წიქაზე, სოფლის განაპირას, გამოქვაბულში, სადაც რომ არასოდეს წვიმს და მაგრამ ამიტომ ყოველდღეც შრომა, — გინდაც ასეთი, ბედნიერი და, მძიმე, — თავიქუდშია, განაღებულნი, და სულრაღაცა გოჯითშემთვრალზე, — შემადლებულში, სამი ვინმე გლეხი ნამოდგებ და, გამოქვაბულის გლეუვ კედელთან თან ოღროზოსთან რიდით მიდიან, მიდგებიან, ნეტა რა ხდება ისეთი რომ თვალს არიდებენკი მაგრამ თავებს ადებენ ერთმანეთს, და ჯერ საიდუმლოურ ჩქამ-ჩქამურად რაღაც ღიღინით შეითქმებიან, მერე კი, გაიმართებიან, შემართულან და: — მიმი-ნო, მყვან-ნდა, მიიყ-უარდაა, — ეს მწყები შალვა-შალიკოა, სოფლის მთავარი ხმა, მაგრამ მეორეს ამბობს, დედაბოძივით, შვანას — მიი, მიი, ნო, — როგორ პირველზე შეცოცებულა მთლად ახალგაზრდა გლეხი, უშანგი, ბიჭობად ისიც ეყოფა რომ ახალგაზრდა და სოფლიდან კიარ გაქცეულა, ხოლო პაკილო ბანს დაუხეზებათ, ნიკაპი მკერდზე დაუბჯენია: — ოოო, ეე, ეე, ეე, უაა, სხეები მინაზე სხედან, ზედ ხერხემალთან ნელშიფუნჯიან „გეოლოგისტი“ ანა, ვერ დამდებს გვერდზე ახლამაინც ფუნჯს?, გამოქვაბულში, სხვაა მღერა, და მომღერლების უზომოდ მაღლიერები, მაინც თვალს არიდებენ, — ეხამუშებათ ატანილთათვის პირში ცქერა და საესე ჯამში ჩაიცქირებიან, უკრთით სახე იქ, სამი გლეხი კი ახლა მთელი ხმით ამღერდება და გამოქვაბულის კედლებში ისე ღონივრად დატრიალდება მღერამათი? — მონონებული, რადგან იმ სამ გლეხს თვალეები უკვე დაუხუჭავთ, მერე ორს თითქოს გადაუვლით თუ ეგუებიან ოღონდაც მღერას, მთლადჩვენსას, ქართულს, რცხვენინანთ რისა, თვალებს ახელენ და მღერიან ასე, თავმომნონენიც, თუმცაღა თვალეზმოჭუტულნი და, გლეხურასნორა და ოღონდ ისევე?, გამოქვაბულში, ხოლო ერთიც ხმა?

— შალვა-შალიკო არიესა, და სიმღერის მეტი რა უქნია და წაუდენია და მაგრამ მაინც; თვალეზმოჭუტულად ფაქიზოურ-გამნარებული, თვალეზმოჭუტული დგას ისევე, და თან სოფრიდან, ახუ გამწლილი ძველი პრქსიდან მღვლეარებიანაგან მალად შემთხვევით გამოყოლილი ცოტათი ქინძრასაყოლილიც პურიხა ყუა ჩაუბღუჯავს და იმას იმ სოფლის სხვირან რაიმე ინფორმაციებისაუ იშტა არ ჰქონდეს? — არა, თითები უქანკალებს, — მღერს, და ერთხელაც უფრო შეისუნთქავს და: — მა-ამი, მა-ამიკლე-ეს ჩეე-მი მი-მინოო, —

გიქეიფივით, მაგრადალილზე, გამოქვაბულში?.. სადაც რომ ხმები, განსაკუთრებით არიკარგება,

— და ხომ არ გგონიათ რომ მხოლოდ ჩემით მიხვდები ამას, — თქვა უცებ ქალმა, ასე ჯიუტი და, რაღაცას კიდევ სხვისით მიხვდა?, — თქვენ ჩემი ალბათ ცოტა კი გიკვირთ მაგრამ ისაა რომ, იგია, რომ, ეჰ, მე იმასთან რა ვარ, არაფერი,

— ვინ ფრინველია მაინც ასეთი... — აბა რომელი გაკვირვება შეაფერხებს ინადთხვაშიადას, კი,

— და ჩვენ თუ მხოლოდ ძმები გარდაგვიცვალა... — სული მოითქვა, ქალმა,

— როგორ თუ მხოლოდ ძმები,

— შეილი გარდაეცვალა, იმას,

ხოლო ახლა, არქეოლოგებს ფული არ აქვთ იმისათვის რომ — არასწორივით გამოთქმაა მაგრამ მერე რა — რომ გათხრები ანარმოონ და, კარგა ძნელად წარმოსადგენია უსაქმურივით არქეოლოგი, თუმც მიდის სამსახურში, ოთხკედელშუაა, შენობაში და არა ველზე, ბრუნდება მერე სამსახურიდან ვითომც სრულიად დაუღლევი მაგრამ იმის გულში რომ ბზარია? — ეეჰ, უველოსას, ეეჰ, უველოსი,

— როგორღაც ახირებად გავიკითხე რადგან შეილი შეილია და, ოცდაექვსი წლით თურმე უმცროსი, ბევრად მეტია თერთმეტისაზე, ეს, და

რაც გინდა შვილივით გიყვარდეს უმცროსი ძმა თერთმეტი წლისას შვილი ვერ შეგეძინება და რაც არ უნდა გიყვარდეს ძმა, შვილი შვილია, მაინც, და მეტი,

და, რა ქნას იმ ჩაყამებულ კედლე ბშუა ოთხკედელშუურმა არქეოლოგმა, წრიალებს, ნამოდგომისას კი უთენიისას იღვიძებს მაინც, და ველზე გასვლის ნაცვლად, ქუჩაში გასვლისც არა აქვს თავი, თანაც ქუჩებში ჩვენში რაცაა, რაცყრია, ვიცით, და, უპაერობით, უბუნებოდ, უაღმოჩენოდ, იხრჩვება ამაებს მაინც რარიგ და როგორ შეჩვეული, თანაც შრომისაც, კაცი, არადა, ჩვენი გოგიაც ადრე იღვიძებს, აქვს იმასაცხო ერთი, როგორც იტყვიან, პლუსი, რადგან გოგიას ძალიან ძლიერ და თანაც ძაან აინტერესებს თავისი დაბადებისადა შესატყვის ბედის ვარსკვლავის პირობაზედ და მიხედვით თუ როგორ მოიქცეს,

— და მე იმის შვილს თუმცა არ ვიცნობდი, აქებენ, ყველანი, და გინდაც სულ რომ დიდი იმდენი ვერაფერიშვილი ყოფილიყო, ვთქვა კიდევ? შვილი, შვილია, მაინც, აპ-არა, როგორთუ მაინც, ვთქვი მეც რაღა,

ქალი, როგორღაც, იკარგებოდა თითქოს, და ბრუნდებოდა ისევ,

— და აბა რომელი ზედმეტად ჭარბი ცნობისმოყვარე და უარესიც, ჭორიკანა აბა მე ვარ, მაგრამ იმ ქალზე ეს ქალი, ის ქალი, ნამეტანი ხომ არაა (ავტ.).

— გავიკითხე და, იმისი შვილი ადრე გინდ მთლად სრულად ჯანმრთელი ყოფილიყო და ხანდახან კი სვამდა თურმე დღევანდელების პირობაზეც მაგრამ გინდაც ყოფილიყო მთლად ნვეთისაც არდალეული, დაუღვეელი, და უსურდოოც, თურმე სამი სართულით დაბლა ცხოვრობდა, მშობლებზე, ოც-ოცდაორი წლის,

და არქეოლოგი ადგილს ვეღარ პოულობს, ვერ დგას, ვერ ზის და მთლადაც ხომ, ვერწვანა, ბნელში, ხოლო რომელიმე ეს გოგია კი დილაად-

რიან ჯერ არხეინსაა თუ ჯერ სხვისას, სხვა თვეებისას, ვარსკვლავთიდან, ზერულედ ივებს, ვთქვათ, თხისარქისას, ან სასწორისას და ანაც თებში, ხოლო ძალიან ფიციცდება როცა თავისი ბედის ვარსკვლავზე, ტელევიზორის — რომელ ცინფერზე, ცისფერი რას ბიქვია — ფერად ვერანა ვერანყულებისთვის — ვოგია პოროსკობულად მერნყულია ანუ „წყალთ მზიდავი“, ის ზერურა რომ აბაზანათამაზანაგებში ხშირა იცლება როგორც წესია, შემგებადია, და მაინც მულამდლე გინაც ცარიელა მაინც მზიდავია ოლონდაც წყალთა... პო — თუ მორბენალ-სტრიქონთა ეკრანზე და თანაც აისწორედ იმ დღისათვის ჭკეისდამრიგე და გზადდამყენი და იმისი ჯანი ასეთი რამეც მორბენლურად დაინერება: მერნყული — არ არის საჭირო ვინმეზე დიდი ზეგავლენა მოახდინოთ თორემ სირთულეებს წაანყდებით რადგან რაც უფრო მოისვენებთ უფრო დაისვენებთ”,

— მაინც, თურმე, არ გავიდოდა ისე ღამე ორჯერ მაინც არ ჩასულიყო და სალ-სალამათისათვის არ დაეხედა როგორ სუნთქავსო,

არქეოლოგიც, ვითომდაც დიდი ჯანმრთელია, მაგრამ სუნთქევეკრის რომ, ნეტავი იმას რა უშველის, რა და, ის ველი, მაგრამ სადაა, ნუხს, ნუხს კი არადა, განსაცდელშია, იხრჩვება, მართლა, არა შურს იმას სულ არავისი სულარაფერი, ხოლო ვოგია?, — დემოკრატიით ოლონდ ჩვენურით, აპ ისეთ სახლში, ვიპ ისეთ ოთახში, ვუხ ისეთ ტახტრეევანზე მღელვარებისგან ნამომჯდარაც და, მე თქვენ გეტყვი და, კითხვა არ იცის: „მერნყული — დიდი ხმის სურვილს იკმაყოფილებთ, დაიცავით ავტორიტეტი და თქვენი აქტიურობა პიკს მიალწევს თუკი იქნებით გონიერი“, —

„კარგიაპ!“

— და პირველ ხანებში ისე ყოფილა რომ, თუმცა, არაა საჭირო ამის თქმა, ახლა კი, იცით, როგორ იქცევა?

— როგორ... — განაბულიყო ლარისა, რადგან საკუთარი შვილებით შეშინებულს, თავისი ქალ-ვაჟი ედგა თვალნინ, დათუნინ და მაკა,

— ახლა თუ სადმე პანაშვიდია, ის არ გააცდენს, დადის,

— როგორ თუ სადმე...

— უცნობებთანაც, კი,

— უცნობებთანაცო?

— კი, და ამაშია საქმე,

— როგორ თუ საქმე...

ზოგის საქმეცკი იმაშია, მთლად ეხუთება, ეხრჩვება სული, და მით უფრო რომ იმიტომ რომ დაჩვეულიყო ტყე-ღრეში ნანანალს, და მაინც-დამაინც სუფთა ჰაერი კი არა ისე იყო მტვრით და ტალახით შენაბური რომ ქ. თბილისში ჩამოსვლისას ტუალეტისაც იქითამხანაგში ანუ აბაზანაში პირველ შესვლაზე წყალი ორჯერ იჭედებოდა — არქეოლოგთა ზუმრობაა, ეს, — ხოლო გოგია, ბედმა მისცეს და, სულ წყვილ-ორულად ანგურებიან სამსახურამდე წერა-კითხვაში არა მაგრამ, კითხვაში კიიყო: „მერწყული — ფრთხილად იყავით, სამსახურში ცვლილებებია მოსალოდნელი“, — „ეაჰ, რამეს ხოარ მინყობენ პა? აბა რომელი... ვაჰჰ, გვიიასაც ძაან რომოუ ის კარგების“

— რადგან, თავისი აზრით, ამხნევებს, უცნობებსაც კი, და თუმც რატომ თავისი აზრით, ამხნევებს ბევრს, დაინაზავენ და, ვისაც მშობელი გარდაეცვლება, ანდა, ანდაც ჩვენსავით, ძმა, ადამიანი მხნევადია, და მის შემყურეთ, დაუვლით ხოლმე: „აჰ, ამას ხომ მთლადაც შეილი“, და ამხნევებიან, ხოლო შვილებით ახლად დაობლებულებს ხომ, თავზარდაცემულთ, რალა დროს მოლამაზო სიტყვა და, თავზარდაცემულებს, რალაც შორეულ ნუგეშად თუ მხნეობად, მაინც, აი ამას სნამსო, და ნეტავი ასე და ამასავით, ვიყოთო, თუმც ეს გაფიქრება შესაძლოა პირდაპირ კი არა, არამედ შემდგომ, არა, ლარისა? რალაც ვერ ვლაპარაკობ, დალაგებულად

— კი. — თქვა ლარისამ. დაფიქრებულიყო.

სამსახურში კი, რა ეფარა, ხელუბანი აქვთ რომ, ნუთამდე პური და ამდენივე კგ ხაჭო, და ჩაიც ხომ გინდა, მაქარა, რამე სინათლის ფული/წოკოვონ გაბთბო ცოლი და შვილი, შენიანები, ხოლო ბიზნესმენობა - კარგანაგები გოგინდა კი: „მერწყული უზრუნველსავებზეც რადგან ოჯახური პარმონია კარგად დადებით მხარდაჭერას გაძლევთ“, — „აბა რა, კი“; ბისზე მერწყული კი: „და თუმც პრობლემები გაქვთ აგრეთვე ეჭვები განუხებთ რადგან ფიქრობთ ამაღლებულზე“, არამედ, გოგია: „ამაღლებულზეო?.. და მესამე სართულიც ხო არ დავიშენო?“

— ერთხელაც დავინახე, ვასვენებაში ვილაც თვალებდაჭყეტილ გოგონას მაგრამ შევებიანს თავზე გადაუსვა ხელი, აკოცაც, და დიდი ამბავი, რა მოხდა, რადგან შეეების გამო იქაურ ჭირისულაღში შეეშალა, მაგრამ იმან ჯერ დაბნეულმა ვერაფერი უთხრა მერე კი თუმც თბილი გულით ნაკოცნმა მაგრამ მაინც არ ვიცი რად და თავისიამაყით გაღიზიანებული დაეკითხა რომ თუ შეიძლება დეს გამაგებინეთ რომელი ხართ ვერ გიცანითო, უკარებლობით უთხრა ძალიან ეს, ძლიერ ქედმაღლურად, და მერე ვინ ვის, უზრდელი, ოხერი, ეს კიდე, ჩვენი, ჯერ თითქოს შეცბა, მერე კი მიუგო არა, არავინ, არავინ ვარო, გესმით, ლარისა,

— როგორ არ მესმის, — თქვა ლარისამ, და მაგრამ მაინც გაიფიქრა, — „აბა რა სიტყვებია უზრდელი, ოხერი... უზრდელი“...

და ველზე თავისითაც კი ნავიდოდა, უმუშებოდაც, მხოლოდ თავისით მოჩიქნიდა შედგომილ საქმეს, მაგრამ გზის ფულიც აღარა აქვს, მატარებლადდა კი არა და, ტროლეიბუსში ვეღარ ჯდება, ფინანსისტებო დომკრატისავ, სალოლაფერუმ, თქვენ, ხოლო გოგიას ეწვეებოდა რომ „იმედგაცრუებამ არ უნდა შეგი-

პყროთ რადგან ემოციურად დატვირთული დღეები გაქვთ და სინდისი დაგქეზვნით თუ მოვალეობას თავს აარიდებთ და ამიტომ იყავით მობილჩიზებული ფორმით" — „არა, კაცო, რას გავეყრები“.

— არავინ ვარო იმ კუდაბზიკა გუგოსისაზე რომ, ნეტა ვინ ხართო, მაგრამ თვალეში ისე მოსდგომოდა ცრემლი, გული მეტკინა კი არა, მთლად მომენურა, მაშინ... მე კარგად მახსოვს სადღაც ადრევე გაგონილი რომ ადამიანის ტვინი ადამიანის გულამდე თურმე მხოლოდ მეთადვით აღწევს თუ მეასედს აწვდის რაც შეემთხვევა ხოლო დიდ ნაწილს თავისთვის ინახავს, და კიბატონო, ჰქონდეს, მაგრამ გული კი, გული, ალბათ, ალბათ კი არა დარწმუნებული ვარ რომ თავისითაც ბუნდოვნად მაინც მომწოდებელია ვერგაგებული რალაცეებისაც, რადგანაც, ხოლო გული, სცემს და სისხლს გვიელის მთელ ჩვენ სხეულში არა, ლარისა? ვერ ავხსენი, ხომ...

— კი, არა რატომ...

— და მაგრამ მხოლოდ ასე, მხოლოდ პანაშვიდებსა და გასვენებებზე კი არ დადის, არამედ კინოც გინდა თუ თეატრი გინდა, ოპერა, კონცერტი, კავენიც კი,

„მერწყული — მხარდაჭერა და ზრუნვა გჭირდებათ, დიდ ყურადღებას და გაგებას საჭიროებთ რათა უკეთესად იგრძნოთ თავი ხოლო მეგობრებთან ისაუბრეთ ხელოვნებაზე“ — „ლარისა, მეშენი“... ხოლო გაგრძელებად აღარ იცოდა აქ რალა ეთქვა, თუმცა საერთოდ იცოდა, კი, საერთო მარაგში იცოდა, კი, გინებაურნი,

— და სხეებსაც მუდამ ეპატივება, ასე ვთქვათ, კულტურულ ღონისძიებებზე, ერთ რეკვამია, თურმე, დილაადრიან, სულ,

— ეგებ, ძანაც ელხინ... — წამოიწყა ასე ლარისამ და კიდევ კარგი, იქვე მოიკვნიტა ტუჩი,

— და რამდენადაც ვიცო, — დაკარგულიყო, ისევე, — დიდად არ

უღბინს, მაგრამ სულ ჟურნალ გაზეთების გამომწერაშია, თღონდაც შედარებით არაუკმეზუნის, ბევრ რამეს იკლებს თურმე, და მაგრამ სამაგიეროდ დადის კარდაკარ და გაზეთებს და ჟურნალებს ურჩევს პეერს, შვილთაინებსაც, ძმიანებსაც, თუ იცით რატომ?

— არა!

— გამხმევეებისათვის. და გული რომ გადააყრონ. ხოლო ამჩვენს ძნელ დროში...

„ძნელი არა ის“... — გაიფიქრა ლარისამ, რადგანაც ხოლო — გიორგი ნილებში იყო,

— ფიქრობენ რადგანაც, ეს-ესა ქალი, თავისისთანა გაჭირვებაში, მაინც კი როგორ მაგრამ ასეაო და, ჩვენ კიდევ, აბა, რა გვიჭირსო და, ედებათ გულზე,

— რა ედებათ...

— რა და, მადლი, და უღიმიან, ერთმანეთს,

— და იმას მაშინ რა უჭირს, თუკი ელიმილება,

— არა, თქვენ რომ გგონიათ, ისე არაა, იმისი ღიმილი სხვაა, მაინც სულ სხვაა,

ხოლო რაც გინდად კუთვნილ საქმეს გადაყოლილი არქეოლოგი იყვე, შვილის დაკარგვა, ველისკარგვაზე, მწარეა უფრო და ვთქვით ჩვენც რალა,

— იცით, ლარისა, დოკუმენტური ფილმები გაცილებით მოქმედებს ჩემზე, და თურმე ასეცაა მაინცდამაინც ჩაპლინი და ეიზენშტეინი და ფელინი თუ არაა მოსარევი, რადგან მხატვრული ფილმი როგორც წესი ცვდება ხოლმე თურმე დაბადებისას, რაგინდაც მაგრად დაიქუხოს, დოკუმენტური კი, რაც დრო გადის, მეტ ფასს იძენს და ერთხელ კი, ლარისა, ისეთი დოკუმენტური ფილმი ვნახე, რომ რა დამავინყებს, არასოდეს დამავინყდება, და დროც, იმისთვის, რა... პირიქით, მუდამ იქნება, რადგან ყოველთვის საჭიროა, და, მით უმეტეს, ჩვენთვის,

- ვინ ჩვენთვის...
- გაჭირვებაში, ამ,
- რა იყო ასეთი...

— თურმე ტოკიოში თვითმფრინავი დამჯდარიყო უნდა და მაგრამ შასი არ ეშლებოდა, თვითმფრინავში კი დოკუმენტური მასალების შემგროვებელი ოპერატორი... გრძლად ვთქვი მაგრამაც ვლელავ, თუმცა ღელვისას სიტყვებს ყლაპავენ, და ესე იგი უფრო ვლელავ რადგანაც არაბუნებრივად ვლელავ და ვლაპარაკობ, მოკლედ ამ განხრის დოკუმენტალისტ-ოპერატორიც მჯდარა და, მოგეხსენებათ, პროფესიონალიზმი, „კი. გიორგი აკი ბიზნესმენია“,

— და, ამოულია კამერა და, ეგებ კამერა მაინც გადარჩესო, და გადაულია მაგრამ რა გადაულია, რა, რა და მგზავრების სახეები, მაგრამ სახეები კი არა, მოგეხსენებათ იაპონელები თავშეკავებული ხალხია მაგრამ თვალწინა სიკვდილი მაინც სხვაა და ზოგს ისტერიკამდეც კი აის მოსულია, რა წართმეული სახეები ედოთ სუყველას, ერთი დედალა იჯდა გაქვავებული, წლისაც კი არა ბავშვით ხელებში და გულზე როგორ მიხუტებულს მხოლოდ იმასლა დასცქეროდა უხამხამოდ თუ რას ეძახიან და ჯერ მხოლოდ ერთიწლისიც ვერ, უყვარდა შვილი ისე ძალიან რომ როგორ ამკარად ეტყობოდა მხოლოდ მასზე რომ ფიქრობდა მხოლოდ და არა საკუთარ თავზე და ოცდაორისა ხომ, რამდენად მეტად შეგიყვარდება და შეეჩვევი ნამობით, წლობით თუმც შვილის შეჩვევა ბედნიერების დროსაც ალბათ ვერ შეიძლება, მეტი რამაა რადგან, ბედნიერება ვიდრე, რადგან ყოველთვის მეტი გინდა მისთვის, რალაცა ისე მეტი რომ თვითონაც სულაც ვერ იცი და ხოლო განწირულს რომ დასცქერი, შეჩვეულზემეტს...

„თქვენი სულიერი სიმადლით ყველას აოცებთ, თუმცა ფიზიკური მომზიბლაობაც დამაკმაყოფილებელი გაქვთ“,

„სემც!“ — ხმამაღლა ვაიფიქრა გოგამ, ჰოივე, გოგიავე, ესე უბედურ მარის-მარსკვლავზე დაბადებულს, შექმნილს შენა „სემც!“ო, ჰხედავთ?, ჩუმჩუმდღურად აკი ჩვეყვალამ აკივე ვიცით ჩვენ-ჩვენი ნაკლი თან ეს გოგია ასე ავტოდ-პირშითმელოძისათვის, სომ მარტოც იყო, ტახტკვანზე, კი,

მაგრამ მეტს აღარ გადავუთქვე, დამ სასწრაფეთილ, გასტყდურებულ ხალხში, ერთადერთიდა იაპონელი სტიუარდესა მიმოდიოდა მსუბუქად ისე, და რიგრიგობით თუ ვის როგორ წამოუვლიდა და უჭირდა იმისაკენ, სიძნელისაკენ მიიჩქაროდა მანუგეშებლად და ამშვიდებდა, არადა მფრინავი დიდხანს, იქამდე ცდილობდა შასის გაშლას სანამ სანვაკი საბოლოოდ გამოეუღოდა, დღისით იყო ეს, და თვითმფრინავის მრგვალი სარკმლიდან გადაულია დიდი სახანძრო მანქანებიც, მუცელზე დაჯდომით აალებული თვითმფრინავი ხახუნისაგან ეგრევე რომ არ აფეთქებულიყო და დამწვარიყო და ასხურებდნენ იქაურობას წყალს და თუნდა ამითაც ხედებოდა ყველა რომ ილუბებოდნენ და თანაც დაწვით და რომ ბევრადაც მოსალოდნელი იყო ეს ვიდრე გადარჩენა, და სახეები იფა ან ხტოდა აჰ მტრისას, არა, არავისას, აი ისეთი, იქ, ის კი, ერთადერთი, აის მართლაცდა მზგოდა უშიშარი სტიუარდესა კი, როგორი ღიმილით, მომლიმარი ლალად, კეთილად როგორ, დაცქრიანლებდა და ამშვიდებდა ყველას, როგორ მაგალითს ურიგებდა, სხვებს, თანაც ლამაზი გოგონა იყო, აი ისეთიც იაპონელი როგორლაც კარგ იტალიელსაც რომ უახლოვდება და თან ცხვირ-აბზეკილი, როგორლაც ბავშვი, თან ღიმილისას — ლოყებზე ფოსო, როგორ ძალიან საყვარელი რადგანაც — გმირი, და, რაც მთავარი, ღიმილიმისი, ღიმილი რომ, ღიმილი ისეთიი,

— იმას რალა უჭირდა თუკი გამძ-

ლეობა და ნუბისყოფა ქონია ისეთი და თუკი ეღიმილებოდა, მაგრამობიარეებმა ვიკითხოთ,

— და როგორღაც რომ ბოლოსდაბოლოს

— მაცალეთ!!! მე ვიტყვი! მე ვიცი, როგორც დამთავრდებოდა ეს ამბავი!

— იცი? აბა როგორ...

— სუყველაფერი მშვიდობიანად გადარჩებოდა და კარგად დამთავრდებოდა. როგორც ზღაპრებში,

— არა.

— აბა?!

— და რომ როგორღაც მაინც მშვიდობიანად დამჯდარა და შეჩერებულია თვითმფრინავი, გადაღებული იყო ესეც, და კინოოპერატორი ალბათ კართან ახლოს იჯდა რადგან დიდი ნაწილი ხალხისა როგორ ჩამოდიოდა, ჩანდა, ჩამოდიოდნენ აჩქარებით, გამალებულები, ხოლო ზოგი კი სულაც გადმორბოდა სამიშ თვითმფრინავს რაც შეიძლება სწრაფად რომ გასცლოდნენ, და მიუხედავად გადატანილი ასე სასტიკი ზეგანგაშისა, თავისი ფეხით ჩამოდიოდა სუყველა, ყველა, გარდა ერთისა. საკაცეთი გადმოიტანეს. აბა თუ იცით, ვინ.

— რა ცოდნა უნდა. ალბათ დედა.

— არა. მიუხედავად იმისა რომ დედას ბევრი ხელი გაუნოდეს მაგრამ იმან კი არავის დაუთმო ბავშვი. და მანქანაშიც თავისით ჩაჯდა.

— აბა?

— სტიუარდესა.

— რა?

— კი. იმას, ღიმილი, დაუჯდა ასე, ჰჰ, ი, ჰ, ჰ, — ატირდა ქალი, — იმ დროს... ღიმი, ღი...

ქალი ტიროდა, ლაპარაკობდა ძლივს, გაკვირებული მიჩერებოდა ლარისა, ცერცვაძე.

— ასეთი ა, რის, ლა, რი, ლარისა, უბედურ ჰ, კი, ებისას ღიმი, ლისფასი. და მე რომ, თქვენ, რომ, ალ-ბათ მაგა, რი გგონი, ვართ, არა-ჰ?! სად დამეკარგა, ცხვირსა, ხოცი, არა, სუ-

სტი ვარ, და მაგრამ, მაინც ვიცი, მე, ბი, და ეს როგორ-რიღვ გამა, ნე-ვება იყო თქვენი ეს მაგრამ თქვენ რომ გენახათ, საკაციდან, ცალხელი რო, გორ, ჩამოკიდნოდა,

— დანყნარდით, დანყნარდით, — მამოდგა ლარისა, უსუსუბებული, ისიც, თავის ეზო-კარში, სხვით,

მერწყული — ხოლო სალაძობს რასასო-რულისათვის, ათეილსამოფ-ლებთან სრული პარმონია დაგიმყარდებათ", — „ვაპ, მართლა? — გაიფიქრა გოგამ, — კარგია. მაგრამ პარმონია რაარი?", „და ძლიერ მხარდამჭერებს გაიჩენთ", — „ისემც... — კვლავ გაიფიქრა ფიქრებიანმა გოგამ ოლონდაც სუსტათ, — რის მხარდაჭერა, გაღლებახუა ყველა",

ხოლო თუ ყოფილ არქეოლოგსაც აღარ ჰყავს შვილი, — აქ..., — ბევრად ძნელია, ხოლო ყველაზე ძალიან ძნელი არქეოლოგი შლიმანი იყო რომელმაცა რომ აემ შლიმანმა იპოვა ტროა და თანაც ვისით, პომეროსით, ხოლო შლიმანზედაც კი მეტი არქეოლოგები ის პომეროსი, რუსთაველი და დანტე და სერვანტესი და შექსპირი და ასე შემდეგ, უფრო სწორად კი და ასე აქეთ, იყვნენ, გვაპო-ლობდნენ და, სიკეთისათვის, გვაკეთებდნენ სხვებს,

— მაპატიეთ და, ქალბატონო ლარისა, მე ახლა წაეალ, თორემ ასე რომ შეგანუხეთ, რაგამო, ვიდა, მაგრამ დანყნარდით, თქვენც, გადამივლის, სადაა ახლა ჩემიც ვანიკო, და არა ვანო, განგებ ვეძახი აი ასე, რომ, ვანო-მეთქი, მართლა ვანიკოს ვეძახდი ადრე მაგრამ იქ ალბათ უფრო რთულია და სულაც ეგებ შეიძლება იოვანე და ივანე იყვეს და ამიტომ კი, აქაც, კო-დავაკელი, ახლავე წაეალ, მაგრამ ასე ატირებული არ მინდა დაგრჩეთ, თვალსა და გულში, ხომ არ გადაყური წყალში სუყველაფერს ამ როგორ ძალიან სუსტი ცრემლების ბუნებრიობით, გამო..., თან, ხერხებიც მაქვს, გაინტერესებთ?, თუნდ ის რომ რაიმე

კარგს გავიხსენებ და, ჰო მართლა, ამაზე კარგი რა უნდა გავიხსენო და ახლავე გეტყვი რომ ჩემი ოპერით და კონცერტებით, მამა ილია, ძმისაგს მეძახის, — ისევე, კეთილად, ილიმებოდა, და ულიმოდაც, ქალი, — ხოლო მე ძმისაგს მე მგონი როგორღაც კარგი, და ფართო გაგებით მეძახის რადგანაც მე მგონი, ფართოდ, ანუ ყველასათვის, ძმისაგ, ო, ასე მინოდებს, ხათრიანობით, მეუბნება,

— ასე ნუ გახვალთ,

— არა, რა უშავს... ტუშები მე არ დამდინდება, — და, გაეცინაც, — ოპერებსავით, მრავლობითში ვიხმარე ტუში... ტაშებიცაა, იქ... არ დამდინდება,

— მაინც...

— და ახლა რომ ვტიროდი, ეგ არაფერი, ტაშებშიანებშიც, ვივლი, რაღაც ანცურად, ილიმებოდა, თვალთმაქცი იყო? —

არა,

რაღაც გვიანი ბავშვივით, იყო, მუდამ კარგია, ეს,

— და მაგრამ, მაინც, გინდ მხოლოდ გარეგნულად, და მაინც უნდა ვიყოთ,

— როგორ თუ ვიყოთ... როგორი ვიყოთ,

— ერთიმეორით. — უთხრა ქალმა, — გაჭირვებაში. ამ.

ქალი რომ წავიდა, ლარისა ერთხანს ღია ტიშკართან იდგა, დაფიქრებული.

მერე დაკეტა კარი ერთზე, მეორეზე, მესამეზე, მაგრამ ამასმხოლოდ უნებურად სწადიოდა შერი გადადგაქარგობიანაკენ ფეხი. და ვერც ამჩნევდა, დაფიქრებული ჩამოყრდი ხილზე რომ აბიჯებდა. და მხოლოდ როცა მომელღამე წამთვალდნილ ნაყოფზე ცოტაოდენ შეუფერხდა და დაუცდა, ფეხი, მერეღა შეიცხადა:

და ხილიც რომ არ შესთავაზა! —

!!

რა იცი,

ეგებ მშიერიც,


იყო!

რადგან ფერმკრთალი...

5.

და ხოლო რადგან უცებ და ერთბაშად ჩვეულებრივ და ძირითადად არაფერი ხდება, ლარისა ცერცვაძე ამის მომდევნო დღეებში როგორღაც გამომუშავებულობისდა მიხედვით თუმც ძველებურად დადიოდა კვლავაც ამაყადსავით თავჩაქინდრული და მგლოვიარე, და რა იცი ეგებ მაგრამაც, ხოლო ეგებად დამწყებად მეტეხიც ქალი, ოლონდაც სწორი, და მაინც რაღაც სხვაგვარად დაიარებოდა, რადგან აშკარად არა მაგრამ აფიშებისკენ მაინც აპარებდა თვალს.

ივლისი — დეკემბერი, 1998 წელი, თბილისი, დი (საფრანგეთშია), და ისევე თბილისი





მერიანი ბიბლიოთეკა

●
ის წამი,
როცა სიყვარული შეაცდინეს,
გადაიქცა უმთვარო ღამედ...

ალარ გაისმის
ვღელ გვიანი მკნატრის-ლილინი...
ჩამოწვა ღამე
უწარსებლავებო...

აქ ფრინველებიც დაღუძნენ და
ჭირნახი მდინარეც დადგა...

1998

ის ხმა

შხამიანი სტრიქონები:
შენგან მოწვედილი მწარე ღვინო...

ცალკე, წმინდა წყაროსთვისაც,
მღვრიე მდინარეს ის არ ერევა...

გულს რომ შეუხავს,
თვალეებს რომ ხანს,
რომ გახედებს შავ ლაბირინთში,
სადაც გაისმის სამყაროთა ძახილის
ექო...
ამ გუგუნში
ერთი ხმაც ისმის

ის ხმა მეძახის დღე და ღამე.
შენკენ მეძახის...
ის მეძახის განუწყვეტლივ...
ის მეძახის ძილიანი წელიწადია!

1998

●
გაუნაწილე სიტყვებს წვეთები,
გაუყავ საღვთო სამოსელივით:
შენი იმედი, შენი ფეთება,
შუბლი, ეკლებით ჩამოსერილი,
გაუნაწილე ბოლო წუთები,

ფიქრი, ღრუბელზე მაღლა ნაფრენი...
ცრემლი, ჩაშლილი ცის
წვეთებივით...
სხვა აღარ დაგრჩა აღარაფერი!

1998

წარღვევის წინ

წარღვევის წინ
შენი საფლავე ისეა,
როგორც სარეანიმაციო საწოლი...

თაობიდან თაობას რომ გადაეცემა
სიტყვა, საღვთო სახსოვარივით...

შენ ის სიტყვები გაგკურნავენ,
აქ რომ ითქვა
იმ შორეულ დავიწყებაში...

წარღვევის წინ
საფლავეები იშმუშნებიან...

წარღვევის წინ
დედამიწა ამოქნარებს...

ის სიტყვები ამოიტიფრა
ცოცხლების და მიცვალებულების
გულეებზე:
ყველამ თანაბრად დაისაკუთრა...

წარღვევის წინ
ელავს იმედის მზეში
სიტყვა, გულზე ამოკვეთილი...

1998

●
 შენი ფიქრი მოულოდნელად
 ფურცელზე აღმოაჩენს თავისთავს,
 აჭრულებულს პოეზიის
 სამკაულებით...

და ევიწროება
 ათმარცვლიანი ლექსის კუბო...
 და მოსწყურდება პაერი,
 რაც ფურცლებს შორის საერთოდ არ
 არის...
 და რითმებში ჩაბეტონებული
 ბაკეებით
 წამოყვირებას დააპირებს...

მკვრამ ბაგეს სხვა სიტყვების ქვიშა
 აუვსებს
 და, პირამოქოლილი,
 და, ბედსმინდობილი,

●
 ის თავისთავს სიკვდილში გაექცა...
 დაივიწყა, რომ ოდესღაც ამ ქალაქში
 დადიოდა:
 თვალბსველი და
 ჯიბეებამოფხვილი...

მარტო იმისი სახელი დარჩა
 აქ: გაცვეთილ მოსასხამივით...

დაგვიღ ქუნებში იმას ქარი
 დააფრიალებს:
 ხან ხის ტოტებს წამოსდებს,
 ხანაც კედლებს მიაწებებს,

ბნელში დაუცდის ის მომენტის
 საუკუნეებს,

როცა ეს ფურცლები
 ვინმე მავანს გაახსენდება
 და გადაშლის
 დაყვებს შორის ჭაერს შეუშვებს,
 და ამოქეცილ ბაგეს გაუხსნის
 სულ პირველად ჟამთა გმინვა რომ
 აღმოხდება,
 ხოლო შეიძლე, შესაძლოა,
 რაღაც თავისთავზეც წამოიყებლოს...
 შესაძლოა თავისი დარდი
 იმასაც გადასდოს...
 და იმან, შეიძლება, ფურცლები
 კიდევ გადაშალოს,

კიდევ და კიდევ...
 და ფურცლებს შორის ყოველდღე
 პაერი შეუშვას...
 და ყოველდღე მოისმინოს
 მივიწყებული ჟამთა ქეთინი...

1998

ხან მანქანის მინას მიახლის...
 უპატრონო გვარსახელი,
 მოთმინებით
 თავის წილბეუდრ დაეიწყებას რომ
 ელოდება...

ხოლო დაეიწყება იგვიანებს...
 ხოლო დაეიწყება არა და არ მოდის...

ქალაქის ჭორიბვეტიები იმაზე
 ამბობენ:
 დაეიწყებას დაეიწყდაო...

1998

დილის ყარალი

გულიდან ღამეს ამოიყვან
 და გარეთ,
 საყოველთაო ღამეში გაუშვებ...

და, შემსუბუქებული,
 და, ღამეგამოვლილი,
 დილას წინ გადაუდგები,
 მზის ნაწნავებს ართმევე

და ხარბადა სკამ
 იმის სურნელს,
 იმის ცვარ-ნამს
 იმის სინათლეს
 იმ ყარალივით, ციხიდან რომ
 გამოიპარა...

1998

ქალი და მდინარე

და მდინარე ცელქობას იწყებს,
როცა იმის ცახე გადაზნექილი
ხიდიდან
გადმოდგება შხენასვამი
მანდილოსანი
და თავის საიდუმლოს მდინარეს
გაანდობს...

თავის ილღიებში შეახედებს,
უცხო აღვილებს დააზებირებინებს...
და, შესაძლოა, თავისი ტანი,
ქათქათა და შიშველი,
სულაც წყალს აჩუქოს...
და მდინარე ქალაქზე რომ
ჩამოატარებს,

კაცების თვალები
იწყებენ მდინარეში გადახტომას...
და აივსება მდინარე
თუფლი სტუგებით...
შერე თვალისგუგუქს თუქზები
შუჭამენ...
ხოლო ქალის ქათქათა ღანდი
ნაპირზე გამოვია და წყალს
დაიწურავს...
და წყალი გახდება თეთრი,
როგორც ირმის ნახტომი უმთვარო
ლაქეში...

1998

●
ფანჯრიდან ხელს გადმოყოფს
გაზაფხული:
იმის
ხელისგულზე
ბალახის ცვარნაძი კიაფობს...

იმის ხელისგულზე
ყვავილები ყელყელაობენ...

იმის ხელისგულზე,
როგორც სარკეში,
ჩვენი ღანდები ირეკლებიან...

ყვავილების სურნელით
გაქლენთილებს
გაზაფხულის თბილი ხელი
გვაერთიანებს
ჯაღოსნური ცეცხლის გარშემო...
და მივეყვართ,
და მივეყვართ,
და მივეყვართ გულუბისაკენ:
იქ უნდა შევსვათ
შავი ღვინო,
დიონისეს ხელით მოწვედილი...

1998

●
დღე იყო,
როგორც შავი ფურცელი,
ამონახვეი ღამის წიგნიდან...
იმ დღეს იყო:
თეთრ მინდორზე გადაგდებული
ობოლი სიტყვის სიბრალულმა
თვალები რომ მოვიწყლიანა...
იმ დღეს იყო:
სიზმრებიდან გამოქცეულ
სტრიქონებს რომ ვერ მოუარე...

თვალზე ცრემლი ვერ მოსწმინდე,
ავი დარდი ვერ გაუნეღე...
იმ დღეს იყო:
ლექსის ღმერთს რომ ზურგი აქციე,
გული სხვა ცეცხლს მოუშვირე,
სხვა წყურველის ხანჯლით
დაღარე...
დღე იყო,
როგორც შავი ფურცელი...

1998


ტყე და კაცი

ტყეს მოუძღვება კაცი მინდორზე:
ტყეს სამოსახლო მიწებს ურიგებს...

სადაც ხეს დარგავს,
იქ ჩრდილების ტბორს ვამკამებს...

და, სადაც კი ხელს დაადებს,
მიწა მწვანდება...

სადაც ტყე ცხოვრობს,
იქ ჩიტები სიმღერებს წერენ...



ლოთაბი

ლოთებმა დალიეს
ჭიქებში ჩასხმული ცა...

ქონრებს უწეწს
გადამფრენი ფრინველების
ქივილხივილი...

და იმის მერე
სულ სხვანაირ სიზმრებს ხედავენ...

და იმის მერე
მათი თვალები
თბილმა ღრუბლებმა დაისაკუთრეს...
1998

და იმის მერე
მათ ღამეებს

●
იწვის აგვისტოს მზის აგონია,
ქარი ჩაუქრის ტყეებს ქორივით.
სიზმრების გუბე ცას მოგაგონებს:
უვარსკვლავოა კუპრის მორევი.

იქა დგას, სულში ვინც ჩაგაფურთხა,
ლანდი პირშავი, როგორც ვირდევი.

არის აჩრდილთა შავი კურთხევა.
მოგაჩვენებენ ეკალს ვარდივით...

აქ შენი სიტყვა დარდს დააგუბებს
და გადაბწკალავს გულებს
ჭორივით...
დაგფარავს სიზმრის ცა, უპირქუბო,
უვარსკვლავებო კუპრის მორევი...
1998

მოდი, თუნდაც...

მოდი,
თუნდაც ღატაკთა დღე დავარქვით ამ
დღეს,

როცა შენს თავს
მომჭირნეობის გაკვეთილს უტარებ...

როცა ცარიელი ვიბე ამოგმახის
საზარელ სიტყვებს
და შემზარავ სიმართლეს გაძალებს...

გამოვიჩინოთ გულმოწყალება,
მოდი,
თუნდაც ღატაკთა დღე დავარქვით ამ
დღეს...

და, ცხოვრებაზე ხელნაქნეული,

1998


●
ეს ერთი სიტყვაც შემოვირივე,
ტყეში გასული, როგორც ყანალი...

ემასლათობთ...

მოვიპატივე ჭიქა ღვინოზე:
ტაბლასთან ვსხედვართ და

როგორც სიზმარი ცისიქითური,
ჯამებში ღვინო ისე კამკამებს...

1998



● გაზაფხულზე აყვავდა სიმღერა:
ფურცელზე ცვივა იმისი ჯადოსნური
ფიფქი...

და
ფურცელმა ენა ამოიღვა,
და

ფურცელი სწაქლობს საუბარს,
და
ფურცელი იფოთლება...
და
ფურცელი ვეხება სისარკულეთ,

და
ფურცელი ძაღლდება ცისკენ...

● მტერი მეც ისე უნდა შეკაფა,
როგორც შენ კაფე... უნდა მეთელა...
მაგრამ წინ დამხვდა ლანდი,
ჭრელკაბა,
ღარდი, მთასაკით ვეებერთელა...
და სულ სხვა მხარეს გადამიბირა,

ხმლით ვერ შევები ცხოვრების ავ
სუნს...

ზოგჯერ ამიტანს გულის ბიბინი:
შემრცხვება, შენ რომ ვერ
დაგემსგავსე!

1998

რატომ

რატომ

რატომ

რატომ

რატომ

რატომ

რატომ

რატომ რატომ რატომ რატომ რატომ

რატომ რატომ რატომ რატომ რატომ

რატომ რატომ რატომ რატომ რატომ

რატომ

რატომ

რატომ

რატომ


რატომ

მიმატოვე

?

●
 კალაში დაიღალა.
 კალაში ველარ უძლებს სიტყვების
 კენესას,
 იმათ დარდებს,
 იმათ ტირილს დაუსრულებელს...
 მოსწყინდა უმიზნო ხეტიალი:
 სიტყვებისთვის გზების გაღორღვა...
 აღარც ის ხმა აქვს.

გრილ ფურცელზე შეხებოსას რომ
 გამოსცემდა:
 მიწაზე ბარის უეცარ დაკვრასავით...
 კალაში დაიღალა.
 კალაში დაბერდა...
 კალაში გაუცვდა თითისწვერები...
 და აქედან მელნის ნაცვლად
 მოწყვეტავს სისხლი...



ტუსალი

ნუ შკითხავ, რამე თუ ზღედა, უფრო
 გულის მზარავი და წამწყმედელი...
 როცა გარშემო ბოროტი უფლობს,
 გერჩიოს ციხის ოთხი კედელი:
 იქ შეეყრები წყვლიადის ჯიგრებს
 და პოლიტიკის ტურებს,
 მწვალელებებს,
 გულცივ კილურებს, ვინც დანას
 იქნევს
 და ტყვიას ისვრის, დაუნანებელს...
 იქ სხვა ჰაერი დაგიღრღნის ფილტვებს
 და შხამს შეგასმევს თასით,
 უშურველს...

შენს მტრებს, დალილებს უიღბლო
 ფლირტით,
 ის აუზღედა, რაც შენ უსურვე:
 ნაჯიბგირალებს და ნაბოზარებს
 დრო უდროობის კარტებს გადურევს,
 დამე იქნება მათი მოზარე
 და ღამის მნათი, მეყელფანდურე...
 შენ კი იჯექი: წამები თვალე,
 კიდევ მიმწუხრი, ბინდი, დაისი...
 შავ ღამეებში ამოვა მთვარე
 და გისოსებზე გულს გადაიხსნის...


1996

გზაღაგზა

შენ გაიარე გზანი იწრონი:
 კიდევ ევნე და კიდევ მიჰქარე...
 გზას გულს ურევდი: ის თავს
 იწონებს,
 როცა იშორებს შენს ნაწლიქარებს.
 აქრობდი სურვილს. მაინც ბოლავდა.
 გფლეთდა, გზარავდა დროის სურათი.
 შენი საპალნე ზიდე ბოლომდე.

ანუ სამყაროს დასასრულამდე...
 აწ კიდევ დარჩა ცის ხეივანი
 და ღამისფერი გზანი იწრონი:
 კიდევაც სიმწრის ოფლს
 განთხევიანებს,
 ეგ შენი ბარგი იმდენს იწონის!

1996



ეროვნული შპება ბიბლიოთეკა

შენ მიუსაჯე ეს სატანჯველი საკუთარ სულს და სხეულს საკუთარს და მოიხადე მკაცრი სასჯელი (სხვა ნეტარება მარტვილს არც უნდა): ციხე ააგე მარტოობისა მწირ უდაბნოში დაღლილ სულისთვის, როდესაც მიხვდი, რომ ნიღბიანთა გარს ლეგიონი გერთყა ურიცხვი, ყალბად მბრწყინავი გვირგვინით როცა იმ ლეგიონის მოძმედ გაკურთხეს — შენ მიუსაჯე ეს სატანჯველი მაშინ სულსა და სხეულს საკუთარს.

როცა დიდების ციხეა ციმციმმა ვერცხლის მწვერვალზე კერპით შეგსვა, ყინულის ცეცხლი გაბრწყინდა გულში და შენი სითბოც ვინულმა შესვა, ტყვიებით დათხრილ ფრესკის თვალებში სინათლის წვეთიც არ დარჩა

ხოლო ბავშვობის ფერნამქრალ მინდვრებს წყევლა კი არა, სწყუროდათ ლოცვა, — შენ დაუბრუნე ტკივილის ნიჭი ფრთებჩამოშხვრეულ ცხოვრებას შენსას და შენი ცრემლი უკაცრიელმა, მკვდარმა უდაბნომ წყალივით შესვა.

მაშინ, ჰო, მაშინ! — ფარისეველმა როდესაც თავის მოძმედ გაკურთხა, ხოლო ბოგანომ და მათხოვარმა დათხრილ თვალებში შემოგაფურთხა! — ციხე ააგე სინანულისა, რომ გეარსება მხოლოდ სულისთვის, და აცოცხლებდა მკვდრისფერ უდაბნოს მთელი ცხოვრება ცრემლი ურიცხვი.

თვით მიუსაჯე ეს სატანჯველი საკუთარ სულს და სხეულს საკუთარს და შევბად იქცა შენთვის სასჯელი: ცით დაგცქეროდა ღმერთი სათუთად...

1981



ბედად მარგუნე ერთგულება — აგრე ლამაზი, აგრე ჩუმი... ეს კი, ეს მკაცრი სიმარტოვე, ველარ ვიხსენებ, როდის გთხოვე!.. მოვქსოვე სიმარტოვისაგან ჩემთვის გალია აბრეშუმის, შენ კი ამ ერთგულებისაგან... ჯაჭვის პერანგი მოგიქსოვე...

1992



ღამესიზმრება, ხელის ცახცახით
 გადაიწერენ ხეები პირჯვარს...
 უცებ... სხვა მხერით, სხვა ხმით სხვა სახით
 შუნ მოხვალ — ბედის ჯღღღი თუ ქირღვა...
 და, მთვარის ჯადო — სინათლის სწვილი,
 მღუმარე სიტყვებს აირჩევ ანლაც:
 ო, ალბათ იცი — ფრთები მაქვს ცვილის
 და ფიქრის სუსტი ტოტი მაქვს სახლად...
 იცი... და მხოლოდ თეთრი მტრედები
 დაფრენენ, როგორც შველა თუ ქირღვა...
 ქაოსებისთვის არ გემეტები...
 თრთოლვით იწერენ ხეები პირჯვარს...

1982

ჩვენ ვცხოვრობთ გლოვის
 საუფლოში...

აქ გამ ქვითინი ჩამოთოვა...
 აქ მზეც თოვლივით გაითოშა,
 მზემ... სათვალავში გამოვკვტოვა...

ვართ ისე: ღამით, უმთვართოთი,
 უვარსკვლავებოთ ცა რო წავა...

ილოცეთ ჩვენთვის... თუმცა...
 როდის,
 როდის მოიცლით სალოცავად...

ცამ ყვავილების ქვეყანაში
 თალხი ფერები ჩამოთოვა...
 მზის თვალმა ყველგან შეანათა, —
 ეს ყრუკედლები გამოტოვა...

1993

**ეკლიანი გზით —
 პარსკვლავებისაკენ**

ოცნებას მივყვები, "არაფრის მაქნისს", —
 სხივების ბილიკებს, უწვრილესს ბეწვის...
 მაცოცხლებს პაწია სარკმელი საკნის,
 სარკმლით შემოჭრილი ძახილი ზეცის:
 "შორს! სადაც არ მეფობს სიმწარე ვარდნის!
 ეკლიან ბილიკით!..."

ტერფები მეწვის...

1994

მწარე სიცილი

...უცებ აღმოჩნდა, რომ არა გაქვს შენ სამშობლო, არ
 გავაჩნია,
 მიწის მტკაველიც არსად არის ცისქვეშეთში შენით,
 გათხრეს!
 მორღებოდა ეს სიზმარი მთელი ცხოვრება
 და იღვიძებდი ფეხქვეშშიწაგამოცლილივით.

და აი, ახდა:
 უცხოები
 უკვე ცხადში გიკვინებენ:
 "შენი სახელიც არვის ახსოვს აქ, რამდენი საუკუნეა!"

ზღვაზე გაწოლილ სხივზე დგახარ...
 ზღვა გარწევს...
 მწარედ გეცინება
 და გესიზმრება:
 წყვლიადს აკრთობს შენი სიცილი.

1989

დაბრუნება

როცა ვერავინ ვეღარ მიცნო,
 მივხვდი: ვკრებოდი...

და...

გავიქეცი ქვის ხამუფოდან...

გავიქეცი და...

არც მახსოვს, როგორ

აღმოვჩნდი ნათელ სიმსუბუქეში...

თითქოსდა

ლეთეს ტალღებს დავუსხლტი,

ჩემს წინ მუქარით ატორტმანებულს...

სული, შემკრთალი თავისუფლებით,

ბავშვობის ქვეყნის შუქით

გაბრწყინდა,

მუნჯი ქვითინი გადაავიწყდა

ლალს, თავდაღწეულს ქვის

არტახიდან

და — შვებასავით,

ბავშვის ხმასავით

გაიწკრიალა კვლავ ვარსკვლავთა

სიცილმა სულში...

1988

ხმა

“მშვიდად იარე, ნუ შეგაშფოთებს მკვდარი ფოთლების უცხო შრიალი.
 ქარში სიკვდილის დროშა ფრიალებს... ნუ შეჩერდები, მშვიდად ძარბე.
 არაფერია... ეს გზაც მორჩება: გასდევნი შეწყვს, გველვით დასაშრუდს
 და თვალს გაახეღ და დაინახავ, რომ აქ ხარ უკვე, ქვეყნის დასასროლს,
 სად ტკივილამდე მონატრებულ მთვლის სინათლე ფარავს ყველაფერს,
 ათოვს სამყაროს, თეთრი ნირვანის სისამებუქეში ჩაფლულს ფეხიმდე,
 თოვს... იქნებ ჰპოვოს ობოლმა სულმა ამ სამყაროში თავშესაფარი,
 იქნებ... სინათლის თეთრ ქანდაკებად ეს თოვლისფერი დარჩეს ზღაპარი...
 მშვიდად იარე... ნუ შეჩერდები... ნუ დაეცემი... მშვიდად იარე...”

1989

სანამ

პატარა თეას

ძლივს გამოფხიზლდი და დაიკვნესე:
 სიზმრად ღვთის სისხლი ნახე
 დაღვრილი,
 მძიმე ღამეთა შრუმე სიღრმეში
 რომ ელვარებდა ნაღვერდალივით...
 გწამდეს: აქ, ჩვენთან სულ ახლოს
 ღვანან

ძეც, ღვთისმშობელიც
 სახედალილი,
 გულში მაცხოვრის ტკივილი სანამ
 ღვივის, ცოცხალი ნაღვერდალივით...


1989

ცოცხალი შუქი

დაუნანებლად,
 უცებ,
 ჩიტავით,
 სპობდნენ
 სინათლის ხატზე ნაფიცებს...
 ყველას გვიპოვის
 ღანდი სიკვდილის,
 კატის თათებით
 რომ დააბიჯებს...

ცივ საცეცხს ურცხვად
 შეახებს ყველას,
 სინათლის შვილებს
 შეჰბედა თუკი...
 სადღაც, სივრცეში,
 ჯერ კიდევ ელავს
 ჩამქრალი ხომლის
 ცოცხალი შუქი...

1993



ულისე

მეცნიერული
ბეჭდვითი
გაგრძელება

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

ამასობაში ყველა ხმაბაღდა დასტირდა ირლანდიული ნაოსნობის დაცემას, შინაურსა თუ შორეულს, რაც არსებითად ერთნაირი უბედურება იყო. ელიგზანდრა ყურეში გემბარახი-ადან გემი ჩაუშვეს პოლგრეივ მერფისათვის, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო წელს. ხომალდები არ არის თორემ ნავსადგურები მოგვეცა ლხენა.

ჩაბირულებიც ბევრი იყო და ჩამბირვულებიც, თქვა თავმუხაფრის პატრონმა, რომელიც, როგორც ჩანს იყო au fait!

მას იმის გარკვევა სურდა თუ როგორ მოხდა, რომ ის გემი მაინც და მაინც იმ კლდეს მიეჩარცხა, რომელიც ერთადერთი იყო მთელ გელოუეის ყურეში, სწორედ მაშინ როცა ვინმე ბნ უორდინგტონს თუ ვიღაც მაგნაირი გვარისას, გელოუეის ნავსადგურის პროექტი გაქჷონდა განსახილველად, პა? აბა ერთი მაშინდელ კაპიტანს ჰკითხეთ, ურჩია მან, რაშხელა ქრთამი მისცა იმ დღის სამსახურისათვის ბრიტანეთის მთავრობამ. კაპიტანი ჯონ ლევერი ლევერის გემთმშენებელი კომპანიიდან.

— მართალს ვამბობ, შკიპერ? მიმართა მან შეზღუდურს, რომელიც უკან ბრუნდებოდა სითხისგან დაცლისა და სხვა განმარტოვებული საქმიანობიდან.

ამ ღირსსაგაციემულმა სიმღერისა

თუ ფრამების ნაწყვეტის სუნი იქრა და დაიბრღღეინა ვითომდა მუსიკალურად, მაგრამ დიდის ენერგიულობით, მემღეაურული თუ რაღაც სხვა მეორე თუ შესამე ხმაში. ბ-ნი ბლუმის მახილ-მა ყურმა გაიგონა როგორ ამოახ-ველა, როგორც ჩანს, თამბაქოს საღე-ჭი (სწორედ ეს იყო), ისე რომ მან ალბათ ის მუჭში მოაყუჩა სანამ სეამ-და და შემდეგ ფსამდა და ცოგა ემეაუა კიდეც აღნიშნული ცეცხლოვანი სითხის შემდეგ ასეა თუ ისე, შემობარ-ბაიდა თავისი წარმატებული დაღეეა-დაქეცევის შემდეგ და ამ რაუტში მარხომის ატმოსფერო შემოიგანა, თან პირწაფარღნილი მღვის მეკობრე-სავით დარღმიანდულად დაიღრიალა:

*ორცხობილა გავვიხდა კლდის
ლოღივით საგეხი
ლოგის ცოლის გრაკივით მლაშე
იყო ხარები*

ოპ, ჯონი ლევერ!

ჯონი ლევერ, ოპ!

ასეთი ეფექტური გაღმონთხევის შემდეგ ეს შიმის მომგერული ეგემ-პლიარი ვაბედულად გამოჩნდა სეე-ნამე, მიაგნო თავის ადგილს და კი არ დაჯდა, არამედ უმალ საჯლომი დაასვენა განკუთვნილ სკამზე. „თხის გყავმა“, თუკი ის იყო, ამკარად რაღაც დაფარული მიზნით, თავისი უკმაყოფილება ნაძალადეუ-უსუსური ფილი-პიკით გამოხატა ირლანდიის ბუნე-

ბრევი ხიმღიდრისა თუ რაღაც ამაღ-
 ვარის შესახებ, რაც მან ვრცელი
 გრაქტაგის სახით დახატა, როგორც
 უმღიდრები ქვეყანა მიუღ ციხქვე-
 მთიში, ვაცილებით და შეუდარებლად
 უფრო მღიდარი ვიდრე ინგლისი,
 ქვანახშირის უღვევი მარაგით, ექესი
 მილიონი ვირვანქის ღირებულების
 ღირის ხორცის ყოველწლიური ექს-
 პორტი, ათი მილიონის კარაქი და
 კურცხი და მიუღ ღოვლაის ინგლისი
 ქანაქს; რომელიც აგუანელ გადასახ-
 აღს შეაწერს ღირის ხალხს, ხელი
 ივლებს ბაშარმე საუკეთესო ხორცის
 მიუღ მარაგს, და კიდევ მრავალი
 მისთანა. შესაგყვიხად მათი საუბრის
 თქმა თანდათან უფრო განმოვადდა
 და ყველა შეთანხმდა, რომ ეს
 უკუკარი ფაქტი იყო. ყველაფერი რაც
 იზრდება, ირლანდიის მიწაზე გაიზ-
 რდება, თქვა მან, და აგერ პოლკოვნიკ
 ევერარდს ნეიენში თამბაქო მოყავს.
 ან და სად ნახავთ ირლანდიულ ღორ-
 მე უკეთესს? მაგრამ განკითხვის ეამი,
 ვანაცხადა მისმა უყოყმანო კრემზენ-
 ლომ, ისე რომ საუბრის სადავე მიღად
 ხელი ივლო, უკვე მიუღის ყოველად-
 მღიდრ ინგლისს, მიუღი მისი ავაშა-
 კობის შედეგად მოპარული თქრის
 მოხუცდავად, დაღვბა დაცემის, ისგო-
 რიაში უდიდესი დაცემის ეამი, გერ-
 მანულები და იაპონელები თავის ჯერს
 უღიან, დაასკვნა მან, ბურები დასას-
 რულის დასაწყისს მოასწავებენ. ინ-
 გლისის რიოში იმპერია უკვე იშლება
 და ამ პროცესს ირლანდია დაას-
 რულებს, მისი აქილეუსის ქუსლი,
 ბურძენი გმირისა, რომლის სუსტი
 წერტილის შესახებ მოუთხრო, რამაც
 უმაღ მისი მხმენელების ყურადღება
 იმით მიიპყრო, რომ თვალსაჩინოდ
 დაანახა ხსენებული მყესი თავის გერ-
 უზზე. მისი რჩევა ყოველი ირლანდი-
 ულისაღმი იყო შემდეგი: არ მიაგოვო
 შენი მამული ირლანდია და იღვაწე და
 იტხოვრე ირლანდიისათვის. პარსელმა
 თქვა, ირლანდიას არ შეუძლია
 დაიმოს არცერთი თვისი შვილი.

ჩამოვარდნილმა სიხუმემ მისი

საყინალო ხეცის დასასრული მოას-
 წავა. შევეალმა ნავეგატორმა ეს
 მკაცრი აღთქმა წარმეუხრულად
 მოისმინა:

— რამე საქმისთვის მოგვკიდა
 ხელი, უფროსი, თანაუგადმიანებით
 მიგონა, აღმსიებით კი რაქამ ამ
 უმართო ტრეზინზე.

რაც შეეხება იმპერიის დაშლასა და
 მისთარებს, მაგტონზე მშალსიო ციხი
 მათი მიუღო, მაგრამ მათი თავის
 საკუთარ ამრს იცავდა.

— ვისი ჯარია ყველაზე კარგი
 არმიამი? მრისხანელ იკითხა ბრძო-
 ლაში ნაწროთობა ვეგერანმა, და
 საუკეთესო მგუნაეები და მორბენ-
 ლები? და ვინ არიან ჩვენი საუკეთესო
 აღმირალები და გენერლები? ამაზე
 მიპასუხეთ.

— უპირატესად ირლანდიელები,
 მკეახელ მიუგო მეტღემ, პირწაურდ-
 ნილი კემპელი სახის ლაქებს თუ არ
 მიეიღებთ მხედველობაში.

— საეხებით სწორია, კვერი
 დაკრა ძველმა მემღეაურმა, ირლან-
 დიული კათოლიკე გლეხი. ის არის
 ჩვენი იმპერიის ხერხემალი. ჯემ მალ-
 ინმს იცნობთ?

თუმცა მას ისევე როგორც სხვებს
 უფლება ეძლეოდა საკუთარი ამრი
 პქონოლა, მეპარონემ მაინც დახმინა,
 რომ ფეხზე უკიდა ნებისმიერი იმპე-
 რია, ჩვენი თუ მისი და ჭეშმარიტ
 ირლანდიელად არ მიაჩნდა ის, ვინც
 მას ემსახურებოდა. შემდეგ ისინი
 ერთმანეთს უხეში სიგყვებით შეებნენ,
 კამათი ვაცხარდა, ორივე, ბუნებრივია,
 მხარდასაჭერად მხმენელებს მიმარ-
 თაუდა, რომლებიც ინგერესით აღე-
 ვნებდნენ თვალს მათ გურნირს იმ
 იმეღით, რომ ეს ყველაფერი ურთი-
 ვრთი შეურაცხყოფასა და მუშგირიემი
 არ გადაიმრდებოდა.

ბ-ნი ბლუმი, იმ კონფიდენციალური
 ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც
 მას წლების მანძილზე დაუვროვდა,
 უმაღ განწყობილი იყო ეუიქრა, რომ
 ასეთი წინასწარმეტყველებანი წმინ-
 დაწყლის რომეას წარმოადგენდა,

რადგან, ამნაირი ბოლოს ყოფნა-არყოფნა რაგინდ სანატრელიც არ უნდა ყოფილიყო, მას ცხადად ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მათი სრუტის-გადაღმელი შეზობლები, თუ უფრო მეტად სულელები არ იყვნენ ვიდრე მას მიაჩნდა, უმაღლესად უარაღმძვინკარებელი იყვნენ. თუ მათი ძალისხმევით შეესაბამებოდა მდვიერთი წრის უსაფუძვლო იმედს, რომ ასი მილიონი წლის შემდეგ ქვემოთის საბალო დაილეოდა მოძვე კენჭულზე და თუ დროთა ვითარებაში ასეთი ხათაბაღა მართლაც დაგრივალდებოდა, თავის მხრივ პირადად მას ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ დიდად სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან და გაუთვალისწინებელ გარემოებათა გათვალისწინებით, ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა ამასობაში ორივე, თუნდაც ერთმანეთის მიმართ პოლარულად დაპირისპირებული ქვეყნის სიკეთით სარგებლობა. კიდევ ერთი ღირსეხანისმზავი საკითხი, კახუებისა და ხელმოკლე ჭაბუკების უბრალო ერთი რომ ეთქვათ, გაახსენა, რომ ირლანდიელ ჯარისკაცებს ინგლისის დასაცავად უფრო ხშირად უომიათ ვიდრე მის წინააღმდეგ. კოდა რაკომ? იხე რომ მოელი ეს სენა ამ წყვილს, თაქმესაფრის პაგრონსა, რომელიც როგორც ამბობდნენ დიდი ხანია უკვე იყო, ან ახლახან გახდა ფიციერისი, ცნობილი უძლეველთაგანი, და მეორეს, ამკარად თვითმარქვიას შორის, ძლიერ აგონებდა მაღალი კლასის თაღლითობას, თუ რა თქმა უნდა წარმოვიდგინო, რომ ყველაფერი წინასწარ იყო განგებ მოწყობილი, თუმც მუხამლებელია ასე მხოლოდ მას ეჩვენებოდა, როგორც ადამიანური სულის მცოდნეს, ხოლო დანარჩენები ვერაფერს ხელაღდნენ. დამჭირავებელს ან მფლობელს რაც შეეხება, რომელიც ალბათ სულაც არ იყო ის ცნობილი პიროვნება, ის (ბ.) გრძნობდა და საესებით მართლებულად, რომ ასეთ ხალხს უნდა ერიღო თუ რასაკვირ-

ველია შეუვლილი ბიოტი ანა ხარ, წესად უნდა აღიბრიო არაფერი გქონდეს ხაერთო არც მათთან, არც მათ დამნამავეობრივ ჯვროსთან, რადგან არასოდეს ხარ დამღვეული რომ ენის მიმჯანს არ გადაყურები და მამის სამაყი კარის პრეტურონობის მიგამომანებენ უნდა ან ბგერ კერის მაგვანნი, თუმცა ასეთ აზრებს დაბეჯილებით ვაურბობდ. ამისგან სრულიად დამთუცილია და მათ პრინციპულად არ უყვარდა დამნამავეებისა და მზაკერების სამყარო. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალურ მიდრეკილებას არახაირი სახით არასოდეს დაუბუღებია მის სულში, მაინც გრძნობდა და არ უარყოფდა (თუმც კი მინაგანად არასოდეს უღალაგია საკუთარი თავისთვის) გარკვეულ ალგაგუბას იმ კაცისადმი, რომელმაც ნამდვილად იხმარა დანა, ცივი იარაღი, თავისი პოლიტიკური მრწამსით გულგამაგრებულმა (თავად არასოდეს დათანხმდებოდა ასეთ რამეზე), ეს იმავე რიგის მოუღენა იყო, როგორც ის სამხრეთული ვენდგეგები სიყვარულის ნიადაგზე, ან ჩემი უნდა იყოს ანდა მის გამო ჩამოშახრჩორო, როცა ხშირად ქმარი ცოლთან წალაპარაკებდა მისი ურთიერთობის თაობაზე სხვა ქვლებიდან მოკვდავთან (მას შემდეგ რაც უთვალთვალა მათ), და შედეგად თავის სათაყვანებელ არსებებს სახიკვილო ჭრილობებს მიაყენებს ქორწინების გარეშე კაემირის გამო, ჩასცემს მას დანას, სანამ მოულოდნელად გეინი არ გაეხსნა და არ გაიხსენა, რომ ეს ის ფიცი იყო, მეგსახელად რაღაცის-გყავა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ეგლს მართავდა, რომელშიც კანონის ნამდვილი დამრღვევნი იხლდნენ და ამდენად არ იყო, თუ სწორად იყო ინფორმირებული, ჩახაფრების მონაწილე, რის საფუძველზეც, სიგყვამ მოიგანა და, იურიდიული სამყაროს ვიღაც ეარსკვლაემა სახრჩობელას გადაარჩინა, ასეა თუ იხე, ეს ამბავი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და ჩვენს მეგობ-

არს ფსევდო თხის-დაახეშუმდეგ რაც შეეხება, მან ამკარად საკუთარ პოპულარობაზე მეტხანს იციხლა. ის ან ბუნებრივი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო ანდა სახრჩობელაზე ასულიყო. იმ მხახიობი ქალებივით, მშვიდობით, უკანასკნელი წარმოადგენა, და მერე კვლავ დიმილით გამოეცხადებთან მაყურებელს. რა თქმა უნდა, დაეჯერებლად გულუხვია, გამბერამტგანხი, არავითარი ხელმოშორნეობა ან სხვა რამ ასეთი, არც ფუჭი მთონებე ასევე მას ძლიერ ეპარებოდა ეჭვი, რომ ბ-ნი ჯონი ლევერი გამოეთხოვა ვირჯანქა სკერდინგებისა და შილინების ვარკვეულ რაოდენობას ღოკების შემოელის შედეგად გავერნა „სკელი ირლანდიის“ გულთბილ აგმოსხერნოში, დაუბრუნდი ერისს და ა.მ. რაც შეეხება დანარჩენს, ყველა ეს მლაპარი არც თუ დიდი ხნის წინათ მოეისმინეთ, უთხრა მან სტივენს, თან ისიც უამბო თუ როგორ სულ უბრალოდ, მაგრამ ეუქებურად, ჩაახეშა თავისი შეურაცხყოფელი.

— რაღაც უმნიშვნელთ რამებზე განაწყენდა, განაცხადა ამ დიდად შეურაცხყოფილმა, მაგრამ მაინც გაწინასწორებულმა პიროვნებამ, რაც უნებლიედ წამოიძვდა. ურია მიწოდა გაცხარებით და ავრესიულად. და მეც, მშრალ ფაქტებზე დაყრდნობით მოეახსენე, რომ მისი ღმერთი, ქრისტე-მეთქი, ავრეითვე ებრაელი იყო და მთელი მისი ოჯახიც ჩემსავით, თუშეა მე არა, სინამდვილეში. ოლოლო მას. მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, სიგყვაც ვერ დამრა საპასუხოდ, როგორც ყველამ დაინახა, ხომ მართალი ვარ?

მან ხანგრძლივი შეწყდები მშერა მიაპრო სტივენს, აღსაქე სიმშვილითა და იღუმალეებით, მორიდებული ვაკიცხვით, ერთგვარი მუდარითაღ, რადგან მისგან თითქოს გამოკრთილდა აქ რაღაც ყველაფერი ასე არ არისო.

— Ex quibus, გაუგებრად ჩაიდუღუნა სტივენმა, მათი ორი თუ ოთხი თვალი კი ერთმანეთში განაგრძობდა საუბარს, Christus ან ბლუმია მისი სახ-

ელი ანლა ნებისმიერი სხვა, secundum carnem.

— რა თქმა უნდა, დაერთო ბ-ნმა ბ-მა, საკითხს ორივე მხრიდან უნდა შეხედო. მნელია რამე მყარი და მუსტი წიხების დადგენა ვინ არის მართალი და ვინ არა, მაგრამ შედამ არის გაუგებრობების შესაძლებლობა, თუშეა, როგორც ამბობენ ყველა ეკლესიას, და მით შორის წიხებს მრავალგანხეულ ქვეყნასაც, მათი მთავრობა აყავს რისი ღირსიც არის. მხოლოდ ცოტა კითილი ნებაც უნდა იყოს. ძალიან სასიამოუნოა ურთიერთ უპირატესობით გრძახხი, მაგრამ რა დამაჯე ურთიერთ თანასწორობამ. მე მშარაქს ძალალობისა და შეუწყნარებლობის ყოველნაირი გამოელახება. ამით ვერაფერს მიადწევ და ვერაფერს შეაჩერებ. რევილუცია განხადებით უნდა ხდებოდეს. დიდი უამრობაა გეჯაერებოდეს ხალხი იმის გამო, რომ შენს ქუნამე არ ცხოვრობენ, ასე ვთქვათ სხვა სახლში არიან და სხვა ენაზე მეგყველებენ.

— ღირსახსოვარი სისხლიანი ხიდის ბრძოლა და შეიდწუთიანი ომი, დაეთანხმა სტივენი, დაბალების შესახვევსა და ორმონდის ბამარს შორის.

ღიახ, ბ-ნი ბლუმი იმარებდა, სახეხებით იწონებდა ამ შენიშვნას, რომელიც განსაკვეფრებლად სწორი იყო. და მსოფლიო სახეხე იყო ასეთი რამეებით.

— თქვენ პირდაპირ პირიდან ამაყალეთ სათქმელი, თქვა მან. ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებების ფოკუსი, ისე რომ, გულწრფელად რომ ვთქვათ, ახლისაც არ...

მთელი ეს უბადრუკი აყალმაყალი, მისი მოკრძალებული აზრით, სისხლს წამლაეს, ბორიგად აღაგზნებს საომარი განწყობილების რაღაც ნერვსა თუ ჯირკვალს და სრულიად მცდარად და მოჩვენებითად მამულისა და ღროშის ღირსების დაეკად წარმოადგენს, მაშინ როდესაც ყოველივეს მიღმა დიდწილად უულის საკითხია, საკითხი, რომელსაც გაუმადღრობა და შური კვებაეს, აღამიანებს ხომ მომიერების გრძნობა არ აქვთ.

— ისინი ბრალს სდებენ,“ რისიანად შენიშნა მან.

მან პირი იბრუნა სხვებისაგან, რომლებიც შესაძლოა, და უფრო ჩუმაღ დაილაპარაკა, ისე რომ თუ ვინცობაა ისინი.

— ებრაელებს, ყურში ჩასხურნულა სტივენს, დაქვევას სწამებენ. ამამი სიმართლის ნაკამალიც არ არის. დაბეჯითებით შემოძლია ვიქცა. ისტორია, იქნებ ეს გაგიკვირდეთ კიდევ, უცილობლად აღასტურებს, რომ ესპანეთი მაშინ დაკინდა, როცა ინკვიზიციამ ებრაელობა განდევნა, ხოლო ინგლისი აყვავდა და გაიფურჩქნა როცა კრომველმა, ამ უჩვეულოდ ნიჭიერმა ავაშაკმა, რომელსაც სხვაფრთვ უამრავ უკეთურებაზე პქონდა პასუხი გასაქცი, შემოასახლა ისინი. რატომ? იმიტომ რომ ისინი გვედნთილნი არიან კეთილი სულით. პრაქტიკულად არიან და მათ ეს დაამტკიცეს. მე არ მინდა იათს უფლება მიეცეს რაიმე, თქვენ ისედაც კარგად იცნობთ ავტორიტეტულ შრომებს ამ საკითზე, თანაც თქვენსითანა ორთოდოქსი. მაგრამ უკონომიკის სფეროში, რელიგიას რომ არ შეეხეთ, სიგვეა მღელელი იკითხება როგორც სიღუბჭირე. კვლავ ესპანეთს რომ დაეუბრუნდეთ, შეგეძლოთ თმის მიხედვითაც გაშუქლათ, შეადარეთ ამერიკას ასე რომ მიიწვევს წინ. ახლა თურქები. აქ დოგმასთან გვაქვს საქმე. რადგან რომ არ სწამდეთ სიკვდილის შემდეგ პირდაპირ მეცაში აღმოჩნდებით, ვედებოდნენ უკეთ ეცხოვრათ, ყოველ შემთხვევაში ასე მგონია. ეს სწორედ ის საგვეარაა, რომლითაც ხუცესები თავის შრეულს აბაშენ. მე, დრამატული აღტკინებით დაასკვნა მან, იმ გაუთლელ პიროვნებაზე უარესი ირლანდიელი არა ვარ, რომლის შესახებაც წყდან მოგახსენებდით და მსურს რომ ყველას, დაასკვნა მან, განურჩევლად რწმენისა და კლასისა, პქონდეს თუნდ მცირე, მაგრამ საკმარისი შემოსავალი, მათხოვრული კი არა, დაახლოვებით წელიწადში

300 გირეანქის ოდენობით. ეს საგნობეში მყოფ სასოციალლო ინტერესს გამოხატავს და სიტუბით მოსაღწვეცაა და ხელს შეუწყობდა კიდევ აღაშინათა შორის გულთადად მეგობრულ ურთიერთობას დამყარებას. ყოველ შემთხვევაში ასე უფიქრობ. თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს. მე ამას პატრიოტიზმს ვეწოდებ. *Ubi patria, ibi deus*, კლასიკურ დღეებში მიენს აღმა მაგერში ვითომ ვგასწავლეს, *vita bene!*“ ესე იგი, სადაც შეგიძლიათ კარგად იცხოვროთ, თუკი იმუშავეთ.

ფინჯან ყავის უკუმურ მიბამეხსთან მიმქლარი სტივენი, უსმენდა ამ განზოგადებულ საუბარს, თან სიერეს გახეჭეროდა. მას, რა თქმა უნდა, ესმოდა რაღაც-რაღაც სიგვეები, ფერს რომ იცვლიდნენ იმ კიბორჩხალებივით დილის რიზგუნდში, ერთი და იმავე სილის ყოველნაირ ფერებში რომ იყუევებინ და სადაც იქვე ქვემოთ ბინადრობენ. შემდეგ აისულა და დაინახა თვალები, რომელთაც თქვეს ან არ უთქვამთ ის სიგვეები იმ ხმამ რომ წარმოთქვა, რომელიც მან გაიგონა, თუკი იმუშავეთ.

— მე გამოპრიცხეთ, მოახერხა და შენიშნა მან, იგულისხმა რა მუშაობა.

თვალებს გაუკვირდათ ასეთი შენიშვნა, რადგან მან როგორც პიროვნება, რომელიც მათი დროებ მფლობ იყო შეამჩნია, ან უკეთ რომ ვთქვათ მისმა მოლაპარაკე ხმამ შეამჩნია, ყველამ უნდა იმრომოს, მოვალენი არიან, ერთად.

— რაღა თქმა უნდა მე ვგულისხმობ, ისქარა დაედასტურა მეორეს, მუშაობ ამ სიგვეის ყველაზე ფართე შესაძლებელი მნიშვნელობით. მათ შორის ლიგერატურული შრომა, არა უბრალოდ სახელის მოსახვევად. გამეთებისთვის წერა ჩვენს დროში ყველაზე უმუალო არხია. ესეც შრომაა. მნიშვნელოვანი შრომა. ბოლოს და ბოლოს, იმის მიხედვით რაც თქვენს შესახებ ვიცი, რადგან ამდენი დაიხარჯა თქვენს სწავლა-განათლებაზე, ყოველნაირი უფლება გაქვთ აინამდა-

ურთი ეს დანახარჯი და საკუთარი ფახი უკარნახოთ. თქვენ მუსგად იმდენივე უფლება გაქვთ თქვენი კალმით მოიპოოთ პური არსობისა, რათა განავრძოთ ფილოსოფიის შესწავლა, რამდენიც ვლევს გააჩნია. ასე არ არის? ორივენი ირლანდიას ეკუთვნით, გვინით და კენტებით. ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია.

— თქვენ გულისხმობთ, შეეპასუება სტივენნი დიმილს მიმგვანებული მიმოკით, რომ მე შეიძლება იმით ვიყო მნიშვნელოვანი, რომ განვეკუთვნები faubourg Saint Patrice.² შემოკლებით ირლანდიას.

— მე შეგს ვიგყოფი, დაიწყო ბნმა ბლუმმა.

— მე კი ასე მგონია, შეაწყვევინა სტივენმა, რომ ირლანდია მნიშვნელოვანი ხდება იმით, რომ მე მკუთვინის.

— რა გეკუთვინით, იკითხა ბნმა ბლუმმა და მისკენ გადაიხარა. გადაწყვიტა, რომ კარგად ვერ გაიგო. უკაერაებად. სამწუხაროდ ბოლო ნაწილი ვერ გაიგო თქვენ რა...?

სტივენმა, სრულიად ამკარად გუნებაწამდარმა, გაუმეორა და თავისი კითხა ყავა თუ რა ოხრობაც იყო განზე გასწია და არც თუ მაინცდამაინც თავაზიანად დაუმატა:

— ჩვენ ვერ შევივლით სამშობლოს. მთლით შევივლით თემა.

ამ დროული წინადადების საპასუხოდ ბნმა ბლუმმა, თემის შეცვლის მიზნით თვალეები დახარა, თუმცადა ერთობ დაბნეულად, რადგან მუსგად ვერ მიმხედარიყო თუ როგორ უნდა გაეგო, რისთვის მიეწერა უცხოდა აღვრებული კუთვნილება. რაღაც საყვედურის მაგვარი უფრო გასაგები იყო. ულაპარაკოდ, მისი დღევანდელი ორგის გამოძახილია ის ერთგვარი უცნაური ღვარძლიანობა რაც ფსიქელ მდგომარეობაში სრულიად უცხოდა მისთვის. შესაძლოა ოჯახური ცხოვრება, რომელსაც ბნი ბი უმარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა, მთლად ისეთი არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, ანდა მას შესაფერისი წრის გარე-

მოცეა აკლდა. წუხდა რა ამ ახალგაზრდა, სულ ახლახან პარიზიდან დაბრუნებული კაცის გამო, რომელსაც მალულად და ფითქოს შიშითაც კი ათვალეირებდა, რადგან ახსინებდა მანის და დის განსაკუთრებით თვალეით, და რომ გერა და ვერ მოიყინა ნათელი წაშორილ საკითხს, იმ შემთხვევის განხილვა დაიწყო როცა ბრწყინვალე თვალეის მოხიცი ახალგაზრდები შეგად ნაადრევეად იხრწნებოდნენ და ამამი ვერავის დაადანაშაულებდით თუ არა მათივე მაგალითისათვის გამოდგება ოქელაპენის შემთხვევა, ღამის შლეგი, რესპექტაბელური წრიდან, თუმც კი არათანამშობილი საარსებო საშუალებების პაგრონი, თავისი ვიკური გამოვლენებით, რომელსაც ისეთი ოინებიც სჩვეოდა შემარხოთმებულ მდგომარეობაში, რომ ყოვლად აუგანელი ხდებოდა, თუნდაც საზოგადოებაში გამოჩენა საყიდლების გასახევე ქალაღის კოსტუმში (ნამდელი ამბავი გახლავით). და როცა ოინბამობა უკვე ყველა შომას გადააჭარბებდა, ამას მოსდევდა ჩვეულებრივი denouement, ერთხელაც იყო და კინაღამ შავ დღეში ჩაყარდა და რამდენიმე მეგობარს მოუხდა იქაურობას მოეშორებინათ მას შემდეგ რაც ჯონ შელონმა, ლებლის მეტროპოლიის პოლიციის სამმართველოდან, ამკარად გადაკრა სიგვეა, რომ შეიძლება ვირის აბანოში მოხვედრილიყო სისხლის სამართლის კოდექსის დამაგებათა მეორე მუხლის შესაბამისად, საქმესთან დაკამირებული მოგვიერთ პირთა სახელები გამკლავნებული არ იქნა ყველა ჭკუათამყოფელისათვის გასაგები მიმეზის გამო. მოკლედ, რომ შეუეჯამოთ, ექვსი და თექვსმეგი, რისი გავონებაც ცოცხალი თავით არ სურდა, ანგონით და სხვანი, ყოვეები და ესთეგები და სვირინგები რაც მოღამი იყო სამოცდაათიან წლებში თვით ლორდთა პალატამიც კი რადგან თავის აღრეულ წლებში ახლანდელი მეფე მამინ გახგის შემკვიდრე.³ ხოლო დიდგვარო-

ენთა ათეული და დანარჩენი არის-
გოკრაგია უბრალოდ ფეხდაფეხ მის-
დედა სახელმწიფოს მეთაურს, ის
ფიქრობდა ამა ქვეყნის ძლიერთა და
გვირგვინისათა შეეოდებებზე, რაც
წინააღმდეგებოდა წარმოდგენას
შეუბრძობაზე, როგორც იყო მაგა-
ლითად კორნულის რამდენიმე წლის
წინანდელი საქმე გარეგნული ბრწყინ-
ვალების უკან, რაღაც საეჭოა რომ
ბუნების ნებას გამოხატავდეს და
რასაც კანონი და მწიბა ერთმნიშ-
ვნელოვნად ვმობს, თუქ არა იმ მიზე-
ზთა გამო შათ რომ მიხანდათ, რაც არ
უნდა ყოფილიყო, გარდა ძირითადად
ქალებისა, რომლებიც მუდამ ცდილო-
ბენ როგორმე გააკურონ ერთმანეთი
ძირითადად იმაში, რაც ჩაცმულობასა
და მისთანებს ეხება. ქალბატონები,
რომელთაც უყვართ გამორჩეული
საქვლები და ვეულა მამაკაცი, რომე-
ლიც კარგად იცვამს, ყოველნაირად
უნდა ცდილობდნენ რაც შეიძლება
მეკად მიანიშნონ განსხვავებაზე სქეს-
თა შორის და გამოკვეთონ ის სათაკი-
ლო, რასაც მარგო დარჩენილნი
სჩადიან. ქალი კაცის დილებს ხსნის და
მერე კაცი შონარებს უხსნის, ფრთხი-
ლად ქინძისთავი, იმ დროს როდესაც
ველურებს საღდაც კანობალების კუნ-
ძელზე, საღაც ჩრდილში ორმოცი
გრადაუსია, ეს კონგინენგალური პრო-
ბლემები სრულიად არ აწუხებთ.
თუმცა, ადრე ნათქვამს თუ დაეუბ-
რუნდებით, მეორეს მხრივ, არიან
ისეთებიც, რომელთაც თავისი ფეხსაყ-
მლის თასმებით გაიკვლიეს გზა მაღა-
ლი სამთგადოებისაკენ. და ეს მხო-
ლოდ და მხოლოდ ბუნებრივი ნიჭი-
ერებით. გვინთ, სერ.

ამისა და სხვა მიზეზთა გამო
მიანდა, რომ მისი ინგერესები და
მოვალეობაც კი შოთისოვდა დაეცადა
და ესარგებლა გაუთვალისწინებელი
შემთხვევით, თუმცა კი მუსგად ვერ
იგყოდა რაგომ, რადგან ისეღაც უკვე
რამდენიმე შილინგი შემოუფლანგა,
რაც თავისი ბრალი იყო. და მაინც ნაც-
ნობობის განმკიცება ერთთ გამო-

ჩეულ პიროვნებასთან, რომელსაც
განსჯისათვის ნაყოფიერი სისრლის
მიწოდება შეეძლო, საკმარისი გასამ-
რჯელო იქნებოდა, ასეთი ინგელექტუ-
ალური სტიმულირება დროდადრო
პირველხარისხოვანი გამოშაცოცხლე-
ბული ფაქტორთა კონფისითვის, რასაც
დაემკვტა მუხოდრო, საუბარს, ცეკვა-
აყალბაყალი, ძველი მებღეაური, დღეს
რომ ზება და ხება რომ გაქრება,
ღამის შაწანწალები, მოვლენათა შთა-
ლი გალაქტიკა, ყველაფერმა ერთად
მექმნა მინიატურული კამეა სამ-
ყაროსი, რომელშიც ებინადრობთ, მით
უფრო, რომ ამ ბოლო დროს ყოფა
დაგაკთა, როგორებიცაა შემადარო-
ები, მყვინთაყუები, მენაგეუები და სხ-
ვეები, საგანგებოდ განისილებოდა
მიკროსკოპის მეშვეობით. გაცისკრო-
ნებული ეამი უფრო რომ გაეპატიოს-
ნებინა, მან გაიფიქრა, რომ ბ-ნი
ფილიპ ბოფოს მსგავსად მისთვისაც
შეიძლება გაეღიმა ბელს წერისთვის
რომ მიეყო ხელი, დაუკუშვით შეისზა
რაღაც არა ათასჯერ გადაღუქილი (და
სწორედ ასე მოვიქცევიო ვარაუდობ-
და), ერთ სვეტში პონორარი ერთი
გინეა, ერთ ქაქეთა, ჩემი შთაბეჭდილებანი
მეგვლეთა თავმუსაფარში“.

გაღუპაგრაფიკული ჭორიკანა
„გელევრაფის“ საგანგებო ვარდის-
ფერი სპორტული გამოშეება, ბელის
განგებით, მის იდაყვიან იდო, ის კი
კვლავ აფორიაქებული ფიქრობდა
ქვეყანაზე მას რომ ეკუთვნოდა და
წინა რებუსზე რომ ხომალდი გამოვი-
და ბრიჯუოგერიდან და საფოსტო
ბარათი გამოგზავნილია აბუდენის
მისამართზე და დაამუსკეთ კაპიტნის
წლოვანება, მისი მშერა კი უმბნოდ
მიყვებოდა მის საქმიანობასთან და-
კამირებულ სათაურებს ყოვლად-
შემძღვ გამომეყებელო გამწითი ჩერი
არსობისა მოგვეყ ჩუენ დღეს.
თავდაბირველად შეერთა კიდე-
მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია
ეხებოდა ვიდაყის სახელად კ.დიუ
ბითოსს, საბუქლი მანქანებისა თუ
რაღაც მაგვარის სარეკლამო აგენტს.

დიდი ბრძოლა, გოკიო. სიყვარული ირლანდიურად, 200 გირეანქის მარალი. ჯორდონ ბენეტი. ემიგრაციული თაღლითობა. მისი უწმინდესობის, ეისკოპოს უილიამის წერილი. ესკოგის მარულა, თქროს თახი. აუგსაიდერ „მოწოდების“ გამარჯვება, 1892 წლის დარბის გამეორება, როცა კაპიტ. მარშალის შავლევა „სერ პიუგომ“ ყველ პროვინციის საპირისპიროდ მთავარი პრიზი აიღო. ნიუ-იორკის კატასტროფა. ათასამდე დაღუპული. ციმბირის წყლული. განსვენებულ ბნ პეტრიკ დიგნამის დაკრძალვა.

ბოლოს თემის შეცვლის მიზნით დაიწყო კითხვა განსვენებული დიგნამის შესახებ, თან იმას ფიქრობდა, რომ ეს სულაც არ იყო გულის გადასაყოლებელი საკითხავი. მისამართის შეცვლას უფრო გავდა.

— „დღეს დღით“ (რა თქმა უნდა პინზის ჩასმული მასალა იყო), „შეღვა განსვენებული ბნ პეტრიკ დიგნამის ნუმიის გამოსვენება მისი სახლიდან, სენდიმანგი, ნიუბრიჯის ავენიუ 9, გლასნევისის სასაფლაოზე დასაკრძალავად. განსვენებული სათნი და ყველას მიერ დიდად პატივცემული პიროვნება იყო ჩვენს ქალაქში და მისმა გარდაცვალებამ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დიდად დაამწუხრა საზოგადოების ყველა წრის წარმომადგენელი. დაკრძალვა, რომელსაც გარდაცვლილის ბევრი მეგობარი ესწრებოდა, იცისრა ფირმაში“ (ეს კი პინზმა კორნის კარნახით მიაწერა) „პ.ჯ. ონილი და შილი, ჩრდილო სტრუენის ქუჩა 164. უკანასკნელ გზაზე გამყოლებელთა შორის იყვნენ: პეტრ. დიგნამი (ვაეიშვილი), ბურნარდ კორიანი (ცოლისძმა), ჯ. პენრი მენკონი, რწმუნ., მარტინ კანინგამი, ჯონ პაუერი, ოგონდუ 1/8 ადორ ღორადორ დურადორა“ (აქ იყო ალბათ ცელის უფროს მონქსს დაუძახა კლიგის რეკლამის თაობაზე) „გომას კერნანი, ხაიმონ დედალოსი, სტივენ დედალოსი ბაკალ., ედ.ჯ. ლემპერგი, კორნელიუს ბაკალეპარი, ჯოუნეუ მაკკაინზი,

ლბუმი, ჩ.პ.მაკკაიო, მაკინგონი და სხვები.“

გაბრაზდა რა ლბუმის (როგორც შეცდომით იყო დაბეჭდილი) და აგრეთვე არეული ბუკარის გამო, მაგრამ ამასთან ერთად კლდინალ მოიღვინა ჩაქ მკითხა და სტივენ დედალოსი ბაკალ-ის სხეებაზე, რომლებიც საკრებოდ გამოიყენებოდნენ იმით რომ საერთოდ დასწრებიან დაკრძალვას (რომ არაუფრო ეთქვათ მაკინგონზე) ლბუმმა მოუთითა ამაზე თავის კომპანიონ ბაკალ-ს, რომელიც გამწარებით ებრძოდა მომდევნო მიქნარებას, ნაწილობრივ ნერვიული ხასიათისას, თან არც კორექტურული შეცდომების ჩვეული სიმრავლე დავიწყებია.

— ვგ რა პირველი ებრაელთა მიმართ, იკითხა მან როგორც კი ქვედა ყბამ მისცა ამის საშუალება, იქ წერია? „დაადე პირი შენი და თავიუხიანად მოიგყუე“.

— დახ. ნამღვილად, თქვა ბნმა ბლუმმა (ერთი კი გაიფიქრა არქივის-კოპოსს გულისხმობსო, ხანამ თავუფი არ ახსენა, რასთანაც მას არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონოდა) გახარებულმა იმით, რომ როგორღაც დაამშვიდა და ცოცხა გაკვირებულმა ბოლოს და ბოლოს როგორ გადაწყვიტა მაილმ კროფორდმა. აი აქ.

ხანამ სტივენი მეორე გვერდზე კითხულობდა ამას, ბნმა ბუმმა მოახერხა (ამ ერთხელაც კორექტურული შეცდომით მოვისხენით) რამდენიმე წუთით შესაძე გვერდზე თავის მხარეზე მოთავსებული ესკოგის მესამე მარულის რეპორტაჟისათვის გადაეწლო თვალი. 1000 სოვერინი პრიზი და 3000 დამაკებით თქროთი. ახალგაზრდა დაუოლავე ულაყებისა და ფამაკეობისათვის. ბნ ფელიგმანდერის „მოწოდება“, წაბლ. ფაშ. „რეკრუგის“ კვიცი, ხუთი წლის, წონა 130 გირვანქა (ეოკეი უღვინი), 1, ლორდ პაუარდ დე უილდენის „მუსკატი“ (ეოკეი მკენონი), 2, ბნი ბბესის „სკიპგრა“, 3, ფსონი 5 4-თან „მუსკატი“, 20 1-თან „მოწოდებაზე“ (აუგსაიდერი). „სკიპგრა“

თნავე შიშივე „მუსკატზე“, 5 4-თან „მუსკატზე“, 20 1-თან „მოწოდებაზე“ (აურსაიდერი). „მოწოდება“ და „მუსკატი“ ერთ ხაზზე მიდიოდნენ. მარჯულას ლიდერი არ ჰყავდა. შემდეგ ერთ-ერთი აუტსაიდერი დაწინაურდა, შირს გაუსწრო ძირითად ჯგუფს. ლორდ პაუარდ დე უოლდენის წაბლა ულადი და ბ-ნი უბბესის ჩალა ფაშაგი მონახვევარი შილით ჩამოიგოვა. ჩემი შილი ბრემისი გახვლილი იყო, ისე რომ დოლის ლენეკენისეული ეერსია სუფთა წყლის ლაყაფს ვაედა. იმელები სრულად გაამართლა როცა შიელი კორპუსით გაუსწრო. 1000 სიფერისი და დამაგებით 3000 თქროთი. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე: ჯ. დე ბრემონდის (ფრანგული ცხენი, რომელსაც ასე ვკლმემატიკიერობდა ბენგამ ლაიონში, ჯერ არ მოხულიყო, მაგრამ წუთი-წუთზე ელოდნენ) „მაქსიმუმ II“. წარმატების მიღწევის სხვადასხვა ხაშუალება. სიფერული მარალია. და ეს უნდლი ლაიონში კი რა გაცხარებით შიილგვოდა, რომ ბოლოს მშრალზე დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, თამაში ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ საბრალე ყვეუნი ეერაფრით იწვეშებდა თავს, შიელი მისი თენებები ფუჭი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი მარჩიელობამდე დაეიდა.


— ყველაფერი იმას მოახწავებდა, რომ აქამდე შიეილოდნენ, თქვა მან, ბლუმმა.

— ვინ? იკითხა მეორემ, რომელსაც სხვათა შირის ხელი სტკიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს გადამლი გაზეთს, განაცხადა მეეგლემ, და წაიკითხავ: „პარხელის დაბრუნება“.¹⁰ მზად იყო რაზეც უნდოდა იმაზე დანახდევებულიყო. დუბლინის მსროლელთა რაბმელი იყო ამ თავშესაფარში ერთ ლამუს და თქვა, რომ სამხრეთ აფრიკაში ენახა. სიამაყემ დაღუპა. თეითონ უნდა მოესწრაფა სიცოცხლე ხაკუთარი თავისთვის ანდა ერთხანს მჯდარიყო თავისთვის წყნა-

რად კომიტეტის სხდომის შემდეგ მე-15 ოთახში ხანამ ძველ სახეს არ დაიბრუნებდა, რომ თითო ეერაეის შიეშვირა მისკენ. და შირე ყველანი სიხეით მუხლისკვერებს გადაიყვლეულდნენ. ეს წიომ დაებრუნებინათროცა კონსიფერებოდა. მაქდარი უ არ იყო. უბრალოდ თეაღს შიეფარა სადღაც კუთ რაბმელიც შიიგნეს; კვებითიყო გამოტენილი სახელი გამოიყვალა. დე უეკი გახდა, ბურევის ვენერალი. მაგრამ შეელომა დაუშვა მღვლეების წინააღმდეგ რომ გაილაშქრა. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ მოყვანილმა ვრცელმა ჩანაწერმა გვიჩვენა, გალაკტიონი სწორედ მახვილს მიიჩნევს ქართულ ლექსში რითმის მომწესრიგებლად და რომ ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი ამგვარად არ იქცევიან, ეს, მისი აზრით, არაბუნებრივი მოვლენაა.

გალაკტიონი იქვე იმასაც დასძენს „ვეფხისტყაოსანში“ ასე არ იყო და XIX საუკუნის პოეტებმა რომ მისი ტრადიცია არ გააგრძელეს, ამით ნააგუსო.¹⁰ იმგვარე რითმა, როგორც რომანტიკოსებსა აქეთო გალაკტიონისათვის მიუღწევლია.

გალაკტიონი წერილში „საკითხის დასმისათვის“ პირდაპირ აცხადებს, რომ „ქართული ლექსისათვის... იმის ამაღლება უნდაც არის დაფუძნებული და მარცვალთა რაოდენობაზეც“, მაშასადამე, ქართული ლექსის რიტმი ისევე ემყარება მახვილებს, როგორც მარცვალთა რაოდენობასო. ეს სილაბერტონული ლექსწყობის ზუსტი განმარტება ვახლავთ, მართალია ზემოთ მოყვანილი ფრაზის გაგრძელებაში ერთგვარი ტერმინოლოგიური უზუსტობა გვაქვს: „ასე, რომ ქართული ლექსისათვის ფრანგული ენის ლექსისათვისაა შავს — სილაბურია (და არა ტონური)“,“¹¹ მაგრამ ქართული ლექსწყობის არსი ფრაზის პირველ ნახევარში იმდენად ცხადად განიმარტება, რომ გაუგებრობისათვის ადგილი აღარ რჩება. სილაბური ლექსწყობა ძირითადად მარცვალთა სათვალავს ემყარება და მახვილზე ასეთი დაფინებული საუბარი მასთან დაკავშირებით საჭირო არ არის. თავად გალაკტიონისავე განმარტების მიხედვით, მის მიერ ნახმარ ტერმინში „სილაბურობა“ რეალურად სილაბურტონურობა იგულისხმება. ამის დასტურად ისიც გამოიყენება, რომ გალაკტიონი სილაბურობას ტონურობის საპირისპირო ტერმინად ხმარობს და შემდეგ აზნაცში მოჰყავს კიდევ ტონური ქართული ლექსის მაგალითები (სადაც ლექსის რიტმი მხოლოდ მახვილებს ემყარება და მარცვალთა რაოდენობა მხედველობაში მისაღები არ არის, მაგალითად: „ლალე, ლალე, შენ კი გენაცვალე“).

ასე რომ, როგორც გალაკტიონისავე განმარტებაში ჩანს იგი ტერმინ „სილაბურობაში“ „სილაბურ-ტონურობის“ შინაარსს დებს.¹² ასეც რომ

არ იყოს, ქართული ლექსის რითმის წარმოქმნაში მახვილის როლის ასეთი ხაზგასმა სილაბური სალექსო სისტემის ადეპტს რაში დასჭირდებოდა? კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზის, მით უმეტეს, ნახევარი ფრაზის მიხედვით კი ამის გარკვევა შეუძლებელია.

ეს, რაც მახვილის შესახებ გვინდოდა გვეთქვა, ახლა კი იმ საკითხთა განხილვას შევუდგეთ, რომლებიც მკვლევართა დაჟინებული ყურადღების საგანი არ გამხდარა.

პოეტის თხზულებათა მეხუთე ტომში მის დაუსრულებელ ლიტერატურულ ნერილებს შორის მოთავსებულია ჩანაწერი „წყობა ქვემორენი“, რომელიც გალაკტიონის ტექნიკურ ძიებებს შეეხება. გალაკტიონი ცდილობს ქართული ანბანის გრაფიკაც კი პოეტის კატეგორიად აქციოს და ასე შექმნას გრაფიკული ანუ ვიზუალური პოეზია. ამ მოვლენას იგი სტამბის ესთეტიკას უწოდებს და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენში ამგვარი რამ მიღებული არ არისო. პოეტის აზრით, ის, რომ ქართული ასო-ნიშნები სამ ხაზზე არიან განლაგებულნი, ხელს უშლის თვალსაჩინო გრაფიკული ფორმების გამოკვეთას. იყო მცდელობა, რომ ანბანი ერთ ხაზზე დაელაგებინათ, მაგრამ ქართული მკითხველი ამას ვერ შეეგუა, თუმცა სწორედ ამგვარად იმართებიან სტრიქონები რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზეო. გალაკტიონი ცდილობს თავისებურად გადანყვიტოს ეს საკითხი და სვამს კითხვას: „შესაძლებელია თუ არა, შეიქმნას სიტყვა, შემდეგ წინადადება, ტაუპი და მთელი ლექსიც თანაბარნი, ზემორენი, ქვემორენი და ზემორექვემორე (სულ ოთხი კატეგორია) ანბანის აურევ-დაურევლად?“¹³ ე. ი. შეიძლება თუ არა, სტრიქონი ან მთელი ლექსი გაიმართოს მხოლოდ ერთ ხაზზე განლაგებული ასოებითო. და იქვე დასძენს, ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები ადასტურებს, რომ ამგვა-

რი რამ საკვებით შესაძლებელია: „საკვებით შესაძლებელია შეიქმნას სიტყვა, ლექსი შემდგარი მთლად ან თანაბარი (რ, ა, ო, თ და სხვა) ან ქვემორეთა ანბანით. მთელი რიგი სიტყვების (ლექსის) მთელს უღელს უღელ და სხვა) ამის დამატყოფებელი არიან“.¹⁴

ნათქვამის საბოლოო სტრუქტურად გალაკტიონი იქვე კვლავიხატავს მწილობდ ქვემოთ განლაგებულ ასო-ნიშნებს, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი შესატყვისი ბგერების შემცველი სიტყვებით შექმნილ ლექსს:

დელა-დელა

დელე-დელე-

ტყე-ტყე

ულუღულე

დეე-დეე-

უღელ-უღელ

დევედე-

დეე-დეე-დეე

დედე-

ვლე-ვლე-

ვლე-

კლე-ვლე-დედე

დედე!

მაგრამ თუ ქვემორეთა (დელე-დელე) საშუალებით შეიძლება ლექსის შექმნა, ერთ სიტყვასაც ვერ შევქმნით ზემორექვემორენით (ქ. ჩ. ნ.) და ზემორეთა მეშვეობითო (ბ, ზ, რ, ს, ჩ, შ.), დასძენს გალაკტიონი, ხოლო რაც შეეხება თანაბარ ანბანს, აქ ცდები არ ჩამიტარებია, მაგრამ უეჭველია, რომ ამ ანბანით სიტყვების შექმნა შეიძლებაო.

ვახტანგ ჯავახიძის ცნობის თანახმად, ამგვარი სავარჯიშოები მრავლადაა გალაკტიონის არქივში. გარდა ამისა, გალაკტიონი, თხზავდა სამკუთხედის ფორმის ლექსების, ტაუპთა არქიტექტონიკაზე დაყრდნობილ ტექნიკურ კომპოზიციებს, აკეთებდა ჩანახატებს გაურკვეველი მინანურებით, ასოთა და ხაზთა გან-

ლაგების სხვადასხვა სურათებს გვთავაზობდა. ერთი სიტყვიტ, ნახევარი საუკუნის წინათ აკეთებდა იმას, რაც მხოლოდ დღეს იძენს მოქალაქეობრივ უფლებებს პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში.¹⁵

ჩვენს განსახილველ წერილში გალაკტიონი ამ გრაფიკული საეარჯიშოების ერთგვარ თეორიულ დასაბუთებას გვთავაზობს. თუმცა გვეუბნება, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური საიხილეა და ერცელი პოემის ან რომანის დაწერა ამ ხერხით შეუძლებელია.¹⁶

გრამატიკული ძიებების და ტექნიკური საეარჯიშოების თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს აგრეთვე დაუმთავრებელი წერილი „უცვლელი ნაწილები“. აქ გალაკტიონი გვესაუბრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ლექსში მეტყველების უცვლელი ნაწილები: კავშირი „და“ და ნაწილაკი „ც“.

თავიდან გალაკტიონი იმას არკვევს, თუ რა ფუნქციით გამოიყენება ნაწილაკი „და“ ქართულ მეტყველებაში და მოჰყავს სათანადო მაგალიტები. პოეტი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს ნაწილაკ „და“-ს, როგორც სარიტმო ერთეულს, როცა ერთმანეცვლიანი რითმა საყოველთაოდ მიღებული მოვლენა გახდება.¹⁷ იქვე მოჰყავს „და“-ს რითმად გამოყენების რამდენიმე მაგალიტი:

1. კარგია ტბაზე ტყის ფოთოლი და ხავერდისფერი ნაპირის ყდა.
2. ნეტავი ისევ ბავშვი ვიყო და ნეტავი შეაკვდეს შენნაირი და!
3. ბავშვმა ცრემლები მოიწმინდა და ამოითხრა: ვაპ, მომშორდი — და?!

„ამნაირად: უცვლელი ნაწილი „და“, რომელიც წინათ მხოლოდ სტრიქონში გვხვდებოდა (1. „ქვეყანაზედა და ზეცაზედა იყო დუმილი“. 2. „და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“. 3. „ერთ ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ“. — გადავიდა სტრიქონის რითმად, ლექსის ტენი-

კის, სტრიქონის ტენიკის უაღრესად მნიშვნელოვან „ადგილას“,¹⁸ — გვეუბნება გალაკტიონი და ამით გვიხსნის, რომ მან „და“ ნაწილაკს გრამატიკული ფუნქციის ნაცვლად, რომელსაც ის ჰქაძედე ხარულებდა, მათეტიური დატვირთვა მინიჭა, პოეტის კატეგორიულ აქცია.

გალაკტიონი აღნიშნავს, რომ კავშირი „და“ უდიდეს როლს ასრულებდა ძველ ქართულ სამწერლო ენაში, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ მას მხოლოდ აბზაცის დანიშნულება ჰქონდა, ლექსის საერთო წყობას კი არღვევს. ასე რომ, უცვლელ ნაწილს „და“-ს, ტექნიკური გამოყენების მიზნით, პირველად მე მივეცი ორგანიზებული სახეო, სამართლიანად აღნიშნავს პოეტი საკუთარ დასახუბრებას.¹⁹

გალაკტიონის აზრით, უცვლელ ნაწილაკად „ც“-ც ბევრ ახალ საშუალებას გვაძლევს მისი ტექნიკური გამოყენებისას.

როგორც ვხედავთ, ამ ორ წერილში გალაკტიონი მის არქივში შემონახული უამრავი გრაფიკული თუ გრამატიკული საეარჯიშო²⁰ ერთგვარ თეორიულ საფუძველს გვთავაზობს. სამწუხაროა, რომ ეს წერილები დაუმთავრებელია და გალაკტიონის თეორიულ მსჯელობას ფრაგმენტული ხასიათი აქვს.

გალაკტიონი თეორიულ საკითხებზე მსჯელობას იშვიათად მიმართავდა ხოლმე, ძირითადად მაშინ, როდესაც იძულებული იყო საკუთარი პოზიცია დაესაბუთებინა. ამიტომაც, რომ ზოგიერთი წერილი თუ ჩანაწერი უხილავი ბრალმდებლის წინაშე თავის მართლებას ნააგავს. ასეთია მაგალიტად პატარა წერილი სათაურით „დრამატიზმი“, სადაც გალაკტიონი პესიმისმიისა და დრამატიზმის ერთმანეთისაგან გარჩევას მოითხოვს. ვინაიდან თავი მოაბეზრეს საყვედურებით, შენი შემოქმედება პესიმისტურიოა, პესიმისმი კი მაშინ საღანძღავად ითვლებოდა, ცდილობს აუხსნას კრიტიკოსებს, რომ

ის, რაც მის ლექსებში პესიმისტურად მონათლეს, სინამდვილეში დრამატიზმია.²¹

როგორც ჩანს, გალაკტიონისათვის გამაღიზიანებელი იყო ის ფაქტიც, რომ პარტიის მონოდებამ, დაეხატათ სოციალიზმის მშენებელი ადამიანები, მხატვრულ ლიტერატურაში უაღრესად გამარტივებული ფსიქიკის მქონე სქემატური პერსონაჟების მომრავლება გამოიწვია. სწორედ ამ პრობლემას ეხება წერილი „ყველა სიმები“, სადაც ავტორი სათქმელს საკმაოდ ორიგინალური ხერხით გადმოგვცემს. გალაკტიონი აქ მისთვის ჩვეულ მისტიფიკაციას მიმართავს, გამოგონილი მწერლის არარსებული ნოველის შინაარსს გვიყვება. ჩანაწერი ასე იწყება: „გარრის ნოველის „სიმების“ მთავარი გმირი ინჟინერი შმიდტი ერთი იმათგანია, რომლებიც ფოლადის ადამიანის სახელწოდებას ატარებენ და ცრემლების ღერა არ სჩვევიათ. იგი ერთხელ მწარედ ატირდა: ვინრო ნრეში, მეგობრებში, იგი ტიროდა ადამიანური ცრემლებით; მეგობრებისათვის ეს მომენტო იმგვარად მოულოდნელი და არაჩვეულებრივი იყო, რომ რამდენიმე წამს ენა დაეებათ, გაშეშდნენ... შმიდტის მხრები კი კანკალებდნენ, იგი უფრო და უფრო სტიროდა, ეს იყო ნამდვილი ისტერიკა და ერთი მეგობართაგანი ნყლის მოსატანად გაეშურა“.²²

ამგვარი დამაინტერესებელი დასაწყისის შემდეგ გალაკტიონი გვამცნობს, რომ შმიდტის ტირილი საყვარელი ქალის დაკარგვით იყო გამოწვეული (ნიშანდობლივია, რომ ქალი, ალბათ ისიც ინჟინერი ან მონინავე მუშა, სოციალისტურ მშენებლობას შეენირა, იგი მოწყვეტილმა „ვაგანეტკამ“ გაჰყლიტა).

როგორც ვხედავთ, გალაკტიონმა მშვენივრად მოხაზა ერთი-ორი მოსმით მაშინდელი სოცლიტურატურისათვის დამახასიათებელი ტიპური სიუჟეტი: ინჟინერი, ანუ ეპო-

ქის გმირი, სოციალისტურ მშენებლობაზე, სოციალისტური სიყვარული (ინჟინერსა და მის კოლეგა ქალს ან მონინავე მუშას შორის), შრომით ვახტზე გმირული სიკვდილი. თომცა მწერალს გაშორის ერთი შედმეტი შტრიხი დაჰმატება ინიჟინრის ტიპური ხასიალისათვის. ეს ვახლავთ ტირილის უნარი. სწორედ ეს ტირილი გმირის ფოლადის ხასიათს აჩვენეფერება, ვახლავთ სიახლე მწერლის ნოველაში, ერთგვარი გადახვევა გმირის სქემატური დახასიათებიდან. გალაკტიონი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ შტრიხს, როდესაც გვეუბნება, რომ თავად შმიდტისავე თქმით, იგი თურმე არა მარტო ახალგაზრდობაში, ახლაც კი ტირის, როდესაც ანდრეი ბოლკონსკის სიკვდილის სცენას კითხულობს ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“ ანდა ტურგენევის რომანების ზოგიერთი ადგილის კითხვისას. თუმცა შმიდტი სოციალიზმის ნამდვილი პირმშოა და იგი იქვე დასძენს: „რა თქმა უნდა, ჩვენ ვცხოვრობთ ხალისიანი და სრული ცხოვრებით“, რადგან შიშობს, რომ მისი მწუხარება კლასობრივი მტრის განცდებად არ მიიწიონ და აგრძელებს: „მაგრამ, თვითულ ჩვენთაგანს გულის წიღრმეში შეიძლება ჰქონდეს ნალექი პირადი მწუხარების, სიყვარული, განშორება, ღალატი, სიკვდილი მახლობლების, სიკვდილი მეგობრის და კიდევ რამდენი რამ...“²³

ასე იცავს გალაკტიონი ინჟინერი შმიდტის პირით ადამიანის უფლებას პირად ცხოვრებაზე, პირად მწუხარებაზე, რაც სასტიკად იდევნებოდა როგორც ლიტერატურაში, ისე ცხოვრებაში. ამავე გამოგონილი ინჟინრის პირით გამოთქვა გალაკტიონმა წინამდებარე წერილში თავისი შეხედულება იმ პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში არსებულ ვითარებაზე: „მე ვკითხულობ ყველა თანამედროვე ნიგნებს, რაც კი ხელთ მამხვდება, მე ვიცი ახალი სიმღერები, ახალი ლექსები... ისინი მე მალეღებენ... მათში

იმ ბრძოლის პათოსია, რომელშიაც თვითონ ვიღებ მონაწილეობას! (როგორც ვხედავთ გალაკტიონი საკმაოდ ფრთხილია) მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. ხელოვნებაში უნდა იყოს ყოვლისმომცველი, უნდა რეკავდეს ყველა სიმებზე... ხომ არას კიდევ მინორული სიმები? და აი, მე ვფიქრობ სრულებითაც ცოცხა არ არის, თუ, ვთქვათ, ისეთ ადამიანს ვხვდები, როგორც მე ვარ, ხანდახან შეუძლია... ატირდეს ნიგნზე..."²⁴

აი, სწორედ ამ სათქმელისათვის შეითხზა ინჟინერი შმიდტის ისტორია. თხრობის დასასრულს, თუ შეამჩნიეთ გალაკტიონი თავისი გმირის დემისტიფიკაციასაც ახდენს, ინჟინერი თავის თავს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟად მოიხსენებს, რასაც გარის ნოველის გმირი, რასაკვირველია, არ გააკეთებდა. მთელი ეს ნიღბებიანი მასკარადი გალაკტიონს იმისთვის დასჭირდა, რომ ეთქვა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ, ადამიანი დაპროგრამებული მანქანა არ არის, ზოგჯერ ის შეიძლება გაუთვალისწინებლად მოიქცეს, რადგან მის სულში რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობს. ამიტომ არ არის დამაჯერებელი, როცა სოციალისტური მწერლობა ადამიანს სწორხაზოვან და სქემატურ არსებად წარმოგვიდგენს.

გალაკტიონი არა მარტო სოცრეალიზმის ლიტერატურისთვის ჩვეული პრიმიტიული სწორხაზოვნების არამედ ნებისმიერი თუნდაც მაღალ ოსტატურ სქემატურობის წინააღმდეგაცაა. ამას მოწმობს ჩანაწერი „უელსის რომანზე“, რომელშიც გალაკტიონი აკრიტიკებს უელსის მანერას, რაც პერსონაჟთა პროფესიული თვისებების ჰიპერბოლიზაციაშიც გამოიხატება: „ინგლისელ რომანისტ უელსს აქვს რომანი „პირველი ადამიანი მთვარეზე“. უელსი თვალთ წინასწარმეტყველია და ქვეყნიურ ნაკლოვანებებზე არა ირონიის გარეშე ხატავს მთვარის მცხოვრე-

ბლებს (ბინადრებს), თითოეულ მათგანს პროფესიის დალი აზის უდიდეს მეცნიერს (სწავლულს) აქვს უზარმაზარი შუბლი და გამხდარი (ჩქლე, დალეული) სხეული და ტანი; ღონიერს (ძალადეახს, ძალუქს) სპორტსმენს კოლონალური სიდიდის მსხვილი ძარღვებიანი (მუსკულუბიანი) ხილები და შატარა თავი. ვარსკვლავთმრიტხეელს (ასტრონომს) დიდი, საოცარი ვეება თვალები და ძლივს შესამჩნევი ფიგურა, მწერალს კოლოსალური ხელები და სხვა.²⁵ ეს არის პროფესიული ჰიპერბოლიზმი.

ამნაირ შემთხვევებში ჰიპერბოლიზაციის ხშირად გააოცებს ადამიანის წარმოდგენას, მაგრამ სრულიად ვერ დაარწმუნებს მას...²⁶

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი ჰიპერბოლიზაციის წინააღმდეგია, რადგან ეს მხატვრული ხერხი უელსის რომანში ადამიანის ხასიათის სქემატურ წარმოსახვას ემსახურება. მას კი არ სურდა, რომ მხატვრული ნაწარმოებების გმირები იდეათა რუპორებს (შელინგის გამოთქმა) დამსგავსებოდნენ.

და ბოლოს, გალაკტიონის ლიტერატურული წერილებიდან ვეინდა გამოვყოთ მინიატურული წერილი „სიურრეალიზმის“ შესახებ, სადაც ავტორი ამ მიმდინარეობის საკმაოდ საინტერესო შეფასებას გვაძლევს. პარიზში ყოფნისას მას სიურრეალისტ მხატვართა გამოფენა დაუთვალეირებია. წერილს სწორედ ამ შთაბეჭდილების გადმოცემით იწყებს და აღგვიწერს სალვადორ დალის ნამუშევარს „საათი“, რომელსაც გამოფენაზე დიდი აჟიოტაჟი გამოუწვევია.

„ნატიურმორტი ვახდა ნამდვილ მსხვერპლად, იმ ნატურად, რომელიც დადალულია სიკვდილის საშინელებით. ისეთი აუტანელი გახრწნის სუნით იყო აღსავსე ეს ნაწარმოები, რომ მისი ფოტოსურათის შეხედვაც კი გვეწველებოდა და არასასიამოვნო იყო: — „გაყინული კომპარი“, როგორც დაარქვა ამ სურათს ერთმა

კრიტიკოსმა, — ასე გადმოგვცემს გალაკტიონი სალვადორ დალის ერთ-ერთი ტილოს ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებებს და ასკვნის: — „აი, დაახლოებით რა არის სიურეალიზმი, იგი შეყვარებულია სიკვდილზე, გაყინვაზე, იგი აღტაცებულია მითი. იგი ლაპარაკობს მასზე სიყვარულთ, პათოლოგიური გულდასმით, სიცოცხლისადმი გულგრილობით. ეს რალაცავარი გასტრონომი და დე-გუსტატორია სიკვდილის...“²⁷

ბუნებრივია სილამაზის ადვოკატ სი-

მხინჯის ესთეტიკა არ მოეწონებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონის ლიტერატურული ნერილები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ მიმოუხიდავთ, ჩვენ შევეცადეთ იმ საკითხებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, როცა მსხვერპლ-კური დაგვეგვების სავაზი არ გამოხდარა. როგორც იტყვიან დიდი თვენი სხვის ბაძეს მიაჩნევა და ჩვენ მიიძღავენუგებთ თავს, რომ რთვა საქმე გალაკტიონს ეება იქ, წერილმანი და მსხვილმანი არ არსებობს.

1. დ. კობიძე, გალაკტიონ ტაბიძე და აღმოსავლური ლექსეობის საკითხები, წიგნში: „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, თბ., გვ. 126-130; ნ. ბართია, გ. ტაბიძე და აღმოსავლური ლექსის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტი, 1969, გვ. 140-145; ა. ხინთიბიძე, პოეტია დიდი პოეტის თვლით, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1993, №1, გვ. 213-247
2. თ. აბაშიძე, მუსიკა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, ჟურნ. „განთიადი“, 1988, №1, გვ. 162-169; რ. კურსაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და მუსიკა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 4, 1969, გვ. 25-31
3. იხ. ა. ხინთიბიძის „პოეტია დიდი პოეტის თვლით“
4. შ. რევიშვილი, ქართული ტერცინა „ლიტერატურული საქარველი“, 1970. 21 აგვ. გვ. 6
5. იხ. ა. ხინთიბიძის „პოეტია დიდი პოეტის თვლით“
6. ე. ჯავახაძე, უცნობი, გვ. 396, 1996
7. იქვე, გვ. 395
8. ა. ხინთიბიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 240
9. იქვე, გვ. 242
10. გ. ტაბიძე, „საკიხის დასმისათვის“, ტ. 5, გვ. 96
11. იქვე
12. ამგვარი ტერმინოლოგიური განურჩევლობა იმ პერიოდისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ხშირად ლექსეობის სისტემებს ძირითადად ორ ნაწილად ყოფდნენ ხოლმე: ტონურად და სილაბურად. ტონურში ბერძნული და ლათინური მეტრული ლექსეობა იგულისხმებოდა, სილაბურში კი ახალი სალექსო სის-

ტემები: სილაბური და სილაბურ-ტონური. ან პირიქით ბიზანტიურ სილაბურ ლექსის ხშირად სილაბურ-ტონურადაც მოიხსენიებდნენ ხოლმე (იმ ორი საეაღებულო მახვილის გამო, რომელიც სილაბურ ლექსს სტროქონის ბოლოში უნდა ჰქონოდა). სილაბურ-ტონური ლექსეობის შვეთი გამიჯნა ლექსმცოდნეობაში საკმაოდ გვიან მოხდა.

13. გ. ტაბიძე, „ნეობა ქვემოთნი“, V, გვ. 102.
14. იქვე
15. 1990 წელს ლაიპციგში გამოვიდა პოეზიის კრებული Wort Bild, Visuelle Poesie in der DDR (სიტყვახაზი: ვიზუალური პოეზია გდრ-ში). რამდენიმე ნაშუუვარი ამ ნიგნიდან გადმობეჭდილია გაზეთი: „+ - ლიტერატურა“, 1996 წელი 1-15 მაისი. იხ. აგრეთვე ბადრი გუგუშვილის „გრაფიკული მოთხრობები“ ჟურნალში „პოლილოგი“, 1994 წ. №4.
16. გ. ტაბიძე, ტ. 5, გვ. 102.
17. გ. ტაბიძე, „უცვლელი ნაწილები“, ტ. 5, გვ. 104.
18. იქვე
19. იქვე
20. შ. შამანაძე, გალაკტიონის საეარჯიშოები „ცისკარი“, 1982. №11, გვ. 127-135.
21. გ. ტაბიძე, დრამატისმი, ტ. 5, გვ.
22. გ. ტაბიძე, „ყველა სიმები“, გვ. 106.
23. იქვე
24. გ. ტაბიძე, ტ. 5, „ყველა სიმები“, გვ. 107.
25. გ. ტაბიძე, „უელისის რომანზე“, ტ. 5, გვ. 81.
26. იქვე
27. გ. ტაბიძე, „სიურეალიზმი“, ტ. 5, გვ. 158.

რაკურსის ქიზა

60-80-იანი წლების ქართული რომანის
კომპოზიციური თავისებურება

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართული რომანის კრიზისი, გავრცელებული აზრით, თითქმის არარსებობა რომანისა, მეტად აშფოთებდა და ამწუნებდა იმდროინდელ კრიტიკას, ქართული მწერლობის მოამბვეთ და გულშემატიკევართ. იყო მიზეზთა ძიება და რომანის განვითარების აუცილებლობის დასაბუთება, ასახელებდნენ ჩვენს მწერლობაში რომანის განვითარებლობის მრავალ მიზეზს: მიზეზად თითქმის ყველა ფსიქოლოგიურ ფაქტორს მიიჩნევდა, „რარიგად გვეყურია რომანი, ჩვენი ცხოვრების სარკე, მისი ძარღვის ცემა, მაგრამ... ვერ უდგება ეს მოსახამი ჩვენს სულს“, — ნერდა აკაკი პაპავა. მიზეზად დასახელებული იყო თანადროული სინამდვილეც (თითქოსდა იგი საჭირო მასალას არ იძლეოდა რომანისთვის) და თვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორიტეტიც კი (ს. ცირეკიძე). მაგრამ უნარის არსებობასა და განვითარებას თავისი ფართული, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, ამიტომ რომელიმეს ცალსახად განსაზღვრა—დადგენა ძალზე ძნელია.

შემდგომში, 20-30-იანი წლებიდან, ქართულმა რომანმა ისეთი აღმავლობა განიცადა, რომ მისი მძლავრი მუხტი დღესაც ქმედითია.

60-იანი და შემდგომი პერიოდის ქართული რომანი თითქმის ყველა ასპექტით ძირეულადაა დაკავშირებული 20-30-იანი წლების ქართულ რომანთან. 60-იან და მომდევნო ათწლეულებში შექმნილმა რომანებმა ნათლად წარმოაჩინა, რა ლიტერა-

ტურულმა ნივთიერებმა და ტენდენციებმა გაუძლო დროს, რომელ მათგანს აღმოაჩნდა შემდგომი ეპოქის შესატყვისი პოტენცია. 60-იანი და შემდგომი პერიოდების რომანის მხატვრული ფორმის ანალიზი ხელს უწყობს 20-30-იანი წლების რომანის უკეთ გააზრებასაც. იკვეთება თითქმის ერთიანი ლიტერატურული პროცესი, საინტერესო სიახლეებითა და ტრადიციისადმი სპეციფიკური დამოკიდებულებით.

20-30-იან წლებში უკვე დაიწყო სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება რომანის უანრულ შესაძლებლობებზე, რომანმა თავს იღო ახალი ყოფის, რთული დროის ასახვა. „ინტროსპექტულ“, „ცენტრისკენულ“ რომანში აღამიანის სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შიგნიდან ასახვამ გააჩინა შიდა და გარე სიუჟეტური ხაზები. ახალი ტიპები, რეალურად უკვე კარჩაგმანული, მაგრამ ლიტერატურაში ისევე „ახლოს მყოფი“ უცხოეთი აისახა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“, გრ. რობაქიძის „ფალესტრასა“ და „გველის პერანგში“. ქართველის თვალთ დანახული უცხოეთი მთელი სისრულით არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილა ქართული რომანის კვლევის საგანი. ხედვის ეს რაკურსები, მხატვრული თხრობის ტექნიკასთან ერთად, მძლავრ ფაქტორს წარმოადგენდა რომანთა კომპოზიციისათვის. წინარე პერიოდის ქართული რომანი, კონკრეტულად, ალ. ყაზბეგიდან — ვ. ბარნოვამდე, არ იცნობდა ასეთ რთულ კომპოზიციას — სიუჟეტურ

წილსვლებსა და ცნობიერებაში მომხდარ დრამატულ ვითარებათა აღწერას. მოდერნიზებულ რომანში გმირის, დროისა და სივრცის ასახვის მიზნით ხდებოდა სიუჟეტის დატეხვა, მითოლოგიურ-ფოლკლორული მასალის ცალკე ტექსტების სახით ძირითად ტექსტში ჩართვა, მკითხველს უწევს ალუზიებისა და რემინისცენციების ამოცნობა და მთლიანობაში გააზრება. XX საუკუნის ადამიანის ინტერესების სფეროს გაფართოება-გაღრმავებამ მოითხოვა ინტელექტუალური პრობლემების დასმა-განხილვა. შეიცვალა ადამიანის კონცეფცია — ზედროულისა და ისტორიულის გადაკვეთაზე მდგომი გმირის შინაგანი და გარეგანი ცხოვრების ჩვენებამ, ბუნებრივია, ასახვა პოეზიაში, პოეზიაში, თხრობის ტექნიკა განახლდა და გართულდა, დრო და სივრცე არაერთგვაროვანი გახდა.

რაკურსის ძიება „გარეგანი“ და „შინაგანი“ კომპოზიციის ქმნადობისას 20-30-იანი წლების რომანის არსებით ნიშანს წარმოადგენს. იგივე თვისება აქვს 60-80-იანი წლების რომანსაც. ცხადია, ეს ბუნებრივი პროცესია, როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადად შემოქმედებითი აქტივობისთვის, აქ მხოლოდ ყურადღასღებია კომპოზიცია როგორც თავისთავად, ისე ხელოვნების სხვა დარგებთან მიმართებაში. გასათვალისწინებელია ყველა ის ფაქტორი, რაც ზეგავლენას ახდენდა 20-30-იანი წლების რომანზე და ახდენს 60-80-იანი წლების ქართულ პროზაზე. ამ მხრივ პანორამა ძალზე ვრცელია, რთულია ათვლის წერტილთა მონიშვნა, დიდძალია თვით ლიტერატურული მასალა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე არსებით მომენტს შევხებით.

გაზიარებულია აზრი, რომ მოდერნისტული თხრობის ტექნიკა 20-30-იანი წლების რომანში ევროპული ლიტერატურის გზით შემოვიდა, მაგრამ ამ ნოვაციებს გარკვეული ეროვნული ტრადიცია (შინაგანი მეტყველება,

მითოლოგიზაცია...) დახვდა ქართულ მწერლობაში. ახალმა ეპოქამ ჩვენშიც გაართულა ცხოვრება ინტელექტუალიზაცია არნახული ტემპით მიდოდა, შემოვიდა კინო, ექსპერიმენტებს მიმართა თეატრიზმი, პოეზიაში კოლოსადურმა ძვრებმა ხდებოდა, განხდნენ პირველი დეკავენტები. ორი ეპოქის გასაქარზე, ორი წყობილების ტრაგიკულ განხვლელების მიჯნაზე გამოჩნდა ახალი, რთული ფსიქიკის გმირი (რომელსაც „მარგინალური ადამიანი“ ეწოდა).

მწერლის მიერ ნაწარმოების ფორმათქმნადობის პროცესი მკითხველისათვის დაფარულია. მწერალი მაშინ წყვეტს თავის ქმნადობას, როცა შემოქმედებითი პროცესი ფაქტად იქცევა. ის, რაც წინ უსწრებდა შექმნას, როცა შედეგის სახით გვევლინება, შეიძლება უკვე სხვაგვარად გამოხატავდეს მანამდე განცდილსა და ნააზრევს. გოეთეს უთქვამს ეკერმანისათვის: „რამდენი დროც უნდა დაიკარგოს ჩანაფიქრზე, მის განხორციელებაზე, შინაგან კავშირსა და მოწესრიგებაზე, ამას არაფერს ჩაგვითვისის დამახაზურებად“.

ედგარ პო თავის შესანიშნავ ესეში — „კომპოზიციის ფილოსოფია“ — წერს: „წშირად მიფიქრია, რა კარგი იქნებოდა რომელიმე ავტორს მოენდომებინა... და ჟურნალში გამოექვეყნებინა დეტალური აღწერა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენილი პროცესი, თუ როგორ მიაღწია მისმა თხზულებამ სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალს“. ეს პროცესი მრავალ რომანისტს აღუწერია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ — მ. ჯავახიშვილს, კ. გამსახურდიას, თ. მანს, უ. ფოლკნერს, ტ. ვულფს, გ. მარკესს... თუმცა ისე დეტალურად და „ნაბიჯ-ნაბიჯ“ არა, როგორც ედგარ პოს, რომლის აღწერა, მართლაც, საწინამართლო და დიდ დახმარებას უწევს კომპოზიციით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს, ახედებს შემოქმედების იდუმალ სამყაროში.

უ. თექერის დიდი ხნის წინანდელ

ფორმულას — „მწერალმა იცის ყველაფერი“ — დღეს ხშირად მოიხმობენ ხოლმე რეალისტური და მოდერნისტული რომანის შეპირისპირებითი ანალიზის დროს, ავტორისა და გმირის ურთიერთმიმართების ასპექტით, მაგრამ კომპოზიცია შეიძლება, მართლაც, ყველაზე უკეთ მხოლოდ ავტორმა იცოდეს. საგულისხმოა, რომ ედგარ პო უარყოფს ლექსის შექმნისას მხოლოდ ექსტაზურ ინტუიციას, „მე ყოველივე მათემატიკური სიზუსტით ვავთვალე“, — წერს იგი. რომანი კი ლიტერატურის ისეთი ფანრია, რომელიც თავის თავში უკვე გულისხმობს ფორმათქმნალობის არა მარტო სიზუსტეს, არამედ ფანრულ ვარიანტებსაც. ეს ლიტერატურული ფანრი ყოველთვის ძალზე მოქნილი და ცვალებადი იყო, ჩვენს დროში კი, როგორც ჩანს, მალე რომანად ჩათვლიან ყველაფერს, რაც მოუნდებათ, თვით რომანის გარდა“, — შენიშნავდა თ. მანი. რომანის ფანრის შეუუმშვა-გაფართოება ყველა ქვეყნის ლიტერატურას ახასიათებს, ჩნდება ფორმითა და შინაარსით ძალზე საინტერესო უამრავი სახე, თუ შეიძლება ითქვას — ქვესიტემები. მართებულიად შენიშნავს მ. ბახტინი, რომ რომანი ერთადერთი ფანრია ლიტერატურისა, რომლის ფანრული ხერხემალი გაქვავებული არ არის და ამიტომ ეს ფანრი განვითარებასა და ფორმირებას დღესაც განაგრძობს.

კომპოზიციას ხშირად განიხილავენ, როგორც სისტემას, რაც მართებული აზრია, მაგრამ ამასთანავე იგი ნაწარმოების სულსაც გამოხატავს, ხორცშესხმულს სწავდასხვა მოცემულობითა და კომპონენტებით (ეგულისხმობთ სახეს, იდეას, სიუჟეტს, მოტივს, ქვეტექსტს და მისთ.) რასაც შემოქმედი შთაგონებითა და დისკურსიული აზროვნებით ანეხრიგებს. რომელიმე ამ კომპონენტის აბსტრაქცირება რთულდება მხოლოდ გონებისმიერი, მეცნიერული კონსტრუქციე-

ბით, ნაწარმოების რეალობა შეიმეცნება ინტუიტიურად, ციროს წყალობითაც საგნის არსი ვიჭრებით და ვწვდებით მის დაფარულ შინაარსს (ა. ბერკსონი). სისტემას ქმნის გარკვეული დაკურხიბ დალაგებული მხალა, სამყაროს დისკურსიული და ინტუიტიური შემეცნების შედეგი. ლ. ტოლსტოიც შენიშნავდა, რომ კომპოზიცია, პირველ რიგში, მსტეის ხედვის ცენტრის დადგენაა.

თ. მანი აცხადებდა: „რომანი ჩემთვის ყოველთვის წარმოადგენდა სიმფონიას, ნაწარმოებს, დაფუძნებულს კონტრაპუნქტის ტექნიკაზე, სადაც იდეა თამაშობს მუსიკალური მოტივის როლს“.

ქართველ მწერალთა შორისაც არიან „მუსიკოსები“, „მხატვრები“, „არქიტექტორები“, ახალ დროში ე. წ. „კინემატოგრაფიული“ მწერლები. კინოსა და ლიტერატურის ურთიერთკავშირი საინტერესო საკითხია და ქვემოთ მას უფრო დანვრილებით განვიხილავთ.

„კომპოზიციის ხელოვნება ისევე მარტივია, როგორც ტყვიის გასროლა თოფიდან“ — ამბობდა ტოროჯონ ბრალის სტილის შეფასებისას. კომპოზიციის ხელოვნება კი მაშინა მარტივი, როცა თითოეული კომპონენტი ზუსტად ზის სისტემაში, როცა მწერალს ხელწიფება, დაძლიოს მასალის შერჩევა — დალაგება-განლაგების სირთულე, მიაღწიოს ზუსტ და დახვეწილ კომპოზიციას, როგორც „გარეგანი“ ისე „შინაგანი“ თვალსაზრისით.

„გარეგანი კომპოზიცია“ რთულსა და საინტერესო სახეს გვიჩვენებს როგორც 20-30-იანი, ისე 60-80-იანი წლების რომანში. გამოვყოფთ ზოგიერთ მათგანს. გრ. რობაქიძის „ფალესტრაში“ თავები იწოდება „კამარად“. კამარა, როგორც თავებად გამოყოფის ხერხი, თავადაა „ტექსტი“ — ტექსტში, რომლის ნაკითხვასაც მწერლისეული გააზრების საფუძვლისკენ მივყავართ. „კამარა“ არქიტექტურის

ტერმინია: „შენობის კედლების, სვეტების და მისთანათა ზევითა ნაწილების შემაერთებელი გადამხურავი ნაგებობა, ჩვეულებრივ „რკალისებური“, შეენიშნავთ, რომ ასევე რკალისებურად ზემოდან (ხშირად) და გვერდებზე ფართო სვეტებით ფორმდებოდა ძველ ქართულ ხელნაწერთა გვერდებიც, აშიგზე კი სინგურით იყო შესრულებული სხვადასხვა სიუჟეტები და ორნამენტები. გრ. რობაქიძის დასახელებული რომანის სათაურს უშუალოდ მოსდევს ქვესათაური: „უცხო თვალი ევროპაში, როგორც ბარათი ევროპულ მწერლებს“. რომანში ევროპული სინამდვილე დანახულია გარედან, უცხო თვალთ, საერთო სული და ენა კი ღრმად რობაქიძისეული და ქართულია. ყოველივე აღიქმება პერსონაჟთა სამოქმედო სივრცის ღრმად ეროვნული, კონკრეტიზირებული ნერტილიდან, ანუ „ქართული ნაგებობის“ (რასაც ქმნის რომანი მთელი თავისი აგებულებითა და ენით) „კამარებიდან“. „კამარა“ გარკვეული სახის კულტურული კოდია, რაც რეციპიენტის სივრცულ წარმოსახვაზეა ორიენტირებული. თ. მანის ნათქვამს თუ დავესესხებით, გრ. რობაქიძე ამით ერთგვარად „არქიტექტორობს“ მწერლობაში. გრ. რობაქიძე ხელოვნების სხვა დარგების მხატვრული გამოსახვის ხერხებსაც ხშირად მიმართავდა, კერძოდ, ის იყო „მუსიკოსი მწერლობაში“. „მისი ხელოვნება ჩვენს დიდ მუსიკოსებს უფრო უახლოვდება, ვიდრე პოეტების ხელოვნებას“, — შენიშნავდა რომენ როლანი.

„ფალესტრაში“ თავების „კამარად“ სახელდება რეცეპციის აქტის სპეციფიკურად განხორციელებისთვისაა გამიზნული. რეცეპციის აქტი აქ ეფუძნება „სივრცული გამოსახულების დროში დისკრეტულ აღქმას“ (პ. ფლორენსკი). მხატვრული ნაწარმოები არის ტექსტი და არის მხატვრული სამყარო, რომლის აღქმას

სჭირდება როგორც სივრცე, ასევე დრო. სივრცეში „კამარას“ აღქმას მტკიცე კავშირი აქვს რომანის საერთო იდეასთან.

ო. ქილაძის რომანის — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ — ხშირწმინდის დასათაურება „აქტი“ „უხერხულ“ და „ფარნაოზი“ არა მარტო ტექსტის უკეთ აღსაქმელადაა გამიზნული, არამედ სივრცულად გამოკვეთს რომანის ძირითად იდეას და გაიაზრება, როგორც „შინაგანი კომპონენტი“ უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. მეფეს, მეომარსა და ქვისმთლელს ღმერთისაგან მინიჭებული როლი და ფუნქცია აქვთ როგორც კონკრეტულად ვანის სახელმწიფოში, ისე სამყაროს წესრიგში, რომანში კატასტროფა მაშინ იწყება, როცა ისინი, ნებით თუ ძალდატანებით, ველარ ასრულებენ თავიანთ როლსა და ფუნქციას.

გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველშიც“ თავების დასათაურება უნივერსუმის ვერტიკალური წესრიგის ასაგებადაა გამიზნული.

რომანში ავტორისეული ხედვის კუთხე რეალიზდება გმირის მეშვეობით, დრო-სივრცული წარმოდგენები მხოლოდ გმირთანაა დაკავშირებული, არ არსებობს ცალკე აღებული დრო და სივრცე, არსებობს გმირი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით აღიქვამს დროსა და სივრცეს (მ. ბახტინი).

ადამიანი კი არასოდესაა მონოლოგურ მდგომარეობაში, იგი მუდამ დიალოგურ ურთიერთობაშია ყველაფერთან, რაც მის ირგვლივ არსებობს, მუდამ შიდა და გარე სამყაროთა მიჯნაზე იმყოფება (მ. ბახტინი), ეპოქასთან მისი მიმართებაც დიალოგურია.

ეპოქა არის კულტურაც, რელიგიაც, მეცნიერებაც, ხელოვნებაც, ტექნიკაც...

XX საუკუნის რომანში თავი იჩინა მითოლოგიზაციის მძლავრმა პროცესმა, XX საუკუნე კი მითის საუკუნე არ არის, ამ მხრივ ეპოქა მხოლოდ ნეგატიურ როლს ასრულებს, იგი ხელს

უნყოფს მითისკენ, როგორც მარადიულ მოდელთა და სახეთა მდიდარი საგანძურისაკენ მიბრუნებას. „კაცობრიობის ისტორიაში თვით მითური წარმოადგენს ადრეულ და პრიმიტიულ საფეხურს, მაგრამ ცალკეული ინდივიდის ცხოვრებაში ეს საფეხური გვიანდელი და მომნიშვნეპის ხანისაა“, — შენიშნავდა თ. მანი. ხშირად ეპოქასთან დიალოგი წარმოქმნილია ფილოსოფიურ-თეოლოგიური-ლიტერატურული თემების თხრობაში უშუალო ჩართვით (დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, ო. ჭილაძე, თ. ჭილაძე, გ. გეგეშიძე, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჩხეიძე და სხვ.), რაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 20-30-იანი წლების რომანში გამოჩნდა.

20-იან წლებში ეროვნული რომანის მოდერნიზება კ. გამსახურდიამ აღმოსავლური და დასავლური რომანის სინთეზით სცადა, რამაც თავი იჩინა „დიონისოს ლიმილის“ როგორც „გარეგან“, ისე „შინაგან“ კომპოზიციაში. რომანის დროცა და სივრცეც არაერთგვაროვანია. ფაბულური დრო არ იცვლება, მაგრამ შიდა სიუჟეტურ ხაზს ქმნის მითოლოგიურ-ბიბლიურ-ლიტერატურულ სახეთა სისტემა, რაშიც გმირი დაეძებს მომხდარისა და მოსახდენის, თავისი მდგომარეობის გაცნობიერებისთვის საჭირო სახეებს (რაც პირდაპირ ნოველათა დასათაურებაშიც ჩანს).

რომანში ჯოჯოხეთის მოდელი მხოლოდ მითოლოგიას არ ემყარება, იგი ინტელექტუალურ-ლიტერატურულ-მისტიკური გონით-ხილვითი გზით არის შექმნილი. სავარსამიძე გონებითა თუ მედიტაციებით ცდილობს ზესკენლის საუფლოს მოხილვასაც. იგი იცნობს ევროპულ ოკულტიზმს, ეზიარება ინდოელი ბრაჰმანის სიბრძნეს, რაც ტექსტში ვრცელად არის აღწერილი.

გარე სიუჟეტური ხაზი კი სავარსამიძის ამქვეყნად, შუასკნელში, მიმდინარე ცხოვრების პერიპეტეიებით იქმნება.

კ. გამსახურდიამ ამ რომანში თითქმის ყველა ხერხი გამოიყენა, რაც კი იმდროინდელი რომანის არსენალს შეადგენდა — კომპოზიციის საინტერესო დეტალს წარმოადგენს რომანში გამოყენებული ერთიანი ინტაცია ფრანგულად ვახუთის „პარი სუარის“ სარეკლამო განცხადება თავისი სხვა ერთ-ერთი (რომანის) ეპიგრაფის მაგიერ ნამძღვარებული აქვს მუსიკალური ფრაგმენტის ნოტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, რაც მიგვანიშნებს, რომ რომანს გარკვეული კავშირი აქვს არა მარტო ოპერასთან, არამედ საერთოდ მუსიკასთან.

გრ. რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ თხრობისას დიდი სივრცე უჭირავს ფილოსოფიურ-ეთიკურ და რელიგიურ მსჯელობებს, თხრობა სახარებისეულ, მითოლოგიურ, ხან კი ლიტერატურულ (დოსტოევსკის „უმამკნი“) ფონზეა გაშლილი. „დაგლეჯილი ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი“ (ერთ-ერთი სათაური), ეფიქრობთ, მკაფიოდ ირეკლავს ევროპული და რუსული რელიგიური კრიზისის გრ. რობაქიძისეულ შეფასებას: „ევროპაში ღმერთი კვდება, რუსეთში ღმერთს კლავენ“. ნიცშესეულ „ღმერთი მოკვდა“-ს ახალევროპულ ვითარებას რომანში თითქოსდა სინტაგმატურად ებმის საბჭოთა „ღმერთის მოკვლის“ მთელი საშინელება.

რომანში ერთგან ჩართულია გაზეთის ამონაჭრები, რომელთაც ივანოვი უგროვებს და სთავაზობს თამაზ ენგურს. ივანოვის თქმით, „მათი დაცული ცნობები მხატვრული ნვრთილმანებია. ერთგვარი იაპონური ტუშით მხატვრობაა, აქ არის რაკურსი და ექსტრაქტი... სავაზეთო მასალა რომანში (როგორც აქ, ისე სხვაგან) მიზნად ისახავს ანწყოს მეტ დაკონკრეტებას, დროის სულის აღდგენას, მაგრამ „ჩაკლულ სულში“, ზემონათქვამის მიხედვით, ხედვის სხვა კუთხეცაა მოძებნილი, ამგვარი

რაკურსი პერსპექტივაში, „ზემო-დან“, აფიქსირებს ყოველდღიურობის პატარ-პატარა სენსაციებს „ცხოვრების ტილოზე“.

საგაზეთო ცნობები, ლიტერატურული თუ მოარული გამოთქმები მრავლად არის ჩართული ო. ჭილაძის რომანში „რკინის თეატრი“ (ხოლო „ავგულში“ პრესის ფენომენი და ფუნქცია მხატვრულ სამყაროში იმდენად მნიშვნელოვანია, ცალკე იმსახურებს განხილვას), მართებულად შენიშნავს კ. იმედაშვილი, რომ ასეთი დეტალები კოლექტიური მეხსიერების სფეროში ძვეს. იგი რომანსა და მკითხველს შორის დიალოგის ერთ-ერთი საინტერესო და ეფექტური ფორმაა.

გრ. რობაქიძემ, როგორც ცნობილია, მძლავრად განიცადა იმდროინდელ ლიტერატურულ მიმართულებათა ზეგავლენა. „გველის პერანგში“ ექსპრესიონისტული მანერით შესრულებული ზოგი ეპიზოდი ერთგვარად კადრებადაა (თავიანთი ფორმა-შინაარსით და ტექსტში განლაგებით) შესრულებული. შესაძლებელია, ამგვარ „კადრიერებაში“ ერთგვარ როლს კინოც თამაშობდა. გრ. რობაქიძეს, მსგავსად მისდროინდელი მოღვაწეებისა (ცისფერყანწლები და სხვ.), შეუძლებელია, ინტერესი არ ჰქონოდა ხელოვნების ამ ახალი და ფანტასტიურად მზარდი დარგისა და მისი პოეტიკისადმი. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ „ფალესტრას“ მთავარი გმირი კინორეჟისორია. ცნობილია, რომ ევროპაში გაცილებით ადრე დაიწყო „კინოს საუკუნე“, ვიდრე ჩვენში. მწერალი ახალი ხელოვნების წარმომადგენელს საგანგებოდ ირჩევს იმდროინდელი ევროპის „ალსანერად“.

„ფალესტრა“, „ჩაკლული სული“, „გველის პერანგი“, პრინციპში იმეორებს „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცების“ კომპოზიციურ აგებულებას. ვგულისხმობთ ინტელექტუალური რომანის ზოგად პრინციპებს. ამ მხრივ თვალსაჩინოა მსგავსება 60-80-იანი წლების რომანთანაც.

„დიონისოს ღიმილი“ 1915-1925 წლებში ინერებოდა, დ. შენგელაიას „სანავარდო“ კი დაიბეჭდა 1924 წელს, მაგრამ იგი უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ისეთ რომანად რომელსაც მხატვრულმა ტენდენციებმა 60-იანი წლებიდან კვლავ პარავგაგრძელება ქართულ რომანში.

დასათაურების გარდა „სანავარდოს“ ტექსტში ჩართულია ჭილაძის მონოლოგები, ეზეკიელის დატირების ტექსტი, იშთარის მითოლოგიური სიუჟეტი, სკაპცების თეოლოგიური მონოლოგები ქართულსა და რუსულ ენებზე. ბონდო ჭილაძის ავადმყოფურ ფსიქიკაში ერთმანეთს ცვლის რეალობა და პალუცინაცია, წარსული და ახლანდელი დრო-სივრცე ერთმანეთში გადადის. რომანში გამოყენებულია შინაგანი მონოლოგი და ცნობიერების ნაკადი, გვხვდება ცნობიერების ნაკადისათვის დამახასიათებელი ასინტაქსიც. ეს უკანასკნელი ო. ჭილაძის „რკინის თეატრამდე“ თითქმის არ გვხვდება ჩვენს მწერლობაში. ო. ჭილაძის რომანში მხატვრული თხრობის ეს ტექნიკა ბრწყინვალეადაა გამოყენებული ცნობიერების რღვევის აღსაწერად. ამ მხრივ „რკინის თეატრი“ 60-80-იანი წლების ქართულ რომანთაგან გამორჩეულია.

60-80-იანი წლების ინტელექტუალურ რომანში მეტი გასაქანი მიეცა ასოციაციებსა და ალუზიებს. რემინისცენციებსა და შინაგანი მეტყველების მხატვრულად ტრანსფორმირებულ სახეებს, მეტად მოქნილი გახდა კომპოზიცია. ცალკეული ტექსტების დამოუკიდებლად ჩართვის შემთხვევებიც თითქოს ნაკლებია, ფოლკლორული და მითოლოგიური მასალა ღრმად დაიშიფრა მხატვრულ სახეთა სისტემაში, მაგრამ შეინიშნება სტილთა ცვალებადობა, ზოგჯერ ინტელექტუალური ინფორმაცია ორგანულად აღარ ეხამება თხრობის საერთო სტილს, ტირადაების სახით შემოდის თხრობაში.

ამ პროცესის შესახებ სოსო სიგუაწერს: „მხატვრულ ნაწარმოებში ინფორმაციათა მოზღვაებაში გამოიწვია მეცნიერული პროზის უცვლელი შემოტანა. ჩვენების პრინციპი შეიცვალა მსჯელობით... განყენებულ სკიოტებზე მსჯელობის გადმოცემა გასცილდა მხატვრული აზროვნების სპეციფიკას“... მკვლევარის ეს აზრი მოყვანილია მისივე ნივთის („აღწერადიზმი ქართულ მწერლობაში“) ქვეთავიდან „მონტაჟის ტექნიკა“. აქვე მონტაჟის ტექნიკის თვალსაზრისით განხილულია თ. ჭილაძის, ედ. ყიფიანის, გ. გუგუშვილის პროზის ნიმუშები.

თავის დროზე ოტია პაჭკორია მიუთითებდა, რომ მონტაჟი მხატვრულ ნაწარმოებში თხრობის შედარებით ტექნიკურ ელემენტს წარმოადგენს, მაგრამ ეს „ტექნიკური ელემენტი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც 20-30-იანი, ისე 60-80-იანი წლების ქართული რომანის კომპოზიციაში. იგი ევროპულმა მოდერნისტულმა რომანმა უკიდურესი ფორმით გამოიყენა (ჯოისი, პრუსტი), მაგრამ ქართულ რომანში მონტაჟის ტექნიკა თავისი ზომიერებითა და მრავალმხრივი ფუნქციით უდავოდ იმსახურებს ყურადღებას.

მონტაჟი თავისი პირველყოფილი სახით თვით ლიტერატურის ნიაღში იშვა, შემდეგში იგი კინომ ისეხა და კინოს პოეტიკის ხერხემლად იქცა. ჯერ კიდევ თავისი არსებობის გარიყრაყზე კინომ ლიტერატურისაგან, კერძოდ, დევიდ გრიფიტი — ჩარლზ დიკენსისაგან, შეითვისა ახლო ხედის ხელოვნება, მხატვრული დეტალი და პარალელური მონტაჟი (ნ. ამირეჯიბი).

60-80-იანი წლების რომანში განსაკუთრებულად რთული დრო-სივრცის აგება მონტაჟურია. მართალია, კინოს პოეტიკა სხვაა და ლიტერატურისა — სხვა, მაგრამ რაღაც ზიარ ხერხზე თუ ვისაუბრებთ, მაშინ გარკვეული თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ხელოვნების ამა თუ იმ

დარგში არსებულ რეალობას. ეს პრინციპული საკითხი დიდმა კინორეჟისორმა და კინოს თეორეტიკოსმა, ს. ეიზენშტეინმა, თავის დროზე ასე ჩამოაყალიბა: „მონტაჟი არის არა ის აზრი, რომელიც შედგება ნაჭრების ერთმანეთთან დაკავშირებით, არამედ აზრი, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაჭრების შეჯახებით „წარმოიქმნება“ (ე. ო. ლიტერატურის შემთხვევაშიც ახალი აზრი „ნაწიურებზე“ უნდა იკითხებოდეს. „ნაჭრები“, „ტექნიკა“ სპეციფიკური ტერმინებია, ლიტერატურაში „ნაჭრებად“ სრულიად არ აღქმება ესა თუ ის მონაკვეთი, მაგრამ კომპოზიციის რიგი კომპონენტების ამ დონეზე აბსტრაქცირება მაინც დასაშვებია.

XX საუკუნის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ინტელექტუალიზაციის პროცესი განუხრელადაა დაკავშირებული მონტაჟთან. აკუტაგავა რიუნოსკემ მონტაჟის ტექნიკით აავგო თავისი ავტობიოგრაფიული მოთხრობა, რომელიც 1927 წელს დაწერა. ეიზენშტეინი კი იმდენად ალტაცებული და გატაცებული იყო მონტაჟით, რომ განზრახული ჰქონდა ჯ. ჯოისის „ულისეს“ ეკრანიზაცია.

„პარალელური მონტაჟი“ წარმატებითაა გამოყენებული ჟ. ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“. აქ მოცემულია ერთმანეთის პარალელური ორი დრო — ზეციური თუთაშხასა და რეალური დათა თუთაშხიასი. სინტაგმა — მითოლოგიური და რეალური დრო შეიძლება შევადართო შენობას, რომელიც სხვადასხვა მასალისაგანაა აგებული. მითოლოგიური დროის პარადიგმაში მოქცეულია, ზოგადი აზრით, თვით დათა თუთაშხიას ცხოვრება ადამიანთა შორის და ამ დროში შექმნილი გმირის სახე. სინტაგმის მეორე ნევრი — რეალური დრო, თავის მხრივ, აერთიანებს ქრონოლოგიურად განსხვავებულ დროთა „ნაჭრებს“, ცალკეულ მთხრობელთა მიერ გადმოცემულ უამრავ ამბავს, ეპიზოდს, რაც დათა

თუთაშხიას ირგვლივ ხდებოდა და რომელთა მონაწილეც იყო დათა (ან არ იყო), ამგვარადაა აგებული დათა თუთაშხიას ცხოვრების ქრონიკა. თუთაშხას თავგადასავლები კი განფენილია ერთ ზოგად, მითოლოგიურ დროში, ამ დროის მანძილზე ხდება თუთაშხას განღმერთობა.

რომანში „პარალელური მონტაჟის“ ხერხით იკვეთება უნივერსალური თეოლოგიური თეზა: რაც ზემოთაა, ის არის ქვემოთ (მისი პროექცი-აა). რაც შედგა ერთხელ და ისტორიის მიღმა, იმის განსხვავებაა „ქვემოთ“ და ისტორიაში. „ზემოთ“ იმთავითვეა განაწილებული როლები. რომანში ჩანს სახარებისეული მოდელიც: მაცხოვარი, იუდა, პილატი (გიორგი გაჩეჩილაძე).

რომანისეულ ზეციურ ნესრიგში (ამბავში) მხოლოდ დასკვნებია გამოტანილი და განზოგადებული. ღმერთ თუთაშხას ამბები ოდენ აღინერება, ჩვენება არ ხორციელდება. მაგრამ ეს ამბები მთელი სისრულითა და მრავალსახეობით დათა თუთაშხიას ცხოვრების ქრონიკაში ვლინდება. ამგვარი აგებით ორი მიზანია მიღწეული: 1. დრო-სივრცეთა ორგანოზომილებიანობა (ზესთასოფელი და ნუთისოფელი), 2. გმირის მხატვრული სახის ორგანოზომილებიანობა (თუთაშხა და დათა თუთაშხია).

რეალური დროის პარადიგმაში იკვეთება დათას ზეციური სახის ახალ-ახალი ასპექტები — მთვარის ღვთაების მინიერი ასპექტი, წმინდა გიორგი, მაცხოვარი... ასევე ჩნდება მუშნი ზარანდიას ახალ-ახალი სახეები: ურჩხული, იუდა, სატანა, გველი (ასეთად იხილა იგი ერთხელ გრაფმა სეგედიმ).

მარადიულ ამბავსა და მარადიულ მოდელებში ყველას თავისი ყალიბი აქვს (ამ ძირეული ფუნქციის მიხედვით შემდეგ ქმნის, როგორც ჩანს, გრაფი სეგედი თავის სანთლის ფიგურებს) რომანში ცხოვრება ახალ-ახალ სიტუაციებს თხზავს („თავის

გვირისტითა“, როგორც ილია იტყუდა), მაგრამ როლები არ იცვლება („პარალელური მონტაჟია“ გამოყენებული ქ. ამირჯვანის მეორე რომანშიც „გორა მბორგალი“).

დროის პეტეროგენულ რიგს ქმნიდას რომანმა „ყოველმან ჩემან მპოუნელმან“ ქმნის სივრცის პეტეროგენურობა, რეალური სივრცე (წინაო, ციმბრი) და მითოლოგიური ზირებული სივრცე (რაც სოფლის სახელის მითოლოგიზირებითაა მიღწეული) ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, გარკვეულ იდეას ასახავს და შიფრავს კიდევ მას, ამჯერად გმირთა სახეობრივ სისტემაში. სოფლის მცხოვრებლებმა არც იციან, სახელი ურუქი საიდან მოდის, „ურუქელი მოხუცები იმასაც ამბობდნენ, ჩვენი სოფელი ადამის გაშენებულიაო“. ურუქი „გილგამეშიანიდანაა“, მაგრამ ადამის ხსენება სხვა განზომილებით აღრმავებს დროს და მას ბიბლიის სივრცეში აქცევს, რასაც აძლიერებს გვარი, „მაკაბელიც“, აქვე გამოჩნდება კენის სახეც (ალექსანდრე მაკაბელი). ნნორი-ურუქი-ციმბირი სივრცის პეტეროგენულ რიგს ქმნის, სადაც სივრცე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ „ინტერიერში“ (ეზო, კარი, სახლი, ოთახი) აღინერება, დრო-სივრცეში ხდება მხოლოდ დროის აქცენტირება, ვერბალურად და სიმბოლიზირების გზით (კედლის დიდი საათი).

„რკინის თეატრში“ შიდა და გარე სიუჟეტური ხაზები ურთიერთპარალელურად მიედინება, გარე სიუჟეტურ ხაზს ქმნის ფიქრში აღდგენილი თუ ანწყობი მომხდარი ოდესის, ბათუმისა და თბილისის ამბები, ხოლო შიდა სიუჟეტურ ხაზს — გმირთა სულიერი განცდები, სახეთა და ნიღბთა ურთიერთთანხმობა ან კონფლიქტი. დრო და გმირთა ხასიათები ლაბორატორიული ნუსით შეისწავლება.

რომანში ილია ქავჭავაძის სახე და ფენომენი (სიღმრისეულ მხატვრულ სისტემაში ილიას სახე „თვითობას“

წარმოადგენს (კ. იმედაშვილი), არსებობს როგორც ნიმუში მოლვანისა, ერის მამისა, რა როლსაც ასე თავგამოდებით ებღაუჭება თბილისელი მსახიობი. ამით გახსნილია რომანისეული დროის არსი საერთოდ ილიას დროსთან მიმართებაშიც. მთავარი გმირია დრო, თუმცა გმირები აქტიურად ერთვებიან თხრობაში თავიანთი შინაგანი მეტყველებით, რაც ავტორისეულ ტექსტში თითქმის ყოველთვის ლინგვისტური სიგნალის გარეშეა ჩართული.

ო. ჭილაძის „მარტის მამალში“ პატარა ბიჭის, ნიკოს, შიშისაგან დაბინდულ ცნობიერებაში ერთდროულად, თითქოსდა „მოზაიკური მონტაჟის“ გზით აღდგება ყველაფერი, რაც იყო და რაც არის, რაც გაცნობიერებულია და რაც ჯერ კიდევ მოინევეს არაცნობიერიდან ცნობიერისაკენ: ადამიანები, მოვლენები, საგნები, განცდები ერთ კალეიდოსკოპს ქმნიან. ნამდვილად მომხდარს ენაცვლება შესაძლებელი, პირადად ნანახს — სხვისი მოყოლილი, ნაკითხული რეალობაში გადმოდის, ნანახი ნაკითხულს ჰგავს. უამრავი ამბისა და მოვლენის, ადამიანისა და არაადამიანის (კაცის მკლელ გოგისა, რომლის პარალელური სახეა ილია ჭავჭავაძის მკვლელი), წარმოდგენილისა და ნამდვილის ქრელი სამყაროდან ამოიზიდება პატარა ბიჭის — „ნაადრევას“, „მარტის მამლის“ შიშის შემცნობი და მისი დათრგუნვის მონადინე ცნობიერება.

სურათი, მას შეიძლება კადრიც ვუნოდოთ, წარმართავს კომპოზიციას თ. ბიბილურის რომანში „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“. ავტორი

საგანგებოდ ახდენს აქცენტირებას „სურათზე“, რომელიც მდინარის პირას უნდა „დაიხატოს“, რომანის შვიდი პერსონაჟის თავმოყრით.

რომანში ცხადად ჩანს კინემატოგრაფიული ხედვა, ერთგან ფედერიკო უელინის „ამარკორდიც“ გაქვლეტება, როგორც რომანისეული დრო-სივრცის (ერთი სოფლელი გოგოსა და ქალაქელი ბიჭის „რომანი“) პარალელური ერთ — სივრცე და საერთოდ იქ გამეფებული ცხოვრების წესის ეკრანული სახე.

საინტერესო სახეს გვიწვენებს კომპოზიცია ენ. „რომან-პარაბოლაში“, რისი რამდენიმე ნიმუშიც ზემოთ განვიხილეთ. თუ ამოსავალ კუთხედ ავიღებთ დრო-სივრცეთა იმგვარ დაკავშირებას, რაც უკვე ენახეთ „დათათუთაშხიას“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“-ს და სხვა ნაწარმოებების მაგალითზე, შესაძლებელია, ამ ტიპის რომანებს „რომანი-ქარაგმაც“ ვუნოდოთ. რა თქმა უნდა, „ქარაგმაში“ ვგულისხმობთ ამ სპეციფიკური ტერმინის მხოლოდ ერთ მხარეს — იმის ამოკითხვას, რაც ნაგულისხმევა. დრო-სივრცეთა არაერთგვაროვნება გარკვეულად შიფ-რავს მთავარ სათქმელს, რაც რეციპიენტმა შეერთების „ნაწიბურებიდან“ უნდა „ამოიკითხოს“.

ყოველი მხატვრული ტექსტი თავისებურად იგება, მწერლის ინდივიდუალური მსოფლალქმის თავისებურება ყოველ დეტალსა და მხატვრულ სახეში ვლინდება, მაგრამ არსებობს ზოგადი კანონზომიერებებიც, რომლებიც, კონკრეტულად, 20-30-იანი და 60-80-იანი წლების რომანებისათვის არის საერთო.

შენიშვნები ახლადშექმნილი საგნის „რელიგია და კულტურის“ ტაქტი

„ზოგიერთი, კინც შრომით გუზან თუ გუზინწინ მოსწულ თაგეს სკოლურად ასკმარობს, დღეს აკვე ღმრთისმეტყველების მასწავლებლად მოგვევლინა.“

წმ. კრევილ ნოსელი

დღეს ჩვენში განუწყვეტლოვ იხდის სიტყვა რეფორმა. რეფორმა კი, პირველ რიგში, სხვაგვარ აზროვნებასა და სხვა ღირებულებათა სამსახურს გულისხმობს. დროა, სერიოზული ცვლილებები პედაგოგიკის სფეროსაც შეეხოს. უფრო აქტუალურად უნდა დადგეს საკითხი — რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ. სწავლების პროცესში პედაგოგებისა და სახელმძღვანელოების ავტორების გარდა მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვიც, მისი ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები.

ამ საკითხზე დაფიქრება განსაკუთრებით მას მართებს, ვისაც ჩვენს სკოლაში ახალი საგნის შემოტანა სურს. აუცილებლად წინასწარ უნდა იფოს ნაფიქრი, თუ რას მოუტანს ეს უკანასკნელი მოსწავლეს. როდესაც ამას ვწერთ, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული საგანი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა უკისრია.

მაგრამ სკოლბ, ყველაფერი თავიდან დაიწყო:

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის რელიგიების ისტორიის კათედრაზე მომზადდა ახალი საგანი — „რელიგია და კულტურა“. სახელმძღვანელოები, რომელთაც „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“ ჰქვია და რომლებითაც ინსწავლება ახალი საგანი, ეკუთვნის ამავე კათედრის იმპაბინდულ გამგეს — ბატონ რევაზ თვარაძეს. კონცეფცია განხილული და, ჩანს, მოწონებულია საქართველოს განათლების სამინისტროს რელიგიების ისტორიის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ თავად სახელ-

მძღვანელოების ავტორი და საგნის — „რელიგია და კულტურა“ კონცეფციის თანაავტორი.

ბატონ თავმჯდომარის განცხადებით, საგანი უნდა დაინერგოს საშუალო სკოლების მაღალ კლასებშიც და უნდა იქცეს საყოველთაოდ. მისი მემუვობით უნდა მოხდეს მომავალი თაობის რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა (იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 1996, 3 აგვისტო, „ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა“).

რელიგიურ საკითხებში გარკვევა რელიგიურ გამოცდილებასა და რელიგიურ ინტუიციას საჭიროებს. კულტურა — ესთეტიკურ ინტუიციას, ესთეტიკურ გემოვნებასა და დახვეწილ ინტელექტს. სკოლის, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლის სპეციფიკა, მოითხოვს პედაგოგიურ ინტუიციას, პედაგოგიურ ცოდნასა და ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილებას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, კონცეფციისა და საგნის ავტორებს მოეთხოვებათ. თუ რამდენად არიან ისინი მზად ამ როული საქმის დასაწყებად, ამას მათ მიერ მომზადებული კონცეფცია (იგი ზემოხსენებულ საპროგრამო სტატიაშია გადმოცემული) და მის შესაბამისად შექმნილი სახელმძღვანელოები გვიჩვენებს.

ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა ქართველებს ტრადიციით მოგვდგამს. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ქართველი ბავშვების რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდაც ამ მიმართულებით წარმართებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს დღეისათვის გამოსულ ოთხსავე წიგნს „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“ ჰქვია,

მათი შინაარსი ისევე არ შეესაბამება ამ მოძღვრებას, როგორც ხსენებული საგანგებო სტატის პირველი ნაწილი, სადაც ავტორი საკვლეურობს კომუნისტებს „ათეისტური სულისკვებით აღზრდილი მიუღი თაობების ზნობრივ და კულტურულ გადაგვარებას“ არ შეესაბამება შიორე, ათეისტური მენტალიტეტით გაკლენილ ნაწილს. იმავე სტატიაში ავტორი მაღლობას უძღვნის ყველას, ვინც წყნს დროში რელიგიის სწავლების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. მაგრამ მათ მოღვაწეობას, რომელიც სტატის მიხედვით ძირითადად საღმრთო სჯულსა და საეკლესიო და ტრადიციულ ლიტურატურას ეყრდნობოდა, სტიქიურს უწოდებს და „ქაოსში წესრიგის შეტანის მიზნით“ ახალ, „გულდასმით გააზრებულ, ჩამონაკეთულ კონცეფციას დაფუძნებულ, სპეციალურად მომზადებული ერთიანი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით აღჭურვილ დისციპლინას“ გეთავაზობს. „შემთხვევითი ენთუზიატების“ ნაკვალავი კი „სათანადო კვალიფიკაციისა და ცენზის მქონე პედაგოგებს“ (დასახ. სტატია).

ეს მალევე სერიოზული განაცხადია და ამგვარი განაცხადით შექმნილ საგანსა და სახელმძღვანელოს ჩვენგანაც სერიოზული ანალიზი სჭირდება. საგანი — „რელიგია და კულტურა“ სამ დიდ სიბუნელს უყრის თავს: რელიგიას, რომელიც დღეს ბევრისთვის ფართს წარმოადგენს, კულტურას, რომლის სწავლებას ტრადიციულ წყნს სკოლას არა აქვს, და სკოლას, პირველ რიგში კი, დაწყებით სკოლას, რადგან საგნის სწავლება სწორედ აქედან იწყება.

სტატის ავტორი სიხარულს გამოხატავს ერის ეკლესიისაკენ შემობრუნების გამო, იმის გამო, რომ „მოწყურებული ირწებით დაეწაფა ხალხი ღვთის მაცოცხლებელ სიტყვებს“, იწონებს საკატრეგლოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს საქმიანობას რელიგიური სწავლების სფეროში და ამ სიხარულს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში რელიგიური სწავლების შემოღების სურვილით აკვირვინებს. მაგრამ საღმრთო სჯულზე, რომელიც სწორედ „ღვთის მაცოცხლებელი სიტყვის“ გამოხატულებაა, უარს ამბობს მასწავლებლების სიმცირის საბაბით და ფაქტურად იღვურად გაუმართლებელ, მეთოდოლოგიურად გაუმართავ და შეუმოწყებელ, მოუმზადებელ საგანს გეთავაზობს.

თუმცა კი, საგნის მიზანდასახულობა, როგორც ჩანს, თავად ავტორისთვისაც დაუზუსტებელია.

აღმოჩნდა, რომ ახალ საგანს, საღმრთო სჯულისგან განსხვავებით, ცოტა კი არა, არც ერთი მასწავლებელი არ შეეკავია და მათ, მოსაზრებლით თუ „კადასმადეზობლით“ მასწავლებელი უმთოლიათ „სპეციალური კურსები ეს კურსები თავაპირველად უმთოლიათ ყოფილა, შემდეგ სწავლების დამსწავლებელსათ. თოლი დღეისათვის ორ კვირამი, რამდენიმე დღემც კი ხდება ნებისმიერი საგნის პედაგოგისა და საერთოდ, ნებისმიერი სპეციალისის ადამიანის „გადამზადება“ „რელიგია და კულტურის“ თარგზე. ასევე სახელდახელოდ შექმნილა საგანი და დაწერილა სახელმძღვანელოები. სახელდახელოდ იმიტომ, რომ საგნის კონცეფცია, როგორც სტატია გვაუწყებს, მომზადებულია ზემოხსენებულ კათედრატე 1991 წელს, „ამ კათედრის დაარსებთან ცოტა ხნის შემდეგ“. მომდევნო, ე.ი. 1992 წელს მას დასრულებული სახე მოულია, მაშინვე შექმნილა „გადამზადებელი კურსები“ და 1993 წლიდან, ზუსტად ერთ წელიწადში, კურსდამთავრებულნი, ყოველგვარი სერიოზული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების გარეშე (ამ რეკომენდაციებს მათ სტატიაში პირდებიან — 3 წლის შემდეგ), დაწყებითი სკოლის III-IV კლასებში შეუშეათ. მათ იქ სრული შეუსაბამობა დახვდათ (წვენ არ გვინდა აქვე ჰქვე დაგაუგნოთ ყოველ პედაგოგის საქმიანობა, რადგან ეს მათ პირად ღირსებასა და მომზადებაზეც არის დამოკიდებული). აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელო მიზანს ასცდა და პედაგოგებს უამრავი გაუთვალისწინებელი პრობლემა გაუჩინა. საგნის საყოველთაობა კი მხოლოდ მასწავლებელთა სიმცირით ყოფილა შეზღუდული (იხ. დასახ. სტატია).

დღეს სწავლების უფლება ეძლევა ხსენებული კურსების კურსდამთავრებულთ და მათ, ვინც გაიღვის სპეციალურ ატესტაციას, რომელიც ერთნაირად ეხება ყველა პროფესიის ადამიანს. სწორია კი ასეთი საპასუხისმგებლო საქმის მიხდობა მისთვის, ვინც მხოლოდ ატესტაცია გაიარა? მაგრამ ამასაც საგნის კონცეფციისა და სახელმძღვანელოების ავტორები წვევტენ, რადგან საატესტაციო კომისიის წევრებიც თვითონვე არიან.

ვნახოთ, რას წარმოადგენს საგნის კონ-

ცუცია და სახელმძღვანელოები, რომლებსაც იმ ახალი საგნის მოშადება და სწავლება ეკუთვნის, ჩვენი ერის მომავალი თაობის რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდას რომ ეისრულებს.

რელიგია და კულტურა

თავდაპირველად საგნის სათაურს შევხებით — „რელიგია და კულტურა“. სათაური საკმაოდ პრეტენზიულია და ის სიბუნლეს აერთიანებს. და ვ ე ვ ე ბ ი თ კლასებში, როცა ბავშვი ჯერ წერა-კითხვაში არ გაჩაფუღლა სათანადოდ, ერთი სათაურის ქვეშ ორი უცნობი სიბუნლის მიწოდება მისთვის არ შეიძლება. ის ჯერ ერთში უნდა გაგარკვიოთ, მერე — მეორეში, ან თუ მაინც-დამაინც ორი საგნის, ჩვენს შემთხვევაში, რელიგიისა და კულტურის ერთდროული სწავლება გვსურს, ეს უნდა მოხდეს ორივეს გამოკვეთისა და ურთიერთგამიჯენის, ურთიერთშეპირისპირების თუ ანალოგიების ძიების გზით. სახელმძღვანელოში კი ძნელი გასარჩევია, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. რელიგია და კულტურა ისეა ერთმანეთში გადღევილი, თითქოს ისინი ორ სხვადასხვა სფეროს ვი არა, ერთ რაღაც „რელიგიად-კულტურას“ წარმოადგენდეს. ბავშვს მათი პოინტ ვაუქირდება სახელმძღვანელოში და ერთმანეთისგან გამოორჩევაც. ამ ცნებათაგან სახელმძღვანელო არც ერთს არ განმარტავს, თუ არ ჩავთვლით არაფრისმიტყულ და არასწორ ფრაზებს: „რელიგია რომ სარწმუნოებას ნიშნავს, ალბათ ფოველმა თქვენიათგანმა იცის“ (1,3). რელიგია სარწმუნოებას არ ნიშნავს და არც სიტყვების — „რელიგიისა“ და „სარწმუნოების“ მნიშვნელობა იცის III კლასის მოსწავლემ გარდა იმისა, რომ აქ მკდარად აიგვიებენ სხვადასხვა ცნებებს, ერთი უცნობით განმარტავენ მეორეს, რაც სიტყვა „რელიგიის“ მნიშვნელობას ვერაფრით ვაგვიბინებს ბავშვს.

„კულტურა არის ეველაფერი, რაც გამოხატავს ადამიანის ბუნებას, მის შიდასამყაროს, სულიერ რაობას, მის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან.“ (1,3). ამას ეველაფერს, იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსს ჩაედებთ სულიერ რაობასა და ადამიანის ბუნებაში, რელიგიაც შეიძლება გამოხატავდეს, და არა მხოლოდ რელიგია. გარდა ამისა, ეს განმარტება სრულიად

გაგუბანია მისთვის, ვისაც გამოითავს ავტორი, ანუ 8 წლის ბავშვისთვის. მან ჯერ არ იცის, რა არის „სულიერი რაობა“, „ადამიანის ბუნება“, „შიდასამყარო“, „დამოკიდებულება გარესამყაროსთან.“ სულზეც ჯერ არაფერია ეთქამთ მისთვის.

ქრისტიანულად რომლის სახელითაც დღეს ხდება სწავლება, „ოველია“ ნიშნავს ადამიანის ცეცხარს, ღმერთთან. რელიგიური ცხოვრება, რომლის ერთ-ერთი კომპონენტაც განსაკუთრებული რელიგიურა ზნეობაა, ამ კვებით რისკენ, ღმერთისკენ სწრაფებას. სწორი სარწმუნოება ღმერთისკენ მიმავალი გზაა, საღმრთო სულით ვი ორიენტირია ამ გზაზე. როგორ უნდა ვაერკვეს ადამიანი ქრისტიანული სარწმუნოების არსში, თუ მასზე უარს იტყვის?

რელიგია ღმერთსა და სასუფეველზეა ორიენტირებული, კულტურა კი ამქვეყნიურზე. კულტურისათვის ღმერთის ტაძარიც ხელოვნების ნიმუშაა, ადამიანის ამქვეყნიური ნიჭისა და შესაძლებლობათა საღიდებელი ძეგლია და არა სასუფეველის დამკვიდრების საშუალება. ის მასში ვარეველ მშენებრებსა და ეტებს. მართალია, ტაძრის ვარევენილი მზარე ღმერთისმასხურებაში ჩართვასა და ღმერთის წვდომაში გვეხმარება, მაგრამ ეს უკვე რელიგიის სფეროა და დაფარულია კულტურისათვის. რელიგიური სულიერება მისი ასპარეზი არ არის. კულტურა სულ სხვა რამეს ეძახის სულიერს. ქრისტიანულად ეს „სულიერიც“ ამქვეყნიურია და ამა ქვეყნისკენ არის მიმართული. „სულიერების“ ამ ორი ვაგების აღრფა ძალზე სერიოზული შეცდომაა. სწორედ ამ შეცდომამ ათქვევინა ხსენებული სტატის ავტორს ამსურდული ფრაზები, რომელთა შესახებაც ჰვეით ვვეჭება საუბარი. „სულიერების“ ცნების ასე ვანზოვადება შეუძლებელია: თუ რელიფაზე ვლაპარაკობთ და ქრისტიანული მოძვერების სწავლებას ვაპირებთ, ცნებებსაც რელიგიური მნიშვნელობა უნდა მვენანებო.

რელიგია ღმერთის მადლის შემწეობით ღმერთსა და მის სასუფეველს ეტებს — ეს არის მისი ერთადერთი მიზანი. კულტურა ამქვეყნიური საშუალებებით ამა სოფლისთვის იჭნება. ამ თვალსაზრისით რელიგიას და კულტურას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვექტორი უზის. ამიტომაც შეუძლებელია მათი ერთ საგნად ვაერთიანება და მათი ცნებებისა და პუნქტების ერთმანეთთან ვაიგივება.

გარდა ამისა, კულტურა მოიცავს როგორც რელიგიურ, ასევე არარელიგიურ თემებსა და საკითხებს. ხშირად კი სწორედ ანტირელიგიურს. რელიგიური ცხოვრება ღმერთისკენ ხელა ცოდვებისაგან განწმენდის გზით. კულტურა კი ხშირად ენებებისა და ცოდვების გაუფრთხილებას უწევს ხელს მათი შეღამაზებით. რელიგიურ ცხოვრება და ზნობა ამ ენებისაგან გათავისუფლებას გულისხმობს საძირით მადლის შეწყვეთით, კულტურას კი სწორედ ამორღული და ბოჰემური ცხოვრება უღვამს სულს. გარდა ამისა, კულტურა სავსეა ღმერთისმძობილი ნაწარმოებებით. ასე რომ, ვერაფრით დაეკთანხებით წინათქმამი გამოთქმულ აზრს: „რელიგიაც და კულტურაც სულიერ ამაღლებას უწევობს ხელსო.“ მით უმეტეს, რომ კულტურაა თანამედროვე პორნოგრაფიული ლიტერატურა და კინოც, ე. წ. „უფაბები“.

კულტურის ზოგიერთ ქმნილებას შეუძლია მოამზადოს საფუძველი შემდგომი სულიერი ამაღლებისათვის, მაგრამ აქედან უკვე ადამიანზე დამოკიდებული, აირჩევს რელიგიურ ცხოვრებასა და სულიერი ამაღლების გზას, თუ კლავ ამქვეყნიურში განავრძობს ძიებას.

ჭეშმარიტ რელიგია საღმრთო გამოცხადება, კულტურა კი ადამიანის შემოქმედების ნაყოფი. ახლადშემოდებული საგანი რელიგიას კულტურის ნაწილად წარმოგვიდგენს. რის გამოც ის აღარ აღიქმება საღმრთო გამოცხადებად, არამედ ადამიანის გონების ნაყოფად, რომელიც დროის რაღაც მონაკვეთში იქნება.

ამვე დროს, სათაური - „რელიგია და კულტურა“ ისე წარმოგიდგენს საქმის ვითარებას, თითქოს არსებობდეს ერთი, ყოვლისმომცველი და ყოვლისგამაერთიანებელი რელიგია - ეს კი რეალიზაცია არ შეესაბამება მით უმეტეს, რომ ეკლესია, რომლის წიაღში დაბრუნებასაც შეპაროდა „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ ავტორი (დასახ. სტატია), მკაცრად გამოეხატა ჭეშმარიტ და არაჭეშმარიტ რელიგიებს - რელიგიას; რომელსაც ადამიანი ღმერთთან მიჰყავს, და ცრუ რელიგიას, რომელიც განამორებს კაცს უფლისაგან. სათაურში მათი ერთი ტერმინით - „რელიგიით“ აღნიშნვა სხვადასხვა უწინაშესა გამოიყენება. მართალია, ხშირად კულტურა ავტორის მხატვრული კონცეფციის გადმოსაცემად

რელიგიურ სასაყებს იყენებს, მაგრამ ეს კონცეფცია ადამიანის სუბიექტური აღქმის ნაყოფია და არა ღმერთივანცხადებული ჭეშმარიტება. აქ საქმე გვაქვს არა რელიგიისთან, არამედ რელიგიურ თემაზე შექმნილ ნამუშევართან, არა ჭეშმარიტებასთან, არამედ ხელოვნებასთან. ჭეშმარიტებაზე და ერთი და იგივე არ არის.

ასე რომ, რელიგიისა და კულტურის ერთმანეთთან დაახლოების საქმეს ვერც ის დასაძლევს ავტორს, რომ აღსანიშნავად „რელიგიურ პრობლემათიკასაც“ ეხება. ამ „პრობლემათიკას“ ერთიცა და მეორეც სხვადასხვა თვალთახედვით უღვება და სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს. ბოლოს და ბოლოს, ერთიდაიგივე ციური სხეულიც პროფესიული თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად აღაფრთოვანებს პოეტსა და ასტრონომს.

„არ არსებობს სულის მოღვაწეობის სხვა სფეროები, რომლებიც ესოდენ ახლოს იდგეს ერთმანეთთან. ვერ დაეასახელებთ მეცნიერების, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ვერც ერთ საკაცობრიო მნიშვნელობის ქმნილებას, პოზიტიური თუ ნეგატიური ასპექტით (!-ნ.წ.) რელიგიურ გრძობას, რელიგიურ პრობლემათიკას რომ არ უკავშირდებოდეს. ათესიტსაც რომ ეკუთვნოდეს ამგვარი ქმნილება (თუმცა ძალი წარმოსადგენია, ათესიტს ნახელავმა საკაცობრიო მნიშვნელობა მოიპოვოს!) (მარქსი? ფროიდი? - ნ. წ.), შეუძლებელია, მისმა ავტორმა გვერდი აუაროს ისეთ საკითხებს, როგორცაა, ვოჭკაო, სხეულისა და სულის, მიწიერისა და ზეციურის (თუნდაც მეტაფორული მნიშვნელობით) (! - ნ. წ.), მოკვდავისა და უკვდავის, წარმავლისა და წარუვალის, წამიერისა და მარადიულის, კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტებისა და სიწერის მიმართება, ხოლო ეს, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური საკითხებია. სხვას ყოველსავე რომც დავეხსნათ, თუნდაც ერთხელ გადავავლოთ თვალი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, ან მხატვრობის ისტორიას, ფილოსოფიის ისტორიას და იოლად დავრწმუნდებით აქ ნათქვამის სისწორეში“, - მოგეშართავს ავტორი საპროგრამო სტატიაში. ამ აზრს ვერ დაეკთანხებით ვერც სერ და ვერც, ალბათ, ბერეი სხვადასხვა მსოფლმშველლობისა და რელიგიის მიმდევარი, რის საიდუმლოცრაციოდაც „რეველუციის ბელადების“ - მარქსის,

ენგელსისა და ლენინის გამოჩენილებით იმართდა რელიგიის შესახებ. ცნებებისადმი არადიფერენცირებულმა მიდგომამ თავად ავტორიც დააბნია (რა მოუვა ბავშს?). აქაც სრულიად შეუთავსებელ განზოგადებასთან და სხვადასხვა ცნებათა გათვითცხვასა თუ ცნებათა შინაარსების აღრევასთან გვაქვს საქმე. მაგ., სხვა არის ქრისტიანული სიკეთე და სხვა კაცობრივი, ასევე ბოროტება, მარადისობა და სხვ. ამ ცნებებს სხვადასხვა რელიგიაში სხვადასხვა შინაარსი აქვთ. აქ კი რატომღაც ყველა ცნება უკიდურესად გაუფერკათა და მათ შორის საზღვრები წაუშლიათ (სხვათა შორის, ეს კარგად გამოჩნდა საგნის სახელმძღვანელოებში). ყველაფერი, რასაც კულტურა მოიცავს და ადამიანს შეუქმნია, რელიგიის საზღვრებში მოუქცევიათ, თავად რელიგია კი კულტურის ფარგლებში ჩაუჭეჭვავათ და ბავშვისთვის მთელი კულტურის, ათეისტურისა და არათეისტურის, სწავლება განუზრახავთ რელიგიის სახელით. მაგრამ მაშინ საგნისთვის სხვა სახელი უნდა მიეცათ, თუნდაც — „კულტურა“. სტატიაში ავტორი კომუნისტებს ათეისტური აღზრდით თაობების გადავარებას უჩიოდა, თავად კი ღმერთის სახელით გვაწვდის ყოველივე უღმრთოს.

კულტურისა და რელიგიის ერთმანეთში აღრევა და რელიგიის განხილვა, როგორც კულტურის ისტორიის ნაწილისა, რელიგიის პროფანაცია და ათეისტური მენტალობის გამოვლინება.

ყოველივე აქ თქმულის გამო ამ დასათავურების საგნისა და სახელმძღვანელოების შექმნის მცდელობა საფუძველშივე მცდარია.

„რელიგია და კულტურის“ მენტალიტატი

ამკარაა, რომ საგნისა და სახელმძღვანელოების ავტორს საქციალური თეოლოგიური განათლება არა აქვს. სამჭოთა პერიოდში ამ განათლებას არც ერთი სასწავლებელი არ იძლეოდა. ქრისტიანულ მოძღვრებას უპირატესად ეცნობოდნენ „მეცნიერული ათეიზმის“ კურსიდან, რომელიც ფრაგმენტული, ზერეულ და არაობიექტური იყო. ასეთივეა ავტორის მიერ შეთხზული „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“. ჩანს, მან არ ჩათვალა საჭიროდ რელიგიის სფეროში თავისი „კანათლება“ აკადემიური განათლებით შეეცხო და ოფიციალური

ათეიზმიდან და არაოფიციალური ამბროპოსოფიიდან პირდაპირ „ქრისტიანულ მოძღვრებაში“ შეღვა ეყენი. ენახოთ, როგორი ზეგავლენა მოუხდენია საბჭოური პერიოდის ათეისტურ ამბროვნებას ავტორის მენტალობაზე.

„ყველა ათეისტად კი უნდა აღიაროს, რომ რელიგიც კულტურაა, ამ რელიგია არის უსულის გამოვლინება ადამიანის სული მოღვაწეობისა (ამ თანხმებულში სულელია, უკვდავ სივნივე — სულ თუ მოკვდავად)“, — მოგვმართავს ბ-ნი რ. თვარაძე სტატიაში. ამ ერთ წინადადებაში რამდენიმე უხეში შეცდომა: ათეისტისთვის რელიგია ადამიანის სულის მოღვაწეობის უმაღლესი გამოვლინება კი არა, პრიმიტიული ან ავადმყოფური ამბროვნების ნაყოფია. ამვე დროს, სულის უკვდავად თუ მოკვდავად მიწნევა რელიგიისთვის სულ ერთი არ არის, მაშინ ის რელიგია აღარ იქნება. ათეისტი კი სულის არსებობას საერთოდ უარყოფს. ის, რასაც მან შეიძლება სული უწოდოს, მატერიალისტური წარმოდგენა ადამიანის გარკვეულ შინაგან სფეროზე. ათეისტისთვის ადამიანიც და მისი „სულიც“ სიცილილისა და ხრწნილებისათვის არის განწირული. „სულის უკვდავება“ კი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ქმნილების სიცოცხლის ხანგრძლივობას უკავშირდება და ამდენად პირობითი ტერმინია. „სულის უკვდავების“ ამგვარ გაგებას უნდა გულისხმობდეს ამ განცხადებაში მისი ავტორიც. ამიტომ ეს სიტყვები სწორედ ათეისტური ცნობიერების გამოხატულებაა. ეს ცნობიერება მოჩანს წევნს მიერ ზემოთ განხილული ამხაცმიც, რომელიც საგულდაგულოდ ურეხს რელიგიისა და კულტურის, რწმენისა და ათეიზმის ცნებებს, შლის ყოველგვარ საზღვრებს ცნებებს შორის, რელიგიასა და კულტურის სხვადასხვა სფეროებს შორის, ხოლო სახელმძღვანელოებში ყველა დისციპლინა და, საერთოდ, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო ერთმანეთშია ათქვეფილი.

„სულის“ ხსენებულ კონტექსტში ხმარება სულის ცნებას ამორფულს ხდის და უკარგავს მას კუმშარიტ არსს. ათეიზმისა და სხვადასხვა რელიგიებისათვის სულის ცნებას სხვადასხვა ფუნქცია და დატვირთვა აქვს მინიჭებული. ქრისტიანული მოძღვრება, რომლის სახელითაც ხდება დღეს სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლებში, მას სრულად კონკრეტულად და ცალსახად განსაზღვრავს.

რელიგიის სახელმძღვანელოში აუცილებელია სიტყვა „სულის“ დიფერენცირება. საერთოდ, სიტყვები და ცნებები საგნის პროგრამაში, კონცეფციასა და სახელმძღვანელოში მკაცრად და ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და დიფერენცირებული. ერთი სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობაშია და ორაზროვნად შეიძლება მხატვრულ ლიტერატურაში ან თუნდაც წმ. წიგნებში იხმარებოდეს, მაგრამ სახელმძღვანელოში ეს ყოველად დაუშვებელია, გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს. **განუსაზღვრელი, არადიფერენცირებული ცნებების, არაფრისმოქმედი, ბუნდვანი ფრანგების ხმარება საბჭოური მანის მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის ცნობილი სენია.** ამ სენის ნიშნებს ჩვენს მიერ განსახილველ საპროგრამო სტატიასა და „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ სახელმძღვანელოებში თითქმის ყოველ ფურცელზე ვხვდებით, რაც ავტორს ხშირად მცდარ და აბსურდულ წინადადებებს ათქმევინებს.

„ოდესღაც, ძველისძველ დროს, ადამიანებმა ვერ კიდევ არ იცოდნენ ეს (რომ სამყარო ღმერთმა შექმნა-ნ.წ.). მათ ასე ეგონათ — ერთი კი არა, მრავალი ღმერთი არისო...“ (II, 3). ასე იწყება IV კლასისთვის განკუთვნილი „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ I თავი. უცნაური ის არის, რომ ამ თავს „სამება“ ჰქვია და მასში ავტორი ყოველდწმინდა სამებას აცნობს ბავშვს ისე, რომ აბაფრით უჭარხლებს გვეს, რომელიც, შესაძლოა, ამ თავის დასაწყისში დათესოს მკითხველში: „თუ პირველმა ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ ღმერთმა შექმნა ისინი, იქნებ არც იყო ასეო“. ეს არ უნდა იყოს უბრალო ლაფხუსი ან არასწორად გამოთქმული აზრი. ეს დამოკიდებულებაა და იმ ცნობიერების გამოძახილი, რომელიც ათეიზმისა და რელიგიის თუ სხვა ცნებების აღრვეით განუწყვეტლად ხლქნს ბავშვის ფსიქიკას და ნიადაგს უმზადებს მის სექტაციკაზმს.

პირველი ადამიანები ადამი და ევა იყვნენ. მათ ეჭვიც არასდროს შეჰპარვიათ, რომ ღმერთმა შექმნა ისინი. მათი შთამომავლებიც, მოუხედავად იმისა, ღმერთს კისნაზურებოდნენ თუ არა, აღიარებდნენ მის არსებობას. მრავალღმერთიანობა კი მოგვი-

ანებთ იშვა უფლისაგან გარდასილი კაცის წარმოსახვაში. სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთის ხსოვნა წარმართულმა მოთემამ შემოგვიანახეს. ადამ და ევაზე „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ პირველ ორ ფიგურში, ე. ი. დაწვებით ცდხრისილვის ვაჩ ფიქრულ ნაწილში, სიტყვებზე არის თქმული, სამაგიეროდ „სამებად“ წოდებული თავის დასაწყისში მრავალღმერთიანობასა და წარმართობაზე ვესაუკრებთან და ისე გადავიან ქრისტიანობაზე, არც კი ვგანსჯავდნენ, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტი რელიგიაა და არა მითისა და ზღაპრის მსგავსი გამოგონილი ამბავი, რომელიც „კარგი რამ არის თავი შესაქცევად“ (II, 4): „ქრისტიანული მოძღვრება წარმართული სარწმუნოებისაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მრავალღმერთობას უარყოფს“, — გვიამბობს სახელმძღვანელო (II, 4). ამ ორ რელიგიას ქრისტიანი, პირველ რიგში, იმით განასხვავებს, რომ ერთს ჭეშმარიტად მიიჩნევს, მეორეს კი ცრულ, ერთს მაცხოვრებლად, მეორეს კი წარწმენდელად, ერთს საღმრთო გზად გვისახავს, მეორეს კი საუშმაკოდ. სახელმძღვანელო ამაზე ღუშს და განსხვავების არსს მხოლოდ ერთი თუ მრავალი ღმერთის თავიანისცემაში ხედავს. ასეთი დამოკიდებულებით ის ქრისტიანობასა და წარმართობას პრინციპულად ერთ სიბრტყეზე განიხილავს, ძალღებისა და ნიანგების თავიანისცემას იესო ქრისტეს თავიანისცემას უტოლებს, უგულუბეულოვს განსხვავებას ჭეშმარიტებასა და არაჭეშმარიტებას ანუ სიკრუეს შორის და საერთოდ აუქნებს ჭეშმარიტებას, თანაც „სამებად“ წოდებულ თავში. ამის მერე ძნელია გაავებინო ბავშვს, რა რჯიდა მას, სარწმუნოებისთვის თავს ვინც სწირავდა.

„სოფლის ამ თვისებას, მის მუდმივ ცვალებადობას, წარმავლობასა და მსწრაფლწარმავლობას უხველეს დროსვე მიხვდა ადამიანი. და, ამას რომ მიხვდა, უკვლავებაზე ფიქრი დაიწყო, ისეთი ქვეყნის ძიება, სადაც ვეულაფერი ცვალებადი და წარმავალი კი არ იქნებოდა, არამედ უცვალებელი, უკვლავი, მარადიული“ (II, 15). ეს იმას ნიშნავს, თუკა, ღმერთიც მოიფერაო. ადამი და ევა მარადისობის თანაზიარნი იყვნენ, ამიტომ წუთისოფლის წარმავლობაზე ფიქრი მათ არ იცოდნენ. რაც შეეხება ამ მოთებას და ზღაპრებს, ისინი გაცილებით გვიან შეიქმნა ასევე ღმერთისაგან განდგომილთა წარმოსახვაში და სწორედ მათში აირგვლა მათი

შექმნილის მეხსიერებაში ჩარწინილი მარადისობა და ნოსტალგია მასზე. ამას გარდა, რეალურად არსებობდა და რელიგიურად ცხოვრობდა ხალხი, ვისაც არ დაუკარგავს მარადისობისა და ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა და უარი არ უთქვამს მის სამსახურზე. მათ ყოველთვის ახსოვდათ ის, რაც სახელმძღვანელოს დაავიწყდა.

ავტორი ცდილობს სამყაროს შესაქმნის ისტორია ვოლუციის თეორიას მოუსადაგოს. როგორც ჩანს, ამ გზით ბიბლიური შესაქმნე მისთვის უფრო გასაგები ხდება. იგი ვოლუციონისტა დარად იზიარებს ჰიპოთეზას, რომ დედამიწა მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და მოჰყავს ის, როგორც ერთადერთი აზრი (ის მამუცი, რომლებიც ამბობენ, რომ შესაქმნის დღეები რაღაც პერიოდებს აღნიშნავენ, არ ასახელებენ რაიმე კონკრეტულ დროს, მით უმეტეს, ასე დღეს): „სამყარო მილიონობით წლების განმავლობაში იქმნებოდა და წესდებოდა ღმერთის მიერ“, — ვითხოვლობით ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (III, 78). რაც არა მხოლოდ ეკლესიის, ბევრი მეცნიერისთვისაც მოუღებელია — ვოლუციონისტის ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაუპირისპირდა მეცნიერული აზრი. დღეს კალიფორნიის შტატში არსებობს კრეაციონულ გამოკვლევათა ინსტიტუტი, სადაც ჩვენნი დროის ბევრი სერიოზული მეცნიერი მოღვაწეობს. მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ისინი სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის ბიბლიურ თვალსაზრისს იზიარებენ და მეცნიერულად ასაბუთებენ ვოლუციონისტთა დოქტრინების მცდარობას.

ვოლუციის თეორია და ათეისტური მენტალიტეტი ამ სახელმძღვანელოში სხვაგანაც უჩანს. ორი გვერდის მანძილზე მოგვითხრობს ავტორი თავის ვარაუდს იმის თაობაზე, თუ როგორ გაუჭირდა ადამიანს სამოსლის გარეშე. მოთხრობილია საკმაოდ გულუბრყვილო ისტორია კოკონთან დაკავებული ტყავისგან სამოსლის თანდათანობით შეკერვის, ნემსის და ძაგის გამოგონებისა (III, 98). თუ კოკონთან ტყავის დაგდებას ბუნებურ შემთხვევას დაკავრავლებთ, მინც გაუგებარი დარჩება, რატომ მოკლეს და გაატყავეს ცხოველი, ბიბლიის მიხედვით ხომ ადამიანმა ხორცის ჭამა წარღვნის შემდეგ დაიწყო. აქ მონათხრობი ძალიან

პეტუ დარწინისეულ პირველყოფილ ადამიანს ისტორიებს. სამკობია პერიოდის ისტორიის დასურათებულ სახელმძღვანელოები რომ გვასწავლებდნენ, და ვოლუციონისტთა მიერ გადღებულ „სამეცნიერო დოქმეს“.

მერ არ უციკით და აღმათ ეგვას დეს მეტყუებით ზესტელ ასე იტყუოდა თუ არა პირველყოფილი კაცი მაგრამ ის კი უმეტელია, რომ დაახლოებით ასე იტყუოდა. — მეტყუველი დოქმით სკვას სახელმძღვანელო (III, 98). „რის წყალობით, რა ძალის მეოხებით იტყუოდა ასე? პასუხი ერთადერთია: გონების წყალობით“ (III, 99). „ერთადერთი პასუხი“ ავტორისთვის საკუთარ გონებას უკარანახია, თორემ ბიბლია სხვას გვაუწყებს: „და უქმნა უფალმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შემოსნა მათ“ (შეს., 3, 21).

ასე რომ, სახელმძღვანელოები კაცობრიობის განვითარების „ნათელ“ სტეპს აწვდიან ბავშვის: ადამიანმა არ იცოდნენ ვინ შექმნა ისინი, ამიტომ ბუნების მოვლენები და სხვ. გააღმტროეს (II, 3). მათ არც მარადისობის შესახებ იცოდნენ რაიმე და მოთებსა და ზღაპრებში დაიწყეს მისი გამოგონება (II, 15). შემდეგ წარმართობა ქრისტიანობამ შეცვალა (III, 4). „ხიდან ახლადამოსული მამოუნის“ პერიოდი „ტყავის სამოსლის“ ებიზოდით გადმოუციათ (III, 98). სტემის დასაწყისია მხოლოდ შეცვლილი — ამოღებულია მამოუნის ეტაბი. მის მაგივრად ღმერთი ჩაესვამთ, თანაც ისე მოხერხებულად, რომ ვოლუციის იქნება შესაძლებელი მისი ამოღება და მამოუნის უკანვე დაბრუნება.

ამ წამოწყებას მხარს უბამს VI კლასის სახელმძღვანელოც (მის განხილვას მომავლისთვის გადავდებთ): „კაცის გონება ჯერ არ ამადლებულიყო იმ აზრამდე, რომ ვერანაირი ნეთიერი, ხილული საგანი ღმერთი ვერ იქნებოდა...“ და ა.შ. და ა.შ. (IV, გვ. 75).

ავტორის ჩვენ ვერ წავართმევთ უფლებას, ემხრობოდეს მას თუ იმ მოსაზრებას, ვერც აზრის გამოხატვას აუუკრძალავთ, მაგრამ თავისი მოსაზრებები შესაფერის ადგილას უნდა გამოეთქვა და არა „ქრისტიანული მოძღვრების შესავალში“.

დღეს, როცა ამდენი წლის აკრძალვის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ადამიანს კვლავ მიეცა ეკლესიური ცხოვრების საშუალება,

აღმოჩნდა, რომ ქართველთა, მათ შორის, ინტელიგენტთა დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ თავს მართლმადიდებლად თვლის, შორდება მართლმადიდებლურ თვითშეგნებას. უცხოური კულტურის, განსაკუთრებით ლიტერატურის, კინოსა და ტელევიზიის მეშვეობით განუწყვეტლად ხდება ზემოქმედება ადამიანის რელიგიურ ცნობიერებაზე. ამას მოჰყვება ის, რომ ადამიანი თავისდაუნებურად ითვისებს სხვის სარწმუნოებრივ ნორმებს და ნელ-ნელა დაწყებს საკუთარს. დღეს ქართველი კაცი ქრისტიანულ რელიგიასა და ქრისტიანულ ზნეობაზე ხშირად დასავლური ორიენტაციით მსჯელობს, სადაც ახლა ყველაზე პოპულარულია პროტესტანტული ადოგმატურობა (ადოგმატი არის წმ. წერიალსა და წმ. გარდამოცემაში მოცემული ღმრთივანებადებული ჰუმანიტეტა, რომელიც ფორმულირებულია ეკლესიური ცნობიერების მიერ. დოგმატის უარყოფით ადამიანი უპირისპირდება ეკლესიას, რომელიც არის „ხუცტი და სიმტკიცე ჰუმანიტეტისა“ (I ტიმ. 3, 15). ამიტომ ეკლესიის გარეთ რჩება). ბევრმა აღარც კი იცის, რას ემსახურებოდნენ მისი წინაპრები, რომელთა დანატოვართაც იწინებებს თავს.

დოგმატების დაკარგვით რელიგია ამორფული ხდება, ეკლესია კარგავს თავის მნიშვნელობას, ადამიანი ტოვებს მას და რელიგიურ ინდეფერენტობამდე მიდის. ამ მოვლენამ თავის დროზე ღმერთის უარყოფამდე მიიყვანა დასავლეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილი და ნიციშეს პირით ათქმევინა: „ღმერთი მოკვდა.“

აი, ამგვარ „რელიგიურ“ წარმოდგენებში ახავეს თავის ათეისტურ მენტალობას ავტორი.

მაგრამ საგანი არსებობს და მას „რელიგია და კულტურა“ ჰქვია. უნახოთ, როგორ ესმის და როგორ აწვდის იგი ბავშვს სათაურას ერთ-ერთ ცნებას – რელიგიას.

კონცეფციის III მუხლი ვაუწყებს: „წინდელი საშუალო სკოლის — ცხრაწლედის — ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს არა საღვთო რელიგია, არამედ ამ დისციპლინის პროპედევტიკული ნაწილი — „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“. ეს ამ „ეკლესიამით გააზრებული, ჩამონაკეთუ-

ლი კონცეფციის“ ნაწილია. ვახლავთ, რომელსაც რელიგიური სწავლების საბაბით საღმრთო სკულის სავალად შემოღებული საგანი ვერცნობა. ის, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდულია. რა შეიძლება იყოს საღმრთო სკულის პროპედევტიკული ნაწილი? საღმრთო სკულა ხომ თავად არის ქრისტიანული მოძღვრების შესავალიცა და პროპედევტიკული ნაწილიც? უმუხვი სათხურო უნდა ჰქონოს სწავლევითა მიტინგს ვურცხევი ითი. რას სწავლვას ვცხადებთ ეს სხელ მაგრამ რადგან „საღმრთო სკულს“

„ქრისტიანული მოძღვრების შესავალად“ წოდებული საგანი შეუჩაცვლეს, ეს საგანი, როგორც „შესავალი“, ქრისტიანული მოძღვრების კარს უნდა უღებდეს მოსწავლეს. სწორედ ამას ნიშნავს „შესავლის“ სტატუსი და არა მოძღვრების შეცვლის ან დამახინჯებას. უნახოთ, რას წარმოადგენს ეს „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“ და რამდენად შეესაბამება მისი შინაარსი სათაურს.

დავიწყებთ სათაურიდან — „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი.“ თავდაპირველად ვიტყვი, რომ დიფერენცირება სჭირდება ქრისტიანობის ცნებასაც, რადგან ქრისტიანი ჰქვია ყველას, ვისაც სწამს, რომ ხსნა იესო ქრისტეშია. მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის მამღვერებს სხვადასხვაგვარად სწამს მაცხოვარი. ისინი წმ. წერილსა და ბევრ სკრიპტურულ ქრისტიანულ საკითხსაც, თვით ეკლესიასაც სხვადასხვაგვარად უდგებიან. ეს განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიები ერთმანეთის სარწმუნოებას არ სცნობენ. ამ განსხვავებათა უგულვებელყოფა, სხვადასხვა კონფესიათა ერთმანეთთან გათეიება და ერთი დასათაურების („ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“) წიგნში მათი გაერთიანების მცდელობა, შეუძლებელი და არასწორია. ავტორი „შემოღებლური პოზიციას“ იკავებს და ერთ, „ზოგად“, არარსებულ ქრისტიანობას ივინებს, რომელიც სწორედ პროტესტანტული ადოგმატურობისაყენ იხრება და ერთნაირად მიუღებელია მართლმადიდებელი თუ „სხვა აღმსარებლობის მოზარდთათვის“, რომელიც ინტერესებიც უნდა გათეივლისწინებინა საგანს. მართლმადიდებლობა ის სარწმუნოებაა, რომელიც დავვიტოვა იესო ქრისტემ და რომელსაც სხვა კონფესიებისაგან განსხვა-

ებით უცვლელად და ხელუხლებლად ინახ-
ავს მართლმადიდებელი ეკლესია. ქვეით,
ვევლან, სადაც ჩვენ ქრისტიანულ
თვალსაზრისს ვახსენებთ, მართლმადიდებ-
ლობას ვუვლისხმობთ.

საენის ავტორების მტკიცებით, მათი
„მოძღვრება“ არ ეწინააღმდეგება მართლმად-
იდებულ სარწმუნოებას. ენახთ, რამდენად
შეესაბამება ეს სიმათილეს.

III-IV კლასების სახელმძღვანელოში

ჯერჯერობით სახელმძღვანელოს მხო-
ლოდ დაწვებით, III-IV კლასებისთვის
განკუთვნილ ნაწილს განვიხილავთ, რად-
განაც დაწვებით სკოლას თავისი სპეციფიკა
აქვს. იგი ერთ მილიანობას წარმოადგენს,
დასრულებულსა და შეკრულს. მას თავისი
ფუნქცია აქვს, თავისი დასმული საკითხ-
ები თავად უნდა გადაჭრას და თავისი შიხა
თავადვე უნდა დაავიკრივინოს - სწავლების
ერთი ეტაპი უნდა დაასრულოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენებუ-
ლი სახელმძღვანელოების დაწვებითი ორი
წიგნი ერთ მილიანობად უნდა იქნეს განხ-
ილული. თუმცა თითოეული მათგანიც თავ-
ისთავად ერთი დასრულებული მილიანობა
უნდა იყოს.

ვევლანე უცნაური ის არის, რომ არც
ერთი მათგანი ერთხელაც არ ახსენებს
სახარებას. არაფერს ამბობს იესო ქრისტეს
შობასა თუ მისი ამქვეყნიური ცხოვრების
სხვა ეპიზოდებზე, თუმცა ამ ამბების მოს-
მენაც და წაითხვაც მარტვი და სინტერე-
სია ბავშვისთვის. იგი ისე ამთავრებს
დაწვებით სკოლას, რომ არაფერი იცის იმ
საკითხების შესახებ, ქრისტიანული რელიგი-
ის საფუძველს რომ წარმოადგენს.

სახელმძღვანელო ბიბლიას მხოლოდ
მიტომ ახსენებს, რომ სამომავლოდ გადაუ-
ღოს მისი გაცნობა პატარებს. მხოლოდ V
კლასისთვის განკუთვნილ ნაწილში იწყება
ბიბლიის პირველი თავების შინაარსის გად-
მოცემა (უცნაურია, რომ რთულით დაუწყიათ
და მარტივით გაუგრძელებიათ) და ის, რაც
აუცილებლად დაწვებითი სკოლის კურსში
უნდა ჩაესვათ, რატომღაც მის ფარგლებს
გარეთ გაუტანიათ. სამწუხაროდ, ეს წიგნიც
ისევე შორს არის ქრისტიანობისაგან,
როგორც მისი ორი წინამორბედი. ჩვენ მას
მოვიკანებთ განვიხილავთ.

„იესო ქრისტე“

„იესო ქრისტე“ წოდებული თავი ძირა-
თადად ზოგადი ფრაზებით ესაზღვრება 8
წლის შვიტხველს. „... იესო ქრისტე ... ორი-
თასი წლის წინ იშა ღმერთისაგან. მარი-
ამისა და მისი მუეღლის იოსების ოჯახში“
(I, 4) - მუღ ეს არის, ოსიას გვერზე
ბ. მაცხოვრის შობისა და ამბროსიშვილის
შესახებ. სამაგიეროდ ერთ წლის შემდეგ
საველს გულოდ ეწინასაღმდეგეღლის
სიმბოლიკას მუთხეკლასეღის: „ეს ქურტული
გამოხატავს ღვთისმშობლის სხუღს, მასში
მღვიანი ნაკვერნხალი - ჩუღი იესო ქრის-
ტეს ვოფნას ღვთისმშობლის სხუღში“
(II, 90). „მარიამისა და მისი მუეღლის
ოჯახში“ შობა საკმაოდ ორზაროვანი ნათ-
ქვამა. როცა ამბობენ, „ოჯახში იშვაო“,
ჩუეღლებრივ, ბუნებრივ შობას გუღისხმობენ.
მაცხოვრის შობა კი სწორედ ზებუნებრივი,
საღმრთო საღმუღლია. არც იმას ამბობს
სახელმძღვანელო, თუ ვინ და რა ვითა-
რებაში შუა ვრამა, ვინ იფუნენ მისი მშობლები.
ამიტომ „ოჯახში იშვა“, ბვერს ვერაფერს
ეტვეის პატარას.

„იესო ქრისტე სხვა ადამიანებისაგან
იმით გამოირჩეღდა, რომ თავის სიცოც-
ხღეში არც ერთი ცუღი საქციელი არ
ჩაუღენია, არც ერთი ცუღი გრამნობა გუღში
არ გაუტარებია“ (I, 5). განკაცებული მაცხო-
ვარი სხვა ადამიანებისაგან პირვეღ რგში
საღმრთო ბუნებით განსხვავებუღდა. მისი
კაცობრივი ბუნებაც სხვა ადამიანებისაგან
განსხვავებით ბუნებით იყო უცოღვეღი -
პირვეღქნიღი ცოღვა მას არ შეკმებია.
ამით მაცხოვრის კაცობრივი ბუნება
ღმრთისმშობლისაგანაც კი განსხვავებუღდა,
რომელიც ასევე უცოღვეღი იყო ვეღლა სხვა
ადამიანისაგან განსხვავებით, მაგრამ ადამის
ცოღვა მასშიც არსებობდა, თუმცა არ
გამოღ�ლიღდა და არ ამოქმეღებუღდა. ის
ღმერთის სივარულით იყო შებოქიღი.

ასე, რომ მხოლოდ უცოღვეღობა ვერ
განსხვავებს იესო ქრისტეს სხვა ადამი-
ანებისაგან. სწავლებისას კი ან ობიექტუ-
რად უნდა გავამუღკოთ საკითხები და ბავშუს
მისთვის გასაკვები ერთი მივანოღოთ
სათქმელი, ან საუთოღდ უნდა შევიკვიოთ
თავი ამ საქმისაგან.

ადამიანთა უბეღურების მიზეზი, რის
შესახებაც ვეღლაპარაკება ეს თავი, ღმრთის
წინაშე ცოღვა და ურნობა იყო, შეღვეღი კი

უზარმაზარი კატასტროფა — ადამიანისა და ხილული სამყაროს დაცემა, ღმრთისაგან „განვარდნა“ კაცისა. სახელმძღვანელო ამის ნაკვალად „უფლის დარიგების“ თანდათანობით დავიწყებაზე, კაცთა შორის გაუგებრობის განქანასა და მათი ცხოვრების უთავბოლოდ არეულობაზე გვესაუბრება. ეს „უფლის დარიგება“ ამქვეყნიურ კეთილდღობაზეა ორიენტირებული. **ეს სახელმძღვანელოებისათვის ჩვეული აქცენტის გადასაცვლება საღმრთოდან ადამიანურსა და ყოფითზე, რაც რელიგიის პროფანაციას იწვევს.**

ღმერთმა ადამიანები იმისთვის გაიწინა, რომ ერთმანეთი ჰკვარებოდათ, ერთმანეთს საინოდ მოქცეოდნენ, კეთილნი და წესიერნი ყოფილიყვნენ, — მოგვითხრობს სახელმძღვანელო (I,14). აქაც, მთავარის იფორირებით სერიოზული საღმრთისმეტყველო შეცდომა დაშვებული. ეკლესიის სწავლებით ღმერთმა ადამიანი ღმრთის შემეცნებისა და მისი სივარულის, მარადიული ნეტარებისათვის, ღმერთთან ერთობისათვის გაიწინა. მცნებადაც პირველ რიგში ღმრთის სიყვარული დაუღო, ერთმანეთის სიყვარული იმდენადაა პირველი მცნების მსგავსი, რამდენადაც მხოლოდ ანარკელია საღმრთო სიყვარულისა და მის გარეშე უბრალო კეთილდღეობად იქცევა. „ქრისტიანული მოძღვრების შესავალმა“ ეს უნდა იცოდეს. წიგნი კი რატომღაც არ გვიმზღებს ყოველივე ამას. იგი არც იმას ამბობს, რომ ღმერთმა მიწის მტკრისგან თავის ხატად და მსგავსად შექმნა კაცი და სიცოცხლის სული უბოძა. იგი ღმერთთან სიახლოვესა და სასუფეველის ნაკვალად ამა სოფლის კეთილდღეობასა თუ მის დეკარგებაზე იღებს გეზს. ამიტომ გამოდის, რომ ამ „უთავბოლოდ არეულ-დარეული ცხოვრების“ დასალავებლად მოსულა ამქვეყნად მაცხოვარი და არა ადამის მოდემის სიკვდილისა და ჯოჯოხეთისაგან გამოსახსნელად.

მაცხოვრის მოსულა ქრისტიანობის მთავარი ღერძია. ის მოელ ძველსა და ახალ აღიქმას განმსჭვალავს და აერთიანებს. ამიტომ ამ საკითხის არასწორი გაშუქება მთლიანად ამახინჯებს ქრისტიანულ სწავლებას. ყოვლად წარმოუდგენელია იესო ქრისტეზე და ქრისტიანობაზე ისაუბრო ისე, რომ არ ახსენო ადამის დაცემა, სამოთხის დაკარგვა, უფლის აღიქმა მესიის მოხელის შესახებ არ თქვა, რომ მაცხოვარი პირველ-

ქმნილი ცოდვის გამოსახედად და ადამიანის ღმერთთან დასაბრუნებლად განკაცდა და ეცვა ჯვარს. შესაბამისად წიგნში არ ჩანს უფლის ჯვარცმისა და გოლგოთის მსხვერპლის არსი: ჯვარცმას იგი ორივე მშრალ ხიტვეას უძღვინს და მას მხოლოდ და მხოლოდ მაცხოვრის მტკიცებით ცხოვრების სიუცუტურ დასისრულად წარმოვიდგენს. მართალია, ჯვარცმას რამდენიმე ჰიკეითიღაც შეძენა იქვე პასხენს სახელმძღვანელო: „...სი ტანჯვა-წამება მერე უფლისთვის მოითინა ქრისტელი“, მაგრამ წვერაში გვეჭირდებოდა მისი ტანჯვა-წამება, ამაზე უკვე აღარაფერს ამბობს, ხოლო უფლის აღდგომასა და ამაღლებას ერთ წინადადებაში აერთიანებს და იქვე იფიქვებს; მაშინ, როცა მიელი თავები ეღუნება ბავშვისთვის გაუგებარ და სიუცუტ საუბრებს ანთროპოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ თემებზე.

საქმე ისაა, რომ სახელმძღვანელოში დაკარგულია მთავარი ორიენტირი — ღმერთი, თუმცა მისი სახელი ხშირად იხსენიება. მის ნაკვალად ამქვეყნიური ცხოვრებაა წინ წამოწეული (ამქვეყნიური არ ნიშნავს მხოლოდ მატერიალურს) — რელიგიის პროფანირება აქცენტის მთავარიდან დეტალზე გადასაცვლებით მთელ სახელმძღვანელოს პირიქითად უდევს და კვლავ კულტურის პრიორიტეტიდან გამოშინარეობს. ეს, აღმათ, გააზრებულად ხდება კონცეფციასა თუ იმ იდეასთან მისასადაგებლად, ახალ საგანს რომ დაეღო საფუძვლად და სწორედ იმ აზრის ანარკელია, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლუბიდან ათეიზმისა და რელიგიის ნახავს რომ გვითავაზობდა. ეს არ არის ქრისტიანობა. ეს არის ერთი კაცის მიერ შექმნილი ანთროპოცენტრული „მოძღვრება“, რომელსაც რატომღაც ქრისტიანობის სახელი დაუწებება.

პარაზი და ცუდი

სახელმძღვანელო სიკეთისა და ბოროტების, ცუდისა და კარგის ცნებებს საღმრთო სულისა და სახარების მცნებებს არ უსწორებს. ამის გამო ეს ცნებებიც ამორფული ხდება, რადგანაც სხვაა კაცობრივი ზნეობა და სხვა — საღმრთო. მაგალითად, ადამიანური თვალსაწიერიდან ამპარტყენება, შურისძიება და სხვა, ზოგჯერ ვაკეკაცობად ეთვლება ადამიანს. ქრისტიანობა კი მათ

„ზმსთასოფელი“

მაკრად უწოდებს ცოდვას. „რომელმან თქვას, ვითარმედ ვიკან იგი და მცნებათა მისთა არა იმარხვოდეს, მტყუარ არს და ქეშმარიტებაა არა არს მის თანა“, — გვასწავლის მოციქული (I იოანე, 2, 5). ხოლო მაქხოვარი ფარისეულებს სავედურობს: „დაგიტყვების მცნება ღმრთისა და ვიპყროს მოძღვრებაა კაცთაჲ... კეთილად შეურაცკ-ყოფით მცნებასა ღმრთისასა, რათა მოძღვრებაა თქუენი დამტკიცოთ“ (მარკოზი, 7,8-9). ავტორი კი რატომღაც ამ სცნობს საზარებასა და ღმრთის მცნებებს და აღმადანურ, კაცობრივ ზნეობას მიჰყვება, წმ. წერტილის ნაკვალავ კი „ვეუხისტყაოსანი“ შემოატქს ქრისტიანული მოძღვრების მასწავლებლად, რომელიც, რაგინდ გენიალურიც არ უნდა იყოს მისი ავტორი და რაგინდ დიდებულიც მისი მხატვრული დირებულება, რელიგიური ცხოვრების სახელმძღვანელოდ არ გამოდგება. ამის დასადასტურებლად სახელმძღვანელოში ზნეობის საქადაგებლად მოყვანილი აფორიზმების გადახედვაც კმარა, მაგალითად, „კაცი ცრუ და მოლაღატე ზამს ლახერთა დასაქრულად“ (II, 76), — პოეტის ნათქამია და არა ზნეობის კოდექსის მუხლი — ის არათუ ქრისტიანულ-რელიგიური, კაცობრივ ზნეობისთვისაც მიუღებელია. რუსთაველი ბიპერბოლბით, მძაფრი შედარებებით ვადმოგვექმს აზრს, ბავშვმა კი, შესაძლოა, პირდაპირ გაიგოს და ჩათვალოს, რომ რუსთაველი და შესაბამისად ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, მატყუარა მახვილით უნდა განვძიროთ. „ყოლი ცრუ და მოლაღატე ღმრთსა ჰგობის და ავრე ცრუობს“, უე იგი, ვეღა, ვინც სხვას ატყუებს და დღლატობს, ვინც ცრუობს, ამით ღმრთის გობს, უარყოფს, ღმრთის საწინააღმდეგოდ იქვეყო“. — გვასწავლის სახელმძღვანელო (II,76). სიცრუე და დღლატი სხვას ღმრთის, მაგრამ ღმრთის გობა სულ სხვა ცოდვაა და მისი აღრება სხვა ცოდვებთან არაფრით არ შეიძლება. ამას ვარდა, სხვა არის რელიგიური ქეშმარიტება და სხვა — პოეტის მხატვრული კონცეფცია. უცნაურია ბიბლიაზე უარის თქმა და მხატვრული ოხხულების, თუნდაც შედევრის გამოყენება ქრისტიანული მოძღვრების ანა-ბანის სასწავლებლად. არადა, „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ პირველი წიგნის პირველივე თავი — „ქრისტიანული მოძღვრების პირველი ვაქნობა“ — „ვეუხისტყაოსანი“ იწყება.

ღმრთი, როგორც მთავარი ორიენტირი და ცენტრი, არც სახელმძღვანელოს შივრ დახატულ ამქვეყნიურ სამყოფელში — ე. წ. ზესთასოფელში ფიქრირებს წაგნა სკართოდ არ არის ნახსენები, რომ სასულიერო სწოივდ ღმრთისა სუფელა, თუქცა უამრავი თავი და ქუთუი მიეღონა ამქვეყნიურ სამყოფელზე სავბრს არ არის ნათუბი, რომ სასუფეველის ამქილდობა ნეტაქება შემოქმედთან სახლოვე, მასთან ერთობაა. მთავარი „საქმანობა“ კი მისი ქვერება და განდიდება სასუფეველში მთავარი ღმრთისა და ბავშვსაც ასე უნდა ვასწავლოთ. სხვანაირად ეს „სასუფეველიც“ მიწიერდება, და მართლაც, წიგნში ზესთასოფელი ამქვეყნიური კატეგორიებით მოიაზრება: მისი მშვენიერება — ამქვეყნიური მშვენიერებით, სიყვარული — ამქვეყნიური სიყვარულით. მხოლოდ ებითეტი აქვს დამატებული — „ღვთაებრივი“ და „მარადიული“.

„ზესთასოფელი მარადიული, ღვთაებრივი მშვენიერების, სიყვარულის და აზრების საუფელა“, — ვკითხულობთ სახელმძღვანელოში (II, 21). მაგრამ, რადგან აქ ღმრთზე არაფერს გვეუბნებიან, სიტყვა „ღვთაებრივის“ მნიშვნელობაც განუსაზღვრული და ამორფულია. ქრისტიანულად „ღვთაებრივი“, იგივე ღმრთაებრივი, ღმრთისას, მიხვან მოშავოს ანუ მადლისმიერს უნდა —ნიშნავდეს. მადლი ღმრთისის მდა, ღმრთისის ენერგიაა. ყოველივე, ღმრთისაგან მოშავალი მადლით იქმნება და მოგვემადლება. სახელმძღვანელოები (შესაბამისად საგანიც) ამ მადლს არ სცნობენ, ამიტომ სიტყვა „ღვთაებრივიც“ რელიგიურ მნიშვნელობას კარგავს, მიწაზე ჩამოდის, უკეთეს შემთხვევაში, პოეტურ, მეტაფორულ ვაგებას იტყნს და ზესთასოფელსაც ამიწიერებს. ბავშვისთვის კი არც მეტაფორულად ნახმარი „ღვთაებრივის“ მნიშვნელობაა გასაგები. საბოლოო ვაშში, ვაუეგებარი რჩება, რა არის ეს ზესთასოფელი, მით უფრო, რომ ის თავები, რომლებიც მას ეძღვნება, ბავშვისთვის სრულიად უცხო ენაზე დაწერილი.

ასევე ამა ქვეყნისკენაა მიმართული I წიგნში მოთავსებული იესო ქრისტეს „დიდებული მოძღვრებაც“: „რით არის ღიდებული ეს მოძღვრება? იმით, რომ თუკი ვეღამ ამ

მოძღვრებას მივსდით, ქვეყნიერებაზე (I-ნ.წ.) სიყვარული, სიკეთე და სამართლიანობა დამკვიდრდება, ცულ საქმეს არაინ წაიღებს და აღარც შური იბოვინებს სადმე, აღარც მტრობა“ (I,15-16). ასეთი იდილოური ყოფა ნამდვილად მოშიბლავია, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმიათა უბეტესობას არ სურს მაცხოვრის მიღება, დღესაც დღენის მას და დედამიწაზე კვლავ არსებობს შური და მტრობა. გამოდის, რომ მაცხოვრის მოქალას ამია ჩაუვლია. „ხოლო თქვენ ვის დღე პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმათლესა მისსა, და ესე ყოველი შეგებინოს თქვენ“; — მოვემართავს მაცხოვარი (მათე 6,33). ვარდა ამისა, ეს მოძღვრება ვიდევ იმის გამო არ შეესაბამება ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოძღვრებას, რომ არ ახსენებს ცოდვასა და სინანულს. არადა, სინანული არის უმთავრესი პირობა ცოდვით დაცულის აღდგენისა, ის მიივანს კაცს ღმერთთან. ქრისტიანული ცხოვრებაც მწორედ სინანულით იწყება. „სინანული განმახლებულ არს ნათლისღებისა... სინანული აღიქმა არს ღმრთისა მიმართ ახლისა ცხოვრებისა“ (ღირსი იოანე სინელი, კიბე, საეკლესიო კალენდარი, 1986, გვ. 271). „არა მოვედ წოდებად მართალია, არამედ ცოდვილია სინანულად“, — ამბობს უფალი. ხოლო „ვაზაკი ცხონდა აღსარებითა ცოდვათა თუსთათა“ — (ეფრემ ასური, მონაწირობის და სინანულისა, მამათა სწავლანი, თბ., 1955, გვ. 296). სახელმძღვანელოები მას ხაერთოდ არ სცნობენ, არ სცნობენ ისინი არც აღსარებასა და სხვა საეკლესიო საიდუმლოებებს. II წიგნი მხოლოდ ნათლობაზე ამხვილებს ყურადღებას: „... გარეშენიც იკრიბებიან ხოლმე ნათლობის საცქერლად... თვითონ ნათლობის წესიც საამო სამხერია...“ (II, 83), თითქოს საეკლესიო საიდუმლო, რომელიც გვარცემული მაცხოვრის სისხლისათა განსაღებული, თეატრალური წარმოდგენა იყოს.

„ცოდვებისგან თავის დაწნა იმას უკეთ შეუძლია, ვინც ქრისტიანად იქცა, ქრისტეს ნათელს ეზიარა, ანუ მიინათლა“, — გვასწავლის სახელმძღვანელო (79). „უკეთ“ ნიშნავს, რომ ცოდვებისგან დახსნა ნათლობის გარეშეც შესაძლებელია. ეს ძალიან დიდი დღემატური შეცდომაა და მიუღებელია ქრისტიანობისათვის, თუმცა კი

გარკად ესადაგება ასახი საენის კონცეფციას. „უკეთ“ კი არა მხოლოდ მას შეუძლია, რამეთუ ქრისტიანული მოძღვრების სწავლებით, ნათლობა, ანუ ქრისტეს ნათელთან და გოდვითის მსხვერპლთან თანაზიარება ცოდვის ტყვეობიდან ხსნის ენთადერთი გზა, რადგანც „უკეთ“ ვინმე არა იწყებს წელსაგან და სკლისა, არა კვლევების შესაღად სასუთუთელსა ღმრთისას“ (იოანე, 2,5). თითქოც „სახელმძღვანელო“ გვასწავლის, ესაა აუცილებელი პირობა ქრისტეს გზაზე შედგომისა, ანუ „ქრისტიანად“ ქვევისა, ხოლო მაცხოვარი ამბობს: „უკეთ არა გრწმუნეს ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოსწდელი ცოდვათა შინა თქვენთა“ (იოანე 8,24). ე.ი. არაქრისტიანისათვის ანუ მონათლავისათვის არ არსებობს ცოდვისაგან ხსნა (იხ. წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწ. II, თბ., 1993, გვ.36). ეს არის ძე ღმრთისას განკაცების არსი და ქრისტიანობის ხერხემალი — „აწლა მოთვე წყლითა მხსნელმან, აღხოცნა ცოდვანი ჩვენი“, — (ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი, ნათელთათვის, პავლე ინგოროვეა, თბზ. კრებ., ტ. III, გვ. 287).

„შუთისოფელი წარმაგალია“

სახელმძღვანელო ორი თავის მანძილზე ნათლად და თელსაწინოდ, პავშისათვის გასაგები ერთი ნაწიკეს ამა სოფლის წარმაგლობას. განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის დაწერილი თავი „სოფელი წარმაგალია“ და მით უფრო უარესია, რომ ამ თავის ბოლოს ასე უზუვეშოდ ტოვებს პატარას ავტორი: სიკდილი ეწევა ვეელას, „...ჩვენს ახლობელს, ჩვენს ნაცნობს თუ ჩვენთვის უცნობს, ვეელას, ვინც კი დღესდღეობით ცოცხლობს დედამიწაზე... მზე რომ მზეა, ოდესმე, მილიონი წლების შემდეგ, ისიც გაიცოდება და ჩაქრება. ვარსკვლავებსაც იგივე მოუთო. ჩვენი დედამიწაც გაქრება შშის გაციეებასთან ერთად“ (II,14). ეს აზრი პანთეისტურია და არ ესადაგება ქრისტიანულს, რომლის მიხედვითაც დედამიწა და შოელი ხილული სამყარო კი არ გაიცოდება და გაქრება, არამედ მოხდება მისი ფერიცვლება — სულიერ ცეცხლში გადახნობა, განსულიერება. მაცხოვრის მწორედ მოსვლისას: „... ცანი მკურთგალენი დაიკნენ და წესნი დაიწუნენ და დადნენ. ახალია ცათა და ახალსა ქე-

ყვანას მსგავსად აღიქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს” (2 პეტრე, 3,12-13). ამავე დროს აქ გამოთქმული აზრი საბერძნო გაცოებისა და ჩაჭობის შესახებ, მეცნიერული თვალსაზრისითაც საჭიროებს კორექტივების შეტანას, რადგან აქ ერთ-ერთი მეცნიერული გარაუღი მოყვანილია, როგორც საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტება, თუმცაღა, ამ გარაუღს მეცნიერთა უმეტესობა არ იზიარებს. ასე რომ, ავტორი მხოლოდ რელიგიის სფეროში არ ვერდნობა დილექტანტურ განათლებას. სახელმძღვანელო არ შეიძლება დილექტანტური ცოდნით იჭმებოდეს, მით უმეტეს, რომ ბავშვების წინაშე გაცილებით ღრმად შეიძლება საკითხების დასმა.

წიგნის შემდეგი თავიც წუთისოვლის წარმავლობას ეძღვნება და სწორედ მაშინ, როცა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მანტ უნდა თქმულიყო, რომ ამ წარმავლობას მარადიული სამოუფელი ენაცვლება, იწყება საუბარი იმაზე, რომ ადამიანი სოფლის წარმავლობას მიხედა და მარადისობის ძებნაში ზღაპრებისა და მითების გამოგონება დაიწყო (იხ. II, გვ. 15).

მხოლოდ მეორე წიგნის ბოლოს იწყება ლაპარაკი სულის იმქვეყნად გადასვლისა და მისი იმქვეყნიური მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე ფრაზა ეძღვნება ქრისტიანული ცხოვრების ამ მოკარ საკითხს. სამწუხაროდ, ეს ფრაზები მსჯელობის ისეთ ქარცეცხლშია გახვეული და იღუნად დაგვიანებულია, რომ ბავშვის გონებას გაუჭირდება მათი გამოჩინევა, მათზე ყურადღების გამახვილებაც და სასწავლო წლის დასაწყისში წამოჭრილი პრობლემების ასე დაგვიანებით გადაჭრისათვის თვალყურის მიღვენება.

ყოველი გაკეთილი მილიანობას უნდა წარმოადგენდეს. სახელმძღვანელო, მით უმეტეს, დაწვეთითი კლასებისათვის განკუთვნილი, დასმულ საკითხებს იქვე უნდა სცემდეს პასუხს, თუნდაც მოკლეს არ შეიძლება საკითხის ღიად დატოვება და პასუხის რამდენიმე გაკეთილის შემდეგ გადატანა. მაგალითად, დღეს რომ საყოველთაოდ წარმავლობასა და სიკვდილზე ვესაუბრებით პატარას, იქვე უნდა დავუპირისპიროთ ამ წარმავლობასა და სიკვდილს სწავლება სულის საუკუნო ცხოვრებაში გადასვლის შესახებ. უნდა ვუთხროთ,

რომ ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იხსნება, რომ მიკვდილი ახალი ვოიერებაში შობა წარმავლობასაც ქრისტიანული ახსნა უნდა მოეცოდ, ბავშვი რომ არ დავაბნოთ და სასწავლო კეთილბედაში არ ჩავავდეთ.

ქრისტიანული სახელმძღვანელოები

ლოცვის შესახებ

სახელმძღვანელოები პრაქტიკულ ქრისტიანობასთან, ანუ რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ბევრ არასწორ მითივებას აძლევს ბავშვს, რაც შეიძლება საუფაოდ ჩარჩეს მას მახსოვრობაში და არასწორი რელიგიური ცხოვრების საფუძვლად ექცეს. მაგალითად, ურჩევს, სულაც არ ილოცოს, თუ ლოცვისას ყურადღების მოკრებას ვერ ახერხებს (I, 32). ყურადღების კონცენტრირებას მაღალსულიერი ადამიანები აღწევენ ღმრთის შეწვევით. II კლასელ ბავშვს, რომელსაც ლოცვის შესახებ პირველად ვესაუბრებით, მათსავით ვერ მოუთხოვთ. ქრისტიანი სულ მცირედან იწყებს და რელიგიური ცხოვრების გზაზე მაღლის შეწვევით სწავლობს ყურადღების მოკრებასა და ღმრთისკენ მიმართებას, მანამდე კი მამე-ბა გავაფრთხილებენ, არ დავავდეთ ლოცვა, რაც უნდა გავანტულად გვეწვევოს ის, რამეთუ „ლოცვისა დუაწლი და ბრძოლა მიმდებ (მუდმივი-ნ.წ.) არს“ (ლოცვისათვის, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. 1, თბ., 1966, გვ. 150). ბავშვი კი, თუ სახელმძღვანელოს ამ რჩევას მიჰყვება, ღმრთისა და ლოცვის გარეშე დარჩება.

არასწორია სახელმძღვანელოს ეს მითითებებიც: „უმჯობესი იქნება ღვთის სახლში შესვლისას ჩვენი გასაკვიროთ კი არ შევაწუხოთ უფალი, სხვისთვის ვილოცოთ... საკუთარ თავზე მეტად სხვათათვის ზრუნვას, მათთვის ლოცვას თუ მიეზივით, უფრო მეტად დავესმავსებით ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ღმრთისაც უფრო მეტად ვხედავთ და ჩვეც უკეთ შევძლებთ ღმრთის სიყვარულსაც და ერთმანეთის სიყვარულსაც“ (II, 88-89). ისევე, როგორც მთელი სახელმძღვანელო, ეს აზრებიც ამქვეყნიურზეა ორიენტირებული და მაშინ იქნებოდა გამართლებული, ლოცვის დანიშნულება მიწიერი პრობლემების მოგვარება რომ იყოს. მაგრამ ლოცვის სხვა მისია აქისრია: „ლოც-

კა გონების საუბარია ღმერთთან... ესაა გონების ზეაღმსებელი ღმერთთან“ (Преподобный Нил Синайский, Слово о молитве, Добротолюбие, т. II, М. 1895, გვ. 206-207). ლოცვით ხდება საღმრთო მადლის მოხვეჭვა, ადამიანის განწმენდა და განღმრთობა, საკუთარი თავისა და ღმერთის წყდობა: „ლოცვით განახლებების გონება კაცისა გულისკისს-ყოფად სივრცესა ცისასა“ (წმ. იოანე ოქროპირი, სინანულისათვის და ლოცვისა მოუწყინებლად, მამათა სწავლანი, თბ., 1955 გვ. 57). ღმერთისა და ერთმანეთის სიყვარულსაც ლოცვით იხვეჭს კაცი, საკუთარი სულიანობის ლოცვითა და ზრუნვით.

ის, ვინც ქართულ ზურთამიძეურებას, „ქართლის ცხოვრებას“ თუ ქართულ ავთორიტეტს გადახედავს, ადვილად დარწმუნდება, რომ სახელმძღვანელოს ეს რჩევები მკდარია. ვისთვის ლოცულობდნენ წმინდანები, თუ არა საკუთარი სულის ცხოვრებისათვის? ეს თვით მაკხოვარამა გვასწავლა ზეთისხილის ბაღში. ქრისტეანი არა თუ თავად ლოცულობს და ზრუნავს „საკუთარი თავისთვის“, სხვასაც სიხოვს დახმარებას. მონღომბეული კაცი ამის მაგალითს უამრავს ნახავს იმ „ველეარაგარა ტაძრების“ კედლებსა და „ნატიფად შესრულებულ ხელნაწერების“ მინაწერებში, რომელთა გარეგნული მშვენიერებითაც ასე იწონებს თავს სახელმძღვანელო, თუმცა მათ შინაარსს უგულვებლად იყვანს. ამიტომაც მოსდის ასეთი შედეგები.

სახელმძღვანელო ეშმაკთან ბრძოლას საკუთარ თავზე, საკუთარ ნებისყოფაზე დაყრდნობით გვასწავლის (II,79), რასაც მკაცრად უარყოფს და უფრთხის ქრისტეანობა. ის ბრძოლის შთაგარა იარაღად სწორედ ლოცვით მოხვეჭილ მადლს, ღმერთის შეწვევას ასახელებს: „იწურთიდე ფსალმუნთა ყოველსა ფაშა დავითისასა, რამათა განიღვეწნე შენგან ეშმაკნი ბოროტნი“ (ეფრემ ასური, მონაზონთათვის და სინანულისა, მამათა სწავლანი, გვ.288) „რამეთუ საწერტელ ეშმაკისა ლოცვამ არს“ (შუა საუკუნეთა... ტ. I გვ. 150). ადამიანის ნებისყოფასაც მადლი განამტკიცებს. საშუაზაროდ, მის რატომღაც არ სინებს სახელმძღვანელო. საკუთარ თავზე დაყრდნობას კი ბევრი დიდი ბერი დაუღუპავს. მისგან

თავისდაკარგად წმ. მამები საეკლესიო რჩევებს გუთავაზობენ.

წიგნში რელიგიური საკითხების გაშუქებისას ფართოდ არის გამოყენებული ხალხურ-ლეკსიკა თუ ფრთხანი უამრავობები. რომელთაც დიდი ხანი დაკარგეს ქრისტიანული სულიერი მნიშვნელობა, ბევრი მათგანი ცრურწმენიანაა გადაქცევილი.

საღმრთო სახელებისა და ეთიკური გადატანა ადამიანებზე, ასევე ჩვენი, მიწიერი ენისთვისა და ადამიანთათვის და ამიერიებს იმას, რაც მიწას არ ეკუთვნის. მაგალითად, „კალმით ნახატი ანგელოზთა“ (II,25). სიტყვა ანგელოზს რელიგიური მნიშვნელობა დაკარგული აქვს, ის უკვე პროფანიერებულია, ამიტომ ღმერთის ანგელოზებზე საუბრისას ეს გამოიქვამს არ გამოდგება. იგივე ითქვამს ჯოჯოხეთისა და სამოთხის ცნებების შესახებაც, რომლებიც ასევე გამიწიერებული და ამორფულია. მათი განმარტებისას კვლავ ჩვენს თანამედროვე პროფანიერებულ მეტყველებასა და მიწიერ წარმოდგენებს მიმართავენ. „ნამდვილი სამოთხეაო, სამოთხეში მოეხდეთო,“ – ვამბობი, როდესაც ძალიან ღამაზსა და მშვიდ გარემოში აღმოჩნდებით. კარგად მოწყობილ, ბედნიერ ყოფაში რომ ვართ, მაშინაც ვიცით ამის თქმა. იმიტომ ვამბობი ასე, რომ ვგულისხმობთ: არსებობს თვალთუხაობილი მშვენიერებაზე ასევე აღმატებული ზესთასოფლური, ღვთაებრივი მშვენიერება, ამჟვენიერ ნეტარებაზე ასევე აღმატებული ზესთასოფლური, ღვთაებრივი ნეტარება და ბედნიერება. ამას ნიშნავს სამოთხე“ (II,60). ჯერ ერთი, სამოთხე ხილული სამყაროს ნაწილი იყო და ის დეამიწაზე იმყოფებოდა, მეორეც, თუ აქ სასუფეველი გულისხმობენ, სასუფეველი ღმერთთან სახსოვლით განსხვავდება სხვა სამყოფელისაგან, მაგ., ჯოჯოხეთისაგან, სადაც სული მოკლებულია ღმერთთან ყოფნის ნეტარებას, მიტოვებულია მისგან. ეს არის ჯოჯოხეთი და მისი ყველაზე დიდი ტანჯვა. სახელმძღვანელო კი გვასწავლის: „ნამდვილი ჯოჯოხეთიაო, ჯოჯოხეთამდე გზა პქონიაო, — ასეც ითქმის ხოლმე (?! - 6.წ.). ამის თქმისას იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, ისეთი ყოფა, მეტად ძნელი გასაძლებელი რომ არის, ყოვლად უკუღმართი და უმშეგავსო რომ არის, საზიზღარი, მოსამაგებელი (II,61).“ ამასთან, არ გვეუბლება

მეოთხეკლასელი, ანუ 9-10 წლის ბავშვი, „სამოთხისა“ და „ჯოჯოხეთის“ აქ მოყვანილ განმარტებაში გარკვევა რომ შეძლოს.

ქრისტიანობის მთავარი ორიენტირი ღმერთია, მთავარი ძარღვი — ვოლგოთის მსხვერპლი, საშუალება ღმერთთან მიახლოებისა — საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობით, სინანულითა და ღოგოებით, საღმრთო მადლის მიხვეჭა, ამ მადლის შეწყვნითი ბრძოლა ეშმაკთან და ცოდვებისაგან განსვენება. მაზანი ქრისტიანული ცხოვრებისა — სასუფეველი და ღმერთია. ეს ქრისტიანული მოძღვრების კარდინალური საკითხებია, მათ გარეშე არ არსებობს ქრისტიანობა. სახელმძღვანელოებში ისინი ან სრულიად იგნორირებულია, ან — დამახინჯებული და გაუკუღმართებული. როცა რელიგიის არასწორად აშუქებენ, უკვე პრაქტიკულად უარყოფენ მას. ამიტომაც წარმოუდგენელია იმის დაჯერება, რომ სავანსა და სახელმძღვანელოს კომუნისტების დროს ღვინილი და დათრგუნული რელიგიური გრძნობის გაღვივება შეეძლოს, როგორც ამას საპროფამო სტატიაში გვპირდებოდა ავტორი.

კონსტანტინის II მუხლი

— უზგობესი ის ფორმა იქნება, რომელიც კარად გაითვალისწინებს მოზარდთა ასაკობრივ თავისებურებებს, რელიგიის დამკვიდრების სირთულეს.

ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოებისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

წიგნები ძირითადად ბავშვისთვის გაუკუბარი უნდა დაწერილი:

„როდესაც ამჟვენიური მშვენიერების ძალეზად განცდა შეგვიძლია, ჩვენ ამ ჰვეზადვე, ხილულ საყვაროშივე, წუთისოფელშივე განვიცდით ზესთასოფელურ ფოფანს“ (II, 18), — გვეუბნება ის.

„ამჟვარ თვისებთა ერთ არსებაში თავმოყრა ღვთაებრივ სრულყოფილებას ნიშნავს“ (II, 25).

... ვულისხმობთ საერთოდ ზესთასოფელურ, უჩეთო, უსხველო, სულიერ, უკვლავ, წმინდა არსებებს, რომელთაც ადამიანზე დიდად აღმატებული სიბრძნე, ნუხელობა და

ძალა აქვთ“ (II, 23).

ძალზე რთულია დაწვითი სკოლის მოსწავლის — 8-10 წლის ბავშვისთვის რომელსაც გერ არ ჩამოტყდებოდა ცნებები აზროვნება, ამ ტერმინებსა და მათ მცერ გამოხატულ ცნებებში გარკვევა. არის მკვები რომელმაც მოიხიზადა გავტყობნა მათ, „წესთასოფელი“ „როგაბერნევი თვენი ერება“, „სასუფეველი ღვთისა“ (სხვათა შრომის იმსაც შევნიშნეთ, რომ „ზესთასოფელი“ — „სასუფეველი ღვთისა“ უკვე ტოლოგიაა. გამოდის, რომ 5-ი გვერდის მანძილზე ორი ერთი დასათაურების თავაა მოთავსებული) და ა. შ.

„როდესაც ბავშვს მხოლოდ სიტყვიერად, ვოველი გათვალსწინების გარეშე აწვიდან სწორედ იმ ცნებებს, რომელსაც იგი კონკრეტული მასლის ნიადაგზე შედარებით ადვილად ეუფლება, იგი ამ ცნებების გაგების ამოცანის წინაშე სრულ უშწევობას იწენს. მას არ ესმის ეს ცნებები, ამახინჯებს მათ, ვერ სწვდება მათში ნავულისხმვე საკეთიფიერ ნიშნებს“, — წერდა დ. უზნაბე ზოგად ფსიქოლოგიაში (დ. უზნაბე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 409).

8-10 წლის ასაკში გამართულადაც რომ კითხულობდეს ბავშვი, მისი ხატოვანი აზროვნებისათვის ძელი აღსაქმელი იქნება, რისი თქმა სურს სახელმძღვანელოს ამ თუ იმ თავში ავტორს, მაშინ, როდესაც იგი მარტივ, სიუეტური ხასიათის რელიგიურ ტექსტს ხალისით წაიკითხვდა და აითვისებულ ჩვენი დახმარებით:

„ჩვენს წერილებს მივეცი უზეტესად მოთხრობითი ფორმა, — წერდა იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარის“ შესახებ, — რომელიც ერთი ორად და სანდ უადვილებს საგნის შეთვისებას“ (ი. გოგებაშვილი, მასწავლებელთა და მშობელთათვის, თხზ. სრ. კრება, ტ. IV, თბ., 1990, გვ. 668).

საღმრთო სჯული, რომელზედაც უარი ითქვა ახალი, „ამონაკეთულ კონცეფციას დაუზუნებული“ საგნის სასარგებლოდ, ამ ასაკში სწორედ საღმრთო მოთხრობებისა და მარტივი საკითხების სწავლებით იფარვლება, რაც ბავშვისთვის საინტერესოც არის და ადვილად შესთვისებელიც.

სახელმძღვანელოები, მიუხედავად კონცეფციის II მუხლის მოთხოვნისა, არ ითვალისწინებენ ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, აზროვნების სტილს, უნარს. ამ დასკვნის გამოტანას გვაფიქრებინებს ამ

ასაკისათვის შეუფერებელი მასალის მიწოდება, რელიგიის სახელმძღვანელოსთვის უჩვეულო, ხელოვნური სიტუაციები, რომლებითაც ცდილობს ავტორი თავისი „დიდაქტიკური შეგონებების“ გადმოცემას (იხ. II, 49, 50, 51-56, 62, 64, 65, და ა.შ.), მათი გაუთავებელი და მოსაწყენი ანალიზი, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე გვერდზეა გადაჭიმული (მაგ. II, 52-56) და რომლისთვისაც თვალისა და გონების გადუნებაც ძალიან გაუჭირდება მოსწავლეს. ისინი უმალ საცილის გუნებაზე დააყენებენ ბავშვს, ეიდრე რელიგიურ მოღვაწეობასა და ზნობრივ განწყობაზე დააფიქრებენ.

სახელმძღვანელოს ტექსტებს ისიც ართულებს, რომ ისინი დაყოფილია არა მხოლოდ ერთეულებად – გაცეითილებად, არამედ თავებად, რომელთაგან ზოგი 20-25 გვერდზე გრძელდება. აქ აღარაფერს ვიტყვი მთი აბსურდულ და კურიოზულ შინაარსზე. მისთვის ისედაც გაუგებარი ტექსტი ბავშვმა უნდა წაიკითხოს, გაიგოს, დაიმასსოვროს და გაცეითლზე უამბოს მასწავლებელს, რომლისგანაც შეფასებას მოელის. შეფასების მოლოდინი, გარდა იმისა, რომ რელიგიური საკითხების ცოდნის გამოშუქურება ნიშნისთვის და ამ ცოდნის რაიმე ქულებით შეფასებაც არასწორად მიგვაჩნია, დიდ სტრესებთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს, როცა ასეთი სირთულის ტექსტთან გვაქვს საქმე. მათი სწავლა და მოყოლა ე.წ. ფრიადოსნისთვისაც არ არის იოლი. ახლა შეთხველმა თავად განსაჯოს, თუ რა მიმე ტვირთად შეიძლება დააწევს პატარას რელიგიის გაცეითილი. დიდა ალბათობა, რომ ბავშვს საზღაძოდ შევაძლოთ იგი, მასთან ერთად — მასწავლებელიც და სკოლაც. და რაც ვეღვაზე დასანანია, ეს ქრისტიანობის სახელით უნდა მოხდეს. ამის მაგალითი XIX საუკუნის გიმნაზიებმა უკვე გვიჩვენეს. სამწუხაროდ, ადამიანის — გიმნაზიის ზოგიერთი მასწავლებლისა და გიმნაზიის რეჟიმის ცოდვები მაშინაც საღმრთო სჯულს, ვეღვისასა და ღმერთს დაბრალდა. ასე რომ, არაპროფესიონალიზმმა, შესაძლოა, სწორედ ის შეცდომები დაგვაშუქებინოს, რომელითა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილსაც ვაცხადებთ.

* * *

“რელიგიის დამკვიდრების სირთულეზე” საუბრისას, პირველ რიგში, უნდა გაეთვალისწინოთ მთავარი — მიიღებს თუ არა მას

მოსწავლე. სერიოდ, ქრისტიანული სწავლების მიღება, მისი სწორად მიწოდების შემთხვევაში, არ უჭირთ ბავშვებს. საქმე ისაა, რას და როგორ ეასწავლით.

რელიგია ბავშვს ძალიანუბუნებლად უნდა ეასწავლით. სწავლება ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მასწავლებლის უნებმიან ბავშვსთვის ეასწავები ცოცხალი სიტყვა უნდა მოდიოდეს, ცოცხალი სიტყვა, რომელიც ადამიანმა მხოლოდ რელიგიური ცხოვრების შედეგად იშუება. პედაგოგიური საქმიანობა მასწავლებლის მიზანია, რელიგიური გამოცდილების ბაზაზე უნდა შენდებოდეს. ამიტომ არ შეიძლება ასეთ საგანს ასწავლიდეს ის, ვისთვისაც ღმერთი ფილოსოფიური იდეა, ესთეტიკური იდეალი ან კომპლერტის წყაროა (მთი თავის საგანს შესაფერისი სათაური უნდა მოუძებნოს, და არ უნდა დაარქვან „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“) და არა ცოცხალი პიროვნება და სიცოცხლის მიზანი, რომელსაც ადამიანი სულიერი განწყობის შედეგად მივახლება.

ამიტომ რელიგიის სწავლება მხოლოდ რელიგიურ, თანაც პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს უნდა ევალებოდეს, ისევე როგორც ქართული ენის სწავლება ვეღვა ქართულის საყვილისსტეს და არა ვეღვას, ვისაც ამ ენაზე ორიოდე სიტყვის თქმა შეუძლია.

არც რელიგიის სახელმძღვანელოს უნდა წერდნენ არარელიგიური ადამიანები, ისევე, როგორც მათემატიკის სახელმძღვანელოს არ უნდა წერდნენ, — ვთქვათ, პედაგოგები, მშრალი ფაქტებითა და ანალიზით ვერც პოეზიის რაობას გაგვაგებინებთ ვინმეს, თუნდაც ეს ფაქტები და ანალიზი „რელიგია და კულტურისაგან“ განსხვავებთ ობიექტური კი იყოს. ამიტომ პოეზიის შესახებ არ უნდა წერდეს ის, ვისაც პოეზიის მშენიერება არ გაურცდა და არ ენბის. წერ კი საქმე რელიგიასა და ღმერთთან გვაქვს.

და ბოლოს, სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა არ უნდა მიანდონ მას, ვისაც ბავშვთან არ ექონია კონტაქტი. „სახელმძღვანელოს შექმნა შეუძლიან... განვითარებულს პირს, რომელსაც პედაგოგიურ გამოცდილებასთან მეცნიერებაც შეესწავლილი აქვს“ (იაკობ გოგვაშვილი, წიკპურტის ნიმუში, რწ. თხზ., ტ. IV, თბ., 1990, გვ. 212).

V კლასის სახელმძღვანელო

მე-5-ე კლასისათვის განკუთვნილ წიგნსაც „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“ ჰქვია. ბავშვის აზროვნების სტილი, უნარებსა და ინტერესებს, სახელმძღვანელოს ავტორის პრინციპს არც ის ითვალისწინებს. განსაკუთრებით დამაბნეველი იქნება ბავშვისთვის ის გაუთავებელი გადახვევითობიდან, წიგნის თითქმის 90% რომ უკავია ერთი საკითხის განხილვისას მოულოდნელად წვეტენ თხრობას და მორეზე გადადიან, მორიდან — შესამუხე, ბოლოს კი ისეთ თემებზე მიდის მსჯელობა, რომლებიც ვერაფრით თავსდება ვერც ქრისტიანული მოძღვრებისა და ვერც კერამიკის სასკოლო სახელმძღვანელოს სახდერებში. ამის მიზეზი ისევ ზემოხსენებული სახდერების მოშლის მკდელობაა. მაგალითისთვის წიგნის პირველივე თავი გამოდგება (და არა მხოლოდ პირველი თავი, მთელი პირველი ნაწილი და საერთოდ, მთლიანად წიგნი), რომელიც საერთო სათაურის ქვეშ ისწავლება. ეს სათაური ვახლავთ „ბიბლია“. თუ რატომ უწოდეს პირველ თხზავს და მათ მიმართ სიტყვათა საღაროს ასე, ჩვენთვის გაუგებარია — მისთვის თავისუფლად შეეძლოთ დაერქვათ, მაგალითად: „ვევლავერი, გარდა ბიბლიისა.“ წიგნის პირველი თავი, მართლაც, ბიბლიაზე საუბრით იწყება, მაგრამ ქრისტიანობისთვის ღირებულს ბერს ვერაფერს გვეუბნება.

სამი წიგნის მანძილზე სწორედ აქ ახსენებს პირველად სახარებას „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“: (ბიბლიის — ნ. წ.) მორე ნაწილს, იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების თავგადასავლის მოთხრობელს, — „ახალი აღთქმა“ ჰქვიათ, და უმატებს, რომ „სახარება“ „ახალი აღთქმის“ უმთავრესი ნაწილია“ (III,3,4). თავგადასავალი ბავშვმა ბურატინოსა და ტომ სოიურისა იცის. ეს უადგილო ერის მოჩვენება დამახასიათებელია სამივე წიგნისათვის. მაცხოვრის კი არა, რინადღ ღმობულისა და ნაპოლეონის შესახებაც კი არ იტყვიან „თავგადასავალი.“ ეს სიტყვა სხვა რამეს ნიშნავს და არა იმას, რასაც მაცხოვრის, მოციქულების, გინდაც რომელიმე სახელგანთქმული ადამიანის ცხოვრება ჰქვია.

როგორც იქნა, ახსენეს სახარება, მაგრამ იქვე კითხვის ნიშნის ქვეშ დაუსვამთ მისი ჭეშმარიტების საკითხი: „ძველი აღთქმა“ და

„ახალი აღთქმა“ ერთი მთლიან განუყოფელ წიგნად ქრისტიანებს მიგვჩინია ერთადერთ ანუ იუდაიზმის მიმდევარნი მხოლოდ „ძველ აღთქმას“ მიიჩნევენ საღიუო წიგნად, ახალ აღთქმას არ სცნობენ, მათთვის იესო ქრისტე არ არის განკუთვნილი ღმერთი. ეს არის ქრისტიანულ სარწმუნოებისა და იუდაიზმის ძირითადი განსხვავება“ (III,4). ჯერ ერთი, ბავშვისთვის ღმერთის განკუთვნილ მამე მთლიან მიზეზს უკან არ უსწავლებიათ, არც მესიის მთლიანობისა და მისივენი შესახებ ჭამბობათ რაიმე. მოსწავლე ვერც ქრისტიანობაში ერკვევა და ვერც იუდაიზმში. ასეთ ვითარებაში ნაადრევი და ხელოვნურია ამ ორ რელიგიას შორის განსხვავებაზე ლაპარაკი. მორე, უპრინციპო ღმობულობით, ეჭვის ქვეშ დაუყენებიათ ქრისტიანობის კარდინალური საკითხები — წმ. წერილის ერთიანობა და მაცხოვრის განკაცება, დაუკარგავთ ჭეშმარიტი სხვაობის არსი ორ რელიგიას შორის.

სამივე წიგნისთვის ნიშანდობლივია, რომ სანამ ჭეშმარიტებისათვის სახელის დარქმევისა და პრინციპულობის საკითხი დადგება, საქმეში ჩაუხედავ მიუთხველს ავტორის ქრისტიანობაში ეჭვი არ შეუპარება — ის ხომ ასეთ დროს პირველ პირში გველაპარაკება — ქრისტიანის სახელით, ისე, როგორც ქრისტიანი. მაგრამ საკმარისია რელიგიების შედარების, ან სხვა სერიოზული სარწმუნოებრივი საკითხი წამოიჭრას, რომ სრულად მოულოდნელად იკავებს ნეიტრალურ პოზიციას, მაშინვე თმობს ქრისტიანულ მრწამსს და „მომიგებლური“ ხდება. ასე იყო წინა სახელმძღვანელოებში, ასეა ახლაც — ავტორი ქრისტიანია მანამ, სანამ ქრისტიანობის ჭეშმარიტების საკითხი დადგება. უნდა შევნიშნოთ, რომ რელიგიათა შეპირისპირება სახელმძღვანელოებში ხელოვნურად ხდება და მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ საკუთარ „ნეიტრალურობას“, ჩვენ კი ვიტყვოდით, უპრინციპობას გაუსუენ ხაზი. არ არის გამაროცხული, რომ მოსწავლეს, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ამ სახელმძღვანელოთი ეცნობა, სწორედ ასეთი ეგონოს ქრისტიანული პოზიცია — თითქოს მას არ ჰქონდეს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე. თუ ქრისტიანობის სწავლებას ვეისრულობთ, თანაც ქრისტიანის სახელით, ქრისტიანული პოზიციის გამოხატვა ჩვენი მოვალეობაა, რადგან ბავშვი მაგალითით სწავლობს,

უპრინციპობა კი ვერაფერი მაგალითია. მით უმეტეს, რომ კონცეფცია რელიგიური ზნეობის აღზრდას ეკვირდებოდა. ჭეშმარიტების დაღვაწი და უპრინციპობა ერთნაირად მიუღებელია რელიგიური და არარელიგიური ზნეობისათვის და ცუდი მაგალითია მომავალი თაობისათვის.

რა სწამს ავტორს და რა არა, არის თუ არა ის ქრისტიანი, ეს, რაღა თქმა უნდა, მისი საქმეა. ქრისტიანული მოძღვრების შესახებ კი თუნდაც შესავალს არ უნდა წერდეს კაცი, ვისაც თავად არ სწამს ის, რასაც ეს მოძღვრება ქადაგებს, რადგან როგორ ქრისტიანდაც არ უნდა აცხადებდეს თავს ავტორი, მისი დამოკიდებულება თავს ვერ დამალავს და აკი ვერც მალავს.

და შესაძებ, ეს წიგნიც, მისი ორი წინამორბედის მსგავსად ასწავლის ბავშვს, რომ საკითხზე მსჯელობისას სულაც არ არის აუცილებელი, ერვეოლე მასში.

აქვე ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის სათაური, მათ შორის ოთხზეც სახარებისაც. ამ ჩამოთვლას ტრადიციული დაპირება მოჰყვება: „მერე და მერე თანდათანობით შევიტყობთ, რას ნიშნავს ამ წიგნთა სათაურები და რა არის მათში მოთხრობილი“ (III,4). მანამ კი 10 წლის ბავშვმა ამ უცხო სიტყვების მითითება და ამ მითითებათა შემოკლება უნდა ისწავლოს - არ არის აუცილებელი იცოდეს, რას ამოკლებს, მთავარია, შემოკლება იცოდეს. ამით ამოიწურება სახარების ხსენება სახელმძღვანელოში. სამაგიეროდ 4-5 თავი ეძღვნება საუბრებს, წმ. წერილის თავებისა და მუხლების მითითების შესახებ.

იმ საკითხებს, რომლებსაც სახელმძღვანელო აქ ეხება, არავითარი კავშირი არა აქვს სასწავლო საგანთან - რელიგიასთან. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ყრადღებას მოსწვევებენ მთავარს და მეორეხარისხოვანს მაპყრობენ. **აქვერების ვადატან ბიბლიის არსიდან მისი ტექსტის გამოყენების წესებზე (მითითება, ციტირება), ისევე რელიგიის პროფანირებას ემსახურება.**

ზემოხსენებულ თემებზე უსარგებლო საუბრებს წელთაღრიცხვის სისტემებზე სუბაბასი მოჰყვება. სახელმძღვანელო ერთი წინდადებით გვაცნობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შექმნის ქრონოლოგიურ არეალს, რაც პლაცდარშია წელთაღრიცხვის

სისტემების 13 გვერდიანი მიმოსვლისთვის. ამ ნაწილს ფორმალური კავშირიც არა აქვს წიგნის სათაურთან. იგი აქც სასკოლო - V კლასის შესწავრის სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპებს შეესაბამება. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სახელმძღვანელო ავტორი ბავშვის ინტერესებს საერთოდ არ ღვავს მსჯელობაში. ეს გულაუ 13 გვერდიანი მონოლოგი რას არ წაიკითხავთ აც, არავინავეტრის მითებთან მოძღვრულად მომხიანარო ბავშვის მოთხოვლით: „აბაინისათინ ომი რომ დაიწყო, ცოლი მაშინ შევიტოვო; ნიკოლოზი რომ გვდაავდეს, მეზუთე შეილი მაშინ მეყოლო; საწყალი მამაჩემი მაშინ მოკვდა, ვორში დიდი მიწისხვრა რომ იყო“ (III,17). ჩანს, სახელმძღვანელოს ავიწყლება, ვის მიმართაც, ან არაფრით არ სურს ცოტა ხნით მაინც დადგეს V კლასელის ადვილას, ურწმენია, ბავშვმა დათბოს თავისი ბავშვობა და ავტორის ასაკს გაუოანადრდეს. მაგალითად, როდესაც 88-ე გვ-ზე ცდილობს დაარწმუნოს ბავშვი, თავდატყვილ უბედურებაში დჭერთი კი არა, საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოო, ასეთი მაგალითი მოჰყავს; „ღმერთმა ცველა დაიფაროს, მაგრამ, ვთქვათ, კუჭის წყლული აქვს კაცს, ან გული აწუხებს, ან ღვიძლი აქვს დაავადებული. ამაშირა ავადმყოფობის დროს ღვინის დაღვევა არასგზით არ შეიძლება არადა მოხვდა ასეთი კაცი წაუუღლებზე, გაშლილ სუფრასთან, მისი მეინახენი იღბენენ, სადღევრძელოებს წარმოთქვამენ. მასაც გულით სწადა ღვინის შესმა.“ მოკლედ, თუ ასეთი კაცი თავს ვერ შეიკავებს და დაღვევს, გასაგებია, რაც მოხდება. წიგნში „შატკრუღადა“ აღწერილი თავნებობის შედეგები. დიდაქტიკური ექსკურსის ბოლოს კი ვითხვლობთ: „ის ჭირი თვითონ დაიტება თავს იმ უბედურმა“ (III,88,89).

„გორის მიწისძვრის“ შემდეგ წიგნი იწყებს ათასგვარი თარლის დახვეუებას. ქრისტე ამ თავში მხოლოდ წელთაღრიცხვის ათელის წერტილად იხსენიება. მაშინ, როცა მაცხოვრის შობაზე საღაპარაკოდ ვერ ვერ მოუცლიათ. მხოლოდ ერთადერთი და ისიც არასწორი ფრაზა უთქვამთ (ის. ზემოთ). ამ თავში ერთხელ მოჰყავთ მაგალითი ქრისტიანობის ისტორიიდან - ქრისტეს მოწაფეების სამოციქულო მოღვაწეობასა და საქართველოსა და სამეგრეთის გაქრისტიანებას ახსენებენ, მაგრამ იქვე წერენ: „ეს მაგალი-

თბილისის მივიწყებული, რომ უკეთესად გავრკვეულიყავით, რას ეწოდება წელთაღრიცხვის ესა და ეს წელი...“ (III,20).

აქვე იხსენიებენ ცნობილ ისტორიულ პირებსა და მოვლენებს, რომელთა შესახებაც საეკლესიო რაიონში სწავლავს მეხუთეკლასელს. და ყოველივე ეს ზერულად ხდება, რაც სრულიად გასაგებია: სახელმძღვანელომ ან ყოველისმომცველობის პრეტენზიაზე უნდა თქვას უარი, ან ზერულობით უნდა ეცადოს ფონი გასკვას. იმაზე კი არავის უფიქრია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ზერულობის ნებისმიერ, თუნდაც წელთაღრიცხვის საკითხებზე საუბრისას, ასე ხომ ბავშვიც **ზერულობას, საგნებთან ზედახორცულ დამოკიდებულებას** ისწავლის. **ერთადერთი, რაც შეიძლება მოსწავლემ ისწავლოს და ათვისის „რელიგია და კულტურის“ მეშვეობით, ზერულობა, ცარიელი სიტყვები, ბუნდოვანი ფრაზები და მკაფიოფარდობებია.**

ამ თავში დიდგორის ბრძოლაც ვახსენებიათ (რა თქმა უნდა, დათარიღების პრობლემასთან დაკავშირებით): „ვისი წყალობით გაიმარჯვეს დიდგორის ბრძოლაში ქართველებმა? – კითხულობს სახელმძღვანელო, რომელსაც პერიოდულად ახსენდება, რომ ბავშვთან აქვს საქმე. მაგრამ ვერ ზომავს და ისევ ენას უწლიკავს მეხუთეკლასელს – თავისი გულოვნების წყალობით ... დავით აღმაშენებლის წყალობით“ (III,16). „ქართლის ცხოვრებაში“ გარკვევით წერია: „რამეთუ პირველსავე ვაჟსა იოტა ბანაკი მათი (მტრის-ნ.წ.)და იფლტოდა, რამეთუ თუ კელი მადლისა შეწყოდა, და ძალი ზე გარდასო ფარვიდა მას, და წიბა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუბოდა მას...“ (ქ. ცხ. გვ.341). იქვე მემატანე მოგვითხრობს, რომ მტრის შემოტევიც კი საქვეყნოდ ჰყვევიდნენ იმას, რაზეც სდუმს „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“. ან ვერ იჯერებს „სასწოულსა ამას“, ან არ თვლის მნიშვნელოვანად. რა ვალება რელიგიის სახელმძღვანელოს, თუ არა მოვლენების რელიგიის კუთხიდან გაშუქება? ან რა დანიშნულება აქვს ისტორიულ წყაროს, თუ მას ჩვენს ჭკუაზე გადავაკეთებთ? კიდევ ერთ „ღირსშესანიშნავ თარიღს“ ვხვდებით ამ თავში – ეს თავად სახელმძღვანელოს შექმნის თარიღია, იძენად მნიშვნელოვანი, რომ ორჯერ უხსენებიათ – სახელმძღვანელო შთამომავლების იმედად არ დარჩენილა და თავადვე უკვლავუყვია თავი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს თავი მემატანე-ბაგაშვილებსაც ავარჯიშებს ტიხრავლეს, ასე რომ, შევეკობოდა მის ხაზზე არიონი ტიხრასთვის განკუთვნილი საათები შევამკოროთა უფრო მეტიც, სახელმძღვანელოს განხილვამ გვიჩვენა, რომ თავისუფლად შევადგინო გავთქმობი წელი „საგნობა და მასწავლებელი ერთი დაი“ (ქ. ცხ. გვ. და უკულტურა“, ის ხომ ყოველივეს მოიცავს.

მომდევნო თავი ქართულ დამწერლობას ეხება. უცნაურია, რატომ გვესაუბრებიან მასზე „ქრისტიანული მოძღვრების შესავალიში“, თუ იმასაც არ გვეტყვიან, რომ არაერთი მკვლევარი ქართული დამწერლობის წარმოშობას ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირებს.

ზემოთ ვწერდით, რომ სახელმძღვანელო ბავშვს თავის მონონებას ასწავლის. 33-გვ.ზე ვკითხულობთ: „ეთქვათ, მოგვხედა ღმერთმა და გერმანელი, ინგლისელი... იტალიელი კაცი გვესტუმრა...“ აი, სად გამოიჩინა საგნის შექმნის ნამდვილი მოტივი – უცხო ეროვნებისა და აღმსარებლობის მიმდევართა წინაშე თავის გამოჩენის სურვილი – ვერ ხომ სხვა არაფერზე უთქვამთ – „ღმერთმა თუ მოგვხედაო“. ამას და ყოველივე იმას, რასაც ამის შემდეგ ვკითხულობთ, ქრისტიანულად დღობისმოყვარეობა და მარყენებლობა ჰქვია: „სირცხვილი და თავის მოჭრა“ ტყელი ქართული ანბანის უცოდინარობა, მაგრამ ეს სირცხვილი ორკედლება, თუ ჩვენი ჰვეწის ახლო გაცნობის მსურველი უცხოელი შეამჩნევს ამას (III,33,34). მეხუთის ევარის მშვენიერებით „გაოგნებული სტუმარი“ წამით გონს თუ მოგვო და აღმოსავლეთ კვლის წარწერის წაითხება მონიღობა, „მართლაც თავი მოგვეჭრა – მტერს დაადგეს ის დღე, ჩვენ რომ დავდავდება. რას მიუყვებით იმ ჩვენს სტუმარს? არ ვიცი, რა წერილი, – ამას ვეტყვით ჩვენდა სამარცხვინოდ, თუ კიდევ უფრო სამარცხვინო საქმეს ვიკადრებთ – სახელდახელოდ რაღაც არარსებულ ტექსტს შევთხზავთ და იმას წაუყუთხოვო“ და ა.შ. (III,34). ავტორმა ისე შეარცხვინა ბავშვი და უცხოელის წინაშე ისეთი კომპლექსი გაუჩინა, არ არის გამოირიცხული, მან სწორედ ის ხერხი იხმაროს თვითდამკვიდრებისათვის, რომლის შესახებაც ახლახანს იღვა მიაწოდა „ქრისტიანული რელიგიის“

სახელმძღვანელომ, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატებით დიდებისმოყვარობას და კაცობითობას გვიქადაგებს.

განყოფილების მეოთხე თვეი ონომასტიკისათვის დაუთმიათ. აქ სამეცნიერო არის ჩამოთვლილი ქართული გვარები და ერთხელაც — ქართული სახელები. წევრ არ დაგვეზარა და დავთვალეთ, მკითხველს უკეთა რომ გავგერკეთა საჭის ვითარებაში. პირველ ჩამონათვალში 90-ზე მეტი გვარია, ორში, — 60-60-ამდე, ბოლოს კი 100 სახელი ჩამოთვლილია. ისინი აქ იმიტომ მოიტანეს, რომ მათი წარმომავლობა და **ზოგერთი** მათგანის ბიბლიურ სახელთან მსგავსება ქვენებისათ. მაგრამ ამას ქრისტიანული მოძღვრება კი არა, ონომასტიკა და ეტიმოლოგია აქვია. აქცენტია აქაც გადაუნაცვლებათ. თანაც, რაც უნდა ბრძნული ტექსტი მოპყვებოდეს ამ სიებს, მათი მოყვანა ყოველად გაუმართლებელია ნებისმიერ სასკოლო სახელმძღვანელოში.

ავტორი თვითონაც მიმხვდარა, რომ გადასჯარბა და პატარა მკითხველს ასე მიმართავს: „თუ არ დაგეჭვანცა ამ სიის კითხვაში...“

აქვე ასსენებენ წმ. მეფეებს, დავით აღმაშენებელსა და თამარს, აქებენ ერთის სიბრძნესა და მეორის კლემანოსილუბას, ღმრთისმოსაობას, მაგრამ ერთხელაც არ ამბობენ, რომ ეს მეფეები წმინდანები არიან. არც მათ ქრისტესმიერ ღვაწლზე ამბობენ რაიმეს. ისინი მხოლოდ იმისთვის გაიხსენეს, რომ ეთქვათ — სახელები „დავით“ და „თამარ“ წვენში ბიბლიიდან შემოვიდაო (III, 40).

„სხვა რომ არაფერი, ზემოხსენებული საკუთარი სახელითა, სიტყვებითა და გამოთქმებითა თავისთავად შეტყვევებენ იმას, რა დიდ გულენას ახდენდა „ბიბლია“ ქართველთა ცხოვრებაზე საუკუნეთა განმავლობაში“. — ასე მთარდება ეს თავი (III, 44). ამ სიტყვების ქვეშ კი, მათ სილიუსტრაციოდ აკაკი წერეთლის ლექსის ერთი სტროფი მიუწერიათ:

**„თვით ბრძალად კარგად არის,
ტპბლად, თბილად დაიბუღა,
მომხს ბორცის სქამს, მხვე სისხლის სეამს,
ვე კინე, ვე თვლა“ (III, 44).**

ასე თავდება სახელმძღვანელოს პირველი განყოფილება, თუ არ ჩავთვლით 26 გვერ-

დიან სიტყვათა საღაროს, რომელსაც წვენ ქვეით მიმოვიხილავთ.

სახელმძღვანელო 134 გვერდისაგან მოგება, აქვინ 72 გვერდი ზემოხსენებულ თეკებსა და ნაკითხვს ესება. დანართნი 64 კი, ე. ი. ნახევარზე მეტი, შიგ და შიგ ჩართული სიტყვათა საღაროების ჩათვლით, თავად ბიბლიაზე საუბარს გვაპირდება. სწამაღწვევის კი ბიბლიას ქართულ ვაშტში 56 გვერდი თუ ეწება დათმობილი. დანართნი ნაწილი ამ განყოფილებისა ისევე უქმადმეტყველების გაკეთილესს გვიტარებს.

ამ განყოფილების პირველივე თავიც სათაურს „ვეუხისტყოსასს“ დასესხებია.

„რომელგა შემხნა სახმარო“

ეს თავი იწყება არა ბიბლიის სიუჟეტის თხრობით, არამედ მისი ახალი თარგმანის ძველთან შეპირისპირებით. ავტორს ორივე თარგმანიდან მოპყავს ოთხ-ოთხი მუხლი, შემდეგ კი წერს: „ვიდრე ამ სტრიქონებს ჩაეულრმადებოდეთ, ცოტა რამ ეთქვათ წინასწარ“ (III, 73). მაგრამ წინასწარ ხომ იმაზე მეტი გვითხრებს, ვიდრე საჭირო იყო. თუმცა, ბარემ, ენახით, რა იგულისხმეს ამ „ცოტა რამში...“

სახელმძღვანელო გვიჩვენებს, მოკრძალებით წაევიკითხოთ — ბიბლიის მოყვანილი მუხლები, რადგან „...უბრალო აღამიანები თავს ბედნიერად უნდა მიეჩინებდეთ ამ მონათხრობის გაეცნობისას“ (III, 73). ალბათ მკითხველი იფიჭრებს, ღმერთისა და მისი შემოქმედების წინაშე მოწინებისაგან მოგვიწოდებენო, მაგრამ არა, მოკრძალება თურმე იმიტომ გვმართებს, რომ „უხილავი და ხილული სამყაროების შექმნის ამბავა გაღმოუცხვული აქ“ (III, 73). საქმე კვლავ აქცენტის წვეულ გადანაცვლებასთან გვაქვს. ამჯერად ბავშვის ყურადღება საღმრთო შესაქმადან თვით შესაქმის „ამბავზე“. მერე კი ისეთ საკითხებზე გადააქვთ, რომლებსაც ბიბლიასთან და, კერძოდ, შესაქმესთან არაეუთარი კავშირი არა აქვს.

ავტორი მოგვიწოდებს წარმოვიდგინოთ რომელიმე „უმწვენიერესი ტამარი“. „ხომ ბედნიერი ვიქნებოდით, იმის შესაძლებლობა რომ მოგვეცხვოდა, წვენი თვალით გვეხილა, როგორ დაიწყო ამ ტამრის აგება...“ (III, 73).

სადმით შესაქმნად ადამიანის შემოქმედებაზე ამგვარი გადასვლა, თუნდაც ღმერთის ტაძრის მშენებლობაზე იყოს ლაპარაკი, პროფანაციაა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი უკვე არსებული მასალისაგან ქნის, ღმერთი კი არაფორიდან სიტყვით გამოიხმობს ქმნილებას.

შესაქმის გასაგებად ანალოგიების ძიებას კიდევ უფრო შორს მიჰყავს ავტორი ტაძრიდან ჩვენს მხერას ქალაქებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისაკენ მიმართავს, შემდეგ მტკერის ხეობისა და კავკასიონის მშენიერებით ტკება და ოცნებობს. მაგრამ, სამწუხაროდ ვერ ხედავს, რომ ოცნების კვლადკვალ ღმერთიც დაკარგა და მკითხველაც.

ქრისტიანული მოძღვრება და საღმრთო სჯული სამყაროს შექმნას სრულიად სხვა კუთხით უდგება. წმ. მამები სწორედ საღმრთო შემოქმედებაზე ამახვილებენ ყურადღებას. აქ იხსენება ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მაგალითად, შესაქმის პროცესში სამების სამივე პირის მონაწილეობისა და სხვა. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ღმერთი აზარსიდან სიტყვით ქნის ყოველივეს — სახელმძღვანელოში მოყვანილი ბიბლიისეული „ოქვა ღმერთმა“ კი უსაზღვრო მსჯელობებშია ჩაკარგული და არც კომენტარი ახლავს. მამები სამყაროს მშენიერებაში ღმერთის სადიდებელ ჰიმნს ხედავენ. სამყაროს სულიერი ჭერეტის დანიშნულებაც ადამიანის ზეაღყვანებაა შემოქმედის მშენიერების ჭერეტისაგან, და არა ესოთერული ტკბობის განცდა. თუ კი საღმრთო ისტორიის უბრალო გადმოცემით არ ვსაყვიფილებოდა, პირველ რიგში სწორედ ამ საკითხების კომენტირება მართებდა სახელმძღვანელოს.

ამის შემდეგ ერთი-ორი წინადადებით გვიყვებან ბიბლიურ ამბებს, რომელთაც ისევ ხანგრძლივ და დაგრძილ მსჯელობებსა და „ლირიულ გადახვევებს“ ურთავენ. თხრობის ასეთი მანერა ისევ და ისევ აბურვანებს საოქმელს და კარგავს თხრობის ობიექტს, სამაგიეროდ თვით სავანის მოცილებულ ავტორისეულ მსჯელობას და მის თემას წარმოგვიდგენს აქტუალურად.

ავტორი სამი წიგნის მანძილზე ესოთერული ტკბობითაა დაკავებული ამქვეყნიური მშენიერებისა და ჩვენი ამქვეყნიური

ყოფის გამო (I,6, II,10, II,17, II,31-32, III,75, III,78 და ა.შ.). ამასობაში მხედველობის არიდან რჩება, ქრისტიანობისათვის ფაქტური, მაგალითად, ის, რომ მშენიერი ბილული სამყარო, რომელიც ღმერთმა შექმნა, ამამის დაცემისათვის ერთად უყვება ამბობს ის ისეთი მშენიერი ვეღარ ბჭება რეალურიც თავდაპირველად, ცოდეით დაცემამდე იყო. სახელმძღვანელო, რომელიც ვეღვას და ვეღვას „წუდება“ ამ თემას სიტულებით არ ეხება. ესეც არაა შემთხვევითი. ცოდეით დაცემის ნამდვილი არსი ავტორისათვის სრულიად უცნობი თუ უცხობა. ამიტომ ბუნებრივია მის მიერ სამყაროს დაცემის თემის იგნორირება. ცოდეით დაცემაზეც მხოლოდ შესაძვე წიგნის ბოლოს წერენ, როცა ვეღვა საჭე მოუთავსებიათ, ყველა საოქმელი უოქვათ და ყველაფრისთვის დაურქმევიათ სახელი. ბილული სამყაროს დაცემა არც აქ უხსენებიათ. მხოლოდ გაკერთ და დინამებით უოქვათ, რომ დაცემის შემდეგ ადამს მიწის დამუშავება და შრომა მოუხდებოდა თავის სარჩენად და ყოფითი პრობლემებიც გაუწნებოდა — ეს ერთადერთი ჩრდილოვანი ადგილია სამყაროსა და ჩვენი ყოფის იდილიურ სურათში.

რაოდენ მშენიერიც არ უნდა იყოს ჩვენი თვალისთვის დაცემული არსი, იგი ასეთი ვერ იქნება სულიერი თვალსაზრისით. დაცემული სამყარო დაცემული არსისთვის არის მშენიერი და არა ცოდეამდელი ადამისთვის. ამიტომაც მაცხოვრის მკორედ მოსვლის შემდეგ, როგორც ზემოთაც ვოქვით, მთელი ბილული სამყარო სულიერ ცეცხლში გადადნება და გარდაიქმნება. სახელმძღვანელო კი პანთისტების დარად ვვლავ სამყაროს სრული გაქრობით გვემუქრება: „სამყარო აღარ იარსებებს ოდესმე...“ (III,76). გამოდის, რომ ღმერთის დროებით შეუქმნია ყოველივე, რასაც თვალი ხედავს. ეს, შესაძლოა, მის სიკეთესა და სიბრძნეში ეჭვის შეტანის საბაზად გაუხდეს საჭმეში ჩაუხედავ მკითხველს — უფალმა შექმნა სამყარო, შემდეგ მოუსვა ხელი და სანაგვეში გადაუშვა.

სასოწმარმკვეთ ესკატოლოგიას ავტორი ამქვეყნიური ცხოვრების იდილიას უნაცვლებს, ჩვენს ყოფას რაც შეიძლება ღამაში უფრებით წარმოგვიდგენს. მაგრამ ქართულმა ბავშვებმა უკვე საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ ცხოვრება ისეთი ღამაში არ არის, როგორაც გვიხატავენ. ამიტომ დიდი

შანსა, ქრისტიანული მოძღვრებაც ისევე ილუზორულად მოეჩვენოთ მათ, როგორც „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ მიერ დაზარტული იდილიური ყოფა, რომლითაც ამოწურავენ ავტორი ცხოვრებას (1,7). სინამდვილეში ეს უკანასკნელი გაცილებით მრავალფეროვანი და წინააღმდეგობით აღსავსეა. რელიგიის სახელმძღვანელო ამ წინააღმდეგობათა ქრისტიანულ გადაღობვაში უნდა ეხმარებოდეს ბავშვს და არა მათზე თვალის დახუჭვაში.

საგულისხმოა, რომ წიგნში წმინდა მამებს სწავლულ კაცებს უწოდებენ (III, 77, 101). სწავლული ნაკითხს, საერო მეცნიერებებში განსწავლულს ნიშნავს. ბიბლიას კი ღმრთიესულიერი კაცები წერდნენ, ხოლო მის განმარტებებს — სულიწმიდით მოსილი ანუ წმინდა მამები. ისინი ქრისტესმიერი ცხოვრებით სიწმინდის ისეთ საზომს აღწევდნენ, რომ სულიწმიდის მადლის მოქმედებით შეეძლოთ ბიბლიის ახსნა. ეს მამები სწავლულები კი არა, ბრძენები იყვნენ, რაც ქრისტიანულად ადამიანის ღმერთთან სიახლოვესა და სულიწმიდის მადლით განათლებულობას ნიშნავს და არა საერო მეცნიერებებში განსწავლულობას. სულიწმიდით მოსილ მამათაგან ბევრი უბრალო და ამ მეცნიერებებში გაუნათლებელიც კი იყო. აქვე ვიტყვით, რომ ცვლესია გვაფრთხილებს, თავი შევიკავოთ წმ. წერილის შესახებ ჩვენი აზრის გამოთქმისაგან. ერისკაცებს გვიკრძალავს კიდევ მის განმარტებას, რათა საღმრთო სიბრძნის ნაცვლად კაცობრივი სიბრძნე არ მივიწინოთ ქუშიშარტებად. დაცემული ადამიანის გონება ხომ დაცემული აზროვნებისკენა მიდრეკილი და საღმრთო სიბრძნეს უშუალოდ ვერ სწვდება. ასეთია ქრისტიანული თეალსაზრისი. ეს უნდა იცოდეს ქრისტიანული მოძღვრების მასწავლებელმა, და თუ არ იცის, არც სხვისი სწავლების უფლება აქვს წმინდა მამებისათვის „სწავლული კაცების“ დარქვევა კარგად ესადაგება ავტორის შემოხსენებულ საბოგარამო სტატისა და სახელმძღვანელოებს. საქმე ისევ პროფანაციასთან ვგაქვს, როცა საღმრთოს არასაღმრთოს, ადამიანურს უნაცვლებენ, რაც საკუთარი გონების შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენიდან გამოძინარობს. და მართლაც, ამ წიგნში ადამი-

ნის გონებას განსაკუთრებული პატივი აქვს მიგებული — ღვთაებრივად მისი კომოცხადებული, გონებასთან ერთად კი — ადამიანის სულიც და ბუნებაც (III, 86, 87, 90, 92, 99...). თუ სიტყვა „ღვთაებრივს“ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებთ, მივლებთ მწვალებელს აქოს — (მწვალებლობა — საღმრთო სწავლებაში საღმრთოს უაფეთუფას, კატორიების შეტანას, სექსუალური დოგმატიკის დაბნელებას, რიშნაკ, რაც საეკლესიო განხილვების საფუძველია ამიტომ მწვალებლობა, ანუ კეთსის შემოტანა ეკლესია თავისი წილიდან მოიკეთოს), რომელიც პანთეისტური სისტემებისათვის არის დამახასიათებელი და თავიდანვე უარყო ეკლესიამ. „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“ მოსწავლეს მწვალებლობას, თუნდც სპონტანურს, არ უნდა ასწავლიდეს. სიტყვა „ღვთაებრივის“ პირდაპირი მნიშვნელობა შეესაბამება ბუნებას და არსს ღმრთისას — ღვთაებრივი, საღმრთო ბუნება, სული და გონება მხოლოდ ღმრთის შეიძლება ქჷონდეს, ხოლო ადამიანი ღმრთის ხატად და მსგავსად შეიქმნა. აქამდე სამოვე წიგნი ღმრთის და ყოველივე საღმრთოს ნიველირებას ეწყოდა. იესო ქრისტეზე ისიც კი არ ვგოთხრეს, რომ სწორედ საღმრთო ბუნებით განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან და სხვაობა ადამიანური კატეგორიებით — ცოდვა-უცოდველობით შემოფარვლეს. ეს ღვთაებრივი ბუნება, ადრე იესო ქრისტესთვის რომ ვერ გაიძეტეს, ახლა ადამიანს მიაწერეს. ე.ი. ღმრთობა ყოველივე საღმრთო მიწამდე დაამდბლეს, ადამიანი კი მის ადგილზე დააყენეს მისთვის ღვთაებრივი ბუნების, სულისა და გონების მიწერით. ეს ზუსტად ის ცოდვაა, რომლითაც დაეცა ადამი და რომელზეც არაფერი უთქვამს არც ერთ სახელმძღვანელოს. მაგრამ ღვთაებრივ, საღმრთო ბუნებას რომ ცოლდის ჩადენა არ ძალუებს? მაშ, როგორ შეუთავსებს სახელმძღვანელო ადამის დაცემას მის ღვთაებრივ ბუნებას, სულსა და გონებას? სულ უბრალოდ — ის ხომ ცნებებს არ განსაზღვრავს, რითაც ფაქტორად უშინარბოდ ტოვებს მათ. ეს განსაკუთრებით ეხება სიტყვა „ღვთაებრივის“. ამიტომ კონიუნქტურისამებრ ამ სიტყვაში ნებისმიერი შინაარსის ჩადება შეიძლება. სწორედ ამას ეწიოდით რეცენზიის დასაწყისში.

თუ სახელმძღვანელო სიტყვა „ღვთაებ-

რივს“ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმა-
რობს, მაშინ მისი მნიშვნელობა გაუგებარია
და ავტორს ან უნდა აეხსნა, ან სხვა სიტ-
ყვით შეეცაღა იგი, მკითხველს მცდარი
დასკვნა რომ არ გამოეგნა. სასკოლო სა-
ხელმძღვანელო მოვალეა ცნებები მკაცრად
განსაზღვროს და მათში ერთი კონკრეტული
მინარსი იგულისხმოს, სახელმძღვანელო,
რომელიც უშუალოდ ორგანიზებას, არასწო-
რად არის შედგენილი და გაუგებრობას
იწვევს.

„ხილულ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს
აქვს გონება, მაშასადამე გონება ღვთაებრივი
რამ არის, ღვთაებრივი ბუნების გამოვ-
ლენება,“ – წერია 99-ე გვერდზე. ამ „უზა-
ლო ლოკის“ შემდეგ ვკითხულობთ:
„გონების მუშეობით სწავლობს ადამიანი
გარესამყაროს, უფლის და პატრონობს მას,
სულ ახალ და ახალ ნივთებს შინს და მერე
ცხოვრებაში იფენებს. ამ დროს, ამ საგნებისა
და ნივთების შექმნისას თვით გონება ადამი-
ანისა იწყება, ვითარდება, ... წარმოვლ-
გნით, როგორ უნდა განვითარებულიყო
კაცის გონება, რომ უზარალო კომბალის თუ
ოცნის შემქმნელ კაცს ბოლოს თვით-
მყრნაი, ტელევიზორი ან კომპიუტერი
გამოეგონებინა. ამით აღსრულდება უფლის
ბრძანება. ხომ გახსოვთ, კაცის შემოქმედმა
ღმერთმა რომ თქვა – გამრავლდით და
მიულ ღვლამიწას დაეპატრონეთო. ღვთაებ-
რივი გონება რომ არ მქონდა ადამიანს, ამ
ბრძანებას ვერ შეასრულებდა“ (III,99). ეს
კი უკვე არა მხოლოდ აბსურდული, არამედ
შეწავლელური აბაღუბაა. და აი, რატომ
ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, ადამიანის
გონება ღვთაებრივი ვერ იქნება. მეორე,
ღვთაებრივი გონების განვითარება შეუ-
ლელელია, რადგან ყოველივე ღვთაებრივი
სრულყოფილია. ღმერთი და ღვთაებრივი
თუ ვითარდება, მაშინ ქრისტიანული ღმერთი
წარმართულ ღმრთაებათა მსგავსი ყოფილა,
რომელთაც ცვალებადი არსი აქვთ. რაც
ასევე შეწავლელური აზრია. ქრისტიანობა კი
გვასწავლის, რომ ღმერთი და ყოველივე
საღმრთო სრულყოფილი, მარადიული და
უცვლელია. და შესაბამ. „კომპლიდანი კომპი-
უტერამდე“ ევოლუციის თეორიის გამო-
მანილია, რომელიც ნაგვიჩინებს, „ადამიან-
ის გონება პრიმიტიულიდან რთულისკენ
განვითარდა“. მაგრამ ქრისტიანულად სულ
სხვაგვარადაა (და ამას არაღმარეინისტი შეე-
ნიერებოც ამბობენ, რომლებსაც მართლმა-

ღმერთს ქრისტიანობაზე პრეტენზია სულაც
არა აქვთ), ვითარდება არა ვინება, არამედ
ცივილიზაცია, რომელიც ადამიანს ამ
სულიერი სიკაროელის შესავსებად და
ყოფითი სიღუბნის შესამსუბუქებლად
დასჭირდა, (სიღვანე) და შესაბამისად,
ღმერთს განმარტებში რომ განთითვია.

წენს მიერ განხილულმა აბაღემა კიდევ
ერთხელ გამოხატა სახელმძღვანელოს რბი-
ლმტყიცა მტყუნიორ „უზოლიტროს, ვითათ
კეთილდღეობაზე, თითქოს ადამიანის ცხოვ-
რება ამით ამოიწურებოდეს. **საგანიც და
სახელმძღვანელოებიც, როგორც საგ-
ნის ავტორებიც აცხადებენ, მართლაც
ერთი მთლიანობაა, რომელსაც
ღმერთის სახელი გარეგნული იერის,
ფასადის შესამკობად სჭირდება.** ამიტ-
ომაც დაეწიება ამ აბაღეს ღმერთი.
მხოლოდ ბოლოში ახსენებს მას, თანაც საკ-
მაოდ კურიოზულ კონტექსტში, თითქოს
უფლის კურთხევა – „გამრავლდით და
მიულ ღვლამიწას დაეპატრონეთო“, კომპო-
ტერისა და თვითმყრინაივის გამოგონებას
გულისხმობდეს. გამოდის, რომ ადამიანი
კომპოტერის დუბლიკატია, კომპოტერისა,
რომელიც მხოლოდ ფანტასტიკურ რომა-
ნებში ცოცხლდება და იტყუვა ადამიანად.

და ბოლოს, არც გამრავლების სჭირდება
ღვთაებრივი გონება და ღვდინდელმა
მეხუთეკლასელმა ეს უკვე იცის.



წენ ბევრჯერ ვკითხვამს, რომ სახელმ-
ძღვანელოები ცოცვის არსს არ გვიჩვენებენ.
ამ ტრადიციას არც შესაშე წიგნი
ღვლაცობს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს,
იწეებს საუბარს პირველქმნილ ცოცვაზე.

ემსაკი ევას „აკრძალულ ხილს“ სთავა-
ზობს და მძირდება, თუ მოსწევდოც და შეკვამ,
„ღმერთითი კეთილისა და ბოროტის
შემცნობლნი გახდებით“ (III,91). „... და
იფენო, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთი-
ლისა და ბოროტისა“ (შეს.,3,5). წმინდა
მამები, რომლებსაც სახელმძღვანელო „სწავ-
ლულ კაცებს“ უწოდებს, გვიხსნიან, რომ
ემსაკი ევას ღმერთთან გატოვებას სთავა-
ზობდა, ღმერთის გარეშე გაღმერთებას ანუ
განღმრთობას, თვითგანღმრთობას მძირდება-
და – „იყენეთ ვითარცა ღმერთნი“ – აი, ეს
იყო მთავარი, კეთილისა და ბოროტის
შეპყენებასაც თავისი ღმრთისმტყუველება
აქვს. ადამი და ევა დაეცამდე არჩევენენ

კეთილსა და ბოროტს, მაგრამ ასტრაქტულად, დაცემის შემდეგ კი პრაქტიკულად შეიცნეს სიკეთე, როგორც ღმერთთან ერთობა, ხოლო ბოროტება — როგორც ღმერთისგან განვარდნა. სხვაგვარად ღმერთის დავილებაც, თავისუფალი არჩევანიც და ცოდვაც აზრს დაკარგავდა. ავტორს კი იმის შევახსენებთ, რომ ბიბლიაზე მსჯელობა წმამითა განმარტებების გარეშე, საკუთარი თავის ამარა, საღმრთო მოძღვრებას მკვაჭდნეს და საკუთარ სწავლებამდე მივიღოთ, სწორედ ამისი მაგალითია ჩვენს მიერ განსახილველი სახელმძღვანელოები.

მოკლედ, პირველქმნილი ცოდვა სწორედ ღმერთის წინააღმდეგ ამბოხი ანუ ღმრთისმებრძოლობა იყო (ის ცოდვა, რომელმაც თავის დროზე დაღუბა ნათლით მოსილი ანგელოზი და ბნელითის სულად აქცია): ეშმაკმა ცილი დასწამა ღმერთს, თითქოს მან ამპარტაუნებისა და შურის გამო მოატყუა ადამიანები, როცა ხის ნაყოფის შეჭმა აუკრძალა და ევამ დაიჯერა ეს. ის წამიერად კი არ დაეჭვდა, როგორც სახელმძღვანელოში წერია (III,91,93), დაიჯერა, „თავისუფალი ნებით გაკეთებული არჩევანი მცდარი გამოდგა,“ — კეთილუბობთ 93-ე ვერსიის „მცდარი გამოდგა“ ნიშნავს, რომ ადამმა და ევამ წინასწარ არ იცოდნენ, როგორი გამოდგებოდა არჩევანი, მაშინ ზიმ ისინი პასუხსაც არ აგებდნენ საკუთარ საქციელზე. სინამდვილეში ადამმაც და ევამაც კარგად იცოდნენ, რომ ღმერთის ნებას უნდა დასყოლოდნენ და მისი საწინააღმდეგო არაფერი ჩადინათ. ამ ცოდვით კი მათ ღმერთის შორილებიდან გამოივლია და იმ საზღვრების გარღვევა სურდათ, ღმერთმა რომ დაუღო. ღმერთის შორილებიდან გამოივლია კი სწორედ ეშმაკის შორილებას ნიშნავს. ასე რომ, არჩევანი მცდარი კი არ გამოდგა, თავიდანვე მცდარი იყო. ავტორს ამ საკითხებში კი კეთილისა და ბოროტის შექმნების ვებეჭებუკის ცოდნა ვაარკვევდა.

არც ის აზრია სწორი, თითქოს „კოლმაც და ქმარმაც უფლის სიფარულს, მის ერთგულებას წამიერი სურვილის დაკმაყოფილება არჩიეს“ (III,93), რადგან ამგვარ აზრს პირველქმნილი ცოდვა მხოლოდ „თვალისა და გულის წლიმაზე“ (III,93), დაკყავს. ადამმა და ევამ „წამიერი სურვილის დაკმაყოფილება“ კი არა, უღმერთობა აირჩიეს.

ადამის დაცემის შემდეგ ქრისტიანული მოძღვრება პირველ რიგში იმაზე გველაპარაკება, რომ ღმერთმა ადამს სინანულისკენ მოუწოდა, მაგრამ ადამმა სინანულის ნაცვლად ქალს და ღმერთს გადააბრალა დანაშაულის წრებში გამოტყუებულობაში. იქ უმშენებლობა შესაუბრებელია. სინანულის ხსენებისაგან ეს სახელმძღვანელო იტყვის იტყვის (მხოლოდ აქვს საკვლევრობის სინანულის უქონლობას). იგი ადამს „ოცქმიდან პირდაპირ მის სამოთხიდან გამოტყუებულებაზე გადადის. სამოთხიდან განვარდნას თავისი ღმრთისმეტყველება აქვს. სამოთხის დაკარგვას ადამიანში უნდა აღვირთა სინანული, რომლის შემუშობითაც ადამი დაკარგული მადლის დაბრუნებას და ამ გზით ღმერთთან შერიგებას შეძლებდა. გარკვეული მიზეზების გამო აღარ შეიძლებოდა დაცემული კაცის სამოთხეში დაბრუნება. ამ საკითხების იგნორირებამ, შესაძლოა, ის გამოიწვიოს, რომ ბავშვს ღმერთი სასტიკი და დამსჯელი ძალად მოქცევის, რომელიც იმდენად ამპარტაუნი და პატივმოყვარეა, რომ სასტიკი სასჯელისთვის ვაწირა ადამიანი მისი „ბრძანების“ შეუსრულებლობის გამო. სწორედ სამოთხიდან გამოტყუების ამგვარი ინტერპრეტაცია იყო წარმართობის ბოლო არგუმენტი ქრისტიანების წინააღმდეგ.

* * *

სამოთხიდან განვარდნილი ადამიანისთვის ველაზე მძიმე ღმერთისგან განშორება, მისი მადლის დაკარგვა იყო. მაგრამ ღმერთის მადლს ჩვენს მიერ განსახილველ წიგნთაგან არც ერთი არ სცნობს. მადლი — (აქ) სიკარგე მომხიბველობა (III,65) — ასე განმარტავს ამ სიტყვას V კლასის სახელმძღვანელო. უფრო ქვევით კი წერენ: მადლი — (აქ) ნიჭი, უნარი (III,131). ამ სიტყვის ველანაირ მნიშვნელობასა და განმარტებას გეოგრაფიკურად, მხოლოდ ქრისტიანულს — არა.

* * *

სახელმძღვანელოში საკმაოდ ბევრს ვეხსენებებიან მსხვერპლშეწირვის შესახებ, მაგრამ მთავარს არც აქ ამბობენ: უფალი სამოთხიდან განდევნის წინ ადამს მესამე მოსვლა აღუთქვა, რომელსაც ადამის ცოდვა საკუთარი სისხლით უნდა გამოესციდა და ამის ნიშნად დაუწესა მსხვერპლშეწირვა —

წინასწარმეტყველური მღვდელმოქმედება, რომელიც გოლგოთის მსხვერპლის პირველსახეა, სამსხვერპლო ცხოველი კი — მაცხოვრისა.

შესიის მოხელა და გოლგოთის მსხვერპლი ქრისტიანული მოძღვრების ხერხემალია. მას შემდეგ, რაც სამოთხიდან განდევნის წინ ღმერთი ადამს მხსნელის მოკვლინებას დაჰპირდა, ღმრთისმოშიში ხალხს მის მოლოდინში იყო. მაცხოვრის მოხელე წერტილი დაუსვა ამ მოლოდინს და ძველი აღთქმის მართალთ სიხარული აუწყა. სახელმძღვანელოს მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, რომ „უფალსა და კაცთა მოღვმას შორის ამ განწყვეტილ კავშირს აღადგენდა განკაცებული ღმერთი — ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე“ (III,96). ეს არის და ეს ამ ერთი წინადადებით ბავშვი ვერაფერს გაიგებს. საუბრეებელი იყო, რომ შესიის მოხელის შესახებ ადამის სამოთხიდან გამოგდებაზე საუბრისას მაინც გვეტყოდნენ რაიმეს არსებობს ამ კაენის მსხვერპლმეწიერა გახსენებდა ავტორს მსხვერპლმეწიერის მიხედვს. მაგრამ არა, სახელმძღვანელო აქც სხვა საქმით არის დაკავებული: „კაენი მიწის მუშა იყო და აბელი მწყემსი“, — მოგვიხსრობს იგი (III,96) და ასალი კრუიხისავენ გვეპატიება. იწყება ახსნა, თუ ვინ არის მიწათმოქმედი, მწყემსი, რით ირჩენს თითოეული მათგანი თავს, რა იარაღს ხმარობენ და ა.შ.: „ძროხას თუ ცხვარს რომ მოწყველის, ჭურჭელი ხომ სჭირდება რძის მოსაკვებლად...“ და ა.შ. (III,97). ავტორს მათ შესამოსლზე უხრუნვეა: „რამდენი რამ არის საჭირო, რომ შარვალი შეიკროს, ან კაბა...“ (III,97). ფიქრს იგი იძენდა გაიტაცა, რომ ცხოველებისა და ფრინველების გასაჭირი გაახსენდა და შესაფერა კულტებიც მოიყვანა ვაფა-ფშველას „ნიბლიის ანდერმიდან.“ არც მებუთოკლასელის ნერვები დაინდო და ამ საბრალო ფრინველის „სატირალში“ ცრემლები აღნა (III,98). უფლის აღთქმა კი დააიწვინა დააიწვინა, თუ რატომ ჰქვია ბიბლიის პირველ ნაწილს „ძველი აღთქმა.“ არც თავისი დანაპირები გახსენებია — „მერე და მერე თანდათანობით შევიტყობთ, რას ნიშნავს ამ წიგნების სათაურებო“ (III,4). ბავშვთან ერთად ჩვენც ველოდებით, როდის დადგება ეს „მერე.“

„ასეა ფრინველებისა და ცხოველების ამბავი“, — დაასრულა თხრობა რელიგიის

სახელმძღვანელომ (III,98). კვლავ ადამიანებს დაუბრუნდა და მოითხოვტურნესოვის გაემზადა. ჩვენ მას ადრე ვაგვევებით, მხოლოდ ვიტყვი, თუ რისთვის დასჭირდა ეს 5-ვევრდანი მოგზაურობა. თუმცა, ბარემ ავტორს მოეჩინა: „ეს კულტურის მსხვერპლი იყო, რომ უკეთ ვაგვევით კაენის და აბელის ამბავი“ (III,100). კი მაგრამ, რომ კიტყვი „მსხვერპლ“ რაიმის სწორად იყენ, კაენის და აბელის ამბის გაგებას ის უფრო მეტად წაშლავდა.

არც წარდენაზე საუბრისას დალატობს სახელმძღვანელო ჩვეულ სტილს და რამდენიმე გვერდის მანძილზე არსებობს არაფერს გვეუბნება. თუ არ ვიტყვი, რატომ მოაველინა ღმერთმა წარდენა, ღმერთი ისევე დაშავებულ ძალად მოეყენება მოსწავლეს.

დაკრული ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას თავისი დანიშნულება აქვს. ის ადამიანს იძიტომ მიეცა, რომ მარადისობასთან შესახვედრად მომზადებულიყო, რათა ღმერთთან ერთობა შეძლებოდა. მაგრამ წარდენამდე იყო კაცობრიობა იმდენად ასული ღმერთის ვხას, რომ მასთან ერთობას ვეღარ მოახერხებდა. ადამიანების ცხოვრება რელიგიური დემონიზმითა და საყოფაცხოვრებო მატერიალიზმით გატენილ უწყვეტ ვაჭვიდ გადაიტყა, კაცობრიობის ისტორია კი ეთოლოგიისავენ მიმართულ შიშად. ნოეს ოჯახი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო დედამიწის ზურგზე, მაგრამ იმის გამო, რომ მაცხოვრის ჯვარცმამდე ადამიანს არ შეეძლო მაცხოვრებელი მადლით გამკლავებოდა ცოდვას, ამ უკანასკნელისავენ დაეცა მხოლოდ იზოლაციით იყო შესაძლებელი. სიეთისა და კაენის მოღვმათა აღრევის შემდეგ ეს იზოლაცია დაირღვა. ამიტომ წარდენა რომ არა, ნოეს ოჯახიც, რომელიც ასალი მოღვმას თესლად უნდა ქვეულოყო, მორალური დაღუპვისთვის იყო განწირული. მაშინ კი კაცობრიობის სულიერი პოტენციალი სამოლოდ ამოიწურებოდა. წარდენა ცოდვის კიდე უფრო გამძალებულის თავიდან აცილებსა და ასალი მოღვმის ხსნის უკიდურესი საშუალება იყო.

წარდენაზე საუბრისას ავტორს მოჰყავს, როგორც თვითონ უწოდებს, „სახუმარო ხალხური ლექსი“ კამქზე.

„კამქების ლექსი“, როგორც სახელმძღვანელო გვაუწყებს, დავით გურამიშვილს

თავის ხელნაწერში მოუთხვებია, იქ, სადაც საკუთარი წარღვნის ლექსი ჩაუწერია, მაგრამ მერე გადაუხაჩეს და მოუწერა: „ეს კამბჩის ამავე წიგნში წერილში ვერსად ვნახე და ისევ მოუძალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნუღარ დასწერს, **ამისთვის, რომ სჯულად არ დადოს ტყველი**“ (III,121-122) მოუხედავად პოეტის თხოვნისა და გაერთხილებისა, „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ ავტორი „კამბჩის ამბავს“ ვერ შელევია სამაგიეროდ, მთავარი გამოუტყვებია. არც ის უთქვამთ, რომ ნოეს კიდობანი ქრისტეს ეკლესიას ნიშნავს, არც ნოეს შესახებ უღაპარაია და ა.შ. მაშინ, როცა ეს ქრისტიანობის კარდინალური საკითხებია, ბეშვისთვის გასაგები და საინტერესო.

სახელმძღვანელოს ავტორი ქრისტიანულ მოძღვრებაში რომ ვერ ერკვევა, ამას ისიც აღასტურებს, რომ წერს: „წარღვნის შემდეგ ... ადამიანთა ერთ ნაწილს კვლავ გაურბა ცოლვისკენ მიდრეკილებათ“ (III,128). ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამის დაცემის შემდეგ ვეღვა ადამიანს დაბადებიდან დაკვება ცოლვისკენ მიდრეკილება. მისი აღზოცვა არ ხდება ნათლისღების საიდუმლოთი, რომელიც ვეღვა იმ ცოლვისგან ათავისუფლებს კაცს, მონათვლამდე რომ ჩაუღვნია „სიტყვით, საქმით და გულისხმისყოფით“.

სიკეთე და ბოროტება

თავი, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას ეხება და ცოლებზე ვეღვააარაკება, დასაწერისიდანვე ვეამცნობს, რომ ღმერთმა ადამიანი სივარულისა და სიკეთისათვის შექმნა, რომ „ყოველი ადამიანი, ამა სოფლად მოვლენილი, სივარულისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის უნდა იღვწოდეს. ამგვარია შემოქმედის მიერ დაღვენილი წესი ანუ კანონი“ (III,105).

ასე რომ, ადამიანის შექმნის უპირველეს მიზეზს ისევ არ ვეამხელს წიგნი. ღმერთმა ადამიანი მასთან ერთობისთვის შექმნა, რაც, რაღა თქმა უნდა, ვეღვისხმობს სივარულს და სიკეთეს, ანუ სათნოებებს, მაგრამ საღმრთო მადლისმიერს. და რადგან არც ამ მადლს და არც სახარების მცნებებს არ სცნობს თუ არ იცნობს სახელმძღვანელო,

„ამ სოფლად მოვლენილი“, დაკემული ადამიანის სივარულს და სიკეთეს ქრისტიანობასთან არავფერ ექნება საერთო. და მარლაც, ამ ფრაზის შემდეგ ისევ „შექნეირი და კონიერულად მოწყობილი სამყაროს“ შესახებ ვეისაუბრებთან არ არღვევან სიკეთის ტრადიციას (ეს ერთადერთი ტრადიციია, რომელსაც არ დაღვტობს არცერთი წიგნი) და სამყაროს „შეწერებით“ შთავინებულნი იღვევებ მოვლევარღვნიან „მონსწერას“ „სტრანონიულ“ შემოხე. ასტრონომიიდან მცირე ღირიკული გადახვევა „პოლიფონიაზე“ და ისევ — ასტრონომია. შემდეგ ნიუტონი თავისი ვაშლით და ხანგრძლივი საუბარი მიზიდულობის კანონსა და მის გამოვლინებაზე. ასე რომ „რელიგია და კულტურის“ ხარჯზე თამამად შევეიძლია ასტრონომიისა და ფიზიკის ვაკვეთილების გაუქმვაც.

ბოლოს და ბოლოს იღვევა ღაპარაკი ზნეობაზე, მაგრამ ეს არ არის ქრისტიანული ზნეობა. ასე მაგალითად, „ხეს მიუღებუელი, მიხრწნილი, ძალავამოლუული მანდილოსნისთვის“ გვერდის ვეღვარღვლად ავღა ან მათხოერისთვის ფულის დანანება (III,109) სასახელოდ არ ჩათვლება არც ერთი რელიგიის მიმღვეარს და არც ათეისტს. სიამაყის გამო „შეგობრებისა და ამზანავების არად ჩავდება“ (III,110) არც ქრისტიანს შეხვეერის და არც, მაგალითად, მამადიანს. თუ ადამიანურ სიკეთეს მხოლოდ ქრისტიანს მივაწერთ, მაშინ ნამდილად შევღახავთ სხვა აღმსარებლობის მოზარდთა ღირსებებს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ სიკეთის ცნება ვეღვა რელიგიისა და ათეიზმისათვის იღვტურია, მაშინ ქრისტიანული ზნეობა რაღას ჰქვია? იმის გამო, რომ სახელმძღვანელო ზნეობის ქრისტიანულ განსახღვრებას არ იძლევა და არც სახარების მცნებებს ახსენებს, სჯობდა, საენისთვის ვიოკა ღაერქვათ. რა დანიშნულება აქვს „ქრისტიანული მოძღვრების შესავალს“, თუ ქრისტიანულ ზნეობას არ ვგასწავლის? ან რას ნიშნავს მაშინ განსახიღველი კონცეპციის ეს სიტყვები: „რელიგიური ცოდნის და აღზრდის ვარემუ თუ საერთოდ შეუძლებელი არა, ერთბ ძნელია ზნესრული პიროვნების ნამოვლიბება“ (იხ. დასახ. სტატია)?

როგორც ვნახეთ, ქრისტიანულ მოძღვრებას არც V კლასის სახელმძღვანელო

გადმოგვეყვას. თავისი მიხვეულ-მოხვეული და დახლართული მსჯელობებით იგი ვირტუოზულად უცლის გვერდს ყოველივე ქრისტიანულს და პლატონის დიალოგებიდან დაწყებული, თბილისელი აისორებითა და ქართველი დამთავრებული, ათასგვარი თემის ზედამარზე დაასრიალებს მკოხველს, საეჭვოა, რომ მან მეხუთეკლასელის აფლიება შესძლოს:

„მისი (ბავშვის-ნ.წ.) ყურადღება დიდხანს ვერ სძლებს ერთი და იმავე მიმართულებით ბავშვის ყურადღებას ახალთახალი იმპულსი ესაჭიროება...“ (დ. უზნაძე, იქვე, გვ. 448).

ავტორი კი ან გაუთავებლად დაახტუნებს ბავშვის ყურადღებას ერთი დაუთავრებელი საკითხიდან მეორეზე და ფანტავს მას, ან გაკვირებული მსჯელობით აბეზრებს თავს. ეს განსაკუთრებით III წიგნზე ითქმის.

სახელმძღვანელო, მით უმეტეს სასკოლო, მოვალეა ობიექტურად გადმოსცეს ის მოძღვრება, რომლის სწავლებასაც სათაური ვებარდება. აქ კი, იმ შემთხვევაშიც, როცა ქრისტიანულ საკითხებს ეხებიან, გვთავაზობენ რელიგიას რელიგიის გარეშე, **ქრისტიანობას ქრისტიანობის გარეშე, მოძღვრებას სულის გარეშე - მკვდარ მოძღვრებას, უფრო სწორად, მოძღვრების ბუტაფორიას, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ბავშვს ტეშმართების ძიების საშუალება მისცეს, უზშობს მას რელიგიურ ცნობებებს.**

„სიტყვათა საღარო“

„რელიგია და კულტურა“ კიდევ ერთ სიბნელეს უმატებს ბავშვს. ეს ვახლავთ, ე.წ. „სიტყვათა საღარო.“ ავტორი უარს ამბობს ტრადიციულ შესიტყვებებზე - „სიტყვის ტონასა“ და „ლექსიკონზე“ და საკუთარ „სიტყვათა საღაროს“ ქმნის. ეს არის ლექსიკონები ვრცელი, ჩახლართული, ხშირად აბსურდული და კურიოზული მსჯელობებით, რომლებიც სრულიად ვერ ეხმარება ბავშვს სიტყვათა მნიშვნელობების გაგებაში.

„ყოველმა ჩვენგანმა შესაძლოა ყოველდღე საღმე ამოკითხოს ან მოისმინოს მისთვის უცნობი სიტყვა. ოღონდ უცნობი სიტყვათაგან ზოგიერთი იმნარიანია, თუ კარგად ჩაუეჭვირებოდა...“ (I, გვ.12). შესამეკლასელი ბავშვი „ყოველდღე საღმე“ ვერ ამოკითხავს უცხო სიტყვას იმ მარტივი მიზეზის გამო,

რომ ვერ კიდევ არ იცის გამართული კითხვა (გამონაკლისის გარდა) და არ კითხულობს. ასე რომ, ეს მიმართულება ტყუილი და არაპროგნოზირებაა. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ბავშვი ვერაფერს გაუგებს ზნობით მოტიანი ფრაზის, — სულ ჰეიერ პლაგოვიურ გამოცდილებითაც კი შეიძლება მისი დაწინაურება.

„რაკი ცოტათი უკვე შეეფიქრეთ ამგვარი სიტყვების მნიშვნელობის გარკვევას „სიტყვათა საღაროს“ დახმარებით“ — წერს სახელმძღვანელო (I,17). ვინ თქვა, რომ 8 წლის ბავშვი (როცა წიგნის ამ ნაწილს სწავლობენ, შესამეკლასელები ვერ კიდევ 8 წლისანნი არიან) შეეწვია „სიტყვათა საღაროს“ ხმარებას? შემდეგი ფრაზა კი უკვე ბავშვის მაგივრად სცემს პასუხს თავისსავე დასმულ კითხვას: „ხომ არ გაგვიძინებდა სიტყვათა მნიშვნელობის ამნარად გაგება? თუ არ გაგვიძინებდა, მაშინ ასე მივეყვით სხვა სიტყვებსაც“ (I, 17).

ასეთ მიმართებას ვხვდებით ასე მხოლოდ „სიტყვათა საღაროში“, არამედ წიგნის ყოველ ნაწილში.

აი, ერთ-ერთი ასეთი უცხო სიტყვის განმარტება: „მიღმა“ (ეს სიტყვა „საიქიოს“ განმარტებისას გახსენებიათ) არის იგივე „გაღმა“, თქვენთვის კარგად ნაცნობი სიტყვა (?-ნ.წ.). დაუეჭვირდეთ „გაღმას“ მნიშვნელობას. ითქმის ხოლმე: „მღინარის გაღმა“, „გაღმა მსარე“, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „გაღმარიც“ იხმარება. „მღინარის გაღმა“ არის „მღინარის იქით...“ და ა.შ. (II,28).

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ბავშვი ყოველივე ამას წაიკითხავს და გაიგებს?

„...იმნარი ხალხიც შეგხვდება ცხოვრებაში, ვთქვათ, ხინკალზე ან საცივზე რომ იტყვიან — სულს მირწევიანო, ან კიდევ — სულს გაეყვდი, ოღონდ ახლა ერთი კათხა ლუდი დამალევიანო...“ — წერს „სიტყვათა საღარო“ სულზე საუბრისას (II,46). სახელმძღვანელოს ავტორს, ალბათ, თანმიმდევრობა აერია. ეს იქ უნდა ეთქვა, სადაც „კუჭის წყლულისა“ და ღვინის სმის შემოხსენებული ავბელითი ისტორია გვიამბო. კათხა ლუდისთვის სულის გაყვდა შესაძლოა ნაბახუსევს იფიქროს კაცმა, მაგრამ არა ქართველმა, საქართველოში ასეთი გამოთქმა არავის სმენია. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სახელმძღვანელო მისთვის ვერ

კიდევ უცხო უზნეო იდეებს აწვდის ბავშვს, რომელმაც ზოგჯერ უწესობის მიბაძვა უფრო იცის.

განსაკუთრებით შთაბეჭდილია V კლასის წიგნში მოთავსებული „სიტყვათა საღარო“ (III, 45-72), რომელიც 14 გვერდის მანძილზე ასწავლის მოსწავლეს ლექსიკონის შედგენისა და გამოყენების პრინციპს. მაგრამ ამხელა შრომას ამაღლ ნაუვლია. ეს 14 გვერდიანი ტრაქტატი არავის სჭირდება. ის ძნელად თუ ვინმეს წააითხვინებს თავს, იმდენად უინტერესო და უსაგნოა. გარდა ამისა, მეზოთეკლასელები უკვე სულ ცოტა ორ უცხო ენას მაინც სწავლობენ სკოლაში: რუსულსა და ერთ-ერთ ვერაპულს. მათ ლექსიკონის გამოყენება უკვე პრაქტიკულად იციან. ასე რომ, ეს „სიტყვათა საღარო“ 14 გვერდიანი ღია კარის მტკრევეცაა. მასში მოთავსებული ახსნა-განმარტება კი, სატელეფონო ცნობარის გამოყენებას რომ გვასწავლის (III, 52), სახელმძღვანელოს კიდევ ერთი კურონია.

„სიტყვათა საღარო“ ბევრ სიტყვას არასწორად განმარტავს. მაგალითად, ნებელობა არ არის ნებისყოფა (II, 34), განმარტობილი — გამოანტავი (II, 29), წმინდანი — განსაკუთრებით გამოჩენული და საყოველთაოდ აღიარებული ქრისტიანული მოღვაწე (I, 26) და ა.შ. წმინდანი ქრისტიანული მოსაგრე ცხოვრებით მოხვედრილი მადლით განწმენდილი აღამიანია. წმინდანად ეკლესიამ უნდა შერაცხოს კაცი და არა სატყვენოდ აღიარებამ. ამ სიტყვის სახელმძღვანელოსეული განმარტება კი არარელიგიური ცნობიერების გამოხატულებაა და შეუფერებელია „ქრისტიანული მოძღვრების შესავლისათვის“.

„სიტყვათა საღარო“ ხშირად ერთ უცნობ სიტყვას მეორე უცნობით განმარტავს: „წრფელი გულით შევედრებაც ... არის გულწრფელად, გულმართლად შევედრება“ (I, 13), „წყვილი — განუტყვერებული სიბნელე“ (II, 29), მიმადლებული აქვს — მინიჭებული აქვს, ბოძებული აქვს (II, 29), სიტყვა „პოხებული“ კი ქვევით აუხსნიათ (II, 29).

ამასთან „სიტყვათა საღარო“ ბავშვს უზნის ისეთ სიტყვებს, რომლებიც მან უკვე იცის: მანქა — მტკმარა, პრანქა (II, 80). ეს კი არასწორი განმარტებაა. ბუნევი —

წერილი ჯაქვი (II, 92) — სამკეთილდ ზუსტად ხმარობს „ურეფოს“ (II, 23), „ბადალს“ (II, 28) და ა.შ.

ბავშვობა სიმარტრევის ნიშნავს და არა პროვანობას. ის კისაც ბავშვთან უშუალო კონტაქტი ჰქონია, თავისთავსა, რომ ზოგჯერ მატარაზ ზუსტად იდეც მეთი ემისი, ერთეც უფროსს არას სეთითნები, რამელთაც ბავშვი უშუალოდ წეობა და მათი ახსნა-განმარტება მას მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ. ესეც დროს, სახელმძღვანელებსმ პარალელურად ხდება საკმაოდ რთული მასალის მიწოდება ზოგადად და ასევე რთული ენით. პედაგოგი (ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოების ავტორი) თავისი პედაგოგიური ინტუიციით უნდა ხვდებოდეს, როდის და რა სახის დახმარება შეუძლია გაუწიოს მოსწავლეს. შევძლოთ, პირდაპირ დაეწერათ, მაგალითად, რომ შემწე ნიშნავს დამხმარეს, უწყის — იცის, და ასე ჩამოეწერათ მარტევი ლექსიკონი. ბავშვი თავად გავრკვეოდა საკმის ვითარებაში და თან ამ გზით გარკვეულ შემოქმედებით სამუშაოსაც შეასრულებდა. სახელმძღვანელო კი დაზოგადად საკუთარ თავსაც, ბავშვსაც და მასწავლებელსაც.

სახელმძღვანელოების ენა

სახელმძღვანელოები ავტორისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენითაა დაწერილი. თვალში საცნობია ავტორის პრეტენზია, გამაღიჯროს ქართული ენა საკუთარი ლექსიკური ერთეულებით [მაგ., სოფლიური (II, 94), შეტოქება (III, 128), თვითმოყვარება (III, III, 115)], იდიოლექტური გამოთქმებით [„სული გაავდებინა“ (II, 45), „გონების წამლები სურათი“ (III, 46)] და კონსტრუქციებით [კუმშათის შიდა მხარეც მაღლა აგვახედებს, ვინდაც ცისთვის მიგვეყრას თვალი“ (II, 86), „სანამ მზე გვაცხუნებს, არა ვვიშავს... მაგრამ რა რომ დაღამდება, სიცივე მოუქერს...“ (III, 97), „ქვეის ირგვლივ მრავლის უმრავლესი აღამიანი იქერის“ (III, 75)].

როგორც ჩანს საგნისა და სახელმძღვანელოების ავტორი თანმიმდევრულია ერთ რამეში: იგი „შეოქმედებითად“ უდგება ვველაფერს — რელიგიას, კულტურას, ტრადიციას, ენას, ლექსიკას და ა.შ. ცვლის ვველაფერს, რისი შეცვლაც ხელეწიფება და საკუთარ ყალიბში ახსნამს.

რასაკირველია, ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, წარმოდგენა, სტილი, ენა და ამ ყველაფერს იცავდეს თავის ცხოვრებაში, ფილოსოფიას თუ მხატვრულ ნაწარმოებში. მაგრამ მას არა აქვს უფლება სხვას, მით უმეტეს, მიუღოს ერს საკუთარი აზრი და გამოხატვის ფორმები მოახვიოს თავს. სასკოლო, განსაკუთრებით დაბალი კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გარკვეული წესების დაცვით უნდა იქმნებოდეს. ამ წესებს შორის არის ის, რომ სახელმძღვანელო არ შეიძლება იწერებოდეს ერთი კაცის სპეციფიკური ენით, რომელიც არაორდინალური და არაუნივერსალია და რომელზედაც არავინ შეტყვევებს. არც ერთი კაცის ინტერესებითა და წარმოდგენებით უნდა იქმნებოდეს სახელმძღვანელო, მით უმეტეს, რელიგიისა.

საშუალო სკოლის ფუნქციაში მშობლიურ ენაზე გამართული და სწორი შეტყვევების სწავლება შედის. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა დაბალი კლასებს ენიჭება. აქ ჩაერილ საუბურებზე უნდა აშენდეს მომავალი მოქალაქის ენა და არა მხოლოდ ენა...

„რელიგია და კულტურის“ სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავენ ყველა საგანსა და ყველა დისციპლინას, ყველაფერს საკუთარ ენაზე არჩევენ სახელს, შეიცავენ „სიტყვათა საღაროებს“ და სავალდებულო სწავლების კურსი მიჰყავთ („რელიგია და კულტურის“ ორიანს შეუძლია კლასში დატოვოს მოსწავლე), ქართველი ერის მომავალს ერთი კაცის მსოფლმხედველობით, ინტერესებით, ზნეობითა და ერთ ზრდის, როგორც არ უნდა იყოს ეს კაცი, ის ღმერთი არ არის და არ აქვს უფლება თავის თავზე აიღოს, იყოს ეტალონი ერისათვის.

ფუცილივე ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, სახელმძღვანელოებში გაპარული შემთხვევითი შეცდომები არ არის, ისინი ავტორის სუბიექტური მსოფლმხედველობის, მისი ზოგადი კონცეფციის გამოვლინება გახლავთ, რომელიც ზემოთ განხილულ სტატიაშია გადმოცემული. ამიტომ მათი შესწორებით ან ამოღებით სახელმძღვანელოების გაუმჯობესება შეუძლებელია.

საინტერესოა, აცნობიერებენ საგნის შესვეურები, რას იღებენ საკუთარ თავზე, ფიქრობენ თუ არა, რომ პასუხისმგებლები

არიან კულტურის წინაშე. ღმერთის რომ არ ეშინათ, ცხადია, აღბათ იხიბი იმედიც აქვთ, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება სახელმძღვანელოებს არ ეთხოვლობს. ხოლო თუ ვინმეს პროტესტი აღებრა და შესაბამის ღრწათობს მამართა, აქ თავი უნდა აიჭოს — რელიგიის სწავლების მანქანრობებზე ორგანოს საგნისა და სახელმძღვანელოების ავტორი ხელმძღვანელობს. ატე ათეობის მეთვ ამოთბებელი თარღის სწავლით ეთითებების, როგორიცაა „რეტროგრადი“, „ბნელი“, „კაუნათლებელი“, „ინკვიზიტორი“ — ხმარება გაუჭირდება ჩვენს ოპონენტებს.

კონცეფციის IV მუხლში ვითხულობთ: „სწავლება უნდა წარიმართოს ქრისტიანული რელიგიის პრიმატით, მისი უპირატესი წარმოჩენით, ოღონდ, ამასთან ერთად, არასგზით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ან, მით უმეტეს, შეღახული სხვა აღმსარებლობის მოზარდთა სულიერი ინტერესები და ტრადიციები“.

როგორც კონცეფციისა და სახელმძღვანელოს განხილვა გვიჩვენებს, ქრისტიანობის „პრიმატობა“ და „უპირატესი წარმოჩენა“ სხვადასხვა რელიგიათა მწეობრში პირველ ნომერს და ამ ნომრისათვის დათმობილი საათების მეტ რაოდენობას უნდა გულისხმობდეს და არა ჭეშმარიტებისათვის კუთვნილის მიგებას და მის ობიექტურ სწავლებას.

„ოღონდ, არასგზით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ან, მით უმეტეს, შეღახული სხვა აღმსარებლობის მოზარდთა სულიერი ინტერესები და ტრადიციები“.

ეს „ოღონდ“ რას უნდა ნიშნავდეს? ნუთუ ქრისტიანობის „უპირატესი წარმოჩენა“ ვინმეს დანაგვრას გულისხმობს? ან ქრისტიანული სარწმუნოება და, კერძოდ, ქართველთა ტრადიციული მართლმადიდებლობა სხვათა შეურაცხყოფას გვასწავლის? რა არის სხვა აღმსარებლობის მოზარდთა სულიერი ინტერესებისა და ტრადიციების უგულებელყოფა და შეღახვა? ღმერთისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ერთგულება, თუ ის, რომ საქართველოს სკოლებში, სადაც ჯერ მართლმადიდებლობის სწავლების საკითხი არა თუ არ გადაჭრილა, არც დამდგარა სეროიზულად, სხვა რელიგიებს არ ასწავლიან? სხვათა ინტერესების გათვალისწინება კი საღმრთო სჯულსა და ქრისტიანობაზე უარის

თქმა და რაღაც გამოგონილი ქრისტიანობისათვის ზედმეტი საათების დათმობა, ან ვიღაცის ხათრით ჭეშმარიტების დამახინჯება? იქნებ სულიერი ინტერესებისა და ტრადიციის შელახვაში ქართველ წამებულთა მიერ მურვან-ურუბესა და შამ-აბასებზე მოპოვებულ სულიერ გამარჯვებას გულისხმობენ, ან წმ. მუვე დავით აღმაშენებლის მიერ მონოფიზიტ ეპისკოპოსთა „ამაოდ ბრძნობის“ განქარვებას?

კონცეფციის II მუხლის მიხედვით: „უფლებსი ის ფორმა (სწავლებისა-ნ.წ.) იქნება, რომელიც კარგად გაითვალისწინებს არაფორც ჩვენსავე ისტორიულ, ისე სხვა ქვეყნების გამოცდილებას ამ სფეროში“.

ჩვენი ისტორიული გამოცდილება კი ასეთია:

1) ბავშვები ქრისტიანულ ოჯახში იბადებოდნენ და ქრისტიანებად იზრდებოდნენ. ხშირად მათ აღზრდას სამღვდელთა პირს მიანდობდნენ ხოლმე. სასულიერო პირების გაზრდილები იყვნენ წმ. მეფეები — ეახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი, რომელთა სახელებითაც ამჟამის სახელმძღვანელო. ასე რომ სანამ სხვათა გამოცდილების ძებნას დავიწყებდით, კარგი იყო, გერ საკუთარისთვის გადაგვეხედა.

2) V კლასის სახელმძღვანელოში ავტორი თვითონვე გვახსენებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს საქართველოს ისტორიიდან — ქართველებისა და იუდეველი ებრაელების მშვიდობიან თანაცხოვრებას. საუკუნეთა მანძილზე თავიანთ შეილებს ქართველები იუდაიზმს კი არ ასწავლიდნენ, მართლმადიდებლებად ზრდიდნენ. კი არ უმალაოდნენ თავიანთ აღმსარებლობას ებრაელებს — ისევე, როგორც ეს უკანასკნელნი — ქართველებს, ხმამაღლა აღიარებდნენ თავიანთ მრწამსს. მართლმადიდებლობა ერთპიროვნულად ბატონობდა საქართველოში, ხოლო თუდველითა სარწმუნოება მიუღებელი იყო ქართველისთვის და პირიქით. მაგრამ, არავის ახსოვს, რომ ჩვენს ჭეჭყანაში ეინმეს შევლახოს ამ უცხო რელიგიის მიმდევართა სულიერი ინტერესები. სხვა სარწმუნოების გამო არავის უღვენია და შეუუწირობება საქართველოში მცხოვრები ებრაელები. პირიქით. ავტორიც აღიარებს, „აქ მათ მუარე სამშობლო იპოვეს“ (III, 122-123). სწორედ ეს არის ქრისტიანული სიყ-

ვარულისა და შემწყნარებლობის მაგალითი და არა სწავლების დამახინჯება სხვისთვის ანგარიშის განუგვის მომიჯნავეთ. არც იმ კაცის საქციელია მოსაწონი, სიმართლეს რბმ მალავს, ჩემზე ცუდი არ იფიქრონი.

ასეთია ჩვენი ისტორიული ტრადიცია, რომელიც მიუხედავად დამიბრძნის ამ გაუთვალისწინებია საინასა და წარმომადგენლების შექმნელს. მას არც სხვა ქვეყნების გამოცდილებით უსარგებლო — ამ ქვეყნებში, სადაც ეკლესიის სახელმწიფოსთან არ არის გამოყოფილი, სკოლებში ტრადიციულ, სახელმწიფო რელიგიას ასწავლიან, თანაც სწავლება ნებაყოფლობითია. ხოლო იქ, სადაც ისევე, როგორც ჩვენთან კვლავსა გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, სახელმწიფო დაწესებულებებში რელიგია არ ისწავლება.

ქრისტიანობა მოყვანის სიყვარულს ქადაგებს, ვანურჩველად სჯულისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება დაეფაროთ, დავივიწყოთ, და უპირინციპობის მაგალითი უჩვენოთ მოწაფეს. მართლმადიდებელი მოყვანისათვის საკუთარ ინტერესებსაც უნდა თმობდეს და თავსაც უნდა სწირავდეს, მაგრამ ეს მრწამსსა და მსოფლმხედველობას არ უნდა შეეზოს. იმის გამო, რომ ჭეშმარიტების ჭეშმარიტებად აღიარებამ შეიძლება შეურაცხოს სხვა, მასზე უარის თქმა არ შეიძლება. მართლმადიდებლობა ერთადერთი სარწმუნოებაა, რომელსაც ღმერთისკენ მიჰყავს კაცი და ამის მიჩქმალვა „ქრისტიანული მოძღვრების შესავლის“ სწავლებისას გაუმართლებელია, თანაც ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყანაში.

„რომელსა იგი უკებენ წარმართნი, ემშაკთა უკებენ და არა ღმერთსა. ხოლო მე არა მებავს თქუენი ემშაკთა ზიარება. ვერ კელ-წიფიფების სასუბული უფლისაი სუამდ და სასუბული ემშაკთა; ვერ კელ-წიფიფების ტაბლასა უფლისასა ზიარება და ტაბლასა ემშაკთას“ (I. კორინთელთა, 10, 20-21), — მოგვმართავს მოციქული.

ეპისკოპოსი თეოფანე გვასწავლის: „ჭეშმარიტ რეულ შემწყნარებლობას გულწრფულად უყვარს და მოწინავეთი პატივის სცემს ერთადერთ თავის სარწმუნოებას (ანუ მართლმადიდებლობას), იცავს მის ხინძინდეს და დიდებას, უხარია მისი ამაღლება, მაგრამ, ამასთან ერთად, თავის გვერდით

ადგილს უძობს სხვა აღმსარებლობებს — არა იმიტომ, რომ მათ მართლმადიდებლობის თანასწორპატიოსნად და მაცხოვრებლად მიიჩნევენ, არამედ შეუცდომელთა მიმართ შემწყნარებლობის გამო. იგი მათ არ სდევნის, არ ავიწროებს, არ ჩაგრავს, მაგრამ როგორც კი შემთხვევა ეძლევა, სივარულით მიუთითებს შეცდომაზე და მათ თავისუფალ ნებას და სიხდის მიანდობს უზღობესის არმეცა“ (Слова на Господские и Божии родичные дни, М., 1883 წ., გვ. 82).

ასე რომ, მართლმადიდებლური სწავლების გაცნობა (და არა თავს მოხვევა) ჩვენი სივარულის გამოხატულება იქნებოდა უცხო აღმსარებლობის მოსწავლეთა მიმართ და არა მათი დასაგვრა. თუმცა, ვიმეორებთ, ესეც ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს.

ეს საგანი კი ნამდვილად ჩაგრავს, მაგრამ ჩაგრავს მართლმადიდებელ ბავშვს, მისი სარწმუნოებრივი უპირობისის წარმომადგენელი ერთი თუ ორი თანაკლასელისთვის ანგარიშის გაწვევის საბაბით. გაცნობიერებული აქვთ თუ არა საგნის ავტორებს, ვის უმაგრებენ ზურგს თავიანთი კამიტულანტური პოზიციით? წარმოდგენა აქვთ თუ არა იმის შესახებ, საქართველოს სულიერი თუ საზოგადოებრივი სიერცის რა ნაწილი დაიკავეს ჩვენი უპირობისობისა და ყალბი ლიბერალიზმის გამო ათასგვარმა სექტებმა? მათი აგრესია ძლიერდება. საკითხის ასეთი დაყენება კი ეხმარება ამ სექტებს თავიანთი მისიონერული საქმიანობის ანუ აგრესიის გაძლიერებაში.

“ყოველივე ჯერ არს ჩემდა“, — ამბობს მოციქული — „არამედ არა ყოველი უზღობეს არს; ყოველივე ჯერ არს ჩემდა, არამედ არა ყოველი აღმაშენებელ არს“ (1 კორ. 10, 23).

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ აღამაინი სხვა რელიგიას იცნობდეს. მაგრამ ჯერ ქვეშაირტებასა და წინაპართა სარწმუნოებაში უნდა გაიწაფოს მოსწავლე და მერე, როცა ქვეშაირტებაში განმტკიცდება, ყველაფერი შეიძლება მივაწოდოთ და ვასწავლოთ.

„ქართლის ცხოვრება“ გვიამბობს ვახტანგ გორგასლის ძამის, მორღატის გარდაცვალების შემდეგ რანის ერისთავის, ცეცხლთაყვანისმცემელ ბარზაბოდის შთაგვირული განზრახვით ქართლში ცეცხლის ქურუშების შემოსვლის ამბავს. „თულებით არცა-ვის

ქართველთა სხუთა დავადებინებ სეცელსა ქრისტესსა, არამედ მივესარებ ცეცხლის-მასხურნი ქალაქსა თქუენსა და იფურენ შიჯა ეპისკოპოსნი მათ ხელა სეცელისა წყენისანი. და ვინაცა ქართველთა ნებითა თვისითა აღიარებდეს საულსა წყენსა, ნუ აიწუნებთ“ — მიიღეს პითიბება ქართველებს (ქ. იხ. ტ. 1, გვ. 174-175). „...და შევსა ქართლ-წერილსა ირსა ცეცხლის-მასხურება“ (იქვე, გვ. 175). ხოლო რა მოჰყო მისა, გარკვევით წარსა ქართლის ცხოვრებაში და უკიდურეს ისტორიული გამოცდილება.

ის, იონც ეს „ღვარძილი“ დათესა, მზადეანი და ქართველთა მტერი იყო. დღეს კი ჩვენივე ხელით ვწერავთ სარეველას ამ საგნის შემოტანით და პასუხისმგებლობა დუმილისა და კომპრომისის გამო ყველას გვეცისება.

კონცეფციის V მუხლი გვამცნობს — „რელიგიური ცოდნისა და აღზრდის გარეშე თუ საერთოდ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთობ ძნელია ზნესრული პიროვნების ჩამოყალიბება. რელიგიური სწავლება და ზნეობრივი აღზრდა უერთმანეთოდ ვერ მოისაზრება“.

თუ სახელმძღვანელოს „რელიგია“ სხვადასხვა რელიგიებს მოიცავს, და მუორე მხრივ, თუკი კონცეფცია „რელიგიურ ცოდნასა“ და „რელიგიურ აღზრდას“ ე.ი. რელიგიურ ცხოვრებას კისრულობს, ძნელი წარმოსადგენია, რა შედეგს მიიღებთ კლასში კონცეფციის ამ მუხლის განხორციელების შემთხვევაში, რადგან სხვადასხვა რელიგიის სხვადასხვა ზნეობრივი „კოდექსი“ მოჰყვება და ხშირად ამ „კოდექსითა“ პუნქტები დაიმეტრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რა პარმონია დამყარდება იმ კლასში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის მოზარდები თავიანთი სხვადასხვა რელიგიების ესოდენ განსხვავებულ და საპირისპირო მოთხოვნებს აიტაცებენ და მათ ცხოვრებაში გატარებას მოინდომებენ, პირველ რიგში კი, თავისი სხვა აღმსარებლობის თანაკლასელთა მიმართ?

იმასაც შევასხენებ კონცეფციის ავტორებს, რომ ბევრ „სხვა აღმსარებლობის“ რელიგიურ ზნეობას ქრისტიანთა და განსაკუთრებით, მართლმადიდებელ ქრისტიანთა სისხლის სუნი ასდის, ბევრი კი ვამპირიზმსა და კანიბალიზმს ქადაგებს. ზოგიერთი რელიგია სექსს და ეროტიკას

ღმერთის წყდობის ვხად მიიწვევს და სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პირდაპირი სატანისმაც რელიგიაა. მაშ, ვასწავლით სკოლებში ისიც, რომ სატანის რომელიღაც მიმდევარმა შურააცხოვილად არ იფრინოს თავი და აღვხარდით ბავშვში მისი ზნობაც?

თუცა თუ სხვა რელიგიების სწავლებასაც იმავე პრინციპით აპირებენ, როგორც ქრისტიანობა „ვეასწავლეს.“ მაშინ საქმე გამარტივდება, მაგრამ ეს ხომ ამ რელიგიების მიმდევართა შურააცხოვია იქნება და არა მათი ინტერესების გათვალისწინება. ნათუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვისი, ამ შემთხვევაში, მართლმადიდებელთა სარწმუნოების გატნობა უფრო შურააცხოვის აღამაშს, ვიდრე მისი საკუთარი მოძღვრების დამახინჯება? ყველაფერში ჩანს, რომ სხვა აღმსარებლობის მოზარდთა ინტერესების გათვალისწინება მხოლოდ საბაზი იყო ახალი საგნის შემოსაღებად.

ისიც ნათელია, რომ საგნის სწავლების კონცეფციისა და სახელმძღვანელოების ავტორები და ისინი, ვისაც „რელიგია და კულტურის“ „შესაქმებისდაგვარად სწრაფად დანერგვა“ გადაუწყვეტიათ, თავად ვერ გარკვეულან (ან დაუფარავთ ჩვენივის ნამდვილი განზრახვა) იმაში, თუ რა საგანი მოუვონებათ, საგანმანათლებლო (ზოგად-კულტურული), ზნობრივი (ეთიკა) თუ რელიგიური. კონცეფცია, ერთი მხრივ, რელიგიურ სწავლებასა და რელიგიური ზნობის აღზრდას გვირდებოდა, მეორე მხრივ, „საკართველოს განათლების სამინისტროს კოლევით გადამწყვეტილება“, რომელიც ამ საგნის სწავლებას ეხება, დადებდა: „რევი სკოლების ცალკეული მასწავლებლები პრინციპულად არ სცნობენ ახალი საგნის საგანმანათლებლო დანიშნულებას და მის საღმრთისმეტყველო საგანდ მიიწვევენ, ადგილი აქვს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების და სახელმძღვანელოების უგულებელყოფას, თვითნებობას, მისიონერული გულმოდგინებით მისწავლეთა უმეტეს მორწმუნეებდ ქვევის ნაღრე და უწიფარ მდგლობას“ („სკოლის დირექტორი“, 1996. №2, გვ.96).

იგივე „გადამწყვეტილება“ გვიწყებს: „არ დაუშვან განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და სახელმძღვანელოების უგულებელყოფა“ („სკოლის დირექტორი“, გვ. 99), ამის თქმა ისეთ

სახელმძღვანელოსა და პროგრამებზეა შესაძლებელი, რომლებიც სერიოზული შრომის, გამოცდილებისა და ცოდნის ნაყოფია. ასტრომაც ვერ დავეთანხმებით იმავე გადამწყვეტილების ამ მუსხს, რომელიც მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს: მაღლიონ იმას, რომ ზაიონის (ქაქაქას) რელიგია სკოლაში შემოღებისდაგვარად სწრაფად დანერგვის „რელიგია და კულტურა“ (იქვე). უფრო მეტიც, წინადადებას ვთხოვეთ, სრულიად იქნას მხოლოდოვნი სკოლის სკოლაში პროგრამიდან, რადგან მდგართა იდეა, რომელიც მას საფუძვლად დაედო, გაუმართავია კონცეფცია, რომელსაც ის ურდნობა და მოუშაადებელია სახელმძღვანელო, რომლითაც ისწავლება იგი. არაობიექტური და ტრადიციების უარყოფელია დამოკიდებულება, რომლითაც ის არის გაკვერტილი. ავტორი თავიხი საგნითა და სახელმძღვანელოებით საბოლოოდ ანგრევს ისედაც დათრგუნულ მართლმადიდებლურ ცნობიერებას საკუთარი „ახალი მოძღვრების“ დასაფუზნებად. ამით მომავალ თაობას სამუდამოდ უჭრის იმ სასიცოცხლო ძარღვს, რომელიც მას ღმერთთან აკავშირებს – **ათვისტური მენტალიტეტით მიწოდებულ, აქტივტების ვედასმისა და შინაარსისაგან დაცვილ ცნებების შემკობითა თუ სხვა ზრნით პროფანირებულ რელიგიას დიდი ზანის მოტანა შეუძლია, განსაკუთრებით ბავშვებისათვისა ამ ზანს ერის სულიერი კასტრირება ქჭვა.**

V კლასის სახელმძღვანელო ბაბილონის გოდოლის ამბით მთავრდება: ბაბილონის გოდოლის ამბავი უსიამოვნო, ოღონდ ჭკუის სასწავლებელ მოგონებდალა შემორჩა ჩვეს ხლოვასო“ (III,128). ბაბილონის გოდოლის ისტორიას გაცილებით მეტი სულიერი, მისტიკური თუ სიმბოლოური დატვირთვა აქვს და გაცილებით დიდი ტრავედა იყო, ვიდრე „უსიამოვნო, ჭკუის სასწავლებელი მოგონებდალა“ შეიძლება გამოხატავდეს. „უსიამოვნო მოგონებლა“ შეიძლება ის ამბავი შემორჩეს მესსიერების, რომელიც კეთილად დასრულდა. ბაბილონის გოდოლის კი სავალალო შედეგები მოჰყვა. ამასთან, ის ჯერ არ დასრულებულა დღემდე გრძელდება და ამის ერთ-ერთი მაგალითი საგანი „რელი-

ვა და კულტურა“ და წინამდებარე სახელმძღვანელოები გახლავთ. ჩვენ კი ფსალმუნის სიტყვებით დავამთავრებთ ჩვენს რეცენზიას:

„... თუმცა უვალან ადამა სასლი ცულად შერებან მამუნებელა მისან“ (ფს. 126,1)

ერევნული ბიბლიოთეკა

1. მე-3 კლასის სახელმძღვანელო I - ნაწით ალწინოთ,
მე-4 კლასისა — II - ნაწით,
მე-5 კლასისა — III - ნაწით.
2. ბრეკეტებში მოცემული სათარებო სახელმძღვანელოების შესაბამისი თავების სათარებოა.

რედაქციისაგან: სტატია იბეჭდება განხილვის წესით. რედაქცია იზიარებს პროფესორ რ. თვარაძის აზრს (საქართველოს ტელევიზია, „მომბე“, 11.01.99), რომ ისეთი სერიოზული საკითხი, როგორცაა ახალი სავნის სკოლაში სწავლება, ასევე ახალი სახელმძღვანელოს დამკვიდრება სასკოლო პრაქტიკაში, სასამართლოში კი არ უნდა იხილებოდეს, არამედ საჯარო დისკუსიებსა თუ პრესის ფურცლებზე. თუმცა რედაქცია ასევე მიიჩნევს, სასურველი იყო, ეს მანამდე მომხდარიყო, ვიდრე ახალ სავანს „რელიგია და კულტურა“ და სახელმძღვანელოებს („ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“) განათლების სამინისტრო დაამტკიცებდა.

პრობლემის აქტუალობის გამო რედაქციამ გადაწყვიტა, მოკამათეებს მისცეს საშუალება, ყურნალის ფურცლებზე გამოთქვან თავიანთი შეხედულებები.



ნიკა ავიაშვილის არქივში ინახება წერილი, რომელიც მრავლი აბიანურის მიერ იალტიდან გამოგზავნილი წერილის პასუხს წარმოადგენს. წერილი დათარიღებულია 1937 წლის 15-28 თებერვლით. როგორც წერილიდან ჩანს, იგი სხვადასხვა დროს, ნაწვევებ-ნაწვევებად არის დაწერილი, ახდენენ მინაწერიც ახლავს „ამ წერილში ნუ ეძებ ლამაზ სიტყვებს, ძალიან სიმარტულს, რომ ააზრებს. ამის არც კარგებ ნიხა და არც შეძლება დამწერს არ ჰქონია. აქ კალამი წერდა უმთავრესად, რაც საძველნიდან ამოიღო და წვერზე მოადგა.

წაიკითხე უძილობის დროს შენს ოთახში მარტო“. ნიკა ავიაშვილი იმ წლებში ქუთაისში, გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, ამდენად წერილში ნაწილობრივ იმდროინდელი ქუთაისის ცხოვრებაზეცაა მოთხრობილი.

მარიამ ავიაშვილი

სალამი და გამარჯვება, ირაკლი!

ეს არის დავებრუნდი ჩემს კოჭია ოთახში პუშკინისადმი მიძღვნილი ხალაქიდან. ერთ-ერთ სკოლაში გაემართათ და შემთხვევით მოგზვდა. მაინცდამაინც არა უშავდა... დასასრულს თვითონ პუშკინი (მოწაფე გრიშში) გამოვიდა, დაგვარიგა და „ძველი“ წაგვიკითხა. ვიცინეთ. ესაა და ეს! ქუთაისის არც თუატირი აქვს და კინოსურათებს თვეობით ველით. კარგ სურათებს. ხვალ, თუ ზეგ „ღარიკო“ წავაო, ამბობენ. ვნახავთ.

იალტიდან გამოგზავნილი შენი წერილი ძლიერ გვიან მივიღე. გვიან, რადგან ჩემი მოგზაურობა გაგრძელდა. ჯერ ტფილისში დაშეკარგა ერთი თვე. საქმე ვერ მოვახერხე. პოდა ვველაფერს თავი ვანებე და სოფელში წავიღე, მოხუცებთან. სიცოცხლე გაქვს, ამ ზამთარში მე იქ დრო გავატარე! თოვლმა მომიხსრო და ჩავრჩი სოფელში. გიყვარდეს, მე იქ სული მოვიტყვი და დავისვენე!

დავდიოდი ტყეში, ვკლავდი შაშვეებს, ვნადირობდი კურდღლებზე, ვიჯექი კერასთან და ვუკითხავდი ძველ ამბებს ჩემს მშობელ-ნათესავებს.

მეზობლები? ჩვენში ქეთი ზამთარში იციან ცეცხლის პირას. გული მხიარული გაქვს, თვალებიდან კი

მწუხარების ტბილი ცრემლი მოგცევა ბოლის გამო.

აი, ზიხარ მთელი დღე სახლში. გარეთ თოვს. ცერად ჩამოდის თოვლი. აბნელებს. ზიხარ, მოწყენილობა ირგვლივ. შინაურებთან ამოწურავ სააბობს, ათასჯერ იტყვი ერთსა და იგივეს.

ამ დროს ვინმე მეზობელი ჩამოვა ეზოში, მოაპობს წველამდის თოვლს, შეწერდება ხისძირში და დაიძახებს:

— ჰეი, მაინძელი, ძაღლმა არ მიკბინოს, ძაღლმა!

მამაჩემს უხარია. ბიძაჩემს უხარია. მეც მიხარია... ცეცხლის პირს დაიდგება უცბად მოგრძო სუფრა, თვალისდახამხამებაში აქაფქაფებულ ღომი დაიგება ზედ სქლად. ღომი ისეა დაზვინული, შიგ ხარდანს ჩაურჭობ და გაიმავრებს.

შემწვარი ქათამი, ბროწეულის წვენი, ნიგოზითა და ხმელი სუნელით. დიდის გაჭირვებით ჭურიდან ამოღებული შუმი ღვინო. ღვინო თბილია ჭურში, მაგრამ გემრიელია და მაგარი. მეზობელი თამაღობას არავის დაანებებს. მერიქიფეობასაც თვითონვე გასწევს. დოქი მუხლის თავზე უდგას და ასხამს ძველშავის მელანივით ღვინოს. დოქს ძირი აყა-

ლო მიწით აქვს მოსვრილი. მუხლის თავი ესვრება თამადა-პერიქიფეს. მაგრამ ეს არაფერი.

სუფრა დაბალია. ქვეშ ძალი შემძვრალა. გაჭირვებულია. აიწვეს ხანდახან, სუფრაც ტორტმანობს. თამადას „რეჩები“ სასტენოგრაფია, მაგრამ სად არის კაცი პატრონი!

ამ დროს სადმე, მეზობლისას, ხმამალა დაილაპარაკებენ, ან ბავშვი დაიჭყვივლებს. ძალი შურდულივით გამოხტება სუფრიდან. სუფრაც ცოცხალ არსებასავით ახტება და წაიკონებს. იღვრება ღვინო, იქცევა ბროწეულის წვენი ნივგზითა და ხმელი სუნელით შენელებული. ძალი ყუფით კარაბინს ვადაახტება.

— ვადაგი შენდა პატრონი, მააკვდი გამოტყემელს, — წამოიძახებს თამადა და ისევ ჩვეულებრივად გრძელდება ცეცხლის პირას ზამთრის დამეში ქეფი. თუ მისი მსგავსი რამ.

უკვე მამლები ყვირიან, თოვს და თოვს...

არა, ირაკლი, ყოველთვის როდია ასე, მაგრამ ამ ერთ თვეში თრჯერ, თუ სამჯერ კი იყო მსგავსი შემთხვევა.

პოლა, სოფლიდან რომ დავბრუნდი, შენი წერილი დამხვდა რედაქციაში. კარგი წერილი, ლამაზი წერილი. ორიგინალური, მინდობა, მაშინვე შეპასუხა, მაგრამ კარგად აღარ ვიცოდი, სად იყავი, რომელ მხარეს. ახლა ვიცი, რომ ტფალისში ხარ და აი, გწერ. გწერ, მაგრამ ეს წერილი იმ შენი წერილის საპასუხოდ არაა დაწერილი. იმას სულ სხვა პასუხი უნდოდა. პასუხი მაშინვე უნდა დაწერილიყო და წერილიც კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა სულ სხვას ვწერ — გრძელ მოთხრობად.

ვწერ და, რას იზამ, უნდა წაიკითხო შენც ეს აბდაუბდა. მოსაწყენი კი იქნება!

შენ როგორ ხარ? როგორია ჯანმრთელობა?

მოგიხდა უცხოთა პავა?

ჩვენ? კარგად ვართ ძალიან! კარგად! ჩვენ? რა გვიჭირს! მაგრამ ვმუშაობთ, ენერგია გვაქვს. — ტკბილი

შაბიგობაც და მეგობრობაც ჩვენი „სტალინული“ ჩვეულებრივად კარგია, ჯერჯერობით არა უშავს და ჩვენც ევტორიტეტი არ შეგვღაბხვია ჯერ.

კარგადაა პარშენი, გოგი, ელიოზი, სხვებიც.

სადა აღამადაც კი არის ლი, ხომ იცი, მისი ამბავი! ვართ და ბედნიერი ვართ საერთოდ ქუთაისის მსგავსი რედაქციისთვის.

პირადად მე, როგორ ვთქვა, ძალიან ჩამოვრჩი ყველაფერს. შევძვრები ჩემს პატარა ოთახში და ვარ. მარტო ვარ ძლიერ. რამდენი კარგი ბიჭია ირგვლივ, მეგობრებიც არიან, მაგრამ შეტისმეტად მარტო ვარ. ამას არ ვამბობ ისე, სიტყვისათვის, პოზისათვის. მარტო ვარ და არ ვიცი კი, რატომ? მთელი დღე ვმუშაობ. ვარ ბიჭებში, საღამოს ერთად ვართ კინოში, სტამბაში, სასადილოში ან სადმე. მოვალ ოთახში და... მარტო ვარ. არ ვიცი კი, რატომ? მარტობა! სულით თბლობა არ არის ეს, ეს სულ სხვა რამაა.

ახლა მე ვაკეთებ ერთ წიგნს. სახელგამის ახალგაზრდათა სექტორში შეეუთანხმდი, ეს იქნება „ცხოვრება სერვანტესისა“. სამი რომანია ბიოგრაფიული. ორი ფრანგისა და ერთი რუსი მწერლისა. ამ სამი წიგნიდან ერთ მოზრდილ წიგნს ვაკეთებ. კარგი გამოდის. მშვენიერი წასაკითხი იქნება ყველასათვის. ჩვენი სტუდენტებისათვის იქნება მისწრება.

ამის გამო ყველაფერს ვკითხულობ, რაც სერვანტესისა და მისი დროის ესპანეთის შეეხება. „დონ-კიხოტის“ სხვადასხვა გამოცემები ვიშოვნე, ვიშოვნე სერვანტესის ნოველები და საერთოდ ბევრი რამ სერვანტესზე. დიდიდან საღამომდი დეპეშებს ვთარგმნი ესპანეთის სამოქალაქო ომზე, შემდეგ კი მამლის ყვილიამდის (ქუთაისში მამლები ისევ ყვირიან ჯერჯერობით) ვწერ და ვწერ ისევ ესპანეთზე და მის უდიდეს მწერალზე.

ახე, რომ მაინცადამაინც მარტო

არა ვარ, მაგრამ რაღაც მაკლია და მართლობის გრძნობა მკონია იგი. ერთმა ამხანაგმა მითხრა ამის შესახებ: მიწა გექაზისო. შეიძლება! სოფელში გავიხარდე. სოფლელი ვარ დღესაც თავითფეხებამდის. ყოველნაირად. 22 წელი სოფლის შუკებში და ლეღებში დავტანტალედი. 22 წელი სოფლის ჰაერით ვსუნთქავდი. არც დინამოს ქშენა გამიგონია და არც ქარხნის ტრიუმფი შემისუნთქავს. რა ვასაკვირია, რომ ყოველდღე კალმის წრიანნი მოძულდეს, ჩემი საყვარელი ნაძვის ძირში, მთაკორტოხზე წამოჯდომა მომენატროს, ჩემს ღარიბ ქონებაში სამყვეს სუფრავს დაზურგული ღომი მომესურვოს!

მიწა მექაზის? შეიძლება. შეიძლება ტოლს ექედეს გული. ღმერთწინაშე ვატყობ, რომ, მგონი, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვინ არის და სად? მე ვერავის დავეტაკე. თვითონ არავინ დამეტაკა და ისე კი... შემთხვევით არავინ ჩანს.

ხვალ თუ ხეგ, 35 წელი ჩამომიკაკუნებს კარებთან და ეს კარები ვერაა კარგად დაკეტილი! შენ? შენ რაღას შვები? „ამხანაგი“ ისევ დადის შენთან? ირაკლი, იცოდე, ამხანაგს თავაზიანად უნდა მოეყრა და არა ისე, ერთხელ რომ მითხარი, ფშაგები და ხევსურები წაწალს თავაზით ეპყრობიან.

იალტაში არ იყო ვინმე ამხანაგი? თუ ეპყრობოდი თავაზიანად.

სხვა, ტფილისში რას შვებიან მწერლები? სახეირო არაფერია მგონი. „ლიტერატურული საქართველო“ არ გეყოფნის. „მნათობი“ თვალთ არ მინახავს 3 თვეა. ერთი კარგი ლექსი მომენატრა. ლექსი, რომელიც შემარყევს ერთს ძირფესვიანად, რივიანპირიანად.

რას შვებით, პოეტები? რა ღმერთი გიწყრებათ? ვანა ასე უნდა გაჩუმება? ჩვენს ეპოქას შესაფერი ლექსი ვერავინ დაუწერა ჯერ, ორდენოსნები სულ გაჩუმდნენ, რა ამბავია?

მე უნდა ვიყო ერთი პოეტი. გაყურებინებდით სეირს.

მე დავესწარი მაქ, მწერალთა სასა-

ხლეში, „ლაშაური“ საღამოების ირგვლივ გამართულ დისკუსებს. არ მომეწონა. ვერც ერთმა ვერ თქვა ერთი ნათელი აზრი მაინც. ვაი, რომ ეს წასაჭრელი ენა ვერ მაქვს წვერმახვილი, თორემ როგორ ვიტყვოდი, როგორ ვიტყვოდი! ეპოქა ირაკლი, სხვა მრავალგვარ გაჭირვებას და საკლთაწერთად ქლოურ-დანაგრული ვარ იმით რომ არ შეხერხება ერთი გამოთქევა ის, რაც აწუხებს გულს. ანდელევს ვიხეობს და გრძნობას. ღარიბი ვარ სიტყვით.

„არ ვარ მდიდარი წყობილის რითმით“...

საერთოდ ტფილისში კარგი დრო გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი გაჭირვება მქონდა და დროც არ იყო, ყველაფერი მოვასწარი. ყველაფერი ვნახე. ახალი დაღმებიც თეატრებში, კინო-სურათებიც, ნაცნობ-მეგობრებიც, ნათესალებიც და წარმოიდგინე, მცხეთაც კი ვინახულე და ჯვრის მონასტერიც. რასაკვირველია, ვნახე კ. გამსახურდიაც. მიმყოფი ვერავინ ვიშოვნე, დავლუნე თავი და ისე ჯიქურად მივადექი. ამდენს ხანს ნაწერებით ვიცნობდი და მეგონა ცხოვრებაში ისეთივე იქნებოდა, როგორც ჩვევია მას სავარსამძობა. ამიტომ, ცოტა არაბუნებრივი გამოვიდა ჩემი „დარბაზობა“. უბრალო შუაკაცი შემრჩა ხელში. ჩვეულებრივ მოსაუბრე, მოძლიმარი, კარგი მასპინძელი და გულთბილი ადამიანი.

ორი საათი ვიყავი მასთან და ბევრი კარგი რამ ითქვა — მის ლამაზ ბუნხართან.

„მთვარის მოტაცება“ ჩამოვიდა აქ რუსულად. წავიკითხე ისიც. კარგი თარგმანი ყოფილა. ამასთან უნდა ვითხრა, რომ...

ირაკლი, ცოტა შეჩერდი, გარედ რაღაც ხმაურია, გავალ, გავიგებ და შემდეგ განვაგრძობ წერას. ბოდიში...

ბევრი და დიდი არაფერი მომხდარა. ეს ალიო ადამიანს ბრალია, მას ბილიარდის თამაში უყვარს. „გრანდოტელის“ გამკეს შეუჩნდა, ორი კომპლექტი აყიდვინა. დადგეს ზევით და

ქვევით ფოიეში და ახლა დღედაღამ ურახუნებენ. თვითონ ალიო აბაშია-შია. ვილაცხები თამაშობდნენ. ჩხუბი მოსვლიათ. ერთმანეთს ჯობლებით (კი) წასცხეს კისერში. ჰოდა, ისევ განვაგრძობ წერას. ბოდიში! ამასთან უნდა ვითხრა, რომ... მაგრამ რა უნდა ვითხრა. რასაც ვამბობდი, სათქმელი დამავიწყდა. სიბერე მეპარება და მეხსიერებაც ნელინელ მიიპარება. სიბერე! რას ამბობ? რა დროსია! ეს ისე. მანერაა. პოხაა. სიბერე კი არა და, იცა, ირაკლი, აწი ვაპირებ ვაფურჩქენას. მართალია, რამდენიმე ღერი თმა კი გამითეთრდა, მაგრამ თმას, რომ ჭკუა ჰქონდეს... (და სხვა)...

მე ახლა ვიკვლევ ჩემს გენეალოგიას. მე რუსის ჯიში მაქვს. რუსის სიხლი გვიდგას ძარღვებში. არ გაგიკვირდეს. საიდან. სად, სად ავიაშვილი, და სად რუსიო, იტყვი შენ. არა ავიაშვილობა აქ არაფერ შუაშია. ავიაშვილი ავიაშვილიაღვე რჩება. მხოლოდ ბებიანემის მამა იყო რუსი. სერგაევკი. ტიხონ ივანოვიჩ სერგაევკი. ეს იყო კაცი. ვასული საუკუნის 25-40 წლებში პეტერბურგიდან გადმოსახლებული ჩვენში. შემდეგ დიდი რომანია. ჰოდა, მე ახლა ვიკვლევ ამ ამბებს. ახლა კი არა, ათი წელია დავეძებ მთელ ძაფებს. შთავარი ხელში მაქვს. ბებიანემს რუსის არაფერი არ ჰქონდა. მამამისი სულაც არ ახსოვდა. ის ტიხონ ივანოვიჩი ისევ სადღაც გადაუსახლებიათ მაშინ, და მისი სახელიც გამქრალა ახი წლის წინათ. ეს დიდი ამბებია, რასაც სხვა უფრო საინტერესო მოვლენები უკავშირდებიან. საინტერესოა, ძლიერ საინტერესო!

საინტერესოა, მაგრამ შენთვის კი არაა საინტერესო, თუ რას წერს და წამახავს ნიკოლოზ ავიაშვილი ჩემთან ერთად ჩემს კომწოა ოთახში. აღარაა შენთვის საინტერესო, ამდენი აბლაუბდის კითხვა. აი, ვატყობ, აღარ მიგდის გული წასაკითხად. აი, გამოქნარებს კიდევ. ჰაიბტ. მარჯა! ვაუქელი, ვაუქელი, ჯერ ვერ დაგანებებ თავს. ვერა! ვერა!

ახლა დამის პირველ საათზე მეტია. ღუმელში შეშა შევუძაძე. ისევ მაგიდას მივუჯექი და აი გწერ. თუნდ მოგეწყინოს! რა ვუეთ მერე! ასეთი ჩვეულება მაქვს: ჯერ დილანს წებდაფურსი მაქვს ვისძუი და თუ დავწყვი, თუ დავიწყე, მტრისას! მოვხსნი თავს გუდას და პირში მთხოვ ყველა ჩიტყვის დავანუგვიღებ თანადივი ქათქათა ქალაღდზე.

სათქმელი არ გამოთქვლება. რა გინდა სულო და გულო, არ იყოს გარშემო. ჩემი კედლები აჭრელებულია სურათებით, რუკებით. დღეს პუშკინის კარგი სურათი ვიშოვნე. ვიპრენსკის ნახატია. ამინდი კარგია. ქუთაისში თოვლი აღარ არის. ცა მოწმენდილია და ჩემი ფანჯრიდან მოსჩანს დათეშიძის გორაზე მღგარი პარაშუტის კომკის ჩირაღდანი. ვარსკვლავივით ბრწყინავს იგი და გარშემო გაყინული ჰაერის შეფეხები ბულივით შემოვარსვია. აქვეა ჩვენი ბაღიც. ბაღი - გრანდოტელის" ბაღი ვახაფხულზე ბულბულები არ მასკეუბენ. ახლა კი ძაღლებს ერთი ალიაქოთი აქვთ ამ ყინვაში.

ახლა, ამ წუთს, მთელ ქუთაისის ძინავს. ამ დროს მიყვარს ხეტიალი ასფალტბრებულ ქუჩებში. ვიტრინებს ვათვალიერებ. ტუიას ბუნქებს ხელის გულს გადავუსობ, წყაროსთან (ჩინური ვაზით) ცივ და გემრიელ წყალს დავლევ. შევწერდები კუთხეში უზარმაზარი ფიჭვის (ფიჭვია თუ სოჭი, არ ვიცა) ძირას და თავზე გაცვივა იქ შემუდრულ ბელურების სკინტლი. მერე და, ჩემს განჩილ თმიდან (ახლა თავშიშეული დავდივარ, ბაშიანუკივით) მისი ამოღება არც ისე იოლია. მალაზიების დარაჯები მიმჯდარან დარაბებთან, ვედროში ცეცხლი გაუჩაღებიათ და საუბრობენ. საინტერესოა, რას ამბობენ, რა აქვთ ასე გაუთავებლად საამბობი დილაძდის. ითბობენ გაყინულ ხელებს და ხანდახან ჩაბერავენ სასტევენს. შორიდან სხვები უპასუხებენ და ქუთაისის ეს თეთრი დამე, ელექტრონებით განათებული

ლამე, ეს მშვენიერი ამინდი, მყუდროება და ღუძილი ვაგონებს სოფელს, ავვისტოში, როცა ყანის პირად მხართეძობზე წამოწვები და კალიები უსტვენენ და განუწვევტლივ გაისპის ყრიალ-ყრიალი, ხანდახან ასფალტის ქვაფენილზე ცხენის ფეხთა ტყაპატყუპით ჩაივლიან ასენიზატორები და დადგება საშინელი მყრალი სუნი. მაშინ კი ვიკადრებ და მივაშურებ ჩემს პაწია ოთახს, ჩემს სურათებს კედლებზე, ჩემს წიგნებს, ჩემს სერვანტებს და ვუტკეპრ პარაშუტის კოშკის ჩირაღდანს ჩემი ფანჯრიდან. ხანდახან, როცა ღამით წვიმს და ნისლი ფარავს რიონის გაღმაგამოდმა მხარეს, როცა დათეშიძის გორა ბურუსში დაიყურსება, ის ჩირაღდანი მაინც ბუტყავს და, ასე მგონია, თითქოს, ზეცა ჩამოიწია ძირს და, ეს ვენერა, ან სირიუსია დათეშიძის გორაზე აღმართული, ღამით მყუდროებაა ქუთაისში, მყუდროებაა ძლიერი და შურეყველი, მაგრამ ჩვენს „გრანდოტელში“ სამოცდაშვიდი ოთახია. და სამოცდაშვიდეში მე ვცხოვრობ. ეს სამოცდაშვიდე არაოტოლაც შუა ადგილასაა მოთავსებული და ყველა სამოცდაშვიდი ოთახის ყოველგვარი მოვლენა და თავადასავალი ჩემამდის აღწევს... აი, აგერ, ახლოს, სულ ახლოს, ვილაკები შეყრილან და ქეიფობენ, თავის დიდ ტვინამდის უწევს მრავალკამიერის შეშაღლება (არავინ იცავს წესრიგს). აგერ, ჩემგან – 15 ნომრით, პატეფონი კიჭყინებს (ოპ, ეს პატეფონები! ვისთანაც უნდა მიხვიდე, დიდი ამბით მორთავს და ააყვირებს. მორთავს და ააჭყირალებს, მაგრამ არც თვითონ მოისმენს და არც სტუმარს მოვასმენინებს. ისე, მოდისათვის უკრავს, თორემ მასაც მოძულდა უთუოდ).

მაგრამ ყველფერს შევეჩვიე, და თუ არ მინდა, – არაფერიც არ მესმის. ვზივარ ჩემს მაგიდასთან, ვკითხულობ ჩემს საყვარელ წიგნებს და ვესაუბრები კედლებზე გაკრულ დიდ ადამიანთა სურათებს.

ასე, რომ არა ვარ მართო, არა! ის

ვიცროუ წელან ტყველად ვწერე. აბა, მომიხედე ირგვლივ ამდენ ხალხში შეიძლება მართო დარჩეს კაცი? ვილაც, რომელიღაც ოთახში, პატეფონს აჭყირალებს. „სულიკოს“ უკრავს. სულიკო! რა კარგია! ს-უ-ლ-ი-კ-ო! ნეტავ – აკაკი ცოცხალი იყოს! როგორც პატრიარქის ქნებულა, ათქმის 100 წლის, აკაკი არა და, ვაჟას კი შეეძლო აქამდის სიცოცხლე.

როდემო ჩვენს დროში არ მოუხდათ ცხოვრება!.. იმ მწერლებს შემდეგ რომლებსაც მე ვუყვარდი და, როგორებიც მე მიყვარდნენ, უკანასკნელ დროს, უფროდაუფრო, ყველაზე საყვარელი ხდება ჩემთვის ვაჟა. არ ვიცი, რატომ. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ვაჟას მთის წყაროსავით მეც შემძლია ვოქვა:

„არაფერი ცოდეა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში“...

ვაჟა ისევ რაღაც უცხოსავითა დგას ჩვენგან. ისევ შორიშორსა ვართ ჩვენ, ერთმანეთისაგან და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ასე ვაფასებთ მას, სხვა კლასიკოსებთან ერთად, მაინც ასე მგონია, რომ ვაჟა-ფშაველა ახლაც გვეუბნება საყველურით, კლდისთავს წამომდგარი, სეკლიან სიტყვებს:

„გამოღმით მე ვარ, გაღმა – შენ, შუაზე მოდის მდინარე,

ვაჟას, ილიას, აკაკის, ბარათაშვილს და... არა, მხოლოდ ამ ოთხს ვეხები, გურამიშვილი სხვა ამბავია, ამ ოთხს ჩვენი დრო, ჩვენი ახალგაზრდობა მოველის უთუოდ, მაგრამ იცი, რა? გუშინწინ ერთი დოცენტი დიდი აღფრთოვანებით ამბობდა: ერთი კარგი გამოკვლევა უნდა დავეწრო პუშკინის „ბელკინის მოთხრობებზეთ“, კაცო, ძმაო და მოყვარევ! პუშკინზე იმდენი დაიწერა, რომ მათი სათაურების სია ტომებად გამოვა. პუშკინი, რუსეთის უდიდესი მწერალი ყველა დროისათვის, საკმაოდ ცნობილია ყველასათვის. მოდი, ეს ჩვენი ვაჟა გამოვიყვანოთ „გაღმიდან“, ილია, აკაკი და სხვები ჩავიყენოთ რიგებში. ჩვენი დოცენტები დისერტაციებს ვოეთეს ანდა

პუგოზე წერენ. კარგია. ძალიან კარგია. მაგრამ ჩვენს მწერლებზე რად გაურბიან წერას?

ეს, ჩემო ირაკლი, იმის ბრალია, რომ უცხოელ მწერლებზე მასალა აუარებელია, დამუშავებულია და მზამხარეული. ადვილია მათზე დისერტაციისა და მოხსენებების, გამოკვლევებისა და აღმოჩენების წერა. ზოგიერთ მათგანზე მეც კი დავწერდი. კარგ რამეს, თუმცა „უნივერსიტეტები“ არ დამითავრებია რაიმე, იოლია, ძლიერ!

აქ შეიძლებოდა შეჩერება და შენც ერთს ამთისუნთქავდი შვებით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამოდენა სისულელეების წაკითხვა, მაგრამ რა ვქნა, ძმავო, რა ვქნა, ჩემო მოჭირნახულევ, რა ვუყო ამ თხერ კალამს, აეშალა საღერღელი და, თუ ბიჭი ხარ, შეაჩერე. ეს ოჯახამუნებული კარგ რამეს მაინც წერდეს. ავიაო და, მელნით ყელამდის ხავსე ვარო, აუღია თავი და რაც ენაზე ადგია, ყველაფერს აყრანტალუბს. აღარც კი მკითხავს. ვაგონილა ასეთი უსიერხეილობა! ვწერ და ვწერ მეც ასეთ კაღნიერებით. რა ვქნა, ძმავო, რა ვქნა, ჩემო მოჭირნახულევ!

ვაი შენს მტერს! სინათლე ჩაქრა!

ასე იცის ხამუშ-ხამუშ რიონპესმა. სადღაც მავნებლის ხელი უნდა ერიოს ამ ამბებში. რა ვიცი, ამ ბოლო დროს ყველგან მავნებლები ძელანდებიან. ის კი არა და მიმდინარე წლის ამინდის ასეთი ცვალებადობა და ცუდი დარები მავნებლების საქმე მგონია.

იკითხავ, თუ სინათლე არ გაქვს, მაშ რასა რომაე და ჩმახავ მაგ სიბნელეშიო... ბიჭო და, განა მე და ნიკოლოზ ავიაშვილი ბნელს შეუშინდებით! აქამდის როდის დამაკლო რამე ბნელმა, რომ ახლა მიშილდაყოს! ჩემი ლამპარი აქ არა მაქვს? ლამპა მაქვს ისეთი, ისეთი, რომ... ჰმ, ჩემი ლამპარი!

გაბრწყინდი, ჩემო ლამპარო, მინათლე ბნელსა ლამისა...

წერდა 12 წლის აკაკი. პატარა ბიჭუკულა იყო მაშინ იგი.

პატარა ბიჭი ვიყავი, პატარა ბიჭუკულაო...

მღეროდა შემდეგ თბამევერცხლილო, სევდიანად. ჰო და, ჩემი ლამპარი ბრწყინავს მაგიღაზე, ბრწყინავს, ანათებს" და მეც ვწერ და ვწერ. ვწერ და ვწერ — ლამპარის შუქზე.

ლამპარის შუქზეა დაწერილი ეს ღირსოვლო სტრაქინებო!

ჩემს ოთახში ცხელა (აშენდა რილაქცია, შემაჩქედან მომაქვს) და დანამტრებელი მწერება გამოიდენს სამშვიდობოზე. ელამუნებიან ლამპარს, კედლებზე გაფერმკრთალდნენ დიდ ადამიანთა სახეები და სილუეტებივით მოჩანან. მხოლოდ ეგნატეს თხელ ცხვირში ვადის სინათლე, ბარათაშივლის ცრუსახე სულ აღარა ჩანს და მაიაკოესკის უფრო ვორთხად აუზიდავს ცალი წარბი. გურამიშვილის ჩვილი სახე გრიშა აბაშიძეს გავდა უზშირო თმებიანად, მაგრამ ამ ბნელში, რომელიდაც დეკაბრისტივით, გადაკვანწული უღვაშები დაუშმვენებია. საოცარია, კედელზე არცერთის მათგანის სახე არ ჩანს მკაფიოდ. სარკეში კი, მათ პირდაპირ — სარკეში, ისე ჩვეულებრივად გამოიყურებიან, როგორც აქამდის განაზავს ისინი, ჩემო ირაკლი! ვახსოვს, მათ შორის ბონდოს სურათი რომ მოვითავსე ხალალობოდ! საწყალი ბონდო, ისევ შეაბრუნა და ავად არისო, ამბობენ. მაშია ასათიანი ისევ თავისუფალია. აღარაფერი მეხებაო, ამბობს. აქაური მწერლები ახლა სულ აღარაფერს აკეთებენ. მაქ, ფედერაციამაში რაღაც აღმანახი გამოდის ქუთათურთა შესახებ და ესენიც განცხრობით არიან. პუშკინის დღეები მკრთალად ტარდება.

ოთო, ისევ განათდა. გაბრწყინდა ჩემი ოთახი. აელვარდნენ სახეები კედლებზე, ალაპლაპდა სარკე, გაჩირაღდნდა ქალაქი და ისევ დაგვნათის ზევიდან პარაშუტის შუქურა.

● დილა მშვიდობისა!

ვათენდა. დილა იყო მშვენიერი. ზამთრის დილა ქუთაისში! უპვე მოქრის დათეშიძის გორაკიდან იისა და ყოჩივარდას ნელსურნელება (ეს

ისე, პოზა და მანერა, თორემ ყოჩივარდას უსუნო ყვაილი აქვს).

დღეს დასვენების დღეა. მეც ჩემბურად დავისვენებ. საქმე ბევრი არაფერი მაქვს. თუძცა... უნდა გადავთარგმნო წერილი ქართველ ტომებთან ხეთების ნათესაობის საკითხისათვის — „იხვესტიამში“ იყო, ალ. სვანიძისა. კარგი რამეა. პონორარის ღარს დავისვამ.

კიდევ უნდა წავიკითხო თავიდან ბოლომდის ს. ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველა, ჩვენი „უკულტურო“ ვაჟა! დღეს მოვიდა ეს წიგნი ქუთაისში. საინტერესოა, საინტერესო ფრიად! „ვაჟა-ფშაველას“ — „წითელი და შავი“ მოჰყვა თანვე (სტენდალის „წითელი და შავი“). ესაა მეორე წიგნი. რუსულად მინახავს, წამიკითხავს, მაგრამ როცა ფრანგული არ იცი, უმჯობესია ქართულად წაიკითხო.

ირაკლი, მაპატიე, რომ ქალაქზე წაღმა უკულმა ვწერ, მაგრამ ამას მომჭირნობისათვის არ ჩავდივარ (ქალაქი ოხრად მაქვს. ლოპე დე ვეგას ყველა დრამას გადავწერდი ზედ). არამედ ასე ჯობია. ამ წერილს სტამბაში ხომ არ ვაგზავნი, ასოთაძეყობს რომ გაუჭირდეს მისი აწყობა. შენ კი, რადგანაც ასე დატანჯე და ამდენი სისულელე წავგავითხე, ამ უბედურებასაც მაგრად დაუხვდი.

მართლა, დღეს ჩამოვიდა მაქაური გაზეთები, ჩვიდმეტის რიცხვისა (დღეს 18 თებერვალია, კინალამ დამავიწყდა!). ბევრი მათგანი, თითქმის ყველა პუშკინისადმი მიძღვნილი. ძალიან არ მომეწონა. იუბილეს დღემდის იმდენი დაიწერა პუშკინზე, ისე კარგად ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა, რომ თვით იუბილე, ჩემის აზრით, რომ ველოდი, არც ისეთი გამოვიდა.

ქართული გაზეთების რედაქციებმა ცოტა ოინი კი გააკეთეს. დაუცადეს მოსკოვის გაზეთებს, კარგად გადასინჯეს, გამოშიგნეს რიგიან-პირიანად და შემდეგ თავიანთ ფურცლებზე უფრო ზედმიწევნით აწონილ-დაწონილი ფაქტები, კონტად გაშალა-

შინებული აზრები და გათანდული სიტყვები დაახვავეს. ასეც უნდა! დიდი შეღავათია!

პირადად მე, პუშკინის ლექსის არცერთი თარგმანი არ მაქმყოფილებს. შეიძლება ძნელი იყოს ასე ღიბი მოგონს ოხზულებათ თარგმნა, მაგრამ ეს კია, რომ ყველას თარგმანი არც უნდა დაიბეჭდოს ცენტრალურ გაზეთში. ასე ჭინაა. შადგაღლიანის პიესის ნაწევრტში ლაპსუსია ერთობ „მცირე“, მარა არაუშავს. ანაქრონიზმებთან გვაქვს საქმე. ასე შექსირსაც მოდიოდ ხანდახან თურმე... საქმე შეეხება შემდეგს:

პუშკინი საქართველოში მკონი 1829 წელს იყო. შალვას პიესაში კი დიდი რიხით კითხულობს რამდენიმე წლის შემდეგ დაწერილ მშვენიერ ლექსს — „ძეგლს“.

ძეგლი დაიდგა პუშკინმა ხელთუქმნელი, სამარადყამო, შალვას „ისტორიულ“ პიესაში კი... მაგრამ, დავეხსნათ, გაიხარონ ბებრებმა! ჩვენ კი ვიძასლაათოთ, ვიმუსაიფოთ ცხოვრების, მეგობრობის, პოეზიის, დღევანდელი დღისათვის. იმ დღევანდელი დღისათვის, რომელიც კარგი ზვალეს წინაღლე იქნება და, მათუსალაც რომ გავხდეთ, მაინც აღტაცებით მოვიგონებთ მას. წარსულში ხომ ძლიერ ბევრი ყრია კარგი რამ, მაგრამ დღევანდელი დღე? ო, ეს დღევანდელი დღე!

„ჩვენც, პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან. უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის. დღევანდელი ხალხი, ცალცალკე და საერთოდ საჭირო აზრითა და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენთაგანისა იყოს აზრ-შეწონილი. დღევანდელს, უნდა იქ მივეყავდეთ, სადაც საჭიროა მისვლა, თვითეულის ჩვენთაგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია, და თუ რომში

მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს ავცდებით. სწორე გზა აწმყო. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალს ქმნის; ვინც ბევრსა მხნავს და თესავს, იმას ბევრი პური მოსდის; თუნდაც მოუსავლობა იყოს, მაინც სხვაზე მეტი მოთუვა”.

ამას ამბობს ჩვენი „უკულტური და „ჩამორჩენილი“ ადამიანი ვაჭაფშაველა.

ახლა მე სერიოზულად მეშინია, ირაკლი, სიზმრების. მართალია სიზმრების არც ახლა ძვერა, მაგრამ 17 თებერვალს ღამით, როგორც ზევით გწერდი, ძლიერ ცუდი და საშინელი რამ ვნახე. ჯერ იყო და საშინლად ვიყავი ამოსვრილი ტალახში, აბანოში მინდოდა წასვლა, მაგრამ, როცა ტანისამოსი გავიძვრე, მთლად შიშველი დაკრჩი და შემდეგ ასე დავდიოდი ქუჩებში შეშინებულ-დაფეთებული. მთელი ხალხი გამოფენილიყო ქუჩებში, ყველა მე მათითებდა, მე დამდეგდა და ვერ მოვისვნიე. ვაერბოდი, მაგრამ მუხლები მეკვებოდა. ერთ სახლთან, ქალები და გოგოები შემომხვნივნენ, დამცინოდნენ და დაფნებს ვეფარებოდი ქუჩაში. შემდეგ ერთ სახლში შევედი, დიდი მაგიდა იყო გაწყობილი. გაჩინადღებული იყო ყველაფერი. მე რაღაც ძველები მეცვა. ჩემი საკუთარი ტანისამოსი არ იყო და მეტისმეტ უხერხულობას ვგრძნობდი. ამბობენ, აქ ორჯონიკიძე უნდა მოვიდეს, ის შენი ნათესავია და ლექსი უნდა უთხრაო. მეც ვიზებირებდი ლექსს. იმ წუთს მახსოვდა კიდეც რამდენიმე სტრიქონი, შემდეგ, დილას ერთი სტრიქონის მეტი აღარ დამამახსოვრდა. მაშინ კი მახსოვდა და, როცა შუალამეზე გავიღვიძე, მთელი ლექსი ვიცოდი. რაღაც უაზრო იყო, მაგრამ რითმებიანი, მინდოდა, ავმღარიყავ, დამეწერა, მაგრამ შემეხარა. ვიზარმაცე, ჰოდა, ორჯონიკიძეც მოვიდა. მე დარცხვენილი ვიყავი ძველი ტანისამოსით, რადგან ის ვითომ ჩემი ნათესავი იყო და უნდა მე-

კოცნა, აი კიდეც მოვიდა, შევეცებე, მაგრამ ის ძლიერ ცუდი სანახავი იყო. გრძელი წვერულვაში მქონდა, თვლებში ჩაშავებული და ტიტველი მგერდი მთლად დახსულ მიწასავით მქონდა დათარული. ეს ღვრიბლის ქარები მქონდა ერთხელ და ის ძნელი, შემდეგ ის აღარ იყო სერვო, არამედ ის კლიშე, რომელიც ერთხელ ვაჭაფში გავუშვიო. მაგრამ ბგვითისაღებში მოვიცი დათ სტამბაში და ძლიერ ცუდი გამოვიდა. ის იყო დიდი შავი კლიშე ჩაშავებული თვალებითა და ლექსი ვუთხარი. აი ის ერთი სტრიქონი, რომელიც შემდეგ გავიხსენე და ალიოს ვუთხარი:

... შენ რომ სიკვდილი გეწვია...

შემდეგ რაღაცა გაუგებარს ვამბობდი და ღვინით სავესე ჭიქას ხელი წავეკარი. ღვინო დაიდვარა და მთელი მაგიდა შავად შეიღება.

მე არ მახსოვს შემდეგ რა იყო, ან რა ვნახე კიდეც. არც ის მახსოვს, რა დრო იყო, რომ გამომეღვიძა. იყო ღამე მხოლოდ და ისევე ჩამქმინა, მაგრამ მერე რა მოხდა, არ ვიცი.

18 თებერვალს ეს ვუამბე ალიოს, ლექსის ერთი სტრიქონი კი მახსოვდა და ახლა, როცა მეორე დღეს უკვე გავიძე მისი გარდაცვალება, მიკვირს, რა იყო ეს. რას ნიშნავდა სიტყვები:

შენ რომ სიკვდილი გეწვია...

არ ვიცი მე, ფსიქოლოგის არაფერი მესმის. არც სიზმარის მწამს რაიმე, მაგრამ ეს ასე იყო, ჩემო ირაკლიჯან, და აქ არაფერი ან მოგონებული ან ჩამატებული არაა. მე აღარ დამამახსოვრდა მეტი დეტალი, თუმცა ესეც საკმაოა... დღეს გუ-ჯუ ჩამოვიდა ტფილისიდან. შენი ამბავი მითხრა, მაქაური ამბებიც მომიტანა. ეჰ, რა გიშავთ, ჯეელებო! ხართ მაგ თბილ ქალაქში თბილად მოკალათებული და გულთბილად ეკიდებით საქმიანობას.

მწერლებზე მოვახსენებ, ვერ მუშაობენ კარვად, მაგრამ დავეხსნათ მწერლებს. იყონ საწყლები თავისათვის. თუ კარვ რასმეს დაწერენ, ვაგვიხარდება, წავიკითხავთ, დაეფა-

სებთ... ხოლო ზოგიერთებს არაფერი აღარ უშველით. დღეს უნიჭობით ფონს რომ გახვიდე, ხვალ ძალიან შორი გზიდან მოვლა დაგჭირდება იმავე ფონში გასასვლელად...

როცა ესპანეთის ამბებს ვთარგმნი გაზეთისათვის, ხშირად მხედება სახელები:

ხეტაფა, ალვოდორა, კასპე, არაგონია, ასტურია, ტომარა, ტახო, ტახუნია, კატალონია, თუ კატალონია. იბერია, ნავალ პერალი.

ნამდვილი ქართული სახელები! კიდევ ის ბასკები და მათი პრობლემა! ძალიან საინტერესოა ხეთების საკითხთან დაკავშირებით ესეც გამოსარკვევი იქნება უთუოდ. მარი აკეთებდა რაღაცას, მაგრამ ვეღარ დაამთავრა. მკონი. საერთოდ მე ამ საქმეში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მეტიმეტად მაინტერესებს. ხე ტაფა!.. ქუთაისის მახლობლად არის ქვატაფა. ჩვენში კი — ღარტაფა. საინტერესოა, საინტერესო! ტომარა, არაგონია და სხვ.

ირაკლი! ქუთაისში როდის ჩამოხვალ? მე აქ შენ ნათესავ ქალს ყოველდღე ვხვდები, როგორც მეზობელს, მაგრამ, წარმოიდგინე ჩემი სივლახაკე. თუმცა მის ქმარს ვიცნობ, მაგრამ ქეთო ჯერ არ გამიცნია. ისე, მეზობლურად...

ქუთაისი აწი კარგია. გაზაფხულის სურნელება, ანუ როგორც ძველები უწოდებდნენ, ეარის ინანთი უკვე საგრძნობია ახლა.

თუბერვალი დადგა,

ხეში წყალი ჩადგა...

„ეარის ინანთი“ ეწოდებოდა ერთ-ერთ ფურნალს ქუთაისელ მოწაფეებისა, რომელნიც წერდნენ შეგნებულად ფუტურისტ-სიმბოლისტების მიბადებით. თანამშრომლობდნენ კოლია ჩაჩავა, ბესო ფლენტი, საშა გაბესკარია, მიშა შონია და სხვ. ეს იყო წინაო. მე მაშინ პატარა ვიყავი და მაგდენად არაფერი ვიცოდი ლექსებისა და მწერლობის. მაშინ (როგორც ახლაც) მე

უფრო მომწონდა ყველაფერი მძაღრ სიუჟეტებიანი და კარგად შეკრული შინაარსით საცხე. შინაარსი ყოველთვის ყველაფერია. ლექსიც მომწონს, მაგრამ უშინაარსო, ე. ი. უსიუჟეტო ლექსი რაღაც უფრო ნაკლებად მომწონს. ჩახხევილი ზამთარში, შენს ოთახში რომ წამიკითხე რომელიღაც ფრანგი მწერლის ლექსი, როდემო მოგეწონს? რატომ გრავად და მძაფრად იყო აღწერილი, თუ როგორ დაეცა იაგუარი გარეულ ხარს, თუ კამქნს. რასაკვირველია, მე არ ვეწინააღმდეგები უსიუჟეტო ლექსებს. პირიქით — ბარათაშვილს, ლერძონტოვს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს აუარებელი ლექსი აქვთ ისეთი, რომელიც თავზარს დაგეცმს. შეგარევეს და გაგანადგურებს, მრავალი საუკუნე ვაივლის, ბევრი თათბა შეიცვლება და მათი სტრიქონები კი ისევ ახლებურად იქედნებენ და იხმაურებენ. მათ შესახებ ყოველთვის შეუძლია თქვას პოეტმა:

იყო მრავალი განადგურება,

ლექსთა სიკვდილი კი — არასოდეს.

ეს სიტყვები გალაკტიონის ვეფხის პოემიდანაა. ირაკლი, წაიკითხე ეს ლექსი („პოემა ვეფხისა“) გულდასხმით, დაწვრილებით და უთუოდ იტყვი, რომ გალაკტიონს ასეთი კარგი ლექსი, ასე მძლავრად დაწერილი ბევრი არ ჰქონია. მე კი შემთხვევით წამაკითხა ალიომ. ამდენ ხანს არ ვაქცევდი ყურადღებას ნახე, მართლა, ნახე!

აქ, ქუთაისში ჩვენ ძლიერ მოკლებული ვართ ლიტერატურულ ცხოვრებას. ირგვლივ არაფერ არის ისეთი მწერალი, ან „მომწერლო“ მაინც, რომ ცოტა რაიმე ისაუბრო მასთან. მოხუცი თომაშვილი, ფრიად პატივსაცემი და დარბაისელი მოხუცი დომენტი, ბევრ ჭკვიანურს იტყვის ხშირად. ბევრს რასმეს მოიგონებს წარსულიდან და ახალგაზრდული გატაცებით გვეპყრობა, მაგრამ ახლა ძლიერ აკადაა. ისევ ჩვენ, რედაქციის ვიწრო წრე! მთელი დღე რედაქციაში ვართ,

სალამოს სტამბაში შევიკრიბებით და გვაქვს ერთი ამბავი. ვმუსაიაფობთ ცისას, ბარისას. შიგადაშიგ უწმასურ ანეკდოტებსაც გაურევს საუბრის დროს რომელიმე ასოთაშწყობი.

მე ყოველდღე ვივინებ „ფრიად დამაფიქრებელ“ კითხვებს, ვიძლევი მოულოდნელ შეკითხვებს და მოკლე ტყვილ-ტყვილ ამბებს. ვაცნობ ზოგ ერთ გულუბრყვილოს. მე გავავრცელე ცრუ ხმები:

1) „არსენას ლექსის“ ავტორი არის აკაკი.

2) გრიგოლ ორბელიანმა დაწერა ლექსი „მიშა ბოქულაძე“ და არა „მუშა ბოქულაძე“.

3) ნინოშვილის მოთხრობის გმირი ვაიშვილი იყო.

მე ვიძლევი „ღრმაშინაარსიან“ შეკითხვებს:

4) აბა ვინ იტყვის, თუ სად წაიღო და სად შეინახა ტარიელმა ვეფხის ტყავი ნესტანას ნახვისა და მათი გამეფების შემდეგ?

5) აბა ვინ იცის, ვინ ნახა და ვის ერგო ის ფული, რომლის შესახებ სიკვდილის დროს არსენამ თქვა: „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში ძეხსათ“.

და მრავალი სხვა. მსმენელები სერიოზულად ღებულობენ ყველაფერ ამას (რასაკვირველია, ზოგიერთები) და შემდეგ ვიცინით.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ კოლაუ ნადირაძემ და მე, „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოვაცხვეთ ასეთივე ამბავი. ეს შენ გაიგე თუ არა, მე არ ვიცი. ჩვენ დაყვართ ხმა, რომ — ვითომ ალექსანდრესა და დიმიტრი ყაზბეგს ჰყავდათ მესამე ბიძაშვილი აქესენტი (თუ აგქსენტი) ყაზბეგი და ყველა მოთხრობა მისი დაწერილიაო. მთელი ორი კვირის განმავლობაში დაკავრეთ მრავალი სტუდენტი, მწერალი და პროფესორიც კი. წარმოიდგინე, ზანღუელმა, არ ვიცი, რამდენად მართალია, დაიჯერა და ერთი ელეთ-მელეთი მოსვლიდა. ამის შესახებ შემქმლთ უფრო ვრცლად მომეწერა,

მოგწერდი იმ წერილის „შინაარსსაც, რომელიც კოლაუმ შეთხზა, თითქოს აქესენტის გამოვცხადების იგი პარიზიდან, მოგწერდი ყველაფერს.

Но я боюсь вам наскучить. -

ეს დაგ გამოგმძვინდევს რა გქნის კვლამს ტერ შეეუშვი ნილოდა!

რეკორტ ქქა მოიძწია „დარიკომ“.

კრახინის უკრახიბსა ამ სურათის რუსულ ვარიანტს უჩვენებენ და შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ ისედაც საშუალო წონისა და ღირებუბის ფილმი — მდარე ხარისხისაა. რა ამბავია, რა ამბავია! ჯერ იყო და „ქაჯეთიმა“ „ვეფხისტყაოსანი“ შეგვაძულა. ახლაა და, გურია და მისი რაზმელები, ტყის ძმები ძალიან გაფერძკრთა-ლდნენ. სიკო დოლიძე, ერთ-ერთი ნიჭიერი რეჟისორია და არ ეპატიება ამდენი ლაპსუსი. მარტო წითელი დროშა (რაც ძლიერ ნაჩქარევადაა ჩაკერებული ფილმში) ვერ დაიხსნის ფილმს. ბლომადაა ნაკლი. შეიძლება ყოველი სურათი, ყოველი ნაწარმოები მთლიანად კარგი იყოს და რამდენიმე ალგილი მოიკოტკლებდეს. ეს ასეც უნდა. „დარიკომში“ კი ბევრი ალგილი არ ვარჯა, ათასჯერ გამეორებული ეთნოგრაფია... ყველასაგან ქებული „ნანახ“ სიმღერის დროს ჩონგურის ხმა საიდან გაჩნდა... თუ ავონდებოდა ბაბაღეს (ნ. ჩხეიძეს)?

საერთოდ ნინოშვილის „სიმონა“ შეტად ძლიერი ნაწარმოებია. კალმის ორი-სამი მოსმით მკაფიოდ დახატულია სიმონა, დარიკო, ქეთევანი, დროიძეები, გჯერა სიმონას ყანალობა, გჯერა მისი კაცის მკვლელობა, ამ ბოლო დროს დიდი შეღავათი შეიქნა ეს მონტაჟი.

მახსოვს 1920-1922 წლებში სოფლად დრამატული დასი გვქონდა, ვმართავდით წარმოდგენებს ფართო აივნთან სახლებში. პარტური ცის ქვეშ იყო. აღმანიებთან ერთად ძალღებუც უყურებდნენ და ისმენდნენ ჩვენს სპექტაკლებს. ვდგამდით „არსენას“, „ღედინცვალს“, სუზმან ერთაწმინდელის

პიესებს, გუნთას, შალვა დადიანის, ტრ. რამიშვილის, აქვ. ცაგარელის პიესებს... ხალხში „განათლება შეგვექონდა“. ჩვენც გვაფასებდნენ...

ერთხელ „გოგია უიშვილის“ გაცენიურება განვიზრახეთ. გავაკეთეთ მონტაჟი „მოსე მწერლის“, „კაცია მუნჯადისა“ და „გოგია უიშვილიდან“. საუცხოო იყო. ხალხი ბლომად გვეუსრებოდა და შემოსავალიც კარგად მოდიოდა (ფული ხმარდებოდა სამკითხველოს, ხიდუ-ბოვირებს და სხვ.).

ერთხელ ასეთი კურიოზი მოხდა:

„გოგია უიშვილი“ მიღის სცენაზე.

უკანასკნელი მოქმედებაა. გოგია ნაკეში და გათრეული დაბრუნდა სახლში. ხვალ კალანდაა. ცოლ-შვილს ცივი ჭადის მეტი აღარაფერი გააჩნია.

სცენაზე (აივანზე, გარეთ) ანთია ნამდვილი ცეცხლი. ცეცხლის პირას ჩაფიცებულია ცივი (ნამდვილი) ჭადი (ნატურალიზმი თეატრში!). ზის გოგია დაღვრემილი. ცოლ-შვილიც გვერდში მოსხდომია ხახამშალი. საკლანდო ყველაფერი წაართვეს. ჩააშხამეს კალანდა. ჩვენ რაც შეიძლება შავი საღებავებით ვხატავდით ძველ დროს და ვამძაფრებდით გოგიას აუტანელ მღვთმარეობას. ზის გოგია ნერწყვ-გამშრალი და უეცრად (ეს არც ნინოშვილსა აქვს გათვალისწინებული მოთხრობაში და არც ჩვენ შეგვიტანია ჩვენს საუცხოო მონტაჟში. არც მოხერხდებოდა!), ეხოლან აივნის კიბეზე ამოძუძულდა სახლის პატრონის ფლავი ნაგაზი, გამოვიდა სცენაზე, შიიარა, შიიარა, ცეცხლის პირას დასუნა, ცივ ჭადს პირი დასტაცა და არხეინად, დარბაისლურად, ვითომცდა აქ არაფერი-აო, პატროსნად ჩაბრძანდა ძირს...

ხალხში სიცილი ატყდა, მაგრამ გაისმა ხმები — „სინიჟე“ — და ისევ სულ-განაბული უგლებდნენ ყურს პიესის მსვლელობას. ალბათ ეგონათ, ასე წერია პიესაშიო. გოგიამ აიწია წარბებ-დანრდილული სახე და გულგამკშირავად წაიდუღუნა: — შეგარგოს, მურია, ღმერთმა... შენი მეგობარი წავია ქე მოვიკლეს და აწი რაი, რა?..

მაგრამ ყველაზე საშინელები ფინალი იყო. როგორც ვაცით, გოგია თავს იკლავს თოფით, თოფს ყოველთვის სცენარეუს დაცლიდა ეხოში, ამ დროს კი გოგიას გაუტყენელი თოფი უნდა მიეხვინა გულში და ჩაბმავი გამოეკრა.

აღვა საწყალი გოგია, მიიღვა თოფის ტყვიანი გულზე მაგრამ, მხედ არ მომიკლეს სცენარეუს ჩუმიც არ ისისს... დიდხანს უჩნაკუნა გოგიამ ჩახმაზი, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა... მაშინ სასოწარკვეთილმა დაიბლაგვა დასაკლავი ხარევით:

— შენც ჩემი მოღალატე ხარ, არა? კარგია, კარგი, მარა არც ასე იქნება საქმე...

მივარდა კედელს, ჩამოხსნა ხანჯალი, ჩაიბა გულში, დაეცა იატაკზე და დაიწყო ფეხებს ფხარკალი.

ამ დროს სცენის გარეთ, დაიქუხა, მარა რა დაიქუხა! გვეგონებოდა, დინამიტო დაცალეს მორეკში ანდა ღალუმი ააფეთქესო.

ასე მოკვდა გოგია უიშვილი დინამიტოს სცენაზე.

ჩვენში, დინამიტოში, ხანჯალი ხმას უშვებდა მაშინ. დიდი შეღავათი მოგვცა მონტაჟმა. მერე სხვებმაც მისდიეს ჩვენს კვალს და ბარე სამი კლასიკური მონტაჟი გაკეთდა. იქ, რასაკვირველია, ხანჯლები არ გავარდნილა, მაგრამ, ჩემო ირაკლი, არც თოფები და რევოლვერები უშვებდნენ, მაინცდამაინც, სასიამოვნო ხმას. ზოგი მათგანი არც კი გავარდნილა სრულიად. მაგრამ ეს მე არ მეხება! მე მხოლოდ მოვიგონე ერთი პატარა ეპიზოდი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან...

● პირადად მე, ვერ ვარ კარგად მოწყობილი. ჩემი პირადი ცხოვრება, ოჯახური მღვთმარეობა ცუდად მიდის.

ჩვენი ოჯახი 18 სულისაგან იყო შემდგარი.

ახლა კი

მიმოიფანტა ჩემს გარშემო

წრე ახლობელთა...

ბევრი მოკვდა. მიიცვალა. აღარ არიან ამ ქვეყნად და მათ საფლავებზე ახლა ბალახი დელავს, წვიმა და თოვლი დადის. ახლა მიწა ჭამს მათ საყვარელ ძელებს და ვეღარ ვისმენ მათ ტკბილ ზღაპრებს, მათ აღურსიან სიტყვას. ნაჯახით გამოთლილი ხომ არა ვარ, ძლიერ მაწუხებს, რომ 2, 3, 5 თუნდ 10 წლის განმავლობაში იმ საფლავებს კიდევ მიემატება ორი, სამი და მეტი საყვარელი და დაუვიწყარი საფლავი და... მე სად წაყიდე მაშინ! რა უნდა გავაკეთო მაშინ უამათოდ! რა ფასი ექნება სიცოცხლეს! რასაკვირველია — კანონია, წესია, მაგრამ ასეთ კანონ-წესს ვერ ვურიგდები. ვიცი, რაც უნდა გამიჭირდეს, რაც უნდა ხასო წარმეკეთოს, არ ვიტყვი:

„მე მართლ ვარ ქვეყანაზე, არავინ თავს არ იწუხებს ჩემთვის. ყველანი ვინც ჩემ თვალწინ ბედნიერებას აღწევენ, ან ურცხვი ადამიანები არიან, არ კიდევ უკულონი, მე მათ არ ვგე-ვარ. მათ მე ვპულვარ ჩემი გულკეთილობისათვის. აჰ, ჩქარა მე მოგეკედები ან შიმშილით, კიდევ იმით შეწუხებუ-ლი, რომ ადამიანები ასეთი ხასტიკი არიან“.

არა, ირაკლი! ჯერ კიდევ ბევრი მყავს ნათესავი — გულშემატკეპარი, ამხანაგი — ერთგული, მეგობარი — საყვარელი. ჯერჯერობით დიდად არ დავნაგრულვარ პირად ცხოვრებაში, მაგრამ მე ძლიერ პატარა კაცი ვარ და მცირეოღენი მაწუხებს. სულ პატარა რაიმე გამომიყვანს წონასწორობიდან. არ მინდა სიკვდილი!

ის კი არა და, 900 წელი მინდა ვიცოცხლო. ფოველ ას წელში — თითო ცოლი მყავდეს. 90 შვილი მეყოლება. 300 შვილიშვილი და 1000 ბაღიში. 900 წლის მანძილზე 1800-ჯერ გავახალგაზრდავდები, 2000-ჯერ შევიკე-რავ თეთრ ჩოხას და თითო წელიწადში თითო ძირ ხეს დავრგავ. 900 წლის მანძილზე იცი, ირაკლი, რამდენ ასეთ წერილს მოგწერ?

მაგრამ, საკითხავია, შენ იქნები მაშინ? ან გინდა ამდენ ხანს სიცო-

ცხდე? ა, გინდა? რად განწუხდი? ვა-ტყობ, რომ გინდა, შე უშმაკო, შენა!

საერთოდ ყველაფერი ეს ზემოთქ-მული ლიტერატურაშია. მე ცხოვ-რებას უფრო წიგნებით ვეცნობ და ყველაფერი ამის ბოლოა. ეს არაფერ-ით 900 წელს ოა მოგანსენო და ერთი 50 წელიწადს რომ გამოიმეტე-ბდეს ჩემთვის ვინმე, კარგს იხამს ანდა ახლა პატარა ბავშვი ვიყო, თი ისეთი პატარა, აი... აგურ რომ ხელში ფეხსაცმელი მიჭირავს. ესაა ჩემი პი-რველი ფეხსაცმელი. ვენაცვალე დე-დაჩემს... არ დაუკარგავს. ეს ფეხსაც-მელი ახლა 33 წლისაა და იგი მცმია მაშინ, როცა მე 7-8 თვის ვიყავი. უბ-რალო შემისაა იგი და სირმებიანი. ფეხის ჭვინტი გამოხვრეტია. თურმე ცალ ფეხს სულ მოუხვეწრად ვუსვა-მდი ყველაფერს და ნათავარივითაა გამოხვრეტლი.

ვიღებ და ვკოცნი მოწინებით იმ ად-გილზე. იქ ხომ ერთ დროს ჩემი პაწაწ-კინტელა ფეხის ცერი იყო გაჩრილი.

აი, ასეთი ბავშვობა შენატრება ახლა მე... ვიქნებოდი დედის კალთა-ში, მანებივრებდნენ, მეფერებოდნენ და მეც გავიზრდებოდი ვანცხრომით.

ამაღამ დანელიას მოხსენებაა პუ-შკინზე, მონაწილეობენ ქუთაისის მწე-რლები, კრიტიკოსები, არტიტები.

მეც პირი მაგრად დავიბანე, შარვა-ლი დავიუთოვე და პალსტუკიც გავიკე-თე (გუშინწინ შესრულდა ერთი წელი, რაც პალსტუკი გავიკეთე პირველად).

სალამო 8 საათზე იქნება და მანა-მდის ვწერ ამ სტრატეიებს. ჩემგან მე-4 თთახში ვიღაც ვიყო დაღვა, პატე-ფონი მოუტანია და აყვირებს უმოწ-ყალოდ. კედლებს ზანზარი გააქვს, ჭერიდან კირი და ალიზი მოცვივა. მა-გრამ შეჩვეული ვარ და ვერაფერს და-მაკლებს. მე უფრო მეშინია პუშკინის საღამოზე დასწრების. მოხსენებები ალბათ შარავრძელივით გაჭიანურ-დება და დავიტანჯებით. შემდეგ თუ-რმე კონცერტიც იქნება და უთოოდ

გამოვა მომღერალი ნაჭყებია-ინგურელი (არის ასეთი „მოსიმღერე“, პროვინციებში დაღის და აოცებს ყველას თავისი რიყით ხმით). ჩვენი ძველი თეატრის კედლები და ჭერი ისედაც შელანძღულია და მეშინია, ვაი თუ თავზე ჩამოგვეწვრეს ნაჭყებია სიმღერისას. ღმერთო, შენ მიშველე! ყოველ შემთხვევაში, თუ გადავრჩი, როცა დავბრუნდები საღამოდან, მუშინ მოვწერ. ეს იქნება უთუოდ ღამის 4 საათზე, რადგან, ვიცა, მანამდის ვაგრძელებდა „ხეიმი“. აქ წუხელ მოთოვა კარვა ღამაზად. არავინ მოელოდა. მოთოვა, მაგრამ დღეს ისე გაქრა და მზემაც გამოიჭყიტა. ხვალ კარგი ამინდი იქნება.

საღამოზე წასვლამდის წავალ რედაქციაში. სტამბაში ბიჭებს ვნახავ და ერთად გავისეირნებ თეატრისაკენ. ახლა კი აქ უნდა შეგნერდე. აი, მივდივარ კიდევ! (ეს უკანასკნელი ფრაზა კიჭა თარხნიშვილიდან ვისწავლე). დაბრუნებისას მოვწერ შთაბეჭდილებებს, თუ როგორ ჩატარდება საღამო, თუ როგორ მოხსენებებსა და ლექსებს... მაგრამ მივდივარ, მივდივარ...

ღამის ორ საათზე დავბრუნდი თეატრიდან.

წამოვედით ერთად: ბარშენი, იროდიონ ხანთაძე, მე, მორიგი პროგრამის ვაგრძელება „გრანდოტელის“ სასადილოში გვინდოდა, მაგრამ დაკეტილი დაკვხვდა. ხვალისათვის გადავღვეით. ხვალ ცოტას „წავიხემსებთ“, მოვიგონებთ ძმაბიჭებს, მეგობრებს და მათ შორის შენს სადღეგრძელოსაც დავლევთ.

საღამო ძალიან კარგად ჩატარდა. დანუღიას მოხსენება კარგი იყო, თუმცა ახალს არაფერს შეიცავდა პუშკინის შესახებ. ყველაფერი ეს ათასჯერ დაიწერა ბელინსკიდან მოყოლებული სიმონ ჩიქოვანამდის.

იყო ორი სამი მცირე კურიოზი, მა-

გრამ მათ შესახებ თან არ მოგვწერ. ეს წერილი ამაღამ უნდა ვათავლეს და აუცილებლად ხვალ გამოიგზავნება, თუ რაიმე მიზეზმა ხელი არ შეუშალა. ახლა კი გვიანაა და უნდა დავასრულო თუქცა ვერ ვკლებუ და არ მინდა კიდევს ვაუღებ. როგორც უნდა, წერილი ხვალ გამოიგზავნება, ალბათ შენ მითვალთმად, როცა უკვე მარტოსთვის იქნება, ახალი გზაზღოვლი

იყავი კარგად და შედგრადა. განმეორებით მოიკითხე, როცა შეხვედ ბორის ჩხეიძე, გვიო გაჩენილად, ნ. ჩანავა, გრიშა აბაშიძე და მრავალი სხვა.

აქაური ბიჭებიც განმეორებითვე საღამოს ვიძღვნიან სულითა და გულით — შენ და მაქაურ მეგობრებს. იმედია, როგორც იციან ასეთ დროს, წერილს გამოიგზავნი, მაგრამ, თუ ძმა ხარ, ნუ გადამიხიდი და ასეთ ვაიუშველებელს ნუ დაწერ, თორემ შეუძილობა არ მჭირს ჯერ. ჯერჯერობით, საყოფადაც მძინავს და ჯანზედაც კარგად ვარ.

მსოფლიო სეულამ ვერ პოვა ჩემში ნიადაგი და ამიტომაც ფესვები ვერ ვაიღვამ მტკიცედ. ხანდახან „მეწვევა სეულა დამწველი“, მაგრამ ეს პირადულია და შინაური. დედას ვუტირებ. ის ვერ მომერევა!

ეს წერილი პუშკინის საღამოთი დაიწყო და პუშკინისვე საღამოთი დამთავრდა. ღამის სამი საათია. ქალაქი ჩვეულებრივ ჩაიძირა მყუდროებაში. ახლა შუა ქუჩაზე კაცი რომ დაკლა, მშველელიც არ გამოუჩნდება. არის მხოლოდ ცარიელი ასფალტი, ქრის თებერვლის ზენაქარი, არხევს ხის ტოტებს ბულვარში და ციმციმებენ ელნათურები.

— მართლაც რომ აზირებული კაცი ხარ, ავიაშვილო, იტყვი. ჩემო ირაკლი, და დაუმატებ: — რა გითქვამს, რა მოვიჩინახავს, რა წიგნი მოგიწერიაო.

ნახვამდის მკორე წერილამდის — შენი ძმა ნიკა ავიაშვილი.

ქუთაისი, 1937 წელი
თებერვლის 15-28, დროგამოშვებით დამაძე.

ბილიკები

„გველის მჭამელი“ (პრელუდია და კადენცია)

არ ვიცი, როგორ შევათავსო ერთ-მანეთთან ვაჟას „გველის მჭამელის“ დასაწყისი სტროფი და მისი გენიალური ფინალური სტროფები. ორივე ხომ ერთი გენიოსის ხელიდანაა გამოსული.

„ხასტუმროს იყენენ ხევეზრნი,
ლუდი ეღულა წიქასა,
ისხდნენ ბანზე და ღრეობდნენ,
თასებით სვამდნენ იმასა“.

ასე იწყება პოემა. ეს ხომ ჩვეულებრივი მოღვესის ნახელავსა ჰგავს. ხოლო „წიქასა“-სთან გართიმული „იმასა“ როგორ მკვანხედ ზვდება ყურს.

ახლა კი დავაკვირდეთ პოემის ფინალს. იგი მსოფლიო დონის ოსტატის ნახელავია, მაგრამ მას ქართველზე უკეთ ვერავინ გაიგებს:

„ამოიწვავდა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა...
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა,
მოვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დააშტერდა თავის-მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავეც მიშოდოდა
უდარდო, ნელის მღერითა...
ფრთა გაკერის წვერზეა ზმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შეღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვერითა
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვერითა.“

აქ ყრუანტელის მომგვრელია ყოველი სიტყვა თუ სიტყვათა წყვილები: „ამოიწვავდა ქარქაშით“, „გადმოუვიდა ჩქერითა“, „საჯიხვეების სერითა“, „მო-

ზარე ქალის ფერითა“, „ფრთა გაკერის“, „შეღებილს ჭიაფერადა“, „და გათამაშდის მწვანეზე“ და სხვ. მინდას თვითმკვლელობის სცენა ღამით უკიდურესი ტრაგიზმითაა აღწერილი. საჯიხვეების სერით მოვარის გადმოხედვამ, თითქოს ერთბაშად სიკვდილის ფერი დაადო მთელს გარემოს. მოვარეა მინდას ერთადერთი მოზარე და ღამტირებელი. მაგრამ ბუნება, როგორც ერთიანი და ურყევი, თითქოს გულგრილია მინდას თვითმკვლელობის მიმართ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბუნებამ თავის ყოვლისმომცველ, ზეიად კალთებში ჩაიხუტა ერთი მისი ნაშობი და ნაზარდი შეილოთავანი. სიკვდილიც ისეთივე ბუნებრივი აქტია, როგორც დაბადება. მართლაც, იმ დროს, როცა მოვარე მოზარე ქალის ფერით დასცქერის მინდას, ნიავე მიშოდის უდარდოდ, ნელის მღერითა, ხოლო, როცა თვითმკვლელობის აქტი აღსრულდა, ნიავე „გათამაშდის მწვანეზე, ლაღად, მოლხენით, სტვერით“.

კადენცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მოვარდება მინდას თვითაღსრულებით. მეორე — „ნიავის“ (ბუნების) „საქციელის“ აღწერით ამ აქტის შემდეგ. რა არის მისთვის მინდას თვითმკვლელობა — ერთი ატომარული ფაქტი. რამდენი ასეთი სცენა უნახავს. „გათამაშდის“, წავიდა და კვლავაც უამრავ ასეთ ფაქტს იხილავს. მინდაა აღარ არის, მაგრამ ცხოვრება, სიცოცხლე გრძელდება. ბუნება აგრძელებს თავის დიდ საქმეს, აღსაუხეს ბრძოლით, აღმაფრენით, ტრაგიზმით, ვინაიდან „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მოხრეულია ზვავისა“. დაიღუპა კაცი, რომელიც ბუნებას შეეჭიდა. ბუნება კი მასთან შეჭიდებას იოლად არავის აპატიებს, მაგრამ მორკინალ გმირს ძეგლს უდგამს

დიდი მოაზროვნე და პოეტი იმ მშვენიერი პოლიფონიური ხმინაობით, რომლითაც ბრწყინავს პოემის ფინალი. ბუნებასთან შეჭიდებული მინდია ზვიადი გარემოს ფონზე უშურველად აბარებს თავის ჭიაფერ სისხლს დამბადებელ ბუნებას, თვითმკვლელობით აღიარებს თავის დამარცხებას, ვინაიდან მან გაბედა და ჩაიხედა იმ საიდუმლოებაში, რომელსაც ბუნება არავის ანდობს მოკვდავთაგან, დიდი მსხვერპლი ფასდასაცო.

ბუნებასთან შეჭიდებულის დამარცხება სწორედ რომ ღირსია ღრმა გააზრებისა, ამან ამოზიდა ვაჟას დიდი პოეტური სულიდან მთელი ეს პოემაც და მისი სულისშემძვრელი კადენცია.

მაკიაველიძე

1. „სიქველე აღმართავს იარაღს სისასტიკის წინააღმდეგ და ხანმოკლე იქნება შეტაკება, რადგან ძველი მხნეობა ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა იტალიელთა გულში“. პეტრარკას ამ კანონით ამთავრებს ნ. მაკიაველი თავის „მოთავარს“. მინდა, ამის წაბამებით ვთქვა ჩემი ბედკრული საქართველოს შესახებ: ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც აღმართავს თავის ნების ძალას სიქველე იმ უკანონობის, განუკითხაობის, ეროვნული დაბეჩავების, ხალხის გაბოჯავილების წინააღმდეგ, დღეს რომ საქართველოში თარეშობს. არ მგონია, სულ ჩამკვდარიყოს ქართული სულის მხნეობა. არსებობს ქვეყნად რაღაც ფარული კანონზომიერება, რომელიც თავის გზას მოძებნის, ოღონდ მცდელობა ხანმოკლე არ იქნება, ვინაიდან დრო სჭირდება დაბეჩავებული სულის აღორძინებას. აბა, რას მივაწერო, რომ ვრი თუ ბერი, რაღაც მისტიკური მოთმინებით იტანს ათასგვარ სოციალურ უკუღმართობას, რომელთაც ესოდენ ფართოდ ამხილებენ, მაგრამ, ამჟამად, თითქოს არაფერი ხდება განსაკუთრებული. ნუთუ, დიდხანს შესძლებს თავის გატანას ტყუილი, ბლეფი, დემაგოგია.

2. „რაკიდა დაუშვებელია ჩვენი თავისუფალი ნების უგულვებელყოფა, მე მზად ვარ, ჭეშმარიტად ვაღიარო იმის

შესაძლებლობა, რომ ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მოქმედების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მილიანად თუ არა, ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენი გვანდობს“, — წერს სოლომონ მაკიაველი და მოაქვს მაგალითი: ადიღებელი მდინარე, რომელაც ეთიოპიელის ენაზე იტყობენ (ე. თ. ბედისწერა), მუდამ სამოსი იქნება, მაგრამ თუ მუქდროების ვაჟს ადამიანებმა დაუბნო მწყაერად, გაშხალს, ჯებირს, ნგრევას, ვაკეცდესო. ბედს თავის მალმოსილებაზე ავლენს იქ, სადაც არავის უზრუნია იმაზე, რომ საპირისპირო ძალა დაეხვედრებასა მისთვის.

რა თქმა უნდა, ძნელია ეკამათო ისეთი გონებრივი ძალის კაცს, როგორიც მაკიაველია, მაგრამ, მიმანია, აქ მისი არგუმენტი არაღამაჯერებელია ფატალისტისათვის. საქმე ისაა, რომ ავაგებთ თუ არა კაშხლებსა და ჯებირებს, ადიღებული მდინარის დამანგრეველ ძალას რომ გადავურჩეთ, ესეც ბედისწერის საკითხია. ააგე? ბედისწერა იყო და იმითურ. არ ააგე? ესეც ბედისწერაა. ბედისწერა არ არის მარტო თავს დამტყვდარი უბედურება, არამედ ესაა ჩვენი მოქმედებაც მის ასაცილებლად. ბედია არა მარტო მოქმედება, არამედ უმოქმედობაც. ვიმოქმედეთ და გადავრჩით. გვეგონია, რომ ბედისწერას დაუპირისპირდით. არა. ამით ბედისწერა აღვასრულეთ. ისიც ხომ ხდება, რომ ერთობ აქტიურად ვიმოქმედებთ, მაგრამ სადღაც შეცდომას დავუშვებთ. ესეც ბედია. აღამიანის პახუსისმგებლობის საკითხი ნების თავისუფლების აღიარებას ემყარება. სახელმწიფოსა და სამართლისათვის ეს უფრო იოლია, მარტივი გამოსავალია. ალბათ, არც არის სხვა გამოსავალი ელემენტარული წესრიგის დასამყარებლად.

ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენ მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც უნდა (ან შეიძლება) გავკეთოთ. ზოგჯერ უამრავი ვარიანტიდან ერთს ვირჩევთ, იმას, რომელიც ჩვენი ხედვრია და, რომ ეს ასეა, ეს მულავენდება მისი ხლომილების შემდეგ.

„რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი“ (რუსთაველი).

შუბერტი

სადღაც წამიკითხავს, შუბერტის მთელი ქონება მისი გარდაცვალების შემდეგ 63 ფლორინად შეფასდაო. შუბერტს რომ ქონების დაგროვებაზე ეფიქრა, როდისღა შექმნიდა შედეგებს. რად უნდოდა მას მატერიალური ქონება, როცა იგი მისი 31 წლიანი სიცოცხლის მანძილზე ღვთიური სიმღერის სამყაროში ფრინავდა. მისი სულ ასე აღრე მისწვდა და ეზიარა მარადიულ სილამაზეს. მისი არსება აბსოლუტურად ამ სილამაზით იყო შეპყრობილი და მონუსხული. მთლიანად ამ სამყაროში კონცენტრირებული მისი სული, ამა სოფლის ამოუებათა წვრილმანებს ვერ ეგუებოდა, ამისათვის ვერ იცლიდა.

ეს ჩემთვის გასაგებია და კანონზომიერადაც ვთვლი. რამდენი ასეთი შემთხვევა. ფაქტი იცავს კულტურის ისტორიამ, როცა უდიდესი შემოქმედნი სილამაზესა და სილამაზობაში ცხოვრობდნენ და აღესრულნენ. მე უფრო ის მაკვირვებს, როგორ ახერხებდა ზოგი გამოჩინების დიდი მოახროფე. ერთმანეთთან შეეთავსებია ღვთიურ სამყაროში ყოფნა, დიდ ამსოფლიურ კარიერასთან და არისტოკრატიულ კომფორტთან.

შორში და მერში

„მე გადავიკითხე ყველა ჩვენი სწავლული, რათა მათში შეპოვა ნუგეში იმ ეჭვების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მაშფოთებდა, მაგრამ ამით მხოლოდ გავადიდე ეს ეჭვები“ (პრ. მერიმე „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“). ამ სიტყვებით მიმართავს რომანის ერთი გმირი უორეი თავის ძმას - მერსს. პირველი დაბადებით პროტესტანტი, პუგენოტია, მაგრამ კათოლიკობაზე გადასული (თუმცა არცერთი არ სწამს), მერორე ღრმადმორწმუნე პუგენოტია.

თვით ზემოთმოტანილი ამონაწერბტიბური სექტაციოსის, გნებავთ, ნიპილისტის სულის გამოძახილია. მე მას ვეთანხმები. ვერსად, ვერავისთან ვერ იპოვნით ისეთ დოქსას, რომელიც საბოლოოდ გაგვიფანტავს ეჭვებს და დაგვიშვიდებს აფორიაქებულ სულს. იგივე

იქმის მერიმეს ამ რომანზეც, რომელიც აწვევებს მე-16 საუკუნის საფრანგეთში კათოლიკებისა და პუგენოტების ფანატურბრძოლის საშინელებებს, ბრძოლისა, რომელმაც ერთი ღვიძლი ძმ უორეი, ვიორის მერსის მსხვერპლი გახდა. ეს წიგნი სამოქალაქო ომის წინააღმდეგ მიმართული აღზრდილებული პრიტეცია - „სამოქალაქო ომი ყოლბე ქირზე უფრო ძნელი წერია“ - გია, რაიედ ღიის თ თლქორმელმაც შეუძლია ძმა ძმას წაჰკილოს? რისთვის, რას იხვევს იმაზე უკეთესს ვრა თუ კაცობრიობა ასეთი მტრობისას, ვიდრე ძმური სიყვარულია. მითუმეტეს, რაოდენ დასავმობია ყოველი რელიგიური მოძღვრება, რომელიც ძმათა სისხლისღვრას იტანს, ეგუება, ამართლებს.

ამ წიგნის კითხვა უნებლიედ გახსენებს საქართველოს ბოლო წლების ტრაგედიას - სამოქალაქო ომს, ძმათა ხოცვას, რბევა-დაწიოებას. ამ ტრაგედიის მოკვეა კვალდაკვალ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლები, რომელმაც ვერა და ვერ შეძლო ევრის გამთლიანება, შერიგება, ვინაიდან საშინელია ხსოვნა ძმის მიერ ძმის დაღვრილი სისხლისა. იგი ასე ადვილად არ განიბანება, მას ასე ადვილად ვერ კურნავს დრო. „ფრანგი იყო ის, რომელმაც დაუმიზნა და ისროლა და ისინიც, რომელნიც ამ ჭურვმა დახოცა, აგრეთვე ფრანგები იყვნენ. კიდევ არაფერია, თუ კაცს ნახევარი ძილის მანძილზე ჰკლავ, მაგრამ, ბატონო დე მერეი, რა ძნელია, როდესაც უნდა მახვილი ნასცე იმ კაცს, რომელიც თქვენსავე ენაზე გვევდრებათ, ნუ მომკლავთო!..“ (პ.მერიმე).

იმ საშინელი ტრაგედიის შედეგები კიდევ დიდხანს გაჰყვება საქართველოს საერო და სასულიერო ცხოვრებას.

პრ. მერიმემ საფრანგეთის იმ ტრაგედიის ისტორია ორასი წლის შემდეგ აღწერა. საქართველოსაც გამოუჩნდება იან თავისი პროსპერ მერიმეები, რომლებიც აღწერენ ქართველთა ეთიორიისა და დაცემის ამბავს 1988 წლიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდე და შემდეგაც. სამოქალაქო ომის სისხლით დაღდასმული და დამძიმებული ჩვენი დღევანდელი ცხოვრება კვლავაც

უპერსპექტივო და უსასოაო, ვინაიდან ამ სისხლისღვრის შემდეგ გაბატონდა უზნეობა, ფარისევლობა, ძალადობის მგლური სული. სათნოებანი გაუწინარდნენ. ჩვეულებრივ ამბად იქცა მრწამსის, იდეის, მსოფლმხედველობის ღალატი. მოუხსმინოთ ისევ პრ. მერიმეს: „იმ კაცს, რომელმაც უარყო თავისი სარწმუნოება (წაიკითხე — მრწამსი, იდეა, კ. გ.), უფლება აღარ აქვს ილაპარაკოს თავის პარტიონებზე. ვინაიდან არავინ ამას არ დაიჯერებს“.

— ე. ნეტავ როდის შევძლებ, დავტოვო ამ კაცისმკვლელების და ყაჩაღების ქვეყანა?! - წამოიძახა ყორემა. - მე ვირჩევდი გარეულ ცხოველთა შორის მეცხოვრა, ვიდრე ფრანგებს შორის“...

კახა თუნუქის გახურებულ სახურავზე

ღიას, ადამიანები ვსხედვართ თუნუქის გახურებულ სახურავზე (ტენესი უილიამსი), ზოგი უძლებს, იტანჯება და უძლებს, ზოგი ეგუება და უძლებს, ზოგიც კედარ უძლებს და გადმოხტება სახურავიდან.

თუნუქის გახურებული სახურავი ტყუილის, ფარისევლობის, სიყალბის გარემოცვაა, რომელშიც ყოველი კაცი თავისებურად ცხოვრობს, ან არ ცხოვრობს. რომელია გამარჯვება — გაძლება თუ გადმოხტომა? ვინ არის ამის გამკითხავი და პასუხის კატეგორიულად გამცემი, ვის შეუძლია გავიღეს ჩვეულებისამებრ აღიარებული სიკეთისა და ბოროტების სახლვრებს მიღმა და ისე განსაჯოს. ვინ უფრო მართალია, ის, ვინც წარმატებით ეხეთქება აქეთიკით ამოუებათა ზღვაში, თუ, ვინც შეიგნო ამოუება ყოფნისა და უარყო იგი?

ტენესი უილიამსის ამ ცნობილი პიესის აზრი იშლება მამისა და შვილის (ბრიკის) დიალოგში (მეორე მოქმედება). დანარჩენი — გარსია, ფონია. ვისი ფილოსოფია იმარჯვებს, მამის (სიცოცხლის სიყვარულის) თუ შვილის (სიცოცხლის უარყოფის). აღბად, პირველის. მამის სიტყვებია: „ბლეფით ვცხოვრობდი, გარშემო სულ სიყალბე იყო!.. შენ რატომ არ შევიძლია ასე იცხოვრო?“

სხვა არიფერი არ არის და რით იცხოვრებ?“, მაშ, „სხვა არაფერი არ არის“, ღმერთი უარყოფილია, ახლა შვილს (ბრიკს) მოუხსმინოთ: „სიცრუეა სისტემა მთელი ჩვენი ცხოვრებისა და გამოს ახალი ვასეთი მხირობა, ან — შევედილო... ვითომ?“

არა, ადამიანები არჩევს ისევ სიცრუეში იცხოვროს და წარბილდგინოს, ვითომ რომაცა აკეთებენ, ვინაიდან „სიცოცხლე ტკიბილია“, „სული მწარეა“. „ადამიანები მარადიულ სიცოცხლეზე ოცნებობენ... ოღონდ, უმრავლესობას დედამიწაზე სურს ასეთი ცხოვრება და არა ზეცაში“.

არის საშველი, გამოსავალი?

ენის სიყვარული

საქართველოში ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ჩამოსულმა გერმანელმა ბიზანტოლოგმა, მიშელ ვაესბროკმა ბრძანა: „არ არსებობს განსხვავება შემეცნებასა და ლოცვას შორის. ენის სიყვარული უკვე ლოცვაა“.

რა დიდებულია — ენის სიყვარული ლოცვა! ენაში ცხადდება ღმერთი. ენა ღმერთივით სალოცავია, ღმერთივით დიდი საიდუმლოებით მიცული. ყოველცისმარე მით ვხარგებლობთ და მისი საიდუმლოებებისა კი არა გაგვეგება რა. თანაც, ზოგჯერ უდიერად ვექცევით მას.

ენას, ღმერთის — ღარად, მოწინაებით მოპყრობა უნდა.

მოკასანის „წუთისოვლის“ კითხვისას

ეს არის სევდა მყუდრო წარსულის გამო, რომელსაც ამსხვრევს ახალი დრო ძლიერი ადამიანის (და არა სენტიმენტალურად მგრძნობიარე) აპოლოგიით — უნდა იყო მგელი და მგელზე უფრო მგელი.

ახალი დროების ერთ-ერთი სიმბოლოა მატარებელი. მატარებელში პირველად ჩამჯდარი — უანა გაყვრებდა მიმდევრებს, ხეებს, ფერმებს, სოფლებს და ასეთი სისწრაფით (NB. კ.ბ.) გაოცებულნი, გრძნობდა რომ ჩაიჭირა (NB) ახალმა ცხოვრებამ და გაიტაცა ახალ სამ-

ყაროში (NB), რომელიც არ ჰგავდა (NB) მისი ყრმობის მშვიდ (NB) სამყაროს, ერთფეროვან ცხოვრებას".

წუთისოფლის ორომტრიალის მოწესრიგება ადამიანთა ძალღონეს აღმატება, მაგრამ ამ ორომტრიალის ობიექტიც და სუბიექტიც, განა, თვით ადამიანი არ არის? ვის აბრალებ, ადამიანო, რომ წუთისოფელი ასეა მოწყობილი, მაგრამ „იგი არც ისე კარგია და, არც ისე ცუდი, როგორც ჰგონიათ“ (ამ სიტყვებით მთავრდება რომანი). მახსენდება გოეთეს „შენუდი, წამო...“, დიახ, დიახ, ასე! არის საშინელებანი, ტანჯვა და ვაება, არის გაციკროვნების, აღმაფრენის წამები (წუთები, საათები, დღეები).

იშვიათია ისეთი საშინელი და ამბზრზენი ამბავი, ვიდრე სოფელში ახალმოუღწილი მღვდლის მიერ შშობიარე ძალღის წიხლებით გასრესაა. მოპასანი წინააღმდეგვია ბუნებრივი აუცილებლობის დათრგუნვისა. ამავ სოფლის წინა მღვდელი კი როგორ აშოშმინებს ბარონ ლე პერტუა დე ვოს ოჯახში დატრიალებულ დრამას, როცა ცნობილი გახდა, რომ მის ქალიშვილს ქმარი დალატობს: „ყური მიგდეთ, ბატონო ბარონო, ჩვენ შორის დარჩეს და ისიც ისე მოიქცა, როგორც ყველა იქცევა. ბევრს იცნობთ ცოლის ერთგულ ქმარს? სანადლეოს ვლებ, თავის დროზე თქვენც არ დაგიკლიათ ხელი ამგვარი ოინებისათვის“.

მღვდელი მართალი იყო. ეს იგრძნობარონმა (რომელიც თავის დროზე და-

ლატობდა ცოლს), იგრძნობარონის შეულუღმაც, რომლისთვისაც სამიჯნურო თავგადასავლები არსებობის განუყოფელი ნაწილი იყო.

ჰქ გასახსენებლად ზედგამოჭრილია ალბერ კამპუს „ლაკეზა“. მონაჩი მხაველია კონცეფცია.

მა არის ბარონის ქალიშვილის აქანას ტრაველიის მიზანი? არა ამდენად რეალიზა, რამდენადაც ამ რეალიზის მისეული შედეგად და რა აცვავაში რობებს მისი უმწიკლო, ფაქიზი სული.

ერთი დეტალიც: აჟანა თავის თავსა და ქმარს შორის რაღაც რიდეს, ზღუდეს გრძნობდა და პირველად დარწმუნდა, რომ ორი ადამიანი ვერასოდეს ვერ შეიჭრება ერთიმეორის სულში, ერთმანეთის იღუშალ ფიქრებში, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით იარონ, ზოგჯერ მჭიდროდ ჩახვეულებმაც, მაგრამ ვერასოდეს შეერწყმიან ერთმანეთს და რომ თითოეული ჩვენგანის სულიერი არსება სამუდამოდ მარტორნება ცხოვრების მანძილზე“. ეს ის ქეშმარიტებაა, რომელსაც პოეტური ფრაზით ასე გამოხატავს ფ. ტოტჩევი: „Другому как понять тебя, поймет ли он, чем ты живешь?“, „მის ჯავახიშვილი კი ასე ფიქრობს: „ბრძენია ბუნება: ურთიერთის სულში ჩასახლება რომ შეეცდებოდა, ან ერთმანეთს დაეჭამდით, ან თავებს დაეხტაკავდით“ („გივი შადური“).

ისტორია საჯსეა მოაზროვნეთა ასეთი კონცეპტუალური ურთიერთშეხმიანებით.

მხატვრული კეთილშობილება



ვის არ იცის, რომ ადამიანები ერთმანეთს შორის ეკუთრებიან სიტყვით ანუ სიტყვით. ყველა ჩვენი ფიქრი თუ განცდა სიტყვით გამოიხატება. რომ ყველაფერი არსებული სიტყვის განუსაზღვრელსა და მშვენიერ სამყაროში აისახება, მის მიერაა სახელდებული. ჩვენი ცხოვრებაში არ არსებობს უბანი, სადაც სიტყვა არ შეფობდეს. მეფობს იგი ხელოვნებაშიც. მხატვრულ სიტყვადაა იგი წოდებული, რადგან აქ მისი დანიშნულება სახეობრივია. იგი სიტყვის ხელოვნების — შვერლის შეთხზულ ნაწარმოებს აცოცხლებს, აყარობს მსმენელს, აღვიძებს წარმოსახვის მიხედვით უნარს, ჩაითრევს შემოქმედების სამყაროში და ანიჭებს უჩვეულო სიამოვნებას, ესთეტიკურს რომ უწოდებენ.

ეს სიტყვები ცხოვრებისეულად ყოველი ჩვენგანისათვის ნაცნობია, ჩვეული უჩვეულოა მათი რიგი, ლიტერატურული ქსოვილი, რომელშიც შვერლის სათქმელი ბულობს. ვის არ განუცდია წიგნის ფურცლებით მოწოდებული ამ საოცარი სულის საზრდო — შვერლის სიტყვის — განსაკვირვებელი ძალა და ხიბლი! მით უფრო სევანაუ ახშიანებული ქართული სიტყვისა.

შენახვა ენისა და შენარჩუნება ეროვნული თვითმყოფადობისა — აი, ის უდიდესი მისია, რომელსაც აკისრებდნენ ქართულ თეატრს მისი აღდგენისათვის მებრძოლი ილია და აკაკი და ეკისრება დღესაც. იხიანი ამას ვეულებს გასაგონად აცხადებდნენ —

აკაკი წერეთელი: „მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი, საიდანაც შეგვიძლია გავიგონოთ ჩვენი დედა-ენა, ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი, მბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც სიმღაბლით ღმერთის აღიღებდნენ ქეთევანები და მათი მხგავსები. ჩვენ ამ თეატრის წყალობით, შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დაეინახოთ აწმყო და წარმოვიადგინოთ მომავალი“ (გაზ. „დროება“, 1880. № 208).

„ქართული სიტყვის სწრაფი ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე ი. თორთქელიძის მიერ: „ხოლო იგი, თეატრი თა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი აღვილია, ხაცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა კრებული 10 ტომად. ტ. 10. 1961. გვ. 97).

სცენის ხელოვნება ცოცხლად ახშიანებული მხატვრული სიტყვის ხელოვნებაა. ახშიანებული მხატვრული სიტყვა მხატვრული კითხვის სახითაც არსებობდა ძველთაგან საქართველოში. მაშინაც, როდესაც პროფესიული დრამატული თეატრი ჯერ არ არსებობდა, მაშინაც როდესაც უკვე სხვადასხვა მიზეზით დროებით წყვეტდა არსებობას.

მხატვრული კითხვა, ანუ სხვათა მოსახსენად ახშიანებული მხატვრული სიტყვა, მსმენელს ვარაუდობს, ამიტომ თავისი ბუნებით გარკვეულად უკვე თავისებური ხანახაობაა.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების, განსაკუთრებით ლექსის, სხვათათვის მოსახსენად წაკითხვას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში უდიდესი ლიტერატურული ქმნილებებიც კი ხელნაწერი სახით მოიპოვებოდა, მაშინ გასაგები იქნება, თუ რას ნიშნავდა ერთი მწიგნობარის მიერ მისი ხმამაღლა წაკითხვა, სხვათა მოსახსენად, თუნდაც, ოჯახში. ხელნაწერი იშვიათობა იყო, განძი. მისი წაკითხვა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. შვერალი ბარბარე ჯორჯაძისა აღლელებით იხსენებს იმ წუთებს, როდესაც გაიხსნებოდა ზანდუხია და გამძელი ფარჩაში გახვეულ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანს“ ამოიღებდა, კალთაში ჩაიდებდა და ისე კითხულობდა ხმამაღლა.

განა იმავე „ვეფხისტყაოსანში“ არ ვკითხულობთ:

„შაირობა პირველადე ხიბრძინსაა ერთი დარგი,

ხალმრთო, ხალმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.

კვლა აქცა იამუბის, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,

გრძელი ხიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.“

რუსთაველი მოგვითითებს იმაზე, რომ შაირი ვასაგონია, მოსასმენი და რომ მოსმენა საამოა მსმენელთათვის.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რა მიუწერია ილია ჭავჭავაძეს კოლა ერისთავისათვის ნაწუქარ წიგნზე -

სხვისი ხიტყვა შენგან თქმული,

კუთდება და უფრო შენის -

უჭვი აღარ შეგვეპარება იმაში, რომ ნვენი დიდი წინაპრები, თვით შემქმნელნი პოეტური სიტყვისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხვათათვის მოსასმენად ახმინებულ მხატვრულ სიტყვას. მხატვრული კითხვის ცნობილი სპეციალისტი პროფესორი მალიკო მრეკლიშვილი თავის გამოკვლევაში „მხატვრული კითხვა“ კონკრეტულად ასახელებს ერთგულ მჭირის კარზე არსებულ ლექსითა მკითხველებს, ბატონიშვილებს: პარიამს, ქეთევანს, მანანას, თეკლას, მირიანს, ფარნაოზს, დავითს. დავით ხარდალს, დავით რექტორს, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილსა და სხვათა.

რატომ უსმენდნენ წამკითხველის მიერ ახმინებულ მხატვრულ ნაწარმოებს? სწორედ იმიტომ, რომ ის მხატვრული იყო. არა მხოლოდ გამართული, არამედ მშვენიერი ქართულით დაწერილი სიტყვათა წყობა, შერწყმით და განლაგებით სახეობრივ მეტყველი, ესთეტიკური ტკობის მოამბეებელი. მხატვრული კითხვის, როგორც სასცენო ხელოვნების ერთერთი სახეობის საწყისებიც აქ, სხვათა მოსასმენად გამართულ კითხვაში უნდა ვუჭებთ.

დროთა განმავლობაში იზრდებოდა მხატვრული ნაწარმოებების საჯაროდ წამკითხველთა რაოდენობა. ამავე დროს, ყოველდღობდა მხატვრული კითხვის თავისებური ტრადიციაც. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მხატვრული კითხვის კერას წარმოადგენდა დიდგვაროვანთა ოჯახების ლიტერატურული სალონები, ხადაც არა მარტო პოეტები (ვ. ორბელი-

ანი, ალ. ჭავჭავაძე, ვახტ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს, არამედ მხევებიც. უმთავრესად, თურმე, ქალუკი.

ამავე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ჯერ კიდევ ცოცხალია ტრადიცია ლექსით წაიღწრეთა კითხვისა, როდესაც მამან მხოლოდნენ - კვლავ ბრძოლითავე ლებრძვითა წესითა. ივულისხმება სტრიქონის ტყეშითა დაბოლოება, რჩევიცა.

მხატვრული კითხვის ოჯახური საღამოებში სულ უფრო ხშირია და სისტემატური. 1862 წლის ჟურნ. „ცისკარში“ (№2) ვკითხულობთ:

სხუა და სხუა ანბავი

ქუთაისით. ჩუენის ქალაქის საზოგადოება საკმაოთა გრძნობს საზოგადოდ ხარგებლობასა. ამ მოკლე დროში ისეთი შესანიშნავი შემთხვევა მოხდა, რომლისაცა ცნობა საჭიროა „ცისკრის“ მკითხველთათვის.

ჩუენმა გენერალ გუბერნატორმა დააწესა კანონად, რომ ყოველს შაბათობით შევიყარეთ იმის სახლში, სადაც შეგვიძლიან წავეკითხოთ სხუა და სხუა მწერლების თხულება. ამ სახლში ახლა, ყოველ შაბათობით შევიკრიბებით ხოლმე სამოციანობა ვიდრე სამოცდაათამდინ კაცი თუ ქალი. ყოველს შეკრებაზედ ემატებიან თვითო ოროლაინი, ასე რომ სწინა დიდა სურვილი და წარმატება ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში.

ეს, კვირაში ერთხელ წასაკითხავად შეკრება გენერალ გუბერნატორმა დააწესა უფრო გიმნაზიის მაღალის კლასის მოწაფეთათვის იმ ახრით, რომ წაახალისოს და გააცნოს უპირველესნი მწერალნი. უფრო იმ გვარს წიგნებსა კითხულობენ, რომელნიც შეეხებიან ხალმრთოს და ხეობას, ახლანდელის დროს მოთხოვნილებას და ისტორიას“.

დრომ თავისი მოიტანა და ლექსის შესრულებამ სასაუბრო ერთი წაკითხვისკენ აიღო გზი. პროზასაც კითხულობდნენ ოჯახებსა და ლიტერატურულ შეკრებასაღამოებზე. წამკითხველთა შორის იმატა მწერალთა რაოდენობამ. მათ შორის ორი გამოირჩეოდა - ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძე.

ქართულ სცენასთან ვაჟა-ფშაველას ამნაირი კავშირი საგანგებოდ იკვლიათეატრმცოდნე გივი ჯაოშვილმა და ძვირფას მასალას მოუყარა თავი თავის წერილში „ვაჟა-ფშაველა - პოეტი დეკლ-

მატორი". ირკვევა, რომ დიდი პოეტი უმთავრესად საკუთარ ლექსებს კითხულობდა. ყველაზე ხშირად „არწივს“ და ადგილებს „ბახტრიონიდან“, ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნიდანაც“. კითხულობდა შინაურ საღამოებზეც, სხვისა და საკუთარ საიუბილეო საღამოებზეც და ქართული თეატრის სპექტაკლების თანმხლებ დივერტისტმენტებზეც. იოსებ იმედაშვილმა დაავითოვა შესანიშნავი აღწერა იმისა, თუ როგორ სჩვეოდა ვაჟა-ფშაველას ლექსის წაკითხვა:

„შუა ტანზე უფრო მაღალი, წელში ამოტილი, სახე გამხდარი, უფრო ხმელი, ბოლო ხაზებში ციმბირის წყლულით ცაღითელატირებული, დინჯი, დარბაისელი... განსაკუთრებით ვაჟა იყო უბრალო, სადა, შეტისმეტად თავისებური, მაგრამ ამ სისხალევე გამოკითხვით მისი სიღიადე. ვაჟა რომ ლექსს კითხულობდა, მართო სიტყვები კი არ გესმოდა, არამედ გონების თვალთა წინაშე მთელი სურათები გეხატებოდათ. კითხვის დროს თვით ვაჟაც გარდაიქმნებოდა ხილმე. ჩვენს წინაშე უბრალო ადამიანის მაგიერ ძველებური ქურუში აღიმართებოდა. ლექსთა კითხვა თითქოს გაბრუნებული, საიდუმლოებით შთაგონებული იდუმალი ლოცვა“ (ი. იმედაშვილი. ჩემი ცხოვრების წიგნი. გვ. 209).

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ამავე ასპარეზზე. მოუხმობთ საბოუტის: 1870 წლის დეკემბერში გიორგი წერეთელს თავის ბინაზე ლიტერატურული საღამო გაუმართავს. ამ შეკრებას იმდენად ფართო ხასიათი ჰქონია, რომ მასპინძელს საზოგადოება საგანგებო ბარათებით მოუწვევია. სწორედ ამ საღამოს წაკითხვას ილია ჭავჭავაძეს თავისი „აკცია-ადამიანი?“ მრავალი წლის შემდეგ, იქ დასწრე ეკატერინე გაბაშვილმა გაიხსენა ეს წაკითხვა და ისიც, თუ როგორ მოხიბლა მწერალმა მსმენელები: „მე კი, ისედაც ექსტაზამდინ მიხული მისი თაყვანისმცემელი, ფანატის თაყვანისმცემელ მონად გადამაქცია“ (ეურნ. „განათლება“. 1908. №1).

1871 წელს ვახტანგ თულაშვილს განუზრახავს სალიტერატურო საღამოს მოწყობა და ილია ჭავჭავაძისთვის მასში მონაწილეობის მიღება უთხოვია. ამახთან დაკავშირებით ილია წერილით მმართველს დაეთქვა: „განათლება“ (ეურნ. „განათლება“ 1908. №1).

„დაწერილებით მოიწერე: 1. ვინ არიან მკითხველები? 2. შენც ურეკიხარ თუ არა. 3. შინაურული მოწყობილობა იქნება იმ საღამოს, თუ საგარეო (კრებ. ილია ჭავჭავაძის თეატრის შესახებ. გამომც. „ხელმოწება“. 1955 წ. გვ. 137).

დააკვირდეთ, რა სწორი იყო ეს აღიარება, სახამ ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობას დამსმენელს: ვინ არიან მკითხველები ანუ როგორ იქნება მონაწილეობა საღამოს მთლიანი სურათის დაკრებასთან დაკავშირებით? იმედაშვილიც იმედგამარჯობით თუ არა, რომ შეექმნოვინა მას, როგორც ნაწილი. ისიც სურს იცოდეს, შინაურული მოწყობილობა იქნება ამ საღამოს, თუ საგარეო ანუ დარბაზის მოცულობა და აუდიტორიის სიმრავლე. ორივე ეს მოთხოვნა პროფესიონალი მკითხველის მოთხოვნაა, რადგან რეპერტუარი სხვა მონაწილეთა და მსმენელთა აუდიტორიის თავისებურებებით გაიხსნება. თუ იმასაც გაეიხსენებთ, რას წერდა იგი სცენაზე მეტყველთა მიერ სწორი სუნთქვის კანონებზე, მათი დაუფლების აუცილებლობაზე, საესებით ნათელი გახდება, როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი მწერალი უზადო სცენურ სიტყვას. აი, ეს სტრიქონებიც:

„გრძელი სიტყვისა და ფრაზის სათქმელად საჭიროა კაცმა სული, ესე იგი, ძვერი იმოდენად ჩაიბრუნოს, იმოდენად ჩაიგუბოს, რომ მიელს ფრაზას ვასწვევს და ეყოს გამოსათქმელად. უამისოდ, გინდათ თუ არ გინდათ, ხმა უაღაგო ალაგას გაწყდება და ფრაზა წახდება. ამრიგად ხმის საგზალის მოპოვებას თავისი კანონები და წესები აქვს... ამ საგანზედ მთელი სწავლაა და ამ სწავლას დასწავლა უნდა“ (იხ. ტ. 3. გვ. 114).

1873 წლის 19 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის წერს მუხლეს: „იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავ... ამას წინათ თვითონ მოვიდა და მთხოვა შექსიარის ტრაგედია კაროლი ლირი, რომელიც ქართულად ინგლისურიდან გადავთარგმნეთ, წავვიკითხო. წავუდი წასაკითხად, კარგა ბლოში ხალხი იყო და ძლიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იმახდნენ... ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ სცენაზე. მშუენიერი რამ იქნება... როცა მშუვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წავგიკითხავთ და თუ არ ვატირით, ცუდი კაც ვიყო“.

გაზ. „დროების“ ცნობით (1874. №420). 18 აპრილს ქუთაისში ილიას მართლაც წაუკითხავს შექსპირის „მეფე ლირი“ და საკუთარი „მგზავრის წერილები“. თვითონ იმდენად უკმაყოფილო იყო თავისი გამოსვლით, რომ ვასო მანაბლისთვისაც კი მიუწერია პეტერბურგში: „ქუთაისში წავიკითხე ძალიან ცუდადა და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქვენ რომ ყოფილიყავით, შემობრალეხდით ასე საძაგლად ვიყავი“ (თხზ. ტ. 10. გვ. 56).

მხატვრული კითხვისას ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართული თეატრის ისტორიკოსისათვის, ვინაიდან იგი 1879 წელს აღდგენილი მუდმივა ქართული თეატრის უპირველესი თავკაცია.

მხატვრული კითხვა სწორედ იმითაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ქართულ სიტყვასთან, სცენიდან მის ქართოქმასთანაა უმჭიდროესად დაკავშირებული ამ თეატრის უმთავრესი დანიშნულება.

იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ილია სცენიდან საკუთარ მოთხრობებს კითხულობდა, ლექსები კი სხვა ავტორებისა უყვარდაო. მაგრამ როგორც ირკვევა, ის მხოლოდ ლექსებსა და მოთხრობებს არ კითხულობდა — ცალკეულ სცენებსაც და მილიანად ჰიესებსაც. მაშასადამე, მოქმედ პართა სახით! ეს უკვე აღარაა წმინდა სახის მხატვრული კითხვა, რადგან დრამატურული სიტყვა განსხვავებულია პოეტურისა და პროზაულისაგან. ამიტომ ის სულ სხვა, მსახიობური უხარის მოთხრობია. ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა ეკატერინე გაბაშვილის ცნობა: „როცა ილიამ 1876 წლის 29 იანვარს იარმუკაში წაიკითხა „კაცია-ადამიანი?!“ -ს ეპიზოდი, რომელშიც ლუარსაბი და დარეჯანი შვილის ყოლაზე ოცნებობენ და როცა ილიამ მოთხრობის გათავებისას „ნუპრი-ნუპარ, ნუპრი-ნუპარ“ დასძახა და ტაშის შემოკრებით გავიდა სცენიდან — ყველას აღტაცების ცრემლებით თვალები ავვინამა“ (ი. გრიშაშვილი, თხზ. ტ. 5. გვ. 45).

კიდევ მრავალი საბუთი არსებობს იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე თითქმის ყველა-საჯარო საღამოს მონაწილეა და წარსდგება საზოგადოების წინაშე როგორც პოეტური, ისე პროზაული და დრამატურული სიტყვის ოსტატი. მაშ, რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა მისთვის სანი-

მუშო ქართული მხატვრული სიტყვის სხვათა გასაგონად საჯარო ასპიანება!

ის მონაწილეობდა ამ უჩვეულო ლიტერატურულ საზახალაშიც, რომელიც 1881 წლის თებერვალში დაიწყო და თითქმის ერთ წელი გაგრძელდა — ჭავჭავაძის სიტყვისა და ტექსტის დამღევი კომისიის მუშაობა. მას უდიდესი შემეცნებითი და ნიშნულზეა ქმნდა, მაგრამ ამ დანერგულებას შესრულმა თავისი სასაბაით შეამქმედებითი წყნ, ნაზახალბრძვი.

სხდომები თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში იმართებოდა. გრძელ შავიდას კომისიის წევრები უსხდნენ. თავმჯდომარის — გრიგოლ ორბელიანის — ზურგსუკან კედელზე საწითლის შუქით განათებული, მხატვარ მირიანაშვილის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი ეკიდა. დარბაზში უამრავი ხალხი ყოველ სხდომაზე კომისიის წევრებს და პატრესაკემ სტუმრებს ნამოთრეიდებოდა ხოლმე 22 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომლებიც ხელთ ჰქონდათ მაშინ და როდესაც ბანკის საათი ზარივით დაჰკრავდა რვაჯერ, ყრილობა იწყებდა „უკვდავის პოემაში თბოლი მარგალიტის ძებნას“.

ყოველი სხდომის შემდეგ კომისიის მდივანი იონა მუენარავია გაზეთ „დროების“ მორიგ ნომერში სხდომის დაწერილებით ანგარიშს აქვეყნებდა. ზოგჯერ ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ ან როგორ კითხულობდა განსახილველ მონაკვეთს პოემიდან. ილია ჭავჭავაძის, როგორც მკითხველის შესახებ, იონა მუენარავია წერდა:

„ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადოდ კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, წინებული კილო. მის კითხვაში ნამდვილი, ქართული სიმების ელერია ისმის... რადღაც გამოთქმულ სიამოვნებას ვპოვებთ ილია ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავის ხმის სასიამოვნო ტემპრით შემოსძახებს: „მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ვერ ვარდი არ დაგჭნობია...“ რადღაც დედული, რადღაც გრძობისათვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდან გამოსული სიტყვების განმეორებაში“ („დროება“. 1881. №36).

რატომ იყო ასეთი სერიოზული დიდ მწერალთა დამოკიდებულება ახმინებულ ქართული მხატვრული სიტყვისადმი?

მიტომ, რომ კარვად იცოდნენ — თუ ლიტერატურული ნაწარმოები ხმაძალდაა წაკითხული, მაშინ მასში ნაბუდებულ მწერლის სულს ემატება წამკითხველის სულით გამთბარი, ინტონაციით შეფერადებული ხმა და ისინი შეერთებული ძალით ზემოქმედებენ მსმენელთა გრძობა-გონებაზე. მხატვრული ნაწარმოების საჯარო კითხვა მშვენიერი, ყოველგვარი ზედმეტობისაგან თავისუფალი ენის შალალი ნიმუშების წარმოჩენაა და ნატიფყოფა იმისა, თუ როგორია წმინდა კითხული. მხატვრული კითხვა ფართო საზოგადოებისათვის ჭეშმარიტი ქართულის მიწოდებას უძლიერესი საშუალებაა. მაშასადამე, ესთეტიკური ტკობის გზით ერის სულის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენს დიდ წინაპრებს ეს გაცნობიერებული ჰქონდათ და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ამ გზითაც იბრძოდნენ.

დღის მხატვრული კითხვა სცენის ხელოვნების ერთ-ერთი სახეობაა. მას საგანგებოდ შეისწავლიან ყველა თეატრალურ სასწავლებელში. მწერლობა ამ იარაღით აღარ იბრძვის. იბრძვიან მხაზობები. აღრე ვერცო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარაძე, ეპო გომიამუილი და სხვანი. დღეს — ზინა კურენჩილაძე, გურამ სალარაძე, თათია ხანიდრაძე, კოტე მახარაძე, გიორგი გეგუჭკორი, ჯემალ მონიავა, გიორგი ხარაბაძე, მურმან ჯინორია და სხვანი. რისთვის? ისევ იმისთვის — ენის სიწმინდისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის უკვე თავი-სუფალ საქართველოში — განა ცოტა რამ უშუქრება დღეს ჩვენს თავისთავადობას გარედან და შიგნიდან?

მხატვრული კითხვა აღრეც და ახლაც მრავალთათვის მოსასმენი წმინდა ქართულის წარმოჩენაა. რაც შეიძლება ხშირად უნდა გაისმოეს იგი ყველგან. განსაკუთრებით რადიოთს და ტელევიზიით, რადგან იქიდან მოუბარი მთელი საქართველო უსმენს. სანამუშო ქართულის სისტემატური მოსმენა საუკეთესო იარაღი დიდი საპამული მუილი მიზნის — ენის სიწმინდის დაცვისათვის დღეს წამოწყებულ დიდ ბრძოლაში.

ძალიან ბევრი მოეთხოვება იმას, ვინც მხატვრულ ლიტერატურის სხვათათვის მოსასმენად კითხულობს ანუ ქაღალდს მინდობილ ქმნილებას ახმანიებულ ხელოვნებად აქცევს აუდიტორიის წინაშე მარ-

ტილმარტო მყოფი. მისთვის ხომ არ არსებობს მხაზობისათვის ასე ნაცნობი „მეთხე კეღელი“. არც ეთომური, მხატვრის მიერ მისთვის საგანგებოდ შეთხზული სცენური გარეშო. ის არ თამაშობს, არ ჰყავს პარტნიორი და კონტაქტს, ურთიერთმასმინლოდ მსმენელთან მტკარებს. არც მუსიკა ესმარება ატციონათების ან სხვა მრავალი სახის სცენური ეუქტები: მისი დარად მხოლოდ სკოტარ უნარია, რამელსაც ეს სამასხურად უყენებს არსებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ასე რომ, ყველაფერი წამკითხველის სულშია. ეს სული ააფერებს დაწერილ სიტყვას და ახალ, ხმოვანი ლიტერატურის ყუნქციას მინიჭებს.

მხატვრული კითხვის ოსტატი მუდამ რომელიდაც მწერლის ნაწარმოებს ასრულებს, ორი ერთხორი მწერალი კი არ არსებობს. ცხადია, წამკითხველმა მისი შემოქმედებით ინდივიდუალობა უნდა გამოვალისწინოს. უნდა შეიგრძნობდეს ავტორის სტილს. მაგალითად, რატომ აგებს ფრაზას ილია ჭავჭავაძე ასე, დავით კლდიაშვილი კი სულ სხვანაირად? როგორ უნდა გადაიყვანო მამლარი ფერებით დატვირთული ილიას და უფაქიხესი გრაფიკოსის ხელით მოხატული დავითის ფრაზა მკლერ სიტყვაში? რანაირ აქედრებას ითხოვს და გულობს ყოველი მთავანი და სხვა დანარჩენი, თუკი სცენიდან მათ ნაწარმოებს აირჩევენ წასაკითხავად?

ყოველ მწერალს საკუთარი ხმა აქვს დაწერილ სიტყვებში ნაღვრილი და ვერაკინ მოითხოვს, რომ ამ მწერალმა იმ მწერლისნაირად წეროს. მხატვრული კითხვის ოსტატმა კი განსხვავებულ მწერალთა სიტყვა საკუთარი ხმით უნდა ააფეროს. ესაა სწორედ მისი ხელოვნება.

ხმა! აი, მხატვრული ნაწარმოების სცენიდან წამკითხველის უპირველესი და უძლიერესი იარაღი! ამ ხმით წარმოითქმის თავისი მნიშვნელობით ესოდენ განსხვავებული ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყოველი სიტყვა. დიდი პოეტი ალექსანდრე ბლოკი ამბობდა, რომ ყოველ ლექსში არის მთავარი სიტყვა და სიტყვათა მთავარი სტრუქტურა, რომელსაც ეყრდნობა დღეა-აზრი ისე, როგორც თაღის შემქმნელი აგურები ამაგრებენ ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს ებრჯინებიან და ამით შეუძლებელს შესაძლებლად გადააქცევენ.

ეს სიტყვები და ეს სტრუქტურა წამკითხველის ხმაში უნდა ააფერდეს ინტონა-

ციაში, რომელიც ხელოვანის სულიდან ამოხეთქავს, ნიაღვარივით თავს დაატყდება მსმენელს, დაიპყრობს მას და აიძულებს იფიქროს და განიცადოს ისე, როგორც ეს თავის დროს იფიქრა და განიცადა ავტორმა, ახლა კი იაზრებს და განიცდის სცენიდან მისი წამკითხველი. აქ უკვე არც ერთი აღარაა მარტო — მწერალი და მისი ნაწარმოების ამხმანებელი ერთობლივი ძალით ხუმოქმედებენ მსმენელზე. ასე ცოცხლობს ქართული ტანა მხატვრულ კითხვაში. ასე ინახავს ხელოვნება მშობლიურ ენას, მისი ეროვნული თვითმყოფადობის საყრდენს. მხატვრული კითხვის ეს სამამულიშვილო მისია სასცენო ხელოვნებასთან ახლომყოფ ვეღვა ადამიანს ესმის.

რას აძლევს მხატვრული კითხვა მის მსმენელს? ლიტერატურასთან შეხვედრა — ენასთან შეხვედრა, ამ ერთი გამოხატულ მწერლის ნაფიქრთან და განცდილთან. ამიტომ მსმენელი ამ დროს მუდამ იგებს კიდევ რაღაცას და რაღაცას აუცილებლად განიცდის. ამ დროს ის ხელოვნების სამყაროშია ნართული მწერალითა და მკითხველითა ერთად და განიცდის იმ უჩვეულ საამოვნებას, მხოლოდ შემოქმედს რომ შეუძლია მიანიჭოს. მხატვრულ ნაწარმოებთან ჩვენი შეხვედრის სურვილიც ამგვარი საამოვნების მოლოდინია. მხატვრულ სიტყვას ხომ შეუძლია გამოხატოს აზრისა და გრძნობის უსასრულო მრავალფეროვნება და გაიღოს იგი ასეთივე უსასრულოდ მრავალფეროვანი ინტონაციური ნაკადით — ხმა ხომ ყველაფრის გამტარია, რაც სულის სიღრმეიდან მოედინება!

დღედაუნაზე ზრუნვა ერის მუდმივი პრობლემაა. განსაკუთრებით მაშინ, თუ მას რომელიმე უცხო ძალა ფარულად თუ აშკარად ემუქრება. ასეა დღესაც და, ბუნებრივია, ხმა სწორედ მწერლობამ აიმა-

ლოა. ამის საბუთია ჯანსუღ ღირსილიანის წერილი „ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1996. აპრილი) და ამავე გზებით 1997 წლის იანვარში გამოქვეყნებული თამაზ ჭილაძის „საერთო ქრილობები“ „სტრატეგია ამ წერალებიდან“.

XIX საუკუნისგან განსხვავებით, გადაგვიარებს ართიქსი ახლა უფრო გაღრმავებული... უნდა ვიზიძიოლოთ ეროვნული ცხოვრების განახლებას.

ქვეყანა თავისით არ დალაგდება. მიუტვევბელი შეცდომაა, როდესაც მარტოდუნ ხელისუფლებას გვინდა შევკატოვოთ ხელთ ქვეყნის მოვლა. საქართველოს გადარუნა შეუძლია მხოლოდ მოწესრიგებულ ეროვნულ ცნობიერებას...

ქართული ინტელიგენცია არის გონი ქვეყნისა, რომელმაც ამ ორი საუკუნის განმავლობაში მწერლობით და მეცნიერებით დაიცვა შეობა თავისი ქვეყნისა“ (ჯ. ღირსილია).

დღეს ჩვენი თანა ყველასგან მიტოვებულ, მარტოდ დარჩენილ ხალხს, ყველაზე მეტად ღირსების გრძნობა სჭირდება. ეროვნული ღირსება! აი, რა გადაგვარჩენს დღევანდელი დაუნდობლობისა და გაუგებრობის ოკეანეში...

დღეს სწორედ ეროვნული ღირსების გრძნობის შენარჩუნება ყოფილა ყველაზე ძნელი, მით უმეტეს ჩვენი თანა მცირერიცხოვანო ხალხისათვის... ჩვენი სამშობლოს ასაღორძინებლად მარტო პოლიტიკური ბრძოლა არ კმარა, ეროვნული განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მოხდეს“ (თ. ჭილაძე).

მხატვრული კითხვა ასეთი ხელოვნებაა. დღეს მას ქართველი მსახიობები ემსახურებიან. სამამულიშვილოა მათი მოღვაწეობა ამ ასპარეზზე.



ბრწყინვალე მარტოობაში

გამოჩენილ კოლორისტ ფერმწერზე, ჯიბსონ ხუნდაძის შემოქმედებას საუბარი ძალიან ძნელია და ამავე დროს ძალიან სასიამოვნოც.

ძნელია, რადგან მისმა შემოქმედებამ ისეთ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, რომ მასზე საუბარი დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს, ხოლო სასიამოვნოა იმიტომ, რომ მისი ტილოები ერთნაირად აღაფრთოვანებენ ყველა ასაკის მნახველს, მიუხედავად მათი პროფესიონალური დონისა.

ჯიბსონ ხუნდაძე არის შესანიშნავი კოლორისტი, ღრმად განსწავლული პედაგოგი, ფილოსოფოსი მხატვარი, დიდი გრაფიკოსი და ჭეშმარიტი ფერმწერი.

გამოჩენილი მხატვრის ირაკლი ონიაურის და მისი ქალიშვილის ბუბა ონიაურის, ჩემი ბავშვობის მეგობრის შუამდგომლობით დავიწყე სწავლა მხატვრის პროფესიის დასაუფლებლად შეუდარებელ კოლორისტთან ჯიბსონ ხუნდაძესთან.

დახვეული დღიური, რომელიც ზეპირად მახსოვს, ჯიბსონ ხუნდაძის ლექციებიდანაა, რას ასწავლის ბატონი ჯიბსონი და თუ როგორი დიდი ფერმწერია, ეს საუბრის სხვადასხვა თემაა.

გვასწავლიდა კი ბევრ რამეს: როგორ მუშაობდნენ იმპრესიონისტები, როგორ გაიძლიადნენ პლენერზე, როგორ ავსებდნენ პაერთ ფერწერას. პუანტილიზტებს როგორ მეცნიერულად ჰქონდათ შესწავლილი სპექტრი – ეს ყველაფერი შეგვასწავლა ჯიბსონ ხუნდაძემ.

კონტრასტების სამკუთხედი, პირველად ბატონმა ჯიბსონმა ავკიხსნა ბავშვებს, იგი საფუძვლად უდევს იმპრესიონისტების, პოსტიმპრესიონისტების და პუანტილისტების ფერწერას. სიორას ეკუთვნის კონტრასტების სამკუთხედის მეცნიერული გამოკვლევა.

ფერწერაში სამი ძირითადი ფერია:

წითელი, ყვითელი, ლურჯი წარმოსაქმნებთან ერთად და დიდიწილად ვაიძლიეს შვიდ ფერს. უნდა გაარჩიოთ თბილი და ცივი ფერები. ეს პოლ სეზანის მეთოდია. რუსი მხატვრები იღებდნენ ზედაპირულად ამ მეთოდს. ბატონი ჯიბსონი ასწავლის ნამდვილ ფრანგულ ფერწერას, გვაკარგი შეება კოლორისტულ ნიუანსებზე, როგორ უნდა დაიწყო ასეთი ფერწერით ნატურმორტზე, პეიზაჟზე, პორტრეტზე თუ კომპოზიციაზე მუშაობა.

ფერწერული მონასმები, რომლებიც საგნის კონსტრუქციას გადმოგვცემენ, უნდა იყოს დალაგებული კონტრასტული ფერებით. შემდეგ ზევიდან გათამაშდება პაერი. ეს ნასმები უნდა ჰქმნიდნენ ფერის და მონასმის პარმონიას. ფერის და მონასმის პარმონიაზე მუშაობდა პოლ სეზანი. მისი ფერწერული ტილო „ექტორია“ არის ცაზე, მიწაზე და პროვანსის სახლებზე მონასმის და ფერის პარმონია, რომელიც გადადის აბსტრაქციაში.

ჯიბსონ ხუნდაძის ფერწერული ტილოები „მთები“, „ნატურმორტი ბროწყელებით“, რომლებიც ამშვენებდნენ საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმს, არის ღრმად ეროვნული.

ჯ. ხუნდაძის პეიზაჟები გადმოგვცემენ არა მარტო ეპიურ სიღიადეს, არამედ ბუნების საგნობრივ ძლიერებასაც. გამბედავი და ტემპერამენტიანი კოლორისტი მხატვარი კარგად გრძნობს არა მარტო დეკორატიულ, არამედ პლასტიური ფერის ძლიერებას, რომელიც მის ფერწერაში თითქოს იძენს წონას. ხშირი და პასტოზური მონასმები სუფთაა. ნათელი ან მუქი ლურჯი, ნაზი ვარდისფერით დაფარული თოვლიანი მთის მწვერვალები (ასეთია „დილა მთებში“ 1957 წ.) თავისუფლად ნასროლი ფერი ტილოზე წარმოქმნის დინამიურ ამობურცულ სველ ფერწერულ ფაქტურას.

რომელიც გვეხმარება შევიგრძნოთ მიძიმეწონიანი ფაქტურა მთებისა.

ზოგჯერ ჯ. ხუნდაძე წერს უფრო სადა მანერით „საქართველოს პეიზაჟი“, რომელიც მოტივით ჰგავს ზემოხსენებულ ნამუშევარს, მთების ფორმები იძერწება სველი მონასმებით, ნათი გადასვლებით მწვანე, ნარიჯისფერი ლაღისფერი ფერებით, რომლებიც საგნა სუფთა ცოცხალი რეფლექსებით პეიზაჟი შემოხაზულია ნათელი ხაზოვრებით და გამოხატულია პირველყოფილი ბუნების სიღიადე.

პეიზაჟში „შემოდგომა“ ფოთლების სახე იბადება საზეიმო ფერადობით. ყვითელი მაწით და აფეთქებული წითელი ლაქებით გადმოცემულია ხეები, წინა პლანზე ლამაზადაა ჩაწერილი პეიზაჟის ერთობლიობაში.

წერის პოზიტიურობა არის სხვა ნამუშევრებშიც, ასეთია „ქუნა შემოდგომაზე“, 1952 წ., პეიზაჟები სერიიდან „საქართველოს მთები“.

„ნატურმორტი მოზაიკით“, „ნატურმორტი ბროწეულებით“, 1956 წ. პუანტილისტურ მანერაშია შესრულებული. „ნატურმორტები მოზაიკით“, ამ ნამუშევარში კარგადაა მოძებნილი ფერწერული გადაწყვეტა ყვითელი მოზაიკის, ცისფერი ვაზის, ბროწეულის ტოტის და მოვარდისფრო თეთრი გადასაფარებლის, ეს ტილოები დაწერილია ჭეშმარიტი კოლორისტის ხელით; გვიტაცებს გამწვანებული აღქმით, ფერწერული სამყაროს მრავალფეროვნებით, ჭეშმარიტი ფერწერის მაჯისცემით, ცხოვრების განცდით.

დიდი ოსტატის ჯ. ხუნდაძის მიერ დაწერილი ტილო „ღურჯი მთები“ მაკონებს ფრანგი იმპრესიონისტი კომპოზიტორის დებოიუსის მუსიკას, რომელსაც უბრწყინვალესად ასრულებდა დიდი პიანისტი პენრის ნეივაუზი, ელენე ახვლედიანის საყვარელი მუსიკოსი.

ბატონი ჯიბსონი ამბობს, რომ როგორც ყური მუსიკოსისათვის ღვთაებრივი, განსაკუთრებული ფენომენია, ასევეა მხატვრისთვის თვალი, იგი სრულიად სხვა თვალია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისათვის. თვალი მხატვრისათვის ყველაფერია.

როგორც გურული კრიმინული არის მრავალფეროვანი პალიტრით შემკული პოლიფონიური ქმნილება, ასევე მრავალმხრივი და მრავლისმომცველია ბატონ ჯიბსონ-ხუნდაძის შემოქმედება.

ჯ. ხუნდაძის, ვარდა ფრანგი მხატვრების სიყვარულსა, აქვს აგრეთვე იტალიური სკოლის უდიდესი საყვარელი. ლიონარდო და ვინჩის „საიდუმლო სკოლა“ პირველდ მან აბიძგნა და სამდადამოდ გამოჩინა გოტესტში. სურათში ქრისტე გამოსახულია იმ მომენტში, როდესაც ამბობს: „ერთ-ერთი თქვენთაგანი გამცემს მე“. სურათზე იუდა ქიხას მალავს და გამოსახულია ჩრდილში. რენესანსამდე იუდას სხვა იტალიელი მხატვრები გამოსახავდნენ სხვანაირად: მას სუფრასთან არ სვამდნენ, ის იჯდა ცალკე. ლიონარდომ დასვა მაგიდასთან და მთელი დრამატიზმით უჩვენა ქრისტეს შინაგანი განწყობა. მოწაფეები არიან აფორიაქებული: როგორ?! ჩვენს შორის არის გამცემი? და ეს შეიძლება ვიყო მე ან შენ?

ხელების კომპოზიცია ტალღოვანად იწყება მაგიდის კიდეში მჯდომი მოწაფეების გაკვირვებული ხელებიდან და კულმინაციას აღწევს ქრისტეს აწეულ ხელში. ბატონი ჯიბსონი ვეასწავლიდა მხოლოდ ძველი მხატვრების სურათებში შემორჩენილი დაკარგული ღისირების წესებს.

ბატონი ჯიბსონი 60-იანი წლების შემდეგ დაინტერესდა გულიაშვილით, ბაგბეუქ მელიქიოვით. ვარაზი მისი თანამედროვე იყო.

ჯ. ხუნდაძე კონსტრასტულ ფერებში მუშაობდა 60-იან წლებში. ბოლო წლებში ის მიეძალა მონაცრისფრო ოქროსფერ გამას. ვერცხლისფერებს, თაფლისფერებს. თავგამოდებით მუშაობდა კოლორისტულ ნიუანსებზე.

ასეთია „ბალერინები“. სადა კომპოზიცია შესრულებულია ვირტუოზული ოსტატობით. მონაცრისფრო თქროსფერ გამაში. ბალერინები დანახულია იარუსიდან, საცეკვაო კოსტუმებში. ვაისფერ ფარდაზე ეცემა შუქი, რომელიც გადმოცემულია ერთგვარად ნამოღვენილი სანთლის ფერით. ასეთივე ფერით არის განათებული ადგილი სცე-

ნაზე, სადაც რევერანსს აკეთებენ ბალერინები.

ასეთივე მშვენიერია „გოგონები ფორტეპიანოსთან“. საოცრად დაწერილი შლიაპიანი გოგონას პორტრეტი, ალბუ-ლია ოდნავ ოგოუსტ რენუარის ტიპაჟი. რენუარის ქალები არიან უფრო ცხოვრებისეულნი, ბატონი ჯიბსონის ქალები კი პაეროვანი, ფერმკრთალები, უფრო პოეტურები. თან ფრანგი, თან ქართველები, 30-იანი წლებია გადმოცემული ეს სურათი პოსტმოდერნისტულია.

ბავშვური აღფრთოვანებითაა დაწერილი „ნატურა ზინა“, რომელიც შეასრულა აკადემიაში 18 წლისამ 1945 წ. როგორც გოიას მახა, ისე გვევლინება შიშველი ზინა. სურათი შესრულებულია მოიხრისფრო, მოვარდისფრო, მონაცრისფრო, მოთაფლისფრო, მოცი-სფრო, ლილისფერ, ოქროსფერ გამაში.

1990 წლის საშობაო-საფესტივალო გამოფენაზე, რომელიც მოაწყო საქართველოს კულტურის სამინისტრომ და ერთვინულმა გალერეამ, საქართველოს სახალხო მხატვარმა, ბატონმა ჯიბსონ ხუნდაძემ კომპოზიციისათვის „ვედრება“ მიიღო უმაღლესი ჯილდო გრან-პრი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ბატონი ჯიბსონი საღებავებს ანუ

ფერებს თვითონ ამზადებს, როგორც ამას ხშირად აკეთებდა ფიროსმანი, რომელიც ყიდულობდა საღებავების ფხვნილებს და თვითონ აზავებდა, ასეთი ფერები მხოლოდ ფიროსმანს ჰქონია და სხვას არავის. ასევე ყოველმა მხატვარმა იცის, თუ როგორ ამზადებდა ამპრესაონისტების თვის საღებავებს პარიზში მამილო ტანგი, თუმცა შემდეგ ამ ფერებს თავისებურად აზავებდა ყოველი ფერმწერი. მაგალითად, ცნობილია, რომ ვან გოგის ყვითელი ფერი ისეთი სიკაშკაშით გამოირჩეოდა, რომ მზის ფეთქვას აღარებდნენ.

ბატონ ჯიბსონს ჰყავს თავისი პროფესიის გამგრძელებელი შესანიშნავი მხატვარი ფერმწერი შვილი – ჯარჯი ხუნდაძე. ჯარჯი მრავალი გამოფენის მონაწილეა. ჰქონდა გამოფენა მოსკოვში, პერსონალური გამოფენა იტალიაში, რომელიც იტალიელებმა წლის საუკეთესო მოვლენად აღიარეს და იტალიის ტელევიზიით 8 არხით იქნა გადაცემული. საქართველოს ტელევიზიითაც იყო ნაჩვენები.

ბატონ ჯ. ხუნდაძის მეუღლე – ციცო, პოეტური ფერმწერია, მთელი ოჯახი ფერწერით ცხოვრობს. ბატონი ჯიბსონის სახლი თითქოს ფერწერის სახლია.

პირობითობის სასიცოცხლო აზრი

თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთკავშირი ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთ უმწველეს, იდეალურად აღსაყვანი სფეროს წარმოადგენს. ვერ ვიტყვი, რომ ამ იდეალურების ერთ მხარეს იდეალური სამყარო ძევს, მეორე მხარე კი მთლიანად სინამდვილეთაა მოცული. ამის თქმა, ანუ თავისუფლების მხოლოდ იდეალურ სფეროში გადატანა მეტად გაამართლებდა წამოჭრილ პრობლემას და არაერთ მნიშვნელოვან მომენტს ხელიდან გამოგვაცილებდა. თავისუფლება არსებობს რეალურად. მართალია, რეალურ სამყაროში დეტერმინიზმს ვერ გავუქვეით, მაგრამ თვით რეალობა ისე ყალიბდება, რომ თავისუფლებისთვის ადგილი ყოველთვის რჩება. საქმე იმაშია, რომ სამყაროს პოლიფორმული აღნაგობის გამო, გარკვეული დეტერმინისტული სისტემები ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებლობას იძენენ და თავისუფალი, თვითრეგულირებადი ანსამბლების როლს ასრულებენ.

გვაქვს თუ არა აქ მართლაც თავისუფლება? თუ გვაქვს დეტერმინიზმი, რომელიც გარკვეულ კონტექსტში თავისუფლების მნიშვნელობით ვლერს? დასმული საკითხი რომ გავფართოვოთ, ასეთ ფორმას მიიღებს: რა არის თავისუფლება? თავისუფლად ყოფნა, თუ ისეთი ყოფნა, რომელიც მნიშვნელობს, როგორც თავისუფლად ყოფნა? რამდენადაც ხვენ არსებობისკენ ცნობიერების გზით მივდივართ (სხვა გზა არცა გვაქვს), რაიმეს ყოფნა-არყოფნის დილემა, ყოფნის მნიშვნელობის, ანუ საზრისის ქონება-არქონების მიხედვით უნდა გადაწყვიტოთ. ამიტომაც ვიტყვი, რომ თუკი რაიმე საკუთარი არსებობის საზრისის თავისუფლების მნიშვნელობის საფუძველზე იქნის, მაშინ ის არსებობს, როგორც თავისუფალი და მისი სახით სრული, უპირობო თავისუფლების სფერო გვეძლევა. ამ უპირობო სისრულეს ვაღწევთ არსებობის საზრისისა და თავისუფლების მნიშვნელობის გაიგივების ძალით. არსებობა უპირობოა, უპირობოა არა მხოლოდ სუბსტანციურად, არამედ მოდალურადაც. თავისუფლებაც, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ამ მოდალური არსებობის საზრისი, სრული და უპირობოა. სწორედ ამიტომ, საკვებით

დეტერმინისტულმა სისტემამ შეიძლება იმეორებოდეს ერთი და იგივე იდეალური სფერო. თავისუფლებას ანსამბლია რაღაც თავისუფლების გარეშე — მხოლოდ დეტერმინიზმის ფარგლებში — ვერ გამოიკვეთება და, მაშასადამე, ვერ შეიქმნება ის სპეციფიკური იდეა, რომელიც ამ სისტემის უნიკალურ, თავისთავად არსებობას შეადგენს.

ადამიანი ზემოთქმულის ნათელი დადსიტულებაა. რა თქმა უნდა, ადამიანი ჩართულია გარე სამყაროს მიზეზ-შედეგობრივ ქსელში, მაგრამ ეს სამყაროული კავშირები არ შეადგენს მისი განსაკუთრებული, ადამიანური არსებობის საზრისს. პირაქით, ეს საზრისი მნიშვნელობს იმდენად, რამდენადაც შედეგობაში არ მიიღება სინამდვილისადმი ადამიანის დაქვემდებარება. ამ აზრით ითქმის, რომ ადამიანი თავისუფალია. სრული, უპირობო თავისუფლების გარეშე მას არ ექნება მე-ღ ყოფნის შინაგანი განცდა, ამ განცდის გარეშე კი ის ვერ განახორციელებს თავის უნიკალურ, ადამიანურ უფლებებს.

მაგრამ თავისუფლების სამყარო მხოლოდ ადამიანით არ შემოიფარგლება. ატომურ ფიზიკაში კვანტურმა თეორიამ შემოიტანა ინდეტერმინიზმი, რომელსაც თავისუფლების ანალოგიური მექანიზმი დაედო საფუძვლად. კერძოდ აღმოჩნდა, რომ გარკვეული მიკროპარამეტრები ექსპერიმენტული (შემეცნებითი) სიტუაციის შეცვლისას აზრს კარგავენ, როგორც ფიზიკური სიდიდეები; ამიტომაც ამ პარამეტრებიდან გამომდინარე შედეგები ახალ, შემეცნებით ვითარებაში წარმოსდგებიან, როგორც „უმიზეზო მოვლენები“. იმაშიც არაა, არსებობს თუ არა „ფართული პარამეტრები“, რომლებიც ამ „უმიზეზო მოვლენათ“ დეტერმინაციას ახდენს, არამედ იმაში, რომ ეს ფართული პარამეტრები ცდის ახალ პირობებში აღარ „მნიშვნელობენ“, როგორც ფიზიკური სიდიდეები და ვერ ასრულებენ ცდაში ფიქსირებულ შედეგათა გამოწვევი მიზეზების როლს. უფრო მეტიც. შეიძლება ითქვას, რომ ახალი შემეცნებითი სიტუაციის არსებობა სწორედ ამ ძველ პარამეტრთა ფიზიკური საზრისის დაკარგვისა და

განუსაზღვრელობის ხარჯზეა შესაძლებელი.* ეს ნიშნავს, რომ ურთიერთშეუთავსებადი სიდიდეები ფიზიკურ აზრის საპირისპირო შემეცნებით ვითარებაში იძენენ, ხოლო მნიშვნელობის შექმნის აქტი ობტოლოგიური პროცესია, არ არის დაკავშირებული ცოდნის დაზუსტებასთან. კვანტურმა მექანიკამ, ზენეაზრით, აჩვენა, რომ ფიზიკური საზრისის დეკარგვა ეგზისტენციული დინამიკაა; ის მნიშვნელობას მოკლებული სიდიდის უაზრუარყოფნას აჩვენებს და არა მისი გაზომვისა და შემეცნების სიძნელეს. ამრიგად, ატომურ სამყაროში გამოჩნდა, რომ ფიზიკური მნიშვნელობის შექმნა-დეკარგვა, ფიზიკურ რეალობად ყოფნა-არყოფნის ტოლფასია და ფიზიკური რეალობა წარმოადგენს ცნობიერებით შექმნილ რეალობას, ცნობიერებისა, რომელიც იმავე დროს ყოფიერებას წარმოადგენს. ანუ რომელიც არსებობს საკუთარი საზრისის ჩამოყალიბებისა და გარკვევის საფუძველზე.

კვანტურ სამყაროში ასეთი ცნობიერების როლს გაზომვის პროცესი ასრულებს. გაზომვა ის პროცესია, რომელიც ატომურ სამყაროში ფორმალურ-მათემატიკურ გამოსახულებას ფიზიკურ სიდიდედ გარდაქმნის. აქ გაზომვა მხოლოდ კი არ აფექტირებს, არამედ კიდევ ქმნის ფიზიკურ მნიშვნელობას და ამდენად საზრისის შწარმოებელი ცნობიერების როლში გვევლინება.

თუკი მნიშვნელობის ქმნალობა-ცვალებადობა ირაციონალური აქტია, კვანტური სიდიდის შექმნაც, ანუ გაზომვის პროცესიც უკონტროლოა. ამ უკანასკნელის კონტროლის მიცელება საზრისული არსებობის რაციონალიზაციასა და მოდელირებას ნიშნავს, რაც ფაქტობრივად ამ არსებობას სპობს.

გაზომვის უკონტროლობით კვანტურ რეალობაში თავისუფლების ელემენტი ჩნდება, ის ელემენტი, რომელიც, როგორც ვთქვით, აუცილებელია რაიმე სისტემის ან რეალობის განსაკუთრებული, უნიკალური არსებობისათვის.

ცნობიერების შეჭრა ატომურ ყოფიერებაში მის თავისებურ არსებობას განაპირობებს, რომელიც საზრისული ქმნალობის თავისუფლებასა და ატომურ მოვლენათა ინდუქტრინის ზმს ემყარება.

უემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავისუფლების ფენომენი რეალურად კი არ ვლინდება, არამედ მნიშვნელობრივად იქმნება; თავისუფლების მნიშვნელობის გარეშე მიზეზობრივად დადგენილი სისტემა კარგავს თავის

სპეციფიკურ არსებობას, თავის იდეას. ასე ზდება თავისუფლების მნიშვნელობისა და არსებობის საზრისის ობტექტიფიკაცია. ამიტომაც მართებულად შეგვიჩნია აზრი, რომ თავისუფლება, ინდუქტრინის ზმი და განუზღვრელობა კვანტური რეალობის არსებობას ახასიათებს და არ ცვლან სამ რეალობის შესახებ, თოდესაც ვხვდებით, რომ თიკრთხამყოფი ფიზიკურ განაზიერებას ცნობიერებას ზემაქმნებით ახდენს. მიცელებაში გვექვს განთვნი პროცესი, რომელიც არ დიექცელება მნიშვნელობრივად უაზრუარყოფილებაზე ზელსაწყოსა და ატომურ ნაწილსა შორის, არამედ მნიშვნელობს, როგორც საზრისული ქმნალობის სუბიექტური აქტი.

მოკლედ, ცნობიერების ქვეშ აქ გვეხმის ყოფიერების განსაკუთრებული სახე, რომელიც თვითრეფლექსირებადია და თავის თავში გამოიმუშავებს იდეას საკუთარი, სპეციფიკური და დამოუკიდებელი არსებობის შესახებ.



დავუბრუნდეთ ადამიანის სფეროს. ადამიანში „ჩადგმულია“ ცნობიერება, რომელიც შეიძლება შევადაროთ „შავ ყუთს“. ამ „ყუთში“ ერთი მხრიდან შედის სულიერი იმპულსი, მეორე მხრიდან გამოდის ფიზიკური მოქმედება. გაივლეა იდეამ, შესრულდა მოქმედება. თითქოს უპარტიკესია, თავისთავად ნათელია, მაგრამ ეს გაბატონ ბნელის მომიცველი სინათლე, რადგან არ არსებობს არც მიზეზობრივი კავშირი და არც ლოგიკური გამომდინარეობა სულის სამყოფელსა და ფიზიკურ რეალობას შორის. ცნობიერება გამუდმებით ახდენს სულიერი იმპულსის ფიზიკურ შომარობაში გადატანას, თუმცა არანაირი „ხიდი“ ფსიქიკურსა და ფიზიკურს, სულიერსა და მატერიალურს, იდეალურსა და რეალურს შორის არ არსებობს. ცნობიერება ახდენს სასწაულს — ერთიანობაში „იჭერს“ იმას, რაც თავისი არსით შეუთავსებელი ერთმანეთთან, ამ საიდუმლო გადსვლაში არსებობს ცნობიერება, როგორც ცოცხალი არსი, რადგან სიცოცხლე არის გადასვლა სულიერი იმპულსიდან მატერიალურ პროცესში და პირიქით.

ასეთი გარდასახვა-გადასვლის დროს ცნობიერება განუზღვრელობის მდგომარეობაში იმყოფება. ეს ვახლავთ მდგომარეობა, რომელიც არც რაციონალურადაა დადგენილი და არც ემპირიულად დაკონკრეტებული. ასეთი „უშინაარსო“ მდგომარეობა, ფაქტობ-

* ამიტომ სწორედ „უმიზეზობა“, ატომურ მოვლენათა ინდუქტრინის ზმი და მიკრონაწილაკთა „თავისუფლება“ კვანტური სიტუაციის არსებობის საფუძველია.

რეივალ განუზღვრელობაშია, მაგრამ ბირთვითადად შეგვიძლია მოვინახოთ მისი შესატყვისი: მდგომარეობა, რომლის შინაარსი არანაირად არ მნიშვნელობს, ანუ სრულიად განუზღვრეულია იდენის შემდგომი რეალიზაციის მიმართ. ასე შეიძლება მსახიობი ფექტობდეს ფეხბურთზე და ამ ფექტის უნებურად გაუზღვრეს აზრი ჰამლეტის განსაზღვრების შესახებ. ამიტომაც გვეუბნება მარსელ ბრუსტი, რომ საპნის რეცელამა უფრო შეიძლება შთაგონოს მწერალი, ვიდრე რომელიმე გენიალურმა ქმნილებამ. აღმოჩენა, უცვარი გახიზვისება, თუკი ეს არის შემოქმედება, ანუ თაილი იდენის განმარტელება, ზმირად ზდება ამ აღმოჩენის მიმართ ნეიტრალური შინაარსის ფონზე. შემოქმედება (და, ჩვენ ვიტყოდით, შემქმნედაც, როგორც ახლის ქმნადობა) არის უცვარი, თავისუფალი შემობრუნება წინამდებარე მასალის მიმართ. მასალა-შინაარსის ნეიტრალობა შემოქმედებითი აქტის თავისუფლების და თვითმობრავის განაჩეობა; მაგრამ ეს ნეიტრალური შინაარსი, არანაირად რომ არ შეეხება ახალ, უცვრად მიგნებულ შედეგს, მაინც ამ უკანასკნელის მაროკოვირებელ ფაქტორს შეადგენს.

რატომ ზდება ასე? რატომ იწყვეს შემოქმედებითი იმპულსის მის მიმართ ნეიტრალური მდგომარეობა? რატომ არ შეიძლება პროვოცირება მოახდინოს იმ შინაარსმა, რომელიც პირდაპირ შეესაბამება შემოქმედების მიზანს?

ჩვენი ახსნა შემდეგში მდგომარეობს: ამოვდივართ რა ფენომენოლოგიური განწყობიდან, რომ ცნობიერება არის მიმართება ანუ „დამიზნულობა“ საგანზე, ვფიქრობთ, რომ გარდა ამ განწყობისა ობიექტის მიმართ, ცნობიერება არის აგრეთვე პროცესი, ყვრილ, ობიექტისადმი საზრისის მინიჭების თავისუფალი, მთლიანი და თვითმობრავი პროცესი. თუკი ეს უკანასკნელი განმარტება შეესატყვისება პირველს — ფენომენოლოგიის ამოსავალ დებულებას ცნობიერების შესახებ — მაშინ გამოდის, რომ გონების „დამიზნულობა“ საგანზე მხოლოდ მაშინ ზორციელდება, მხოლოდ მაშინ გადადის ცნობიერების მოძრაობაში (არსებობის საზრისის მინიჭებულ მოძრაობაში), როცა წინასწარ შექმნილია ამ მოძრაობის თავისუფლებისა და თავისთავადობის პირობა, ანუ მოძრაობის საწყისი მდგომარეობა მიზეზობრივად ნეიტრალური მოძრაობის შედეგად ჩამოყალიბებული შინაარსის მიმართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში თამაშობს ეს მოძრაობა ონტოლოგიური მოძრაობის როლს არყოფნიდან არსებობისაკენ, რადგანაც საწყისი

განუზღვრელობა საბოლოო შედეგის მიმართ აქ მნიშვნელობს, როგორც თავისუფალი სივრცე, როგორც არსებობა, რომელიც თავისთავად ისახება და ჩნდება არსა.

ასე შეიძლება ავხსნათ შემოქმედებითი იმპულსის „შემთხვევითობა“. განწყობაობიექტისკენ არ ნიშნავს უშუალოდ ფიქრს ამ ობიექტის შესახებ. ფიქრს მოაქვს დამატელობა, ფიქრს მოაქვს დეტეზინობა, ფიქრს სპობს იმ სიმსებუტეს, იმ თავისუფალ აურას, რომელიც აღმოჩენის უცვარი განმარტების პირობა; აქ უფრო იგულისხმება დამატელებული კონტენტრაციის ობიექტზე, მთი მუდველობაში ყოფნა. ფიქრი კი თავის ნებაზე, სულ სხვა მიმართულებით მიედინება, ეს თვითიდინება დასახელი მიზნის მიმართ ნეიტრალურ სფეროებს მოიცავს და აქ უცვრად აღმოჩნდება, რომ რომელიდაცა სფერო რადიკალს გვეუბნება ცნობიერების ნაკადის გარეთ შენარტუნებული საგნის შესახებ. ეს არ არის პირდაპირი შეტყველება, ეს გახლავთ გადატანითი თქმა, რადგან „შეტყველი სფერო“ შინაარსობრივად არ შეესაბამება შემოქმედების მიზანს. ეს ნეიტრალური, თითქოსდა დაუკავშირებელი შინაარსი უცებ სულ სხვა მნიშვნელობით აღფერდება და ამ უცვრადობით გამოიკვეთება შემოქმედების საძიებელი საგანი.

სხვა სიტყვებით, აქ ზდება ცნობიერების „შემთხვევითი“ შინაარსის სიმბოლოზიაცია. ამიერიდან ის აუქმებს საკუთარ სათქმელს და გადატანითა აზრით, სიმბოლოზრად სულ სხვა ვითარებას გამოიხატავს. ეს უზუსტად ის „შემთხვევითობაა“, რომელიც თავისუფალი სივრცის, ანუ აზრის როლს თამაშობს უცვრად მიგნებული არსის მიმართ. ამ დროს ცნობიერების ორი დამოუკიდებელი მხარე — მისი ქვეცნობიერი თვითიდინება და მისი შეგნებელი კონცენტრაციის საგანზე, გადაიკვეთება, ერთდება და ამ ერთიანობაში მდგომარეობს ცნობიერების, როგორც მთლიანი და ცოცხალი არსის არსებობა.

შემოქმედების ამ ზოგადი მოდელის ილუსტრაციის მიზნით მივმართოთ თეატრის სამყაროს.

როდესაც მსახიობი მუშაობს როლზე, მან თავისებურად უნდა შემობრუნოს და ახალი მნიშვნელობით აამტყველოს ის, რასაც პიესა მოგვითხრობს. რომ არა ეს ახლებური ელერადობა, პიესის რადგმა და გმირის სცენაზე გათამაშება დაკარგავდა თავის სპეციფიკურ, ტექსტისაკან დამოუკიდებელ მნიშვნელობას და როგორც ნაწარმოების

ილუსტრაცია, ვერ შეიძენდა შემოქმედებითი პროცესის აზრს.

სინამდვილეში კი ასე არ ხდება. არც გაზნდებოდა სცენაზე ბიესის დადგმის საჭიროება, რომ მის მხოლოდ ლიტერატურული პირველწყარო ასაზრდოებდეს. რა საჭიროა იმის სცენაზე გადატანა, იმის გამოვრება, რაც უკვე ნათქვამია ტექსტში? ნათუ დაწერილს ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე დადგმულსა და გათამაშებულს?

ზოგი იმასაც ამბობს, რომ ჟეშმარტივად მხატვრული ტექსტი მრავალმხარეობისა, რეჟისორი ან მსახიობი ამ შემთხვევაში შეედრება არქეოლოგს, რომელიც ტექსტუალური ფენების „გათხრებს“ აწარმოებს, რათა აღმოაჩინოს შიგ ჩამარხული „განძი“ და ის ზემოთ, რამდის შექნე ამოიტანოს.

მაგრამ ასეთი „გათხრა“, ერთი პლასტის წინ წამოწევა, არღვევს ნაწარმოების მთლიანობას. მწერალს რომ სდომოდა, რეჟისორზე უკეთ გამოიტანდა საამწერაოზე იმას, რაც სტრიქონებს შორის ჩამარხა, რაც მხოლოდ მინიმუმებით, შეფარვით გადმოგვცა. რაკი ასე გადმოგვცა, ასეთი ყოფილა მისი ნება და ვერაფრითა საჭიროებას ვერ ვხედავთ გადავიდეთ ავტორის ნებას, გაემიფროთ გამოუთქმელი და საცნაურად ვუთხ იღუმალი.

ყოველ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ლიტერატურული ნაწარმოების რეჟისორული გაგება თითო ნაწარმოებზე უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი რამ იყოს. ამიტომ სიტყვიერი ქნილების გასკვენიერება და მხატვრული სახის გათამაშება, თუნდაც მისი ახლებური ინტერპრეტაციის მიზნით, მაინც მეორადია, მაინც ვერ აღწევს ორიგინალური ხელოვნების დონეს.

როგორც ჩანს, თეატრის თავისთავადობა ტექსტისგან დამოუკიდებლად, საკუთრივ თამაშისა და განსახიერების ფენომენში უნდა ვებებთ, ლიტერატურული ტექსტი, როგორც ნიშანთა სისტემა არის შემოქმედების მხოლოდ შესაძლებლობა. ბიესის შემთხვევაში ამ შესაძლებლობის რეალიზაცია სცენაზე ხდება. ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ თითქმის ბიესა, როგორც სიტყვიერი ფორმა, მოკლებული იყოს მხატვრულ არსებობას; რა თქმა უნდა, თეატრის მოუხედავად ბიესა არსებობს, მაგრამ არსებობს პროცესუალურად, მისი შექმნისა და აღქმის წუთებში და არა საგნობრივად, დროთა განმავლობაში.

თეატრალური წარმოდგენაც ამ წუთიერი არსებობის გავრძელებაა. ფაქტიურად, ისევე და ისევე შეიძლება ის, რაც ერთხელ უკვე შეიქმნა ან მოხდა, მაგრამ თუ ყოველივე იცვლება, (იცვლება დრო, გარემოება...,

აღქმა-გაგების პირობებზე) არავითარი გამოვრება არ ხდება. სცენაზე კი არ მეორდება, არამედ ყოველივე თავდასაქმნება. „პირველად“ იღვმება ათასგზის გადადგმული ნაბიჭი, ახლად ნათქვამივით უფროს ათასჯერ ნათქვამი სიტყვა.

ერთის შედეგად უნდა გამოვსენოთ ყვერა და ვით გეხდება ლიტერატურული ორიგინალი ახალი უკვლევები მსახივის, მწერლისა იმი „მონორი“ ერთობის დასაცავი, გამოვრება, როგორც დროის შექმნევილ პირობებს აღმოვლავლებთ (ხელოვნება შექმნის საწყის მოცუველობაში. ამიტომ მსახიობი ყოველი გამოსვლისას, ვერ არ შემდგარი, სრულიად შეუცნობელი წარმოდგენის წინაშე დგას. წინასწარ დაუხებირებული ტექსტი არის საშუალება, მხოლოდ იარაღი, რომ მან სწორედ აქ და ახლა ერთადერთი, განუმეორებელი და სრულიად ახალი რამ გაითამაშოს. ამ განწყობით, ამ ჟეშმარტივად შემოქმედის ძალისხმევით უნდა წარსდგეს ის მაყურებლის წინაშე. ასე რომ ტექსტის ამეტყველება და სასცენო მოძრაობაში გადატანა უკვე შემოქმედებაა, რომელიც სცილდება საშემსრულებლო ხელოვნების ფარგლებს. იმისთვის, რომ ავტორისეული ჩანაფიჭრი სცენაზე გაცოცხლდეს, ბიესის პარტიტურა კი არ უნდა შესრულდეს, არამედ ახალ ვითარებაში თავიდან შეიქმნას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომელიც შემოქმედების შესახებ ჩვენს მიერ განვითარებული თეზისიდან ამოდის: რომ შემოქმედება არის არა მხოლოდ საგნისა და იდეის შერწყმა, არამედ ამ შერწყმის შემძლე ცნობიერების თვითრეალიზაცია — მისი როგორც არსებულის დაფუძნება.

რომ ეს თვითდაფუძნება მოხდეს, ცნობიერებაში გაფართული პროცესები უნდა გადაიკეთოს, ერთ განუყოფელ მთლიანობაში შეიწყას. შერწყმა არ ხდება ცნობიერად, მონდომებით, ნების თუ გონების დაძაბვით. შერწყმა ხდება უნებურად, თავისთავად. „შემთხვევით“. შემოქმედებ ვერ მოახდენს თვითცნობიერების რაციონალურ სინთეზს; მან უნდა შექმნას ან აღმოაჩინოს ის პირობები, ის სიტუაცია, ის ატმოსფერო, სადაც ეს სინთეზი თავისით განხორციელდება, სადაც მისი შემოქმედებით ენერგია ერთ მთლიან, სრულ და უნიკალურ არსებობად ჩამოყალიბდება და ამ არსებობაში განხორციელდება იდეისა და საგნის სინთეზი.

უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ შემოქმედების სათავეში, თვითრეალიზაციამდე, ცნობიერება გაფართულად ვეძლევა, ერთი მხრივ გონება თავიდანვე კონცენტრირებულია შემოქმედების მიზანზე, მეორე მხრივ კი სახეზე

გვაქვს ამ მიზნის მიმართ ნეიტრალურ ფიქრთა თვითღიწება.

იმისთვის, რომ თვითრეალიზაცია მოხდეს, ეს ორი დამოუკიდებელი მხარე უნდა შეერთდეს და გამთლიანდეს. ამისთვის კი ნეიტრალურ ფიქრთა ღიწება უნდა წარმოებოდეს წინასწარ დასახული მიზნისკენ, თანაც ისე, რომ არ დაირღვეს ამ ღიწების თავისთავადობა და თვითმობრუნება. ანუ ფიქრი უნდა დაბრუნდეს თავის კალაპოტში, მაგრამ მას უნდა მიეცეს ახალი, შემოქმედების მიზნის შესაბამისი საზრისი. საზრისის მიცემის აქტი ირაციონალური პროცესია. როცა მეწყვერმორღვეულ, შეუკავებელ ფიქრთა ნაქაღში ვინარჩუნებთ დამაბულობას და ვიცავთ ორიენტაციას სრულ სხვა მიზნისკენ, მაშინ თვით ეს ნაქაღი კარგავს შინაარსობრივ რეალულობა და გადატანით, სიმბოლურ-რიტუალურ შედგრილობას იძენს.* აქ ცნობიერება თითქმის თავის თავს ეთამამებდა და თამამით გამოცვეთილ ნიშან-სიმბოლოთა შორის პოლულობს ასოციაციას, რომელიც შეიძენს საწყისი მიზნის შესაბამის აზრობრივ დატვირთვას. ეს სწორედ ის პირობითი სიტუაციაა, ის რიტუალია, ის „თავისუფალი სივრცე“, სადაც თავისთავად ჩნდება საძიებელი სახე. ამ დროს ხდება როგორც იდეისა და სახის შერწყმა, ასევე ამ სინთეზის შემდეგ ცნობიერების თვითრეალიზაცია; ამიტომ მხატვრული სახე განუყოფელია იმ სიტუაციასგან, სადაც შემოქმედებითი ენერჯია სრულ, ცოცხალ მთლიანობაში გადადის.

აქედან გამომდინარე, პერსონაჟი მთლიან შემოქმედებითი სიტუაციის ელემენტია და არა საკუთრივ როლზე მეშობის შედეგი. ერთი შემთხვევითი სიტუაცია, ერთი უკანაგონი გამოხედვა, ერთი უნებლიე ნაბიჯი შეიძლება ამ სიტუაციის, ამ ქმედითი ატმოსფეროს ნიშან-სიმბოლოდ იქცეს და გასაღებივით მოერგოს საძიებელ სახეს. მსახიობმა თამაშის სიტუაციიდან უნდა შეიმოქმედოს გმირი და არა მხე სახითა და სათქმელით შევიდეს მხატვრულ სიტუაციაში.

ცნობიერების წინასწარი დამიზნულობა შემოქმედების საგანზე აქ იგივეა, რაც მსახიობის კონცენტრაცია პერსონაჟის იდეაზე; არა პერსონაჟის გაზრდება ან მისი ფსიქოლოგიური განცდა, არამედ მისი, როგორც უნიკალური მოვლენის იდეაში განჭვრეტა.

გმირის იდეაზე ორიენტირებული მსახიობი ურთიერთობს პარტნიორებთან და ხდება ათანაირი სიტუაციათა თანამონაწილე. არსებითია, რომ თამაში აღმართული სიტუაციე-

ბი კი არ გამომდინარეობს პირობიდან, არამედ დამოუკიდებელ შრეთა სახით ემართება მას და ახალი შესაძლებლობებითი ამდიდრებენ. სადაც ამ სიტუაციათა შორის ძეტურებს ნაწილობრივების იდეა, საძიებელი სახე... თვით სიტუაციები კი სპონტანურად ჩნდებიან, ერთმანეთში გადადიან, იკარგებიან, არ ქრება მხოლოდ ერთგვარი დამბროლობა შემოქმედების მიზნისკენ. ის, რაც ხდება სიტუაციის შემთხვევითი, ნეიტრალურია იდეაზე ორიენტაციის მიმართ. ამიტომ იქნება კონტრაპუნქტი, განუსუფალი სივრცე ერთგვარი განუწყვეტელია, სადაც საძიებელი სახე თვისთავად უნდა გაჩნდეს და განითვდეს. იდეით ანთებული მსახიობი თამაშის სიმბოლუკით მოსინჯავს და გაიფლის ყველა ამ სიტუაციას, ვიდრე არ აღმოჩნდება იმ ერთადერთ მდგომარეობაში, სადაც შესრულდება მისი საკუთარ იდეასთან, საძიებელ სახესთან შესაბამისობის რიტუალი. ეს სწორედ ის მთლიანი, განუყოფელი მდგომარეობაა, როდესაც ხდება როგორც შემოქმედება (იდეა მხატვრული სახეში გადადის), ასევე შემოქმედების სცენური თვითრეალიზაცია. მსახიობი ქმნის იმ ერთადერთ, უნიკალურ და მთლიან სიტუაციას, რომელიც საკუთრივ მის შემოქმედებით ენერჯიას შეესატყვისება, საიდანაც გამომდინარეობს მისი კონკრეტული, მხატვრული განსახიერების განუყოფილობა.

არ უნდა დაგვაოწყნოდეს, რომ ქმედებისა და იდეა-სახის კავშირი პირობითია და არა პირდაპირ-მიზეზობრივი. იდეის განჭვრეტა კი არ იწვევს მოქმედებას, არამედ ორ პარალელურ ტენდენციას შორის, იდეაზე კონცენტრაციასა და მისგან დამოუკიდებელ მოქმედებას შორის, პირობითად დანისმის ტოლობის ნიშანი. ერთხელაც ზაზი გავუსვათ, რომ იგივეობა პირობითია, მაგრამ არა შემთხვევითი და ნებისმიერი. იდეის საზრისს მხოლოდ ის სპონტანური ქმედება შეიძენს, რომლის დროსაც მსახიობი თავისი შემოქმედებითი არსების სრულ რეალიზაციას შეიგრძნობს შექმნილი სიტუაციის უნიკალურობასა და მთლიანობაში.

ამდენად, შეიძლება დავეთანხმოთ იგი გროტოვსკის (იხ. „ხელოვნება“ №4, 1988, გვ. 118-123), რომ თეატრის რეალობა წარმოადგენს არა ნაწარმოების ილუსტრაციას, არამედ მსახიობში ტოტალური ქმედებით მომხდარ გარდასახვის აქტს, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელში იგულისხმება არა ფსიქოლოგიური გარდასახვა ანუ მსახიობის თვითგა-

* ფუნქციონირების თვალს არ გამოეპარება, რომ აქ ხდება ფუნქციონირება რეალუკცია - ცნობიერების შინაარსის სინამდვილეისგან მოწყვეტა. მისი ბრჭყალებში წახმა, შესაძლებლობათა პირობითის გაშლა, ინერციანტის მოშენება და იდეაციის აქტი.

ნცდის პერსონაჟის იდეასთან ნამდვილი გაიგივება, არამედ მათი პირობითი გაიგივება. ფიზიკური მოქმედება კი არ იწვევს განცდას, არამედ როგორც რიტუალი, მხოლოდ აღნიშნავს მას.* აღნიშვნის ანუ მნიშვნელობის მიცემის ეს პროცესი თავად წარმოადგენს რეალობას და მსახიობი, ამ პროცესის სუბიექტი, აქ მხოლოდ პირობითად გარდაისახება, ანუ ნამდვილ თეატრალურ რეალიზაციას განიცდის.

ამრიგად, გარდასახვის აქტში ჩვენ ვხვდეთ მნიშვნელობის მიცემის ან გადატანის პროცესს, როცა მხატვრული იდეა ფიზიკურ მოქმედებას მიეწერება შემოქმედებითი თვითრეალიზაციის მთლიან სიტუაციაში.

თეატრალური პირობითობის მხედველობაში არბილება ქმნის საშიშროებას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ანტონენ არტო. არტო გარდასახვის აქტში, იდეის განსახიერების გვერდით მსახიობის თვითრეალიზაციასაც შეიგრძნობდა, თუმცა ამას ფსიქოლოგიურ მოვლენად სახავდა. მაგრამ მხოლოდ ფსიქოლოგიის ფარგლებში, პირობითობის გარეშე ვერ მოხდებოდა უსახიობოდან იდეისავე სივლა და ცნობიერების გაფანტულ შრეთა სეთაში. არტო გრძობდა ამ შეუძლებლობას, როგორც მთლიანი და განუყოფელი სიცოცხლის შეუძლებლობას სცენაზე, როგორც საკუთარი თავის დაკარგვას მსახიობურ გარდასახვაში: ამ შეუძლებლობიდან იშვა არტოს მეტაფიზიკაც — მიუწვდომელია ის სიცოცხლე, ის იდეალური სინამდვილე, რომელსაც მსახიობი ესწრაფვის. ამიტომ ის, რაც ხდება სცენაზე, უტოპიური, მეტაფიზიკური თეატრის ანარქლია მხოლოდ. სიცოცხლის ვერაწეწველობის სვედითაა ახებქლილი ჩრდილთა თამაშით შექმნილი სახე და ის, როგორც ილუზიური, როგორც არასრული, როგორც „არყოფნის ყოფნა“, უნდა დაითრგუნოს. აი, როგორ შეიძლება გავიგოთ არტოს იდეა სისასტიკის თეატრის შესახებ.** თუკი თეატრიდან ცხოვრებაში გადამოვაბიჭვებთ, დავინახავთ, რომ სისასტიკე, როგორც შეთოლი, საერთოდ თანსდევს უტოპიურ იდეას. თუ იდეა განუხორციელებელია, მაშინ იდეას ვერაწეწველობა რეალობა ნაკლოვანი და როგორც არასრული, უპირისპირდება თავისივე მიზანს. ასე აღმოჩნდა გვამებით მოუფენილი „კაცობრობის ბენდიერებისაკენ“, კომუნისმისაკენ მიმავალი გზა.

* მოქმედების სიმბოლურობა და თამაშის სიმსუბუქე არ უნდა შთანთქას განცდის ფიზიკურმა გამოხატულებამ.

** არტოს მეტაფიზიკის ანტიკონრეტუაციაში ძირითადად ვყრდნობით მერაბ მამარდაშვილის სტატიას „არტოს მეტაფიზიკა“, „ხელოვნება“, №7-8, 1993 წ.

მიუთოდისა და მიზნის განუთქილებების გამო თავისუფლების იდეალურ სფეროში გადატანა რეალურად მის უარყოფასა და აბრთვინების სრულ დეტერმინაციას იწვევს. ნატივრიდანი იდეის მიზეზობრივი ახსნა, იმ პირობითობის „ვერემეშნევა“, რომელიც აზრს იძლევა სულიად დასველების ცოცხალი ერთობისადმი, აღმოჩნდა ამ სახელისწირო განუთქილებით თავი და თავი.

არტომ იდეა პროცესურა თეატრის მიმართ იაკატარა. სამსუბუქობა პირობითობა, რომელიც არათუ უხელოვნების საფრთხილად ირებისა და მთელი სინამდვილის არსშია ჩადებული. ამიტომაც ვერ შეინარჩუნა საკუთარი თავი მხატვრულ გარდასახვაში და „სისასტიკის თეატრი“ სცენაზე მიუწვდომელი სიცოცხლის ტრაგიკულ განცდას დააფუძნა.

იდეი ხელოვანის მარცხი კიდევ ერთელ გვაფრებს, რომ სიცოცხლეს და შემოქმედებას უნდა გავიგოთ დეტერმინიზმის მიღმა, როგორც მნიშვნელობათა გაჩენისა და ცვალებადობის მთლიანი, პირობითი და თავისუფალი პროცესი. აქედან ეძლევა გარკვეულობა ყოველ არსებულს: როგორც ნამდვილ არსებულს, ასევე მხატვრულად შექმნილს.

პირობითობის ამ თავისუფალ მოძრაობაში შეუძლებელიც შესაძლებელი ხდება. შეუძლებელია მჭექფაერ სიცოცხლის სცენაზე ხელოვნურად შექმნა. შეუძლებელია განსახიერების ცოცხალი, პირველადი პროცესის ჩვენება. სიცოცხლე მოუხელოვებელია. მისი ფიქსაციისა და ჩვენების ყოველი ცდა სპობს მის განუყოფლობას და ერთადერთობას; მაგრამ შეიძლება სცენაზე ხელოვნურად შექმნილს პირობითად, გადატანითი მნიშვნელობით მივანიჭოთ სიცოცხლის აზრი. უფრო ზუსტად, თავისუფალი თამაში თავისთავად უნდა მოერგოს სიცოცხლის სიმბოლოს. მაგრამ სწორედ ეს თამაში, ეს ვითომ რეალობა არის კიდევაც ნამდვილი რეალობა, რადგან თვით მნიშვნელობის გადატანისა და სიმბოლოდ ქცევის რიტუალი, როგორც იდეის შემოცველი ქმედება, თავად წარმოადგენს ცოცხალ, განუყოფელ პროცესს, რომლის მთლიანობაში საზღვარი ქრება ნამდვილ სიცოცხლესა და მის განსახიერებას შორის.

აი, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ პირობითობის სისიცოცხლო აზრი ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც.

საქართველოს იურიდიული

„სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერები“ უწოდა პოეტმა სანდრო ბერიძემ ლექსების ახალ კრებულს (ბათუმი, 1997) და, ჩვენი აზრით, სავსებით გამოკვეთია თავისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოზიციები. სანდრო ბერიძე ცხოვრებაზე გულგატეხილთა, იმედდაკარგულთა და მიუსაფართა ტკივილების თანახიარი პოეტია. სამწუხაროა, რომ დღევანდელ საქართველოში იმედგარეულებულთა ლეგიონები ბევრად სჭარბობენ დაღბნიებულთა ვიწრო წრეს... დამოუკიდებლობის გზაზე გამოსულ საქართველოში არსებითად გადაფასდა ისტორიული ღირებულებანი, შეიცვალა ცხოვრებისა და აზროვნების წესი და მთლიანად გამოვლინდა სხვა ქვეყანაზე (დამპყრობელი ქვეყნის ეკონომიკაზე) დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის უმწეობა და სოციალური საყრდენების სისუსტე. საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად მოულოდნელად აღმოჩნდით ალოგოზმის წინაშე – „დიდ ქვაბში რომ არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო“. „პატარა ქვაბის“ სიცარიელემ მილიონები გააღატაკა და მიუსაფრის მდგომარეობაში ჩაყარა. ამ ადამიანების ძირმწარე ცხოვრებას დასტრიალებს თავს პოეტის მუხა. „მეც ამ ქვეყნიდან უნდა წავიღო ყველა დარღიანი კაცის ტკივილი“ – ამბობს მისი ლირიკული ლექსის გმირი, რომლის წარმოდგენით „არა ყრია რა მზისქვეშეთში ვასახარელო“, უიმედოთა თვალით დანახული და გულით ვანცდილი სამყარო ასე აქვს პოეტს წარმოდგენილი:

„სველიან ქანგზე კვლავ ქვითინებს
ჩემი მაესტრო,
შავი ნიღბებით დაიღალა თეთრი
კაბარე.
ძმობის მეჯლისებს რადგან ბევრი
ყალბად დაესწრო

მოგონებას ცნებებს ტალღა
გაღაფლანე
იყო ღიმილში ჩაშლილია მასკიო
შური,
მხრებსლა ვინჩაზე, ნუთუ მართლა
დადგა დრო ცხარი.
ნაცნობ სახეებს გადაკვერიათ
პოზა ბითური,
მადლობა უფალს, გაოცება შრჩება
ცოცხალი“.

პოეტის წარმოსახვაში სულ უფრო დრამატულ ქედრადობას იძენს ცხოვრებით გაუბედურებულთა ხვედრი და სულისკვეთება. მწარე ტკივილებს იწვევს ამ სინამდვილეზე დაკვირვება, მაგრამ იგი მართალია და თვალი უნდა გაუხსნოთ:

„წაგებულია ყველა ომები,
გრძნობა ვინულში წვეს და ისეკნებს.
იცოცხლებ? არვის არ ეხსოვები,
მოკვდები? არვის არ გაგისხენებს“.

ამრიგად, ბუნებრივად მივიდევით საკითხს პოეტის მსოფლმხედველობის შესახებ. „სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერების“ ავტორი პესიმიზტია ცხოვრებაზე თავისი შეხედულებებით. „პესიმიზმთან ძმობას ვეწამე“ – ამბობს პოეტი

პესიმიზმი, ჩვეულებრივ, გაგებულთა როგორც ცხოვრებიდან გაქცევა, წუწუნი, სასოწარკვეთა. სანდრო ბერიძის პესიმიზმი კი პროტესტია ადამიანში აღძვრულ ღირსებათა გაუფასურების წინააღმდეგ. პოეტი ადამიანის მოქალაქეობრივი ღირსების შეგნებისა და მისი დაფასების სადარაჯოზე დგას. ამიტომ სანდრო ბერიძის პესიმიზმს ჩვენ გონიერი კაცის პესიმიზმს ვუწოდებთ. ის ფართო თვალსაზრისით უყურებს ცხოვრებას, მისთვის არაფერი

უცხო არ არის, მაგრამ მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე: „მე სიხარულსაც დავარქვი დარდი, სიხარულშია რადგან ჩემი დარდის სათავე“ — ხაზგასმით აცხადებს პოეტი და დარწმუნებულია, რომ ის ჭეშმარიტად სწორ პოზიციაზეა, მილიონობით ბედკრულთა გვერდით დგას და ღირსების შინაგანი გაცნობით მოითხოვს:

**მე შინდა ბოლმა შევხვა ფარულად,
პოეტის ნაღდი ცრემლი დამისხით,
ჭრილობას ხანჯლით ვახსნა არ უნდა,
გულიდან სიხხლი წვეთავს თავისით.**

მიუხედავად ამისა, სანდრო ბერიძის პესიმიზმში ჩვენ ვერ ვხედავთ კაბადონის — უბედურების მომასწავებელ სულისკვეთებებს, მით უმეტეს ვერც აგონიას. „უფსკრულის ანგელოზს“ პოეტი მაინც უპირისპირებს ლირიკული გმირის შინაგან წონასწორობას, როგორც ძალას. ხოლო ეს ძალა, ჩვენი აზრით, ვლინდება პოეტის აზროვნებისა და ხედვის სტილში. სანდრო ბერიძის ლექსები სავსეა თეთრი ფერით. ეს ბევრს ნიშნავს. მისი გულისტკივილიანი ლექსები მკითხველს არ თრგუნავს, პირველ რიგში იმის გამო, რომ პოეტი თავის ტკივილებს „უფსკრულის ანგელოზის“ სულისკვეთებით კი არ გადმოსცემს, არამედ თეთრი ფერების განცდის საფუძველზე. ამაში კარგად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავაკლებთ სარეცენზიო კრებულში გამოყენებულ ფერთა გამას.

სანდრო ბერიძის ლექსის ლირიკული გმირი პროტესტანტია, რომელიც არ ეგუება შექმნილ ვითარებას და ამავე დროს ბრალმძებელია. სწამს, რომ შეიძლება ყოველივე გამოსწორდეს, ამაზე მიგვიანიშნებს პოეტის არაერთი ლექსი, შესრულებული ეფფონიის ხერხის გამოყენებით და წარმოქმნის მეტყველების კეთილსმოვნებას, სიმსუბუქეს, სასიამოვნო ფერადობას სიტყვებისას:

**უგზობით დავიღალე
უნაპირო მორევში.
ჯანდაბას რომ გამოძვზავნე
უხუნდოდ გამოგეშვი.
გულმა ღვთისგან მონარჩენი**

**ცოდვის ტბა თუ დალია
ცოტა ჩემი, ცოტა შენი,
ცოტაც სხვისი ბრალად.**

ასეთივე განწყობილებით არის დაწერილი ეს სტრიქონებიც, რომლებშიც ისტეტები ჯანსიერი განწყობილება გრძობს. მართალია, გვერდობლივად არც მისი სურვილი სრულდება, მაგრამ როცა ის სხვათა ფერით სურვილებს ამხელს, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს წინაშე გმირი და გაწონასწორებული კაცი დგას. ის კრიტიკულად უყურებს უღირს ადამიანებს. სარკასტულია მისი დამოკიდებულება იმით მიმართაც, ვისაც საერთოდ არ გააჩნიათ მიზანი და სურვილი...

სარეცენზიო კრებულში ცალკე ციკლით არის წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა. იგი მრავალფეროვანია როგორც თემით, ისე განწყობილებით. მაგრამ მათ შორისაც თითქმის უიმედობა ჭარბობს. სიყვარულშიც უიმედობა გამოისჭვავის ამ სტრიქონებში:

**რა გულუბრველო ვიყავი თურმე,
როცა დრო მკვირცხლი ჭვნებით
ქროდა
და მე შეგონა, რომ ვველაფერი
იყო მარადი,
რომ საკუთარ თავს
უღარდელად ვპარავდი მეოცნებ
ფერებს
და სივრცეებში თითო-თითოდ
ვანაწილებდი.**

რაც შეეხება ამ ლექსების მხატვრულ ღირსებას, გვეჩვენება, რომ ისინი მძიმედ იკითხება. სატრფიალო ლექსის ლირიკული გმირი უმეტესად მკაცრი და ცივი გონებით უფრო მსჯელობს და შედარებით ნაკლებად გამოხატავს მიჯნურის განწყობილებას.

სარეცენზიო კრებულში საინტერესო რაკურსით არის დანახული და გააზრებული ეროვნული პრობლემა. ამ მხრივ საინტერესოა უსათაურო ლექსი „საკუთარ სახლში უუფლებო იყავ სტუმარო“, რომელიც ეძღვნება აჭარას. პოეტი ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევს აჭარის „თეთრი ტაძრიდან“

„ანგელოსების განდევნას“, მაგრამ მტერმა მათი განადგურება ვერ შეძლო. ისინი „ყრუ ხეობების უღრანებმა შეიფარაიეს“. მიუხედავად ამისა მტერმა მაინც იძალა და „ტბელის ტაბლახე ქეიფის დღე სხვას გაეშალა“. ამ მოტივზე სხვა პოეტებმაც ბევრი საინტერესო ლექსი დაწერეს, მაგრამ სანდრო ბერიძე, ერთგვარად, წინ სწევს პრობლემის გააზრებას და აჭარის სამსაუკუნოვან ტყვეობაში ბრალს სდებს არა მხოლოდ მიმტაცებელს: „ღვიძლ შვილითაგანაც შენთვის, ვითომ, არეის ეცალა? და სამასი წლით დაგვიანდა შენი მესია“. ამით პოეტი განზოგადოებული სახით დაპარაკობს იმის შესახებ, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლა ყოველდღიური ცხოვრების წესი უნდა იყოს მამულიშვილისათვის, მეტადრე იმათთვის, ვისაც საამისო ძალა და ღონე გააჩნია.

ბუნებრივი ღირიზმითა და ხალასი განწყობილების ძალისხმევით გამოირჩევა ლექსი „უსინათლო გოგონას ლოცვა მომაკვდავი დედის გამო“. უმწეო ადამიანის უნუგავი მღვთმარებით მრავალი პოეტი დაინტერესებულა, მიუხედავად ამისა, სანდრო ბერიძის „უსინათლო გოგონას ლოცვა...“ მაინც გამორჩეულია იმით, რომ უსინათლოსთვის დედა არა მხოლოდ იმედია, არამედ სანთელიც, რომელიც ცხოვრების გზაზე მიოდვის შეიღს. „ბედმა დედასეში სასთლად მოცა და შენ არ ჩამიქრო, გვედრები“.

ასევე საინტერესოდ არის წარმოსახული თავისუფალი ადამიანის სახე, სხვანაირად, სახე ადამიანისა, რომელიც თვალის ჩინივით უფროხილდება თავის თავისუფლებას. ეს გახლავთ უსათაურო ლექსი „თქვენ მპაპტიეთ, თუ არ გიჯერებთ“.

„გული თქვენს გვერდით შვებას ვერ იძენს, გსურთ მომჩვენით ბარდი იებად, მე არ გიჯერებთ, მე ზოგჯერ გისმენთ და ზრდილობისთვის გთხოვთ პატიებას“.

„სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერები“ საფუძვლიან წარმოდგენას გვაძლევს

მისი ავტორის პოეტური სიმწიფის ხარისხზე. ამ ლექსების ავტორმა გადაღობა რუბიკონი და ჩაღვა პოეტური სიტყვის ოსტატია რიგებს. ამაზე მერყეულებს სიმრავლე იმ პოეტურ-სტილისტიკური ხერხებისა, რომლითაც პოეტი ახერხებს ეპითეორი შთაბეჭდილებისა და ექვეტიკური გახცობის გამოიარებას.

სანდრო ბერიძის ლექსებში ჭარბად გამოყენებული ალიტერაცია წარმატებით აღწევს პოეტური ხეგავლენის გაძლიერებას. სანდრო ბერიძის ლექსებით ალიტერაცია ხშირად რიტმის საყრდენიცაა ტაქში. ალიტერაციის ნიმუშებია თუნდაც: „გულცივად კოცინს კოცონი კოცონს“, „მან მიწა ჩემი დამშუღლი შურს ვახშმად მიაართვა“. მაგრამ, ამასთან ხელოვნურად გვეჩვენება ასეთი სტრიქონები: „ცვარმოცელი ცაა ცარცივით“ ან „თეთრი დათვივით დამუნძულებს ცივი სიცივე“.

მაგრამ, ამასთან ერთად, სარეცენზიო კრებულში გვხვდება მორფოლოგიური ფორმები, რომელთაც, ალბათ, არ შეიძლება მიეცეთ გამართლება. ესენია: „სახლზე უკავილო ზიან ბუხრები“, „სხვადასხვა ფერის ღრუბლებზე ზიან“, „დედა ერთხელაც არ მინახია“, „ღმერთები ფეხით ზილავენ თიხას“, „ზომ დღემდე არცერთს ჰგეჯარ. ნახადებს“, „სასიამო და საზიზღრულ“, „გაქრა ბავშვობა ფრმობაც გაქრა უნუშარული“, „მწარ მოლოდინი რა უამაძღე ვცავო“, „ყრუ ხეობის უღრანებმა შეიფარაიეს“.

პოეზიაში სანდრო ბერიძე თითხმეტმარცვლიანი ბესიკური ტაქების ერთგულია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ბესიკურ ტაქში აუცილებლად ორი ცეზურა გამოიყოფა, სანდრო ბერიძესთან ასეთი დაყოფა არ ახასიათებს თითხმეტმარცვლიან ტაქსს. მაგალითად:

„ველა თაობას საკუთარი აქვს პოლიეული, პატარ-პატარა მშეებით და ცრუ ვარსკვლავებით“
ან
„ხელოვნებაში ხელოსანთა კლანი დავანდა, უფრო გაჯიქდა, ვიდრე იყო მოაქჳამოდღ“.

ოთხმეტმარცვლიანი ტაბების შემდეგ პოეტი შედარებით უპირატესობას ათმარცვლიანებს ანიჭებს ორი ცეზური:

„ქარები ჩაღვნი, გადილო წვიმამ“
ან

„ეს განუშემა არ არის მარცხი,
არც დაზავებას არ ნიშნავს ნაღდად“
ან

„მხოლოდ ღამეებს, — ღამაზ
გადიებს,
მარტოობისთვის არ ვეშეტები“.

ამასთან, გვხვდება ისეთი ათმარცვლიანი ტაბები, რომელიც ტაბების შივნიით არ იყოფა ორ ცეზურად:

„რა ძნელად მიდის ეკლესიასთან
გზა, ნისლის ზეავით გადაკეტილი“.
ან

„მეც ჩემული სიძარტლე თუ ვაჭვი,
ნუ გამამტყუნებ, ღმერთო, დიადო“.

კიდევ უფრო მრავალფეროვნებით გამოირჩევა სტროფული სისტემა. პოეტი იყენებს თითქმის ყველა ცნობილ ფორმას:

ორტაბიანი-მრჩობლელი:

„ლოცვების დროა, გულისყური
შიაყარ ცისკენ,
უსმინე უფალს, რა ხანია უფალი
გისმენს.
იქნება ერთხელ გოსს მოხვიდე,
ცოდვა ინანო,

ქრისტე-ღმერთს აღარ დაკვიდრო
ეს, ამირანო“.

სამტაბიანი-ტერცეტის ნიმუშია:

„კარგახანია სიხუშეა ჩემო დობილო,
რომლის ვილია ში დაუძრეტელი
ერთმალე ვიღვანე
ვერა და ვერა, სიფარული
პირველყოფილი ვერ შევცვალე“...

„ვიცი, არასდროს მიწერია
განციდლის ნახვა,
დასაეწეებლად (გავტყვები და) რა
არ ვიძალე,
წამოვოლილი ვველა გრძობა და
ვეველა ზრახვა
ვერ შევიცვალე“.

ამ ნიმუშებში „ვერ შევიცვალე“ რეფრენის ფუნქციას ასრულებს. სანდრო ბერიძის ლექსების უმეტესობა დაწერილია ოთხტაბიანი კატრენით. იშვიათად გვხვდება ექვსტაბიანი სექსტინა, შვიდტაბიანი, რვატაბიანი, ცხრატაბიანი, ათტაბიანი, სამაგაეროდ, პოეტი ხშირად იყენებს ასტროფიულ სტროფებად დაუყოფელ სისტემებს („ალისა“, „ძველი“, „მაცალეთ წვიმებო“, „წარსულს დროო“, „მე დავიბადე მარტის მერვე დღეს“ და სხვ.).

სარეცენზიო ლექსები კიდევ მრავალი სხვა ღირსებითაც გამოირჩევა, რომელთა დაწერილებითი ანალიზი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 15.02.99წ., ტელმოწერილია დასაბეჭდად 21.04.99 წ., ინაწყობის ზომა 7 1/4 X12, ფორმატი 70 X 108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11.5 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.1 საღარ. საგამომცემლო თაბახი 10, 81; ტირაჟი 400. შეკვეთა №19

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზირი №42

183/9

ფასი ორი ლარი



ინდექსი

76125

ეროვნული
ბიბლიოთეკა